ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ

5 2020

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲮᲚᲘ

ISSN 0134-3459
20005
9 770134 345001

ჭოროხი

გამოცემის 62-ე წელი | სექტემბერი-ოქტომბერი | №5 | 2020 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი

სანდრო ბერიძე

სარედაქციო კოლეგია

როინ აბუსელიძე
ცისანა ანთაძე
გენრი დოლიძე
შოთა ზოიძე
დავით თედორაძე
ლალი კონცელიძე
გურანდა ნიჟარაძე
რამაზ სურმანიძე
ჯემალ სურმანიძე
ბელა ქებურია
ვახტანგ ღლონტი
თინა შიოშვილი
მაია ჯაფარიძე

ტექნიკური რედაქტორი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა

მალხაზ ფალავა

ოპერატორი

მარიკა ლაშხია

დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ

ISSN 0134-3459

© „ჭოროხი“, 2020

რედაქციის მისამართი:
6009, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: (422) 27-15-30

გამომცემელი
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი

ჟურნალი დაიბეჭდა
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში.
ქუთაისი, ჭავჭავაძის ქ. 33

ავტორთა საყურადღებოდ:
რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს
შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8);
რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

შინაარსი

პროზა, პოეზია

ზურაბ ფირცხალაიშვილი – მოთხრობები 3
გენრიეტა ქუთათელაძე – ლექსები 11
პაატა აბაშიძე – ლექსები 13
ანა დუნდუა – ნოველები 19
მამუკა ოჩიაური – ლექსები 31
ნოდარ ბასილაძე – მამაჩემი (მოთხრობა) 33

თარგმანები

**გოეთე, ვ. ჰიუგო, გ. აპოლინერი, ი. კუპალა, ფრ. პეტრარკა,
ე. დიკინსონი, ა. ქარადაღი, მ. მაჰზუნდოღანი, მ. ლერმონტოვი,
ალ. პუშკინი, ლევმეი, ს. ნოვიკი, ი. სევერიანინი,
რ. როჟდესტვენსკი, ბ. პასტერნაკი, ს. ესენინი, რ. კაზაკოვა,
ვლ. ვისოცკი** – ლექსები (თარგმნა თინა შიოშვილმა) 38
გაიანე პოღოსიანი – მოთხრობები (სომხურიდან თარგმნა ელენე ტულუშმა) 48

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ელგუჯა გუაძე – „რაღა ამაღამ ამიტირა წვიმამ პალმები“... 52
მაია ჯალიაშვილი – შაბლონებისა და სტერეოტიპების წინააღმდეგ 61
– ვილიე დე ლილ-ადანი და გალაკტიონი – შორეული გადაძახილი 66
– ანტიგონე და აღაზა – სულიერი დები 69
– ლტოლვილობის ტკივილი 74
– მამაჩემის ქვეყანა 78
– მშვენიერების ჯვარცმა – გიორგი ლეონიძის „მარიტა“ 82
– „ხელოვნური სამოთხის“ ლიტერატურული ანატომია 86
მარინე ჩხიკვაძე – ყველა ადამიანს აქვს რაღაც დაფარული 91
ზაალ ბოტკოველი – მაყვალა გონაშვილი – ცისარტყელების ბინადარი 95

წერილები

ალექსანდრე ჩხაიძე – გულო კაიკაციშვილი 104

ინტერვიუ

ლაშა ხომერიკი – რა იქნება ხვალ მარიკა ლაშხიას ცხოვრებაში?
აფხაზეთი – აუცილებლად 118



ზურაბ ფირცხალაიშვილი

არქეოლოგი

ტრადიციულად ამ დღეს, ხუთ საათზე ყაბალახიან გურულებს კოსტა ორაგველიძის სახლიდან ლელობურთი გამოაქვთ.

ცენტრიდან, დაახლოებით ოთხას-ხუთას მეტრში სოფელს აქეთ-იქიდან ორი ღელე ჩამოუდის. ქვემოურები თავიანთ მდინარეს საჭინკიას, ზემოურები კი – ჭანჭიკელას ღელეს ეძახიან. მოგებულ მხარეს ლელობურთი საკუთარ ღელეში ჩააქვს, მერე ახალგარდაცვლილი თანასოფლელის საფლავზე დებს და მის შესანდობარს სვამს.

ასეთია თამაშის ფილოსოფია.

მე და ჩემი თბილისელი სტუმარი – ვაჟა არქეოლოგი თამაშის მსვლელობას შორიდან ვადევნებთ თვალს. იგი მოხერხებულ ადგილს ეძებს და ფოტოაპარატს იმარჯვებს. სოფელში მანამდე მხოლოდ მიწაზე დასადგმელ ფოტოს გადასაღებ მოწყობილობას ვიცნობდით. დროგამოშვებით ორღობეში ალიოშა ურია გამოჩნდებოდა ხოლმე თავისი დანჯღრეული სამფეხათი. – ალიოშა ფოტოგრაფი მოფრინდა! – დაიძახებდა და ბავშვების ამალა აედევნებოდა.

ვაჟა გზისპირას მდგარ ბჟოლის მომცრო ხეზე მიძვრება და თამაშს იქიდან ადევნებს თვალს.

ბურთი ერთხანს სოფლის ცენტრში ტრიალებს, ბოლოს ქვემოურები მძლავრობენ და საჭინკიის ღელისკენ იძვრიან. სწორედ ბჟოლის ხესთან ტყდება დიდი ბურგალი, ხე ხან მარჯვნივ გადაიხრება, ხან მარცხნივ. დამფრთხალი არქეოლოგი ტოტებს გულმოდგინედ ეჭიდება, მაგრამ მორკინალები ხეს ისე მძლავრად ანჯღრევენ, ტანს ვერ იმაგრებს და ბრძოლის შუაგულში ეშვება.

როცა ხალხი იშლება, ტანსაცმელშემოხეულ ვაჟა არქეოლოგს ვხედავ, ხელში დამსხვრეული ფოტოაპარატის ფრაგმენტებით და სიმწრის ღიმილით...

არქეოლოგები სოფელში ექვსი თვის წინ გამოჩნდნენ.

ერთ დღეს ხმა დაირხა: – მიშა ხალვაშის ეზოში თამარ მეფის სამარხი აღმოაჩინესო!

ამ ხმამ ელვის უსწრაფესად შემოიარა ორღობეები და ასწლოვანი ცაცხვის ქვეშ, სოფლის ცენტრში გაჩერდა.

სოფლის კოლორიტი შაკო ორაგველიძე პანტომიმის თეატრის მსახიობივით ოსტატურად ამოძრავებდა ხელებს:

– ხომ ვჩიოდი, თამარ მეფე შუხუთელია-მეთქი... ა, ბატონო, საფლავი აღმოჩენილია და არ უნდა ამას დიდი ლაილაი. ეტყობა, შვილსაც მდინარის სახელი – ლაშა დაარქვა, მეტი საბუთი რაღა გინდათ, ბიჭოს! – ხელი შუბლზე შემოიკრა და მეოცნებე მზერა ზეცას მიაპყრო, თითქოს დასტურს ღმერთისგან ელოდა...

მდინარეს, რომელიც შუხუთს მეზობელი სოფლიდან ჰყოფდა, მართლაც ლაშისღელე ერქვა და შაკოს არგუმენტიც, ალბათ, ამას ემყარებოდა. მისი ვარაუდით, თამარის შვილი – ლაშა-გიორგი შუხუთელი უფლისწული იყო.

ამ ბრძნულ, რკინისებურ ლოგიკას თანასოფლელებმა ვერაფერი დაუპირისპირეს და თამარის სამარხისკენ ხმაურით დაიძრნენ.

არქეოლოგიური გათხრები სოფელში ბაბუას ეზოდან დაიწყო: მეზობლებისგან შემდგარი ნადი გაზაფხულის პირზე ვაზის ჩასაყრელად ბოსტანში მიწას აბრუნებდა, სწორედ მაშინ იყო, ნიადაგის ფენის ქვეშ აგურით ნაშენი მოზრდილი თაღის ფრაგმენტი რომ იპოვეს. იგი იმდენად უცხოდ გამოიყურებოდა, აღმოჩენის შესახებ რაიონის ხელმძღვანელობას აცნობეს. იქიდანაც მოვიდნენ, ნახეს, ვითარება აწონ-დაწონეს და თბილისიდან არქეოლოგები მოიწვიეს.

არქეოლოგიურმა ძიებამ კარგა ხანს გასტანა. სამუშაოებმა მალე მეზობლად – მიშა ხალვაშის ეზოში გადაინაცვლა და, ეგრეთ წოდებული, თამარის სამარხის აღმოჩენით დასრულდა.

სკოლის ეზოდან გამოსვლისთანავე აღელვებულ თანასოფლელებს ავედევნე და რამდენიმე წუთში მიშა ხალვაშის ეზოში ამოვყავი თავი. ნემსს ვერსად ჩააგდებდი. ცხრა წლის ვიყავი, მომცრო ტანის, ძრომა-ძრომით თამარის სამარხის პირისპირ აღმოვჩნდი. სამარხის ძირი ყავისფრად ბზინავდა და შოკოლადის უზარმაზარ ფილას მოგაგონებდათ. ნანახმა იმდენად გამაოგნა, წონასწორობა ვერ შევინარჩუნე და პირდაპირ სამარხში მოვადინე ზღართანი.

– რას შვრები, კაძახო, წაახდინე მეფის საფლავი და ეგაა! – ეს ეფანე გახლდათ, ხანშიშესული მეზობელი. ელდისგან კინაღამ გული წამივიდა, სამარხი არ ჩაინგრეს-მეთქი! სამარხიდან ციმციმ ამომათრიეს.

– აგერ მოდის შოთა და იმას ეცოდინება თამარზე ყველაფერი! – წამოიძახა უცებ ბუხუტიმ და ხელები სიამოვნებით მოიფშვნიტა. ბუხუტიც მეზობლად ცხოვრობდა და გათხრებს ლამის მის ეზოშიც გადაენაცვლა. შოთას, სოლიდური თანამდებობის პირს, გზა მოწიწებით დაუთმეს.

– რაშია, მეგობრებო, საქმე? – იკითხა წითურმა კაცმა და დაცვარული სახე ცხვირსახოცით შეიმშრალა.

– თამარ მეფის ადგილ-სამყოფელს მივაგენით, შოთა ბატონო, და თქვენზე უკეთ ვინ გვეტყვის მის ამბავს!

– რომელი შოთა რუსთაველი მე მნახე, შე ჯიგბირო! – ირონიას მიუხვდა შოთა მეზობელს და გულიანდ გაიცინა. უფროსი იცინისო და უმცროსებმაც თავი გამოიდეს.

გურულების მოლოდინი არ გამართლდა: თამარის სამარხის ნაცვლად მეხუთე-მეექვსე საუკუნის ციხე-სასახლის ნაშთი, აბანოს მოზაიკური იატაკის ფრაგმენტი და ოქროს ჯვარი შერჩათ.

არქეოლოგთა ათწევრიან ჯგუფში ოთხი ქალი იყო. ეგრეთ წოდებული შავი სამუშაოები სოფლიდან აყვანილი მუშა-ხელით სრულდებოდა. უსაქმოდ არც ბავშვები დავრჩენილვართ – მუშებისთვის სასმელ წყალს ბაბუას ჭიდან ვეზიდებოდით, იგი ყველაზე ღრმა იყო სამეზობლოში და წყალიც ყინულივით ცივი იცოდა.

ერთი სიტყვით, არქეოლოგები სამეზობლოს კარგად შეეწყვნენ. საღამოობით ბაბუას ოდის წინ, ვეებერთელა ცაცხვის ქვეშ იკრიბებოდნენ, რომელიც, ბაბუას თქმით, მის დაბადების დღეს მამამისს – ნიკოს, სოფლის მამასახლისს, დაურგავს. ბაბუა იმჟამდ სამოცდაათს ითვლიდა, ეს ცაცხვის ხეც ამ ხნის უნდა ყოფილიყო.

სტუმარ-მასპინძელი სიმღერით, ცეკვით და ნარდით ირთობდა თავს.

ბაბუა ცნობილი მოკრიმანჭულე გახლდათ, მღეროდა მისი ძმაც. ხანდახან სიმღერაში ბებია და დედაც ჩაერთვებოდა ხოლმე.

ვაჟა არქეოლოგი, ჯგუფის ყველაზე ახალგაზრდა წევრი, ბაბუას გვერდიდან არ შორდებოდა, ხელში მუდამ ბლოკნოტი და ფანქარი ეჭირა და მის ნაამბობს დიდი ხალისით იწერდა.

სიმღერის ნიჭიც აღმოაჩნდა და ამ ამბავმა კიდევ უფრო მიაჯაჭვა მოხუცს. ცოტა ხანში იგი მიშა ხალვაშის სახლიდან, სადაც სხვა არქეოლოგები დაბინავდნენ, ბაბუას ოდაში გადმობარგდა.

ღამის რეპერტუარი გურული საგალობლებით იყო სავსე, ხშირად სრულდებოდა აგრეთვე „ყარანაი“, „შავი შაშვი ჩიოდა“, „ხასანბეგურა“, „ცხენი მყავდა“ და კიდევ სხვა.

არქეოლოგი „ხასანბეგურას“ შექმნის ისტორიამ მოხიბლა. ბაბუას თქმით, სოფელ აკეთიდან ქობულეთში გადასული ხასან თავდგირიძე ბეგლარბეგად დაუნიშნავთ. რუსეთ-თურქეთის ომის დროს მას გურულებისთვის თურქეთის მხარეს ბრძოლა მოუთხოვია, მაგრამ უარი მიუღია.

გადამწყვეტი ბრძოლა ხასანბეგის ჯარსა და გურულებს შორის შუხუთში მომხდარა. გამარჯვება ქართველებს დარჩათ. ომში მოუკლავთ ხასანბეგ თავდგირიძეც. იგი ღვიძლ ბიძაშვილს, გურულების რაზმის მეთაურს ყარამან თავდგირიძეს სხვა დაღუპულ მებრძოლებთან ერთად შუხუთის ცენტრში დაუკრძალავს და საფლავზე ცაცხვის ხე დაურგავს. სიმღერის ტექსტიც მას უნდა ეკუთვნოდეს: „რომ გავიეგე თუ ვინ იყო, ვაიმეო, დავიძახე, რადგან ჩემი ძმაი იყო, ბოლოს მაინც მე დავმარხეო“...

ამ დროიდან შემოუღიათ სოფელში ლელობურთი. ნახერხით და სილით დატენილი ბურთი თექვსმეტ კილოგრამს იწონის. ადრე ბურთაობა ყოველ აღდგომას იმართებოდა. ახალმა მთავრობამ თამაში მშრომელთა სოლიდარობის დღეს, პირველ მაისს, გადმოიტანა. – ასეა აი საქმე, ჩემო სტუმარო! – დაასრულა თხრობა ბაბუამ და თუთუნი შეახვია...

ვაჟა არქეოლოგი მალე გამოკეთდა. ავადმყოფობისას ძალიან დავუახლოვდი. რაიონის საავადმყოფოს ექიმმა – სოსო ჩიჩუამაც კი გასინჯა და ახალი დანიშნულება გამოუწერა. რეცეპტი რატომღაც მამაჩემს მიაწოდა და სთხოვა ხმამაღლა წაეკითხა პაციენტისთვის. მამამ ჩაახველა, ხმა ჩაიწმინდა და წაიკითხა: მივიღოთ წამლად დილით უზმოზე და ძილის წინ ას-ასი გრამი ჭაჭის არაყი მოხალულ თხილთან ერთად, ერთი კვირის განმავლობაში.

სოსო ექიმს დრო აღარ დაუკარგავს, გრაფინიდან ჭაჭა ჩაის ჭიქაში ჩაუძახა, სულმოუთქმელად გადაკრა და დაგვემშვიდობა.

მორჩილმა პაციენტმა ზედმიწევნით გაითვალისწინა ექიმის რჩევები და მალე არქეოლოგიურ მოღვაწეობასაც დაუბრუნდა.

ერთ დღეს სპეციალურ ყუთებში ჩაწყობილი, გათხრების დროს მოპოვებული ექსპონატები ვაჟას დახურული ავტობუსით თბილისში გაატანეს.

დედაქალაქიდან მესამე დღეს მობრუნდა და ხელში ნამდვილი ფეხბურთის ბურთი ჩამიდო. ეს ისე უბრალოდ გააკეთა, წესიერად მადლობაც კი ვერ გადავუხადე.

– წადი, მეგობრებს დაუძახე და ითამაშეთ, ძირს ჭინჭის ბურთები!

მისი თბილი, არაჩვეულებრივი ღიმილი დღემდე მახსოვს. ეზოში გავიჭერი და ბურთი ცაში ავისროლე...

დრო კი დიოდა და ულმობლად მართმევდა ბავშვობას, ბაბუას ოდას, მართმევდა საყვარელ ადამიანებს, დედას, მამას, მართმევდა ყველაფერს, რაც ძვირფასი იყო ჩემთვის...

ვაჟა არქეოლოგიც წამართვა...

როცა ფერადი სამყარო მომენატრება, ბავშვობაში მივემგზავრები ხოლმე. ის ისევ ბაბუას ოდის წინ დგას და ბურთს მიწვდის...

ბენო

შუაღამით ფანჯარის მინაზე დაკაკუნების ხმამ გამაღვიძა. ბავშვობაში ძალიან მშიშარა ვიყავი, დაფეთებული წამოვფრინდი ლოგინიდან, ხელის კანკალით მოვძებნე ასანთი და ლამპა ავანთე. ამასობაში ფანჯრები გაიღო და გარედან კამფეტების წვიმა წამოვიდა. შეცბუნებული ვიდექი შუა ოთახში, ლამის დამეჯერებინა სასწაული, რომ შეიძლება ციდან კამფეტები ჩამოცვენილიყო. ფანჯარაში ჯერ ჯარისკაცის წითელვარსკვლავიანი ქუდი გამოჩნდა, შემდეგ კი ბიძაჩემის გაღიმებული სახე. ხის ბწკალადან ოთახში გადმოვიდა და ხელში ამიტაცა... იმ ღამეს ერთად გვეძინა. მერე დაოჯახდა, ცხოვრობდა ჩუმად, უხმაუროდ. მხოლოდ ერთხელ იყო, მთელი სოფელი რომ აალაპარაკა... ჭიშკართან, მის მიერ გაკეთებულ ძელსკამთან მეზობლის კაცებს მოეყარათ თავი. ხმამაღლა საუბრობდნენ, როგორც სოფელში სჩვევიათ ხოლმე. ცოტა მოშორებით ბავშვები ჩაცუცქულიყვნენ, უფროსებს რომ არ გაეგონათ, რაღაცაზე საიდუმლოდ ჩურჩულებდნენ. ამ დროს მოსახვევიდან ბღავილით დაფეთებულიული კამეჩი გამოვარდა. საოცარი სისწრაფით პირდაპირ ბავშვებისკენ მოექანებოდა. ვინ ან რამ დააფეთა ეს მშვიდი ცხოველი, ბოლომდე გაურკვევლი დარჩა. კაცები ძელსკამს მიეჯაჭვნენ. კიდევ რამდინემე წამი და უბედურება დატრიალდებოდა. ბიძაჩემს ბევრი აღარ უფიქრია, მისკენ მქროლავ კამეჩს ელვისებური ნახტომით რქებში წვდა და თავი გვერდზე მოუქცია. გაბრუებული კამეჩი ჯერ ღობეს მიასკდა, მერე კი მიწაზე მოწყვეტით დაენარცხა. ენაკვიმატმა გურულებმა „კამეჩების რისხვა“ შეარქვეს, თუმცა ისიც ცხადი გახდა, რომ იმ საბედისწერო წამმა იგი სოფელში ყველაზე გაბედულ კაცად აქცია. რატომღაც მეჩვენება, ღმერთი სიცოცხლეში ერთხელ ყველას ჩუქნის ასეთ ღვთიურ განსაცდელს, მაგრამ სიმხდალისა და თუ სხვა რამის გამო ხელიდან უშვებენ მას. მხოლოდ რჩეულები გრძნობენ უფლის მინიშნებას...

მამა

ცოლის სიკვდილმა მარტოობას შეაჩვია.

დაქვრივებული ქალიშვილი სოფლის ბოლოში ცხოვრობდა, კვირაში ერთხელ შეუვლიდა ხოლმე, სახლს დაულაგებდა, ჯამ-ჭურჭელს დაურეცხავდა, რამდენიმე დღის სამყოფ კერძს მოუმზადებდა და წავიდოდა..

საღამოობით ჩვეულებრივ მეუღლის გადიდებულ სურათთან იჯდა და უსიტყვოდ შესცქეროდა.

მარტოობაში ძველი ხელობა გაიხსენა: ატმის, ტყემლის და ვაშლის ნერგები გამოჰყავდა. გაზაფხულის პირზე ეზო ნაირფერად ჰყვაოდა..

ძაღლს ჯეკა ერქვა, კატას – უბრალოდ კატა, ძროხას – პეპელა, ხბოს – ქოჩია. დანაღვლიანებული პატრონის გუმანი ესმოდათ..

მხოლოდ ერთხელ იყო, ბაგაში შესულს პეპელამ რქა რომ გაჰკრა და კედელს მიანარცხა.

ჭრილობა მალე მოუშუშდა, თუმცა ამის შემდეგ ჯანმრთელობას უჩიოდა. ქალაქში ძვლის სიმსივნე დაუდგინეს..

ერთხანს უმცროს ვაჟთან – ნიკასთან იყო, მაგრამ ქალაქურ ყოფას უჩვევმა სოფლისკენ იბრუნა პირი..

მარტის ბოლოს ნიკას დამ შეატყობინა, მამა ცუდადაა და ჩამოდიო.

სოფელში ჩასულს მამა სახლში არ დაუხვდა, დას თავისთან წაეყვანა.

წვერგაუპარსავი სანდრო ტახტზე გაუხდელად იწვა.

– ვემზადები, შვილო... მიწა თავისას ითხოვს, ცა – თავისას... წვერს თუ გამპარსავ, კარგი იქნება...

სანდრო მშვიდად გამოიყურებოდა.

– სიკვდილის გეშინია, მამა? – უნებურად წამოცდა...

– აგი ისეა, კაცს რომ წყალი მოსწყურდება, დალევს და წყურვილიც გაუქრება... სხეულს სიკვდილი მოსწყურდა და თუ ეს წყურვილი არ მოიკლა, მანამდე ვერ მოისვენებს... სიკვდილი ღმერთთან მისასვლელი ბოლო გზაა, შვილო...

მამის თხოვნით ნიკამ სიგარეტს მოუკიდა და ტუჩებსშუა მოუქცია.

– მაგრამ... მშობლები შვილების ქარსაცავი ზოლია... – განაგრძო მამამ. – როცა დედ-მამა მოგვიკვდა, სიკვდილის პირისპირ მე და დედაშენი დავრჩით...

მის მკვლავებში დალია სული..

ნიკამ თვალები დაუხუჭა და ფანჯრები გამოაღო.

ხეთა ტოტებში ჩამავალი მზე გაჩხერილიყო... მკვდრის მზე!..

ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს იდუმალ ომში ჩაება და დაცემული წინამძღოლის მაგივრობა იკისრა...

გაჩერებასთან

კვირაში ერთხელ მაინც შემოგვივლიდა, ნაშრომის ბედს მოიკითხავდა და ისევ მიდიოდა. რედაქციის თანამშრომლებს იმდენად გაგვიშინაურდა, ხშირად ჩვენთან ერთად ფინჯან ყავასაც მიირთმევდა.

ამაში გასაკვირი რა უნდა ყოფილიყო? – ისიც ჩვეულებრივი სულიერი არსება იყო, როგორც ყველა ჩვენთაგანი. საქმე ისაა, რომ თანამდებობრივი რანგით ქალაქის მეორე პირის ცოლს ამგვარი სისადავე თითქოს არ უნდა ჰქონოდა, არადა ეტყობოდა, უბრალო ადამიანებთან ურთიერთობა იზიდავდა...

მალე ნაშრომი წიგნად დაიბეჭდა. რამდენიმე ბოთლი „შამპანური“ მოგვართვა და სასიგნალო ეგზემპლარები დაგვალოცვინა.

მერეც და მერეც ხშირად ვიხსენებდით.

ერთხელ სამარშრუტო ავტობუსის გაჩერებასთან გადავეყარე. რამდენიმე მგზავრთან ერთად იდგა და რომელიღაც ავტობუსს ელოდებოდა.

ახლოს მივედი და გამოვეცნაურე: – გამარჯობა, ქალბატონო ელეონორა!

სახეში ისე შემომაცქერდა, თითქოს დანაშაულზე წაასწრეს.

– გამარჯობა, გენაცვალე!... კინაღამ ვერ გიცანით. ბოდიში, რომ ამნაირ მდგომარეობაში მნახეთ... ეს რა მიყო ამ კაცმა? დავურეკე, მანქანა გამომიგზავნე-მეთქი და უარი მტკიცა, სტუმრები მყავსო... ვაიმე, ეს რა დამემართა. კიდევ ერთხელ გიხდით ბოდიშს! წარმოგიდგენიათ, ახლა ამ ხალხთან ერთად უნდა ვიმგზავრო და მათი ოფლის სუნით გავიჟღინთო... ღმერთო, შენ დამიფარე!

ამასობაში სამარშრუტო ავტობუსიც გამოჩნდა, ტუჩაბზუებული ქალი სალონში შევარდა და მანქანასთან ერთად გაუჩინარდა.

ესეც შენი მოწონებული ქალი, გავიფიქრე.

კეთილშობილის ნიღაბს იფარებდა თურმე, ახლა კი უნიღბოდ ვნახე...

ნეტავი არ მენახა!

იანუსი

დილაუთენია უკვე ოზურგეთში ვართ. სწორედ იქ, საიდანაც ავტობუსები და მსუბუქი ავტომობილები კურორტ გომის მთისკენ გადიან.

ზედვე ეტყობა, აგვისტოს ის დღე ძალიან ცხელი იქნება.

ჩვენ ორნი ვართ – მე და ჩემი სიმამრი – სოსო. არჩევანი არ გვაქვს: რომელი მანქანაც პირველი გავა, იმას გავყვებით.

ახალგაზრდა კაცი მოდის და გრძელცხვირიან ავტობუსში გვეპატიჟება. ფასზეც ვრიგდებით: კაცის თავზე ათი მანეთი.

ნახევრადშევსებულ ავტობუსში ადგილებს ვიჭერთ და სხვა მგზავრებს ველოდებით.

– სანამ ყველა ადგილი არ შეივსება, არ დავიძრებით! – აცხადებს მძღოლი.

გადის რამდენიმე წუთი.

– არ მივდივართ, კაცო?!.. – ღელავს წინმჯდომი ლოყებღაჟღაჟა, მსუქანი ტიპი და დაცვარულ სახეს ცხვირსახოცით იმშრალებს.

– შენი ათი მანეთი ეყოფა ჩემს ცოლ-შვილს?.. შეივსება ავტობუსი და წავალთ! – როყიოდ ამბობს მძღოლი და სიგარეტს უკიდებს.

ლოყებღაჟღაჟა სკამზე ვერ ისვენებს, მერე კუბოკრულ ცხვირსახოცს თავზე იფენს და ყუჩდება. როგორც ჩანს, თვლემს...

ორი მგზავრი გვემატება.

– კიდევ ორი და ჰერი გომის მთისკენ! – ზეიმობს მძღოლი.

ხმაურზე ლოყებღაჟღაჟას ეღვიძება და გაოცებული კითხულობს: – კიდევ აქ ვართ, კაცო? ეს რა ღვთისწყრომაა? წავალთ თუ არა, ბოლოსდაბოლოს?! – მძღოლისკენ იგრძელებს კისერს.

– მაშინ წავალთ, როცა დრო მოვა!

– მერე როდის მოვა ეს დრო? ამ წელიწადში თუ დადგება მაინც?

– თუ არ მოგწონს, მიბრძანდით და ტაქსს გაყევით... ბიჭოს, არ შემჭამა კაცი?

– გავყვები, კიდევაც! – ლოყებღაჟღაჟა ფართხაფურთხით ჩადის. – მე არ ვიყო იანუსა, თქვენზე ადრე თუ არ ავიდე იქ! – ხელს უმისამართოდ იშვერს...

– ცხრა მთას იქით წასულხარ! – გზას ულოცავს მძღოლი.

იანუსი?!

რა უცნაური სახელი რქმევია ამ კაცს, თუმცა გურიაში რანაირ სახელს არ გაიგონებ!

ორიოდ წუთში იანუსი უკან ბრუნდება.

– აბა ორი მგზავრი და „ვილისი“ გადის!

მე და სოსო ვდგებით და ლოყებღაჟღაჟას მივყვებით.

– ახლა იმ დანჯღრეულ ავტობუსს ეს „ვილისი“ არ სჯობს? ახალიცაა და სწრაფიც! – „ვილისს“ აქებს იანუსი. – რას იტყვით თქვენ?

– რა უნდა ვთქვათ? – იცინის სოსო, – წავა და ვნახავთ...

– ცოტა ვიწროდ კი ვართ, მარა რაფერ გინდა აბა, ვინც არ გეიჭირვა, ხეირიც ვერ ნახა... – იანუსი ლაპარაკის იშტაღზეა. – ჰეი, წავედით, შოფერ! შენაც არ დეიწყო ახლა იმასავით..

ათ მეტრს გაივლის და „ვილისი“ ჩერდება.

– რაღაც ემართება ამ ოხერს! – მძღოლი მანქანიდან ჩამოდის და კაპოტს აღებს. ერთხანს შეფიქრიანებული დგას. – ეტყობა, ვეღარ წავალთ! – ამბობს ბოლოს.

– შენც შეგარცხვინე და შენი დაფეხვილი მანქანაც! – მარჯვენა ხელს მუშტავს იანუსი, მარცხენათი ისევ ოფლიან სახეს იმშრალებს.

ავტობუში ვბრუნდებით. ამჯერად უკანა ადგილები გვერგო.მძღოლი მანქანას ადგილიდან ძრავს და სარკიდან იანუსის სახეს აკვირდება.

– აგაშენა ღმერთმა, კაცი ვარო, შენ უნდა თქვა! – ვითომც აქ არაფერი მომხდარაო, მძღოლს უსირცხვილოდ აქებს იანუსი... მერე მე და სოსოს გვმოძღვრავს: – იმ დანჯღრეულ „ვილისს“ აგი ახალი ავტობუსი არ სჯობს? თავისუფლად ჯდები, მხარსაც გაშლი და რიხინით ახვალ კურორტზე. რას იტყვით თქვენ?

– ჩვენ არაფერს! – ჩემს მაგივრადაც პასუხობს სოსო.

– აბა, იცოდეთ, სადაც ჩვენ ვართ, იქ არის კარგი და არა იქ, სადაც ჩვენ არ ვართ. „ვილისში“ ვიყავით და „ვილისი“ იყო კარგი, ავტობუსში ვართ და ავტობუსია კარგი, ვირზე გადაგვსვამენ და ვირი იქნება კარგი, ასეა, ჩემო კეთილებო აი საქმე... – გომის მთაზე ასვლამდე ენა არ გაუჩერებია, ცარიელი ყურები ნახა და რა ენაღვლებოდა!..

იანუსი!

პირველად ვნახე კაცი, თავის სახელს ასე პირწმინდად რომ ამართლებდა: იგი მართლაც ორსახოვანი იყო, იქნებ სამსახოვანი და უფრო მეტსახოვანიც...

რამდენჯერაც...

ექვსთვიანი ლოდინის, გაკითხვა-გამოკითხვის შემდეგ გამომცემლობის რედაქტორად მიმიღეს. ამხელა გამომცემლობაში კახა აღმოჩნდა ერთადერთი, ვინც რედაქტორის ფუნქციებში გამარკვია, რის გამოც ძალიან ვემადლიერებოდი. მერე იმდენად დავახლოვდით, შესვენებისას ხშირად ერთად ვსადილობდით.

ნამდვილი დილეტანტი იყო – ყოვლისმცოდნე და ყოვლისმხილველი, თუმცა ყველაფერს ჰარიჰარად ეკიდებოდა – საქმესაც, ნაცნობებსაც და უცნობებსაც.

ახლგაცნობილებზე დიდებულ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ერთხელ აიჩემა, გარდაცვლილი მეგობრის მამამ დამპატიჟა ღვინის სარდაფში. შვილის დაბადების დღეა და უნდა მოხვიდეო.

მეც გავყევი.

დათიკომ, ციცქნა ბარის მეპატრონემ, ღვინის სარდაფში ჩაგვიყვანა და ხანშიშესულ ქალს სუფრა გააწყობინა.

– შენ რომ გხედავ, ჩემი ვაჟა ცოცხალი მგონია! – დათიკომ კახას ხელი მოხვია.

– უსამართლოდაა მოწყობილი ეს ქვეყანა, დათიკო ბიძია! – კახას დამწუხრებული სახე ჰქონდა. მერე ჭიქები შეავსო და ვაჟას შესანდობარი თქვა, გარდაცვლილი მეგობარი ლამაზი სიტყვებით შეამკო, არც დათიკო დაივიწყა და მას მეორე მამა უწოდა.

– თქვენი დანახვა ყოველვის გამახარებს, კიდევ შემოიარეთ! – დათიკოს გული აუჩუყდა.

ერთი საათის შემდეგ გულდამძიმებულები დავემშვიდობეთ შვილმკვდარ მამას და გამომცემლობაში მისვლამდე ხმა არ გაგვიღია. როცა სამუშაო კაბინეტში შევედით, კახამ დიპლომატი გახსნა და იქედან ორი ბოთლი „მანავის მწვანე“ ამოაძვრინა.

– ეს ერთი შენ, მეორე – მე... ყვავს რომ კაკალი დააგდებინო, ესეც საქმეა! – ხელები კმაყოფილებით მოიფშვნიტა.

– ყვავი ვინ არის? – ვკითხე.

– ვინ და ის ბერიკაცი! ესენი მისი სარდაფიდან ავწაპნე. მაინც ვერაფერს მიხვდება, ჩვენ კი ყელს ჩავიკოკლოზინებთ....

– კაცი ზედ გადაგვყვა და რა გამოდის ახლა? – განაწყენებული გავშორდი...

მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა: ახლა არც დათიკოა ცოცხალი და არც კახა, მაგრამ რამდენჯერაც იმ ღვინის სარდაფთან ჩავივლი, იმდენჯერ ეს ამბავი გამახსენდება და სირცხვილის გრძნობა მაწუხებს. ასე მგონია, ბარის კარს გულდაწყვეტილი დათიკო გამოაღებს და შემოგვძახებს: – თქვე ოჯახაშენებულებო, ღვინო თუ გინდოდათ, ჩემი შვილის ხსოვნის ხათრით ორი ბოთლის ნაცვლად ათს გაჩუქებდით, მარა არ ხართ თქვენ წესიერი ხალხი, არა!...

ველოსიპედიანი კაცი

ის დროა, ინსტიტუტში ვსწავლობ, სოფელს მაინც ვერ ველევი. როგორც კი შემთხვევა მეძლევა, დავკრავ ფეხს და ყოველ შაბათ-კვირას სახლში, მშობლებთან ვატარებ: მამაჩემს სიმინდის მარგვლაში ვეხმარები, ხანაც მოსავლის დაბინავებაში. ორშაბათობით ისევ ქალაქს მივაშურებ.

ახლაც, როცა ბინდი ნათელს ჯერ კიდევ არ გაჰყრია, მომცრო ზურგჩანთით სოფლის ცენტრში ვდგავარ. ნოემბრის მიწურულია და გვარიანად ცივა. ათიოდ წუთში „წრიულმა“ უნდა ჩამოიაროს – რატომღაც ასე ეძახიან სოფელში სამარშრუტო ავტობუსს. იგი რკინიგზის სადგურში ჩამიყვანს და რვას რომ თხუთმეტი წუთი დააკლდება, პირველ ლიანდაგზე ჩამომდგარ მატარებელში ამოვყოფ თავს..

ავტობუსი იგვიანებს...

„ნეტავ მატარებელმაც დაიგვიანოს!“ – წყალწაღებულივით ხავსს ვეჭიდები.

ავტობუსის იმედი უკვე აღარ მაქვს.

„ჯანდაბას, ღამის მატარებელს გავყვები. დღეს თუ ლექციაზე ვერ მივალ, ქვეყანა არ დაიქცევა!“

ხანდახან ცხოვრებაც ზღაპარივითაა: უკაცრიელ შარაგზაზე ველოსიპედიანი კაცი ჩნდება. ახლოს მოდის და ვცნობ: რეზოა ლომაძე, არც მთლად ახლო მეზობელი, რაიონის ელსადგურის ელექტრიკოსი...

რაღაცას მეკითხება, მეც ვპასუხობ...

– მოდი ასე ვქნათ, მატარებლის გასვლამდე კიდევ არის დრო. თუ სწრაფად ივლი, დარწმუნებული ვარ, მიუსწრებ... ველოსიპედი ბაქნის კიბეებთან დატოვე, არავინ მოიპარავს. რომელი მზეთუნახავი ეგა მყავს! – იცინს. – მერე თავად მივაკითხავ და წავიყვან...

ყოყმანზე ველოსიპედს ძალად მაჩეჩებს.

– აბა მიდი, დროს ნუ კარგავ! – თვალები უციმციმებს.

მატარებელს მართლაც ვუსწრებ. სარკმლიდან ველოსიპედს ვავლებ თვალს, სადგურის კიბეებთან გალახული ბავშვივით რომ ატუზულა...

მას შემდეგ დამჩემდა: ველოსიპედიან კაცს დავინახავ თუ არა, სხეულში სასიამოვნო ჟრუანტელი დამივლის ხოლმე: ასე მგონია, კვლავაც ვიღაცის დასახმარებლად მიდის... არადა, ხომ შეიძლება ეგ კაცი სულაც არ იყოს კეთილი...

შეიძლება, მაგრამ ამის წარმოდგენა ყოველთვის მიჭირს.

გენრიეტა ქუთათელაძე

ციკლიდან — რეკვიემი დეკნილთათვის

* * *

ისე ვიქცევი, როგორც ადამიანს შეჰფერის
და ამაში გასაკვირი არაფერია;
თუმც მაინც უკვირთ:
რატომ ვარ სევდიანი,
რატომ მისველებს წამწამებს ცრემლი,
რატომ ვპატიობ ცოდვილს,
რომელსაც ზურგი აქციეს გარეშეებმა და შინაურებმაც,
როგორ ვუძლებ სასტიკ რეალობას
და ფარ-ხმალს არ ვყრი,
რატომ ვუფრთხი მეზობელ ქვეყანას
(მან შეიძლება მთელი ცხოვრება შეცვალოს,
დაარღვიოს საზღვრები და თავისუფლება მოგვანატროს);
რატომ არ მომწონს აჟიტირებულ ქალაქში ცხოვრება,
(ვაიმე, ეს ხომ განტენბაინების ქალაქია),
სადაც შეხმატკბილებულან სიძულვილი და ზიზღი,
ბოროტება და ვერაგობა,
ღალატი და ფარისევლობა,
ანგარება და მომხვეჭველობა...
მართლა აბსურდის ბილიკზე დავაბიჯებ,
ვსვამ საწამლავს, ჩვენში წამალს რომ ეძახიან
და ყველაზე მაღალ ფასში ყიდიან...
ვეძებ სამართალს, მაგრამ ამაოდ,
იდეალები დამეფშვნა თავზე,
ო, ეს ჩვენებური დემოკრატიაც
კროსვორდებს მთავაზობს...
მაინც არ ვპუობ,
ვლამობ ამოხსნას, მაგრამ ამაოდ,
ვინ მაცლის...
ხმიანებს ზუმერი: შეტყობინებები,
შეტყობინებები...

ო, ამ დაგროვების ბარათებმა სული შემიწუხა;
არა, არ ვიყიდი არაფერს,
არ მინდა არაფერი,
დამანებეთ თავი,
ნუ მიგზავნით შეტყობინებებს,
მაინც არ წავალ ბანკში,
არ ავიღებ კრედიტს,
არც პაუ ბარათს გავააქტიურებ,
არც ბაზრობაზე წავალ,
არა, დღეს არ ვიყიდი არაფერს...
დღეს მე გელათს ვეწვევი,
ჩემს საქართველოს აღმოვაჩენ –
დიადს, დავითის დროიდან მომზირალს...
მერე ისევ რეალობას დავუბრუნდები,
ტაძრის შესასვლელთან ხელგაწვდილ მოხუცს მივეახლები
და ჩემს დანაზოგს ვუწილადებ,
გავამხნევებ და მადლობას ვეტყვი გაძლებისათვის;
დიახ, მოვიქცევი ისე, როგორც ადამიანს შეჰფერის
და ამაში განსაკუთრებული არაფერია.

* * *

ამ შემოდგომის ფოთოლცვენისას
დღეებს ვიგონებ ვარდ-ყვავილიანს,
ჩემს ხსოვნაში რომ ამომზევდნენ
და ამოენთნენ ვით ვარსკვლავები
აგვისტოს ცაზე...
როს ერთი ღამე იტევს ხშირად ათი ათასებს,
ცა რომ იხსნება და მიწაზე სხივი ეშვება –
გზავნილი ჩვენი გონებისათვის...
ისმის მუსიკა, ვიღაც ჯადოქრობს ვიოლინოზე,
ცხადია, ვიღაც ღვთითკურთხეული...
და ჩემი სახლი,
ჩემი პატარა, ფიცრული სახლი,
ნავსაყუდელი და სავანე ჩემი ფიქრების,
ვარსკვლავეთში რომ გაიმცინარა,
სამყაროს იტევს...
მე დრო დავწანი გვირგვინებად,
ჩავაწყვე სურვილების კალათაში და გამოვფინე ვითარცა დროშა,
მოგონებები ვუწილადე გაბზარულ გულებს...
ცა ალაჟვარდდა, ცა აელვარდა,
გამოანათა მზემ ცხრაივე თვალით
და აჭიკჭიკდა ჩემს აივანზე უცხო ფრთოსანი.

პაატა აბაშიძე

ქვები

ქვები ავაგორე, ქვები დავაგორე და სახლი ავაშენე.
ქვები დავთალე, ქვები მოვრწყე და სახლი ავაშენე.
მივედი, ქვას დავუკაკუნე კარზე და ჭიანჭველებმა გამომხედეს.
ჩემი სუნი ეცათ და გამომხედეს, ქვითხუროს სუნი ეცათ და გამომხედეს, ცაზე ელვამ გაიგრაგნა და გამომხედეს, რა გინდაო და თავდახრილებმა გამომხედეს. გამომხედეს და გამომხედეს.
ქვა მოვთხოვე.
სახლს ვაშენებ-მეთქი და მოვთხოვე.
დაიხოცეთ-მეთქი, მოვთხოვე.
აკვანში პატარა ჭიანჭველა გვიწევსო – მომიგეს.
შენზე უარის თქმა გვიწევსო – მომიგეს.
მე დავმარცხდი, მათ – მომიგეს.
მივდექი-მოვდექი, ვიშვიში დავიწყე, ხელები გავასავსავე, ქვა შევანჯღრიე,
ქვა წამოვიღე, ცოდვაც შევანჯღრიე და ცოდვაც წამოვიღე.
ქვა მოვიტანე და სახლი ავაშენე, შვილებს ავუშენე.
წვიმა დაიწყო და სახლი ავაშენე,
ბავშვები შევიყვანე სახლში და სახლი ავაშენე.
სახლი დავანგრიე და სახლი ავაშენე,
ცოდვა მოვიკიდე და სახლი ავაშენე.

მამაჩემი

ერთ დღესაც ავდექი და მამაჩემი გავხდი.
მივდექი, მოვდექი და მამაჩემი გავხდი. მამა მომენატრა და მამაჩემი გავხდი.
გავიხადე ბავშვობა, ჩავიცვი მამაჩემის სული და მამაჩემი გავხდი.
სახლის კარები შევაღე, მზე ზურგს მითბობდა და ჩრდილმა შემასწრო ოთახში. ჰოდა, ადგნენ ჩემი მამამონატრებული შვილები და ჩრდილს დააცქერდნენ, იცოდნენ, რომ ჩრდილის ბოლოს მიწებებული მე ვიქნებოდი და ჩრდილს შევყვებოდი ოთახში. ადგნენ და შემოეხვივნენ ჩრდილს.
მეც შევყევი.
მომეხვივნენ ჩრდილზე. ჩრდილიც ჩემია. ალერგიულ მიწას კენჭები გამოაყარა, სადაც ჩემი ჩრდილი მოხვდა. ოთახში ვეძებე ჩემი ჩრდილის მოსასვენებელი ადგილი და მოვისვენე. წყალი დამალევინეს, თვალსაც დავალევინე წყალი.

ავდექი და მამაჩემი გავხდი. სხვა რა გზა მქონდა და, გავხდი.

ასეთ დროს რას არ გაიღებენ შვილები, როცა მამა მიდის სახლში. რას არ გაიღებენ ქმარმკვდარი ცოლები. ჰოდა მამაჩემი გავხდი.

მამაჩემი გავხდი და გავიხადე რეზინის ჩექმები. თოვლის ნესტისა და ოფლის ოხშივარი მოდიოდა ჩექმებიდან. ჰოდა მონატრებოდათ ეს სახლში ჩემებს. ჩრდილს ვანიშნე და ბავშვები კალთაში ჩაისვა, მოეფერა, მითხრა არ აითვალცრემლოო. ჰოდა, არ ავთვალცრემლებულვარ.

ავდექი და წამოვედი.

დავტოვე ჩრდილი.

მას აქეთ მამაჩემი გავხდი...

რა მოკლავს კაცს!

გიშვებ

თავი დაუხრიათ ნისლებს,
ახლა უშენობა მავსებს.
განა უარს ვამბობ?! – გიშვებ,
ოღონდ, ნუ დამტოვებ ასეთს.
ასეთს – უშენოს და მშიერს,
ასეთს – უამინდოს ნისლში.
მერე რა ვუშველო ფიქრებს,
თორემ წასვლას კი არ გიშლი!
არის ყველაფერი ისე,
სიზმრების მოყოლაც წყალთან.
მიტოვება არის რთული,
თორემ ადვილია წასვლა.
ვატყობ ჩემს თავს კვდომის ნიშნებს,
ახლა უშენობა მმართებს.
განა უარს ვამბობ?! – გიშვებ,
ოღონდ, ნუ დამმარხავ ასეთს.

* * *

დილა მოიცვამს უშენობას შიშველ სხეულზე,
მე ჩაგილაგებ ჩემოდანს, რომ რამე არ დაგრჩეს.
შენ კი არადა, ჩემს თავს თვითონ მე ვეღარ ვუძლებ,
შენ კი არადა, ირონიას მაყრის გამჩენი.
– და მარტო ვრჩები.

ერთი ქარობა დარჩენილა ბაბუაწვერა
და ქარის ნაცვლად ჩაურბენ, ან წვერებს გააცვენ.

მე კი მომიწევს მარტოობა, ანუ ამ წელსაც
აღარ დავაცლი საკუთარ თავს,
ანუ დავაცლი –
ვაზნას დავაცლი.

დავრჩი ღმერთივით,
ანუ მარტო, ვით ნატაძრალზე,
შენ კი დენთის და დამბაჩის ხმა წამოგეწევა.
– ვეღარც ვეწევი.

ბავშვობა

ჩვენ ვიარეთ და მოვიტოვეთ მოსატოვები,
ვნახეთ შავ-თეთრი ბავშვობა და გრამაფონები
გვიმღერიდნენ,
თან მარტივად მიგვეტევება,
თუ დღეს რამ დაგვრჩა იმ დროების მოსაგონარი.
ვშლიდით ფოტოებს,
კედელზე – ცარცს,
წვიმაში – ქოლგებს
და ვთამაშობდით ტალახბურთს თუ ტალახობანას.
მიმოვდიოდით ოცნებებში (რაც ბლომად გვქონდა),
ოკეანეში
დავცურავდით გასართობად და
დროის მოკვლისთვის, ან სურვილის, ან იმ ბავშვობის,
რომელიც ასე მოსაგონრად კარგია არც თუ.
ვერასდიდებით ვერ ვეტყოდით ვერც ერთი მშობლებს,
რომ ეფეშქაშათ ხურდები და ვაბამდით მავთულს
ტელევიზორზე,
რადგან ასე უფრო „იჭერდა“.
მაშინ ქუხილი ამ ტრამალზე ისმოდა უფრო,
ახლა ხომ ხედავ ის დროები ყელში გვიჭერს და
ცხოვრება ასე მდორედ მიდის და აღარ ხუმრობს.
ჩვენ მეგობარო, მოვიტოვეთ მოსატოვები –
ეზო, სოფელი, შარა გზა და შარის სიშორე.
მიმოიფანტნენ, არსად ჩანან ჩვენი ტოლები
და ლუკმა-პურიც ტუსაღივით ვეღარ ვიშოვეთ.
დავიზარდეთ და
დავლოთდით და
დავშორიშორდით,

აღარც ის ხიდი შერჩენია სოფლის მდინარეს,
სადაც პაპიროსს ვაბოლებდით, სადაც გაგვშოლტეს
მოწევისათვის და ეს დაგვრჩა მოსაგონარი.
ახლა ბახჩაც არ დაუღობავს დავით ბაბუას,
ერთხელ ჭყინტისთვის მის ბახჩაში რომ შევიპარეთ.
შვილები ომში, სხვის მიწაზე დაუკარგია
და თვითონ კაცი შარშან იყო, რომ მივაბარეთ.

*

რა აღარ ვზიდეთ, რა დარდი და რამდენი ფიჩხი,
რომ გაგვეჩაღა ტყის მახლობლად დიდი კოცონი.
ახლა იქედან ნაცარი და ფიქრები დამრჩა,
ახლა ეს ლექსიც აგერ გდია, იმ დროს რომ ჰკოცნის.
ჩვენ ვიარეთ და მოვიტოვეთ მოსატოვები,
ვნახეთ შავ-თეთრი ბავშვობა და გრამაფონები
გვიმღეროდნენ
და მარტივად მიგვეტევება,
თუ დღეს რამ დაგვრჩა იმ დროების მოსაგონარი.

ᲘᲦᲘᲛᲘ

დალაგებულან მთაზე ნისლები,
რას შევეხიზნო, ვის შევეთავსო.
არტერიები გადავიხსენი
და შენ იღიმი – რაღაც წვეთავსო.
ნასექტემბრალი ქარი ქრის ახლა,
ახლა ფიქრებიც ნისლივით ლამბავს.
მე ვთქვი, რომ შენში შემომასახლე
და შენ – არაო, ადგილი არ მაქვს.
გამიმარტივდა ლექსიც და რითმაც,
ღმერთიც მაოცებს – არ მეკარება.
გელოდი როგორ, გელოდი დიდხანს,
შენ რა განაღვლებს, რა გენაღვლება.
ნატყვიარივით სულზე მატყვია,
შენი ყოველი სიტყვა, ნათქვამი
და ყველა მოსვლას ვიცი, მატყუებ,
მაგრამ ღმერთმა ქნას ერთხელ მართალიც.
შემოდგომდა და სულიც მიბაძავს
ამ ფოთოლცვენას, მეც დავმთავრდები.
შენ შორს გახედავ სულ სხვა ვიღაცას

და მე დავრჩები დანათოვები.
დალაგებულან მთაზე ნისლები,
რას შევეხიზნო, ვის შევეთავსო.
არტერიები გადავიხსენი
და შენ ილიმი – რაღაც წვეთავსო.

* * *

ერთ დღესაც ავდგები და ღიმილს ვისესხებ,
თორემ ჩემს ღიმილებს ყავლი ხომ გაუდის.
შეგხვდება ქუჩაში ჩემსავით ვინმე სხვა,
ვინმე სხვა, ისიც რომ ჩემსავით გაცუდდეს.
ჩაივლით შენ და სხვა კორპუსის კედელთან,
იქ, სადაც, „მე“ და „შენ“ წერია პლიუსით.
შენ, გახარებული კედელს არც შეხედავ,
მე – დამარცხებული ჩავუვლი კორპუსებს.
ბერწ ამინდს გაუდის ვადა და ვერ გეძებ,
ჯანდაბას! წვიმა არ მოდის და არც ვუცდი.
„მე“ და „შენ“ (პლიუსით) წერია კედელზე,
პლიუსი, რომელიც არაფერს არ უდრის.

ეს თვეც

ეს თვეც – ბუმბერაზი, გოლიათი,
ირგვლივ სევდიანი ემბაზები.
მე კი ურჯულო და უნიათო,
დასაავადებლად ვემზადები.
ეს თვე – არტერია მარტოობის,
ახლა მოათოვლებს არე-მარეს.
ახლა სიმარტოვე აღარ მყოფნის,
ახლა სიმარტოვე მასამარებს.
გარეთ მოწამლული ჰაერია,
გარეთ ჟანგბადია უჰაერო.
ბაცილები ისე მრავლდებიან,
ვშიშობ, რომ ვაი თუ ვერ დავბერდე.
ეს თვეც – ბუმბერაზი, გოლიათი,
ირგვლივ სევდიანი ემბაზები.
მე კი ურჯულო და უნიათო,
დასაავადებლად ვემზადები.

სიზმრის კაცი

სიზმრის კაცმა ჩამოიარა ამ დილით. ჩამოიარა და ცარიელი ხურჯინი სოფლის ბოლოში ჩასვლამდე შეავსო. ჩამოიარა და რამდენნაირი სიზმარი არ წაიღო.

მოიგდო მხარზე და წაიღო.

ააცალა დასრულებულ-დაუსრულებელი სიზმრები ხალხს და წაიღო.

რა გარეწარია სიზმრის კაცი! – სიზმრის წყლისთვის მოყოლა და გატანებაც არ აცალა ხალხს. რა გარეწარია, რა!

წყალს უფრო მეტად ნდობდა ხალხი, ვიდრე ამ გარეწარს.

ეს დრო იყო შარშანაც, როცა ჩამოუარა მალაქიას, წამოაგდო შუა ძილში კაცი, ააცალა სიზმარი და წამოიგდო მხარზე.

– მოიცა, შე ჩათლახოო, შე გარეწაროო – უკან მისდევდა მალაქია, მაგრამ ვინ გაუგონა. მოიცა დავასრულო სიზმარიო, კბილი ამოვიღე და არ მინდა ასე დავასრულოო. ვინ გაუგონა ქვრივ-ოხერ მალაქიას.

ადგა დილით და მის ბედად წყალიც აღარ მოდიოდა ეზოში, რომ მოეყოლა მისთვის.

ჰოდა ამ გარეწარი სიზმრის კაცის ბრალია, მალაქიამ შვილი რომ დაკრძალა შარშან. ისეთ ნოყიერ და ფხვიერ მიწაში დაასაფლავეს, რომ სულ ახალ-ახალ საფლავებს ისხამს. მსუყე და ჯანმრთელ საფლავებს.

...

გამოუდგებიან სოფლის დედაბრები და მისდევენ ხელკეტებით სიზმრის კაცს, მაგრამ ვის ესმის მათი.

მარყუჟი

ახლა თოკს ვეძებ.

თოკი აგერ, ახლოს ყოფილა.

თოკის ბოლოში მარყუჟია. მარყუჟს მთელი ღამე ორმოცდაათი წლის კაცი ეკიდა, შემოდგომის ფოთოლივით მჩატე, დაღლილი და ჭაღარათმიანი კაცი...

არ ვიცი, რას ნატრობდა მამაჩემი...

ცოტა ხანში ეზო აივსება შავოსანი ხალხით. დედაჩემი გიჟს დაემსგავსება. მე შემიყვანებენ ამ ჟანგიანი ეტლით და მამის შუბლზე მაკოცნინებენ.

ნერვებს მიშლის ეტლი – მე ისევ მე ვარ და ეს კი დამიპატარავდა.

ეზოში, სახლის შესასვლელთან ყულაბა დგას. ხალხი იქ ფულს ყრის შესვლისას. ალბათ, ამ დღეს ნატრობდა მამაჩემი...

ერთ თვეში ოცი წლის ვხდები და ოპერაცია უნდა გამიკეთონ ქალაქში. მერე ეტლსაც დავწვავ, ალბათ...

მამაჩემმა იცოდა, რომ მისი სიკვდილის გარეშე ვერ შევძლებდი ეტლიდან ადგომას...

ყულაბა გაივსო...



ანა დუნდუა

შორეული ნათება

„სხვებთან ერთად მეც ვახარე მწვანე ნერგი,
ჩამეთვალოს ეს ნერგები გადარგულად,
საქართველოს ერთიანს და მძლავრ მდინარეს,
რაჭაც ერთვის ერთ-ერთ წმინდა ნაკადულად“.

რეზო ლეგანიძე

გაზაფხულის თბილი, მზიანი ამინდი იდგა. ცაზე ღრუბლები არ მოჩანდა. მერცხლები ჰაერში დაჰქროდნენ. ბელურებს ხეებში ერთი ჟრიამული აეტეხათ. ირგვლივ ჩუმი სიო დანავარდობდა. მოსარკული ცა ზემოდან გადმოჰყურებდა. ჰაერში აპრილის თბილი სურნელი ტრიალებდა. აქოჩრილი ხეების ქვეშ დიდი ჩრდილი გაწოლილიყო. ხის ფოთლებში მზე იჭყიტებოდა, ხოლო ხის ტოტებიდან და ფოთლებიდან ჩამოწოლილი მზის შუქი მიდამოს ეფინა. ალვის ხის ფოთლებიდან შემოპარული გრილი ნიავი ბუჩქებს ელამუნებოდა. მზის თბილი სხივი ზღვაზე ლივლივებდა. ირგვლივ მშვენიერება მეფობდა. ველი ყვავილებით იყო გადაპენტილი. ბუნებასთან ტკბობის წამი დამდგარიყო. შორიდან ჭრიჭინების გაბმული ჭრიჭინი ისმოდა.

ზურაბ მეტრეველი დაფიქრებული იდგა აივანზე. ბათუმში უკვე გაზაფხულია და გლოლას მთაზე, ეგებ, თოვლიც კი დევსო – გაიფიქრა. ჩემი რაჭა... რარიგ საყვარელია მშობლიური კუთხე, როგორ მენატრება სოფლის გზაწვრილები. ისე, მეტრეველების ბუდე უწერაა, როგორც ღები – ლობჟანიძეების, ჭიორა – რეხვიაშვილების, ნიკორწმინდა – კობაიძეების. რატომ დაიცალა რაჭა? ყველა რატომ გარბის იქედან? სამუშაო რომ არაა იმიტომ?! ახლა, ალბათ, რიონი მიაგორებს მღვრიე ტალღებს და ქვედრულაც კისრისტეხით უერთდება მას.

რიონზე ხიდი აყარეს რაჭველებმა, ქორს წიწილა არ წაეღოო – ხუმრობენ გურიაში რაჭველებზე.

რაჭის მოგონებამ ზურაბს გული დაუმძიმა. ოთახში შევიდა, კედელზე გაკრულ სურათს შეხედა. თითქოს პირველად ხედავსო, დააკვირდა. ფერის სინატიფით გამორჩეული ფიროსმანი... მსგავსი ფერი ვერც ერთმა მხატვარმა ვერ შექმნა. ღრმად დაფიქრებული მიუჯდა მაგიდას. მე, რაჭის წმინდა მიწაზე გაზრდილს, საკმაოდ ცნობილ მწერალს, ცხოვრებაში ის შეცდომა არ უნდა დამეშვა... სულ ახალგაზრდა ვიყავი ლექსად რომ ჩამოვიღვენთე. მერე ნოველები, ნოველები. მალე დავამთავრებ ალექსანდრე ჭავჭავაძეზე ნოველას. მან ევროპა ცხენითა და ხმლით გადაიარა და პარიზში შევიდა.

ბავშვები რატომ იგვიანებენ სკოლიდან მოსვლას ნეტავი? ცოლი... რა თქმა უნდა, დაქალებთან საჭორაოდ.

რადიოს აუწია...

„გვყავდა დავითი, თამარი, დემეტრე,
ფარსმან ქველიც,
ხერხეულიძე გვყავდა, სამასი არაგველიც“.

ქუხდა რადიოში გურამ საღარაძე... შადიმანებიც ხომ გვყავდა?! ღმერთს მადლობა, რომ ცოტანი გვყავდა.

* * *

ვარსკვლავებით გადაპენტილ ცაზე რქასავით მოხრილი მთვარე ეკიდა, რომელსაც ოქროს დალალები ჩამოეშვა. მისი შუქი აივანზე ნებივრობდა და ოთახშიც შემოჭრილიყო. ირგვლივ მთვარის ანარეკლი ბატონობდა. როცა მთვარეს შევცქერი, მარადისობის საოცარი შეგრძნება მეუფლება – გაიფიქრა ზურაბმა.

მთის გადაღმა ცა ვარდისფრად კიაფობდა. აღელვებული ზღვა უზარმაზარ ზვირთებს აგორებდა, რომლის სილურჯე ცის ლაჟვარდს უერთდებოდა. სიო ფოთლებს ელამუნებოდა.

უკუნეთი ღამე უკან იხევდა და ზაფხულის იისფერი განთიადი შემოდიოდა. ბულბული მომაჯადოებლად გალობდა. ბულბული ხომ მზის ამოსვლის წინ და მზის ჩასვლის შემდეგ გალობს. მზემ დილის ნამი აპკურა ყვავილთა ფოთლებს. მზის სხივებში ყველაფერი ბრწყინავდა. დედამიწას კრიალა ლაჟვარდი დაჰყურებდა. თბილი ნიავი ძალუმად არხევდა ხეების ტოტებს. ირგვლივ ყაყაჩოები მეფობდა. ცაზე ცხრათვალა მზე გაბატონებულიყო. ზაფხული ძალაში შედიოდა. დღეს დიდი სიცხე იქნებაო – გაიფიქრა ზურაბმა.

ალვის ხის წვეროკინებს თითქოს ცეცხლი ეკიდა. ნიავისაგან ათრთოლებულ ფოთლებს შარი-შური გაჰქონდა.

ყვავილთა თბილი სურნელი ზურაბს ცხვირში უღიტინებდა და უკვალოდ გამქრალიყო ის ჩხუბი, რაც ცოლთან ახლახან გადაიტანა. მის ფიქრებს სამანი არ ჰქონდა. მერე მაგიდას მიუჯდა და წერა დაიწყო. წერდა თავაუღებლად და შეუსვენებლად. დაიღალა. თვალები დახუჭა. ენგურს გადაღმა დარჩენილი საქართველო მოაგონდა და გული შეეკუმშა.

ზარის ხმა გაისმა. ოთახში ზურაბის შვილები შემოცვივდნენ.

– გოჩა, ხვიჩა, ლელა... ნელა ვერ შემოხვალთ? რას გავხართ, როგორ გაოფლიანებულხართ, სად გაოფლიანდით ასე?!

– ფეხბურთს ვთამაშობდით.

– ლელა, შენც?

– ხო, მამიკო, მე მეკარე ვიყავი.

– გოგოს ფეხბურთის თამაში ვის გაუგია, ახლავე გამოიცვალეთ ტანსაცმელი და მერე დაჯექით სამეცადინოდ.

* * *

დედამიწას რუხი ცა ჩამომხობოდა. მთას ნისლის საბანი წამოეხურა. ალბათ მოწვიმს. შემოდგომის გაუთავებელი წვიმა საშინელ სევდას მგვრისო – გაიფიქრა ზურაბმა. მინდორს მწუხრის ჩრდილი ეფინა. ზღვა იყო მთვლემარე და მიყუჩებული. სახლების სახურავები ნისლში გახვეულიყო. რაღაც თავისებური მიმწუხრის ჟამი ჩამოწვა. ჰაერში სინესტის სუნი იდგა.

მატყლის ფთილებს ჰგავდა ზეცაში მიმოფანტული ღრუბლები. ხეთა ფოთლებში ცელქი ნიავი დანავარდობდა. შემოდგომის ცივი ქარი უბერავდა. ცა ავისმომასწავებლად მოქუფრულიყო. ირგვლივ ბინდისფერი ბატონობდა. ქარი ხეებს შორის დაძრწოდა და ფოთოლგაცვენილ ტოტებს არხევდა. მიხვეულ-მოხვეულ საცალფეხო ბილიკზე წყლის გუბეები დამდგარიყო, რომელსაც მხოლოდ მაშინ შეამჩნევდი, როცა წყალში ტყაპანს მოადენდი.

ალუბლის ტოტებში ბეღურები ჟღურტულებდნენ. შემოდგომის ძალაგამოცლილი მზე გარემოს ვერ ათბობდა. სევდისფერი საღამო იდგა. გარეთ წვიმა ტიროდა. დანისლულ ღრუბლებში მზე იჭყიტებოდა. ფოთოლცვენის ჟამი დამდგარიყო. ჯმუხა მუხები გარინდული იდგნენ. ცარგვალი ფაფუკი ღრუბლებით იყო მოჭედილი.

ნოემბრის ცივი ქარი ქროდა. ზურაბი ძალიან მოწყენილი ჩანდა. მუქ ნისლში გახვეულ მთებს გასცქეროდა.

ამ დროს ზარის ხმა გაისმა. ზურაბმა კარები გააღო. კარებში ზურაბის სიყრმის მეგობარი რამაზ რატიანი იდგა. მეგობარს გადაეხვია და ოთახში შემოიპატიჟა.

– ზურაბ, გორგილაძის ლექსების კითხვა დავამთავრე. გიბრუნებ მის წიგნს. რა კარგად

ამბობს შენს რაჭაზე – „რაჭა სუნთქვა ჩუქურთმათა, ნიკორწმინდა იმედად“... ზურაბი ლექსის ორფეოსია; მეოცე საუკუნის ცარგვალზე ვარსკვლავივით კიაფობენ ზურაბი და ფრიდონი. მწერლებით ისე ძალიან განებივრებულები ვართ. შენც სხვაზე ნაკლები არ ხარ. შენი ნოველები შთამომავლობას განძად შემორჩებათ. სხვათა შორის ვაჟა ამბობდა: „მწერლობა ძალაა, უმთავრესი იარაღია ერის წინსვლისა და მისი გაუკეთესებისა“.

– მართალი ხარ, რამაზ. ალბათ, სულიწმინდა ჩაისახა რუსთაველში, როცა „ვეფხისტყაოსანი“ შექმნა. პოემა მიუძღვნა ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაჭიმულ სახელმწიფოს მონარქს, პირმშვენიერ თამარს. რა საამაყოა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ საქართველოში ამოიმზევა და მისი ბადალი პოემა მსოფლიოში არაა.

სხვათა შორის „ვეფხისტყაოსანი“ ლინ კოფილმა ინგლისურად თარგმნა ლექსად. როგორ მიხარია, რომ ახლახან ორჰან ბერიძემ თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ თურქულად. ეს თარგმნა ბნელეთის განათებაა.

– რამაზ, ნეტა თუ არის მართალი, პოეტებს პლატონი სახელმწიფოდან აძევებდაო, „მაგენი ადამიანებს თავგზას უბნევენო“.

– მაგი შენ არ გეხება, ზურაბ, შენ ინდივიდუალური ხედვა გაქვს და სხვაგან არ პოტნი აზრებს. სხვათა შორის, ახლახან მოვისმინე, პარლამენტის ტრიბუნიდან სააკაშვილმა მიმართა გამყრელიძეს – „ნუ აჩმახებთო“. ხომ იცი, სააკაშვილი ნახევრად მეგრელია და ამის თქმა არ გაუჭირდებოდა.

– საქართველო მეგრელებითაა სავსე და სულ მეგრელი ვერ დასვეს პრეზიდენტადო?! – უკვირს თურმე მეგრელს.

– მეგრელებს აქვთ კიდევ ასეთი ხუმრობა – ამერიკელების ხნის პაპაჩემს მუხა უდგას ეზოში და ამერიკელებმა ჩვენ რა უნდა გვასწავლონო.

– საოცარი ხალხია ეს მეგრელები, მაგრამ არანაკლებია გურულები. მაგათი დილის ლოცვა ასეთია თურმე – „ღმერთო, ხომ ვიცი, ვინ ხარ შენ? შენც ხომ იცი, ვინ ვარ მე? და... აბა შენ იცი!“

– ზურაბ, თუ წაიკითხე ლევან სანიკიძის „უქარქაშო ხმალი“.

– არა, ჯერ არ წამიკითხავს.

– წავიკითხე და ფრიად განცვიფრებული ვარ. თურმე ქართველებს 700 წლის განმავლობაში 571 ბრძოლა გადაუხდიათ, აქედან 445 მოგება, 126 წაგება. დიდგორის ომმა ხომ საქართველოს ბედი მთელი საუკუნით განსაზღვრა. საქართველოს ხომ დღესაც გულის ფიცარზე აწერია დიდგორი, არდასავიწყებელი... არდასავიწყებელია ჩვენი სულმნათი წინაპარი მღვდელი თევდორეს კაცობაც. მას ხოზე პერესის ფილოსოფიური შეგონება მიესადაგება: „ყველაზე რთული პროფესია კაცობაა“. მღვდელი თევდორე რომ მომაგონდება, ვფიცავ საქართველოს მარადისობას, მზად ვარ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლო მისი გაერთიანებისათვის.

– რომელ გაერთიანებაზე ლაპარაკობ, როცა ნახევარი საქართველო თურქებს აქვს მიერთებული. იცი, რამაზ?! თურქეთის მთელი სამხრეთი ნაწილი, შავი ზღვიდან ტრაპიზონამდე დასახლებული არიან თურმე ლაზებით. ისინი გამაჰმადიანდნენ, მაგრამ ქართველებად დარჩნენ ენითა და ჩვევებით. სხვათა შორის, დავით იაკობიძე ლექსად ამბობს ძალიან ლამაზად:

„დღესაც ვტირი ტაო-კლარჯეთს,
ჩვენს მშობლიურ ძირ-ძველ მიწას,
საქართველოს ძლიერების
აკვანი ხომ იქ დაირწა“.

რა დასანანია, რომ დღესაც არ ვიცით ზუსტად ეთნიკური წარმომავლობის რამდენი მილიონი ქართველი ცხოვრობს თურქეთში.

– ზურაბ! დროა დავარისხოთ განგაშის ზარები, ხომ?!

– ნამდვილად დროა. ის თუ გაიგე, აზერბაიჯანში ინგილოებს გვარის აღდგენაზე უარს რომ ეუბნებიან. პასპორტში რომ ეროვნებას არ შეიტან, ამით ფიზიკურად ილიას იდეებს კლავ. ეს უკვე ბერდენკიდან გასროლილი მეორე ტყვიაა. განა ეროვნული ცნობიერების დამკვიდრებისათვის არ იბრძოდა ილია?

– სწორი ხარ. ზურაბ, აუწიე რადიოს, მგონი მიშველაძე ლაპარაკობს.

– „ერთი ხელის გაწვდენაზეა ჩვენგან ნაშთი ჩვენი დიდებისა: ხანძთა, ოპიზა, ფორთა, შატბერდი, წყاროსთავი, არტანუჯი, მიძნაგორი, (გიორგიწმინდა), ხიხანი... ერთი დიდი საქართველო სარფგაღმაა დარჩენილი და დღესაც არ გვასვენებს ეს ჩვენი მოურჩენელი ეროვნული იარა“...

– ყოჩაღ, მიშველაძე – აღტაცება ვერ დაფარა რამაზმა.

– ის თუ გაიგე, გორში სტალინის ძეგლი აუღიათ.

– იცი, ზურაბ! ძეგლის აღებით ვერაფერს დააკლებენ ბუმბერაზ სტალინს. ახლა გამახსენდა, ალექსანდრე ჭავჭავაძეზე ნოველა რომ გქონდა დაწყებული თუ დაამთავრე.

– ჯერ არა და ჰაი და ჰა...

– მეხსიერება როგორი გაქვს?!

– ჯერჯერობით კარგი.

– აბა, თუ გახსოვს, რა გახდა ტროასა და ბერძნებს შორის ათწლიანი ომის მიზეზი?

– როგორ არ მახსოვს. ელენე მოიტაცა პარისმა.

– აბა კიდევ, ვინ წამოიწყო II პუნიკური ომი?

– ჰანიბალმა, კართაგენის მხედართმთავარმა. სხვათა შორის, ძველი წელთაღრიცხვით 216 წელს.

– ეს თუ გახსოვს, ევპირიდემ რატომ დაწერა სიცრუე, თითქოს მედეამ შვილები დახოცა საბერძნეთში, რაში სჭირდებოდა ეს სიცრუე?

– იაზონს მეფის ქალიშვილი რომ შეერთო იმიტომ. მერე აპოლონ როდოსელმა ხომ დაწერა სიმართლე?!

– მართალი ხარ.

ზურაბმა რადიოს აუწია. „ცად და მიწად რომ მისი ხმა ქუხდა, მე ისეთ ქართველს კიდევ ვპირდები“.

„ჩვენს გაღვიძებას ღმერთი ელოდა, დავითი ისევ გასაჩენია და მიხარია რომ ქართველობა, მარადიული განაჩენია“.

– სულის შემძვრელი ლექსია. ვისია ნეტავი?!

– არ ვიცი.

– განა შეიძლება დავივიწყოთ საქართველოს ისტორიის ფურცლები, ერის სისხლის წვეთები რომ შეხმობია?!

– რა თქმა უნდა, არა!

– ეს კორუმპირებული კლანი რამდენხანს იპარპაშებს, ხომ არ იცი?!

– მაგი ძნელი დასადგენია. კობა დავითაშვილმა მაგრად გაილაშქრა კორუმპირებულების წინააღმდეგ; იმათ წინააღმდეგ, ვისაც მაღალი ხელფასები აქვთ. ისე, ხომ ხედავ, რომ ერის სულიერება იკარგება. ერის სულსა და ზნეობას სიწმინდე გადაარჩენს.

– მერე სადაა ეს სიწმინდე?!

– სხვათა შორის, ვანო ჩხიკვაძე ამბობს ლექსად ძალიან ლამაზად:

„ვუძლებ, ჯერჯერობით ვუძლებ,
ათას გაღლეტილს და უძღებს“.

– რამაზ, განსაცვიფრებელი რამ წავიკითხე „ასავალ-დასავალში“, 2017 წლის 20 ნოემბრის გაზეთში. შევშფოთდი... რა დაუნდობელი მთავრობა მოდის. ალექსანდრე ჯეჯელავამ, ყოფილმა განათლების მინისტრმა, ხალხს მიმართა: „საჭირო აღარ არის სკოლის მოსწავლეებმა ქართული პროზიდან და პოეზიიდან საზეპიროები ისწავლონ“. როგორც ციცერონი, რომაელი პოეტი, ამბობდა: „ქაღალდი არ წითლდება, ქაღალდი ყველაფერს იტანს“. ამის დაწერა შეიძლებოდა? როგორ?! ვაჟას, გალაკტიონის, აკაკის, ბარათაშვილის ლექსები ბავშვებმა ზეპირად არ უნდა იცოდნენ? მათი ლექსები ხომ სულის გასალამაზებელი მშვენიერებაა. რა კარგად თქვა ფაუსტმა: „წამო, შეჩერდი, რა მშვენიერი ხარ“. არა, ჯეჯელავას წერილი არ უნდა დაბეჭდილიყო.

– ბეჭდვა რა შუაშია. განა ბეჭდურმა სიტყვამ არ უკვდავყო ბარათაშვილის „მერანი“ და გალაქტიონის „მერი“?! სხვათა შორის, 1915 წლის 23 მაისს დაფნის გვირგვინი მიართვეს იუბილეზე ვაჟას წარწერით „პოეზიის არწივს“. მისი ლექსი არ ისწავლონ ბავშვებმა? მისი „არწივი“ არ დაიზეპირონ?! ჯეჯელავას წერილი რომ წა-

ვიკითხე, ვიფიქრე: ზნეობრივი ღირებულებების დევალვაცია ხომ არ იწყება ნეტავი-მეთქი. ხელისუფლება ხომ უნდა მართავდეს ქვეყანას მაღალი ზნეობისა და მორალის პრინციპებით?! რატომ არ ფიქრობს ჯეჯელავა, მისი ყოველი ნაბიჯი თუ რას უქადის ამ დაქცეულ და დამეხილ ქვეყანას?! განა ჩვენმა თაობამ ტატოს „მერანით“ გაკვალულ გზაზე არ უნდა იაროს?

– სწორი ხარ, ყველაფერში სწორი ხარ, ზურაბ. ისე, ამ ბოლო დროს რაღაც ძალიან მოწყენილი მეჩვენები. რაიმე ხომ არ შეგემთხვა? შენ ნამდვილად ბედნიერების ჰორმონები, ენდოფირები გაკლია, ცუდ ფიქრებს უნდა აუკრძალო თავში ტრიალი. კარგზე უნდა იფიქრო და კარგად წავა შენი საქმე. ხუმრობით გეტყვი: რა გაქვს საჯავრო, კედელზე ფიროსმანი, სერვანდში საქსონიური ფაიფურის ჭურჭელი, სამი ანგელოზივით შვილი.

– რამაზ! რაზე ვარ მოწყენილი იცი?! შენ ჩემი ამბავი არ გაგიგია, საზღვარგარეთ იყავი.

– მოხდა რაიმე?!

– ცუდი ამბავი. მე ორი თვე ოჯახი დატოვებული მყავდა. მთელი ქვეყანა ავალაპარაკე ჩემი უღირსი საქციელის გამო.

– მითხარი რა მოხდა? ასეთი რა შეგემთხვა?!

– ახლავე მოგიყვები. დაბადების დღეზე ვიყავი ლელა ქვარიანთან. ქუჩაში შემხვდა, დაბადების დღე მაქვსო – მითხრა, წესიერად არც კი დავუპატიჟებივარ.

მასთან ვიხილე ის მშვენიერება, სულით ხორცამდე რომ შემძრა. გაცნობით ლელამ გამაცნო. სუნთქვა შემეკრა. მოკლედ „გაზაფხულის მეჩვიდმეტე გაელვებას ჰგავდა“. რომ შევხედე, მხრები შეარხია, თითქოს გასაფრენად ემზადებაო. არადა, კი ჰგავდა გასაფრენად გამზადებულ პეპელას. ისეთი მხურვალე გრძნობა დამატყდა თავს, აზრზე ვერ მოვედი. სიყვარული ხომ მარად უსაზღვროებას, სწრაფვას, მიუწვდომელს მოიცავს. ირგვლივ ყველა, ყველას იყვარებს, ოღონდ მალულად – გამოვუტანე ჩემს თავს გამართლება. ვგრძნობდი, როგორ წამებით იზრდებოდა დარდის საუფლო. გარდა იმისა, რომ სასიამოვნო გარეგნობა ჰქონდა, ელეგანტურადაც იყო ჩაცმული, მწვანე თვალების სადარი მწვანე კაბა ეცვა. ძალიან, ძალიან გულამოღებული. შავი თმა ტალღებად ეყარა მხრებზე. მომნუსხველი ნაკვთები ჰქონდა, ძალიან ცოტას ლაპარაკობდა, თან ხმადაბლა. ალბათ ეტიკეტი და კარგი აღზრდის აბჯარი იმიტომ აიფარა, ხალხის ყურადღება რომ მიექცია.

დავინახე ულამაზესი ქალი; თითქოს ჩემში რაღაც აფეთქდა და ირგვლივ ჩანჩქერების შხუილი გაისმა. დიდებული განცდა აღზევდა ჩემში. მე შეყვარებული ვიყავი. ერთადერთი სავანე, რომელზეც დრო არ მოქმედებს, ეს მეხსიერებაა. თვალნათლივ მახსოვს ყოველი წვრილმანი. ჩემს წინ მშვენიერება იდგა, გულის ამაჩუყებელი. მიუწვდომლად მესახებოდა იგი. ვგრძნობდი, რომ მასთან სიახლოვით მთელი არსებით ბედნიერი ვიყავი. მიდი ახლოს, მოეხვიე... თითქოს ათასწლეულების ძახილი იყო. „მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ“ – შანდორ პეტეფიც მოვიშველიე, მაგრამ ძალიან ხმადაბლა. მან მაინც გაიგონა და სახე გაებადრა. მომნუსხველი გარეგნობა ჰქონდა. ნადირის ფრთხილი თვალებით იცქირებოდა. ალბათ, ექსტაზში ვიყავი. ასეთი აღელვებული და აღტაცებული დიდი ხანია არ ვყოფილვარ. მერე მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. დამთანხმდა გამომყოლოდა ბიძაშვილის მიერ დათმობილ ბინაში. ვიღას ახსოვდა ცოლი და შვილები. ორი თვე ვიყავით ბედნიერების მწვერვალზე, მერე ყველაფერი დამთავრდა. მიმატოვა, როგორც კი ფულის ტომარა გამოუჩნდა. მე ოცნების მსხვრევა ძალუმად ვიგრძენი, სიყვარული კი მაშინ მთავრდება, როცა იმედი ქრება.

რომ ამბობენ დრო სიყვარულის კალათიაო, სავსებით სწორია. მასზე მოგონებები თანდათანობით ქრება. გულში არც არავის სიყვარული და არც არავის სიძულვილი არ მაქვს. ირგვლივ სიცარიელეა, ყოვლისმომცველი სიცარიელე.

მივხვდი, ჩემი ბედნიერება ვიღაცამ წამართვა და იძულებული ვიყავი ოჯახს დავბრუნებოდი.

– ისე თუ იყავი ბედნიერი მასთან? – შეეკითხა რამაზი.

– იმ ორ თვეს კი. მოკლედ, ერთ დროს „ნამეტნავად“ ბედნიერი ვიყავი.

– ერთ დროს ელადაც ყვაოდა და ჰომეროსიც ამშვენებდა.

– დღეს იგი ჩემთვის შორეული ნათებაა მხოლოდ. შ-ო-რ-ე-უ-ლ-ი ნ-ა-თ-ე-ბ-ა...

– ოჯახს რომ დაუბრუნდი, ცოლმა რა თქვა?

– სახლში არავინ დამხვედრია. გასაღები მეზობელთან იყო. იმ წამში რადიო ჩავრთე, ლექსს კითხულობდა ვიღაც, თითქოს სპეციალურად ჩემთვის:

„დრო მიდის და ემატება წელიწადს,
ვხედავ ჩემი სიხარული გაქრა,
მასთან ყველა სინანული წავიდა,
იმ პირველი სიყვარულის გარდა“.

– სხვათა შორის, დაბადების დღეზე რომ მივდიოდი, იგრძნო თუ რა იყო არ ვიცი, ცოლმა ისეთი დღე მაყარა, წნევამ ამიწია.

– საერთოდ თუ არის შენი ცოლი დადებითი პიროვნება.

– არა, იგი სატანაა.

– ისე იცოდე, ზურაბ, ბედნიერება წარმავალია. იგი მუდმივი არაა. ოჯახის დატოვება მაინც რამ გაფიქრებინა. ცოლი თუ გინდოდა დაგესაჯა, ბავშვები უნდა წაგერთმია. ეს ყველაზე დიდი სასჯელია ქალისთვის, სასიცოცხლო არტერიის გადაკეტვაა.

– არა, მაგას ვერ ვიზამდი.

– ზურაბ, არ შეიძლება ცოლ-ქმრის ჩხუბში ერთი აბსოლუტურად მართალი იყოს და მეორე აბსოლუტურად მტყუანი. ცოტ-ცოტას ალბათ ორივე ცოდავს.

– ჩემს ცოლს უნდოდა მორჩილი ვყოფილიყავი და მის დაკრულ დუდუკზე მეცეკვა.

– იცი, ზურაბ! თუ ქალის განვითარების დონე ჩამორჩება კაცისას, ამის შემდეგ იწყება უსიამოვნება. შენ, განთქმული მწერალი, იმას, მგონი, საშუალოც არა აქვს დამთავრებული.

– მართალი ხარ. განათლებაში „ნულია“.

– სხვათა შორის, იმასაც ამბობენ, თუ ცოლქმარი სხვა რამეში ეწყობიან ერთმანეთს, განვითარების პრიმიტიული დონეც რომ ჰქონდეს ქალს, ქმარი მას მაინც არ მიატოვებსო, თუ დათმობის უნარი ორივეს არა აქვს, ასეთი ცოლქმარი იყრებიანო.

– ასეა, ალბათ, ჩვენი ამბავიც. დათმობა?! რის დათმობა, რაიმეს რომ ამოიჩემებდა, ვერ გადაათქმევინებდი, მუდამ ცხვირჩამოშვებული, მუდამ მოწუწუნე. დედამისი თუ ჩვენთან არ იყო, მაშინ დგებოდა ჩხუბის ხასიათზე. რატომ არ ფიქრობდა იმას, თუ რამდენად მაწყობდა მე, მთავარი არბიტრის, სიდედრის მუდამ ჩემს ოჯახში ყოფნა?!

– ზურაბ, იგი ხომ გრძნობს, რომ შეურაცხყვეს, უღალატეს.

– ურჩევნია მიზეზი ეძიოს, რამ მიმიყვანა ღალატამდე. მისმა გამუდმებულმა ჩხუბმა და წუწუნმა. სარვამარტო საჩუქარზე თქვა: თვითონ, ალბათ, ქალებში ქეიფობს, მე კი ბალახები მომითრიაო. სხვათა შორის, ის ბალახები კი არა, გაზაფხულის მახარობელი იები იყო. ოჯახი რომ შეენარჩუნებინა, ქმრის თავმოყვარეობა უნდა დაეზოგა და იმ დღესვე მთელი ნათესაობისთვის არ მოეყოლა ყველაფერი. კიდევ ერთი ნაკლი ჰქონდა, უსაშველო მომჭირნე იყო, რაც სიძუნწეში გადადიოდა.

– მომჭირნეობა ნაკლი კი არა, ღვთით მომადლებული ნიჭია.

– კარგი ერთი... ნუ გააბუქე.

– გამოდის, რომ მასთან ბედნიერი არ იყავი.

– არა. მთელი არსებით ბედნიერი მე მხოლოდ იმ ორ თვეს ვიყავი.

– მერე?

– მერე ყველაფერი გათავდა, რასაც გული მასზე დამიხატავდა.

– როგორ ლექსივით გამოგივიდა. რას ნიშნავს, რომ მწერალი ხარ. ისე, გეტყვი სიმართლეს, რაც შენ გააკეთე, იმას პატიოსანი კაცი არ გააკეთებდა.

– რამაზ, პატიოსნება ფართო მცნებაა. როცა სახლში მოხვალ, აღრიალებული ტელევიზორი და უფრო მეტად აღრიალებული ბავშვები დაგხვდებიან, როგორ ხასიათზე დადგები?

– თვითონ სად ბრძანდებოდა?

– სად და დაქალებში საჭორაოდ. ასეთი ქალი ხომაა ღალატის ღირსი?! – გამოუტანა ვერდიქტი ცოლს.

რომ დაბრუნდა შევეკითხე, ბავშვები უპატრონოდ რატომ დატოვე-მეთქი, ზამთრის ძილის შემდეგ გამოღვიძებულ დათვს დაემსგავსა. აქეთ შემომიბღვირა. შემოსვლისთანავე ოჯახის სამართავი საჭე ხელში აიღო და მე არაფრად მაგდებდა. იძულებული გამხადა დედაჩემი ნაქირავებში გამეშვა.

– ზურაბ, რადიოს აუწიე, ეგებ სამხიარულო რამე თქვან, თორემ შენმა ამბავმა სულით ხორცამდე შემძრა.

რადიოში ვარდო ჩხეიძე ლაპარაკობდა: კაგდა ვაში პრედი (იგულისხმება რუსეთი) ვლესუ ბრადილი, მაი პრედი ევანგელიუ პერევადილი.

ვერ იტყვის ქართულად?! ვითომ დიდი მერუსულე მყავს. სხვათა შორის, ქართული ენის სიყვარულმა, განთქმულ პოეტს, დავით თედორაძეს, ათქმევინა ეს სალექსო სტრიქონები, რომელიც თხოვნაზე მეტად მოთხოვნას ჰგავს:

„არ არსებულა, არ თქმულა,
ზღვა ამოევსოს მდინარეს,
მელაპარაკე ქართულად,
გუმბათი ეტყვის მინარეთს“.

* * *

ზურაბმა ფანჯარაში გაიხედა. ცაზე საავდრო ღრუბლები გაბატონებულიყო. ზამთარს მთლად გაეძარცვა ბუნება. ტყვიისფერი ღრუბლები დასავლეთისაკენ მიიჩქაროდა. მალე ელვამ ყველაფერი გაანათა. თოვლი თუ არ მოვიდა, უსათუოდ გაწვიმდებაო – გაიფიქრა. არც დაახანა. ისეთი კოკისპირული წვიმა წამოვიდა, თითქოს კოკიდან წყალს ასხამენო. წვიმა და ქარი შეხმატკბილებულად აკეთებდნენ თავიანთ საქმეს. წვიმაში შერეული თოვლიც დალანდა. მერე წვიმა შეწყდა და ფანჯრიდან მოცეკვავე თოვლის ფანტელები გამოჩნდა, რომელიც ტყვიისფერი ზეციდან ცვიოდა. მთაზე ნისლებს ეძინა. ფრთამალი ქარი მგელივით ღმუოდა და დაშლიგინობდა.

– რა მალე დაღამდა. როგორც იტყვიან, ზამთარში ერთი ამომთქნარების დღეაო – გაიფიქრა და დასაწოლად მოემზადა...

როცა გათენდა, ზურაბი ფეხზე წამოდგა და ბავშვებს გახედა. ბავშვებს ეძინათ. – დღეს კვირაა და ძილის ნება აქვთო – ჩაილაპარაკა.

ოთახში გაიარ-გამოიარა და მერე ღრმა ფიქრებში ჩაიძირა. მეგობარი რამაზ რატიანი მოაგონდა. ნამდვილად კეთილშობილი ადამიანია. როგორ მარიგებდა... – ადამიანის ძალა მისი სულიერებაა, ამიტომ გაუფრთხილდი სულიერებასო, ეს ბებიაჩემმა მასწავლა და შენც გასწავლიო... თუ ვინმე გთვალავს, შუა თითი და საჩვენებელი თითი გადააჯვარედინე, ამით საკუთარ ბიოველს შეკრავ და უარყოფით ენერგიას შეჭრის საშუალებას არ მისცემო... – გაცრუებული იმედების მტვერში ვარ გახვეული, წყენამ არ გამიარა, საღად ვერ ვაზროვნებ-მეთქი რომ ვუთხარი, ასე მიპასუხა: ეს დროებითია და ადამიანი აზროვნებას მაშინ წყვეტს, თუ წიგნებს არ კითხულობსო.

წიგნებს სულ ვკითხულობ, მაგრამ წყენამ მაინც არ გამიარა-მეთქი, ასე მიპასუხა:

– ხანგრძლივმა წყენამ შეიძლება ავადმყოფობა გამოიწვიოს; ყველა პრობლემა ადამიანის გულზე გადადის და ავადმყოფობას წარმოშობს, ამიტომ თავს უნდა გაუფრთხილდე ძალიანო.

– რამაზზე უკეთესი მეგობარი მე არ მყავს. ერთი თვეა არ მინახია და უკვე მენატრება – გაიფიქრა.

რატომღაც გულმა რამაზის ნახვა მოთხოვა – მე იგი აუცილებლად უნდა ვნახო – გადაწყვეტით თქვა.

ღრმად დაფიქრებულმა ფანჯარაში გაიხედა. მინდორში თოვლის თხელი ფენა დალანდა. აქა-იქ ფაფუკი ღრუბლებით მოფენილი ციდან ცხრათვალა მზე იჭყიტებოდა. უდაო იყო, რომ მინდორში მოფენილ თოვლის თხელ ფენას მზე მალე გაადნობდა.

– მე რამაზისთან მივდივარ. რომელი წამოხვალთ რამაზ ბიძიასთანო – ბავშვებს გასძახა,

– მე, მამიკო, მეო – ხვიჩა გამოეპასუხა.

ცამ თეთრი ღრუბლები საბოლოოდ შემოიძარცვა, როცა ზურაბ მეტრეველი ხვიჩასთან ერთად მეგობრისკენ მიმავალ გზას დაადგა.

მენატრები ისე, როგორც ენატრება მწყურვალს წყალი

„ორს ვიცნობდი და ორივე იყო კარგი,
ერთს ვუყვარდი, სიყვარული ჰქონდა დარდად,
მე მეორეს არასოდეს არ ვუყვარდი
და ამიტომ ის მეორე შემიყვარდა“.

ხალხური

შემოდგომის ბოლო თვე იდგა, ნოემბერი. ირგვლივ სუსხიანი ქარი ზუზუნებდა. ღამეული ცა ცისკრის ვარსკვლავს გაენათებინა. მთვარე უკიდეგანო სივრცეში მეფობდა. ფანჯრიდან შემოსული მთვარის შუქი საძინებელს მკრთალად აშუქებდა. ცოტა ხანში ქარმა მძლავრად მოიქნია ფრთები და გვაუწყა: ჩემთან ხუმრობა არ გაგივათ, მე, ზამთარი მოვდივარო. ცივი და უღიმღამო უწოდა ზამთარს ჩეხოვმა.

ლევან ინწკირველი წლის ყველა დროის სევდიან ერთფეროვნებას გულგრილად უცქეროდა. არა მგონია, სადმე იმაზე პირქუში და სევდიანი იყოს ზამთარი, როგორც ჩვენთანაა ბათუმშიო – გაიფიქრა. გაუთავებელი წვიმები, ჭირივით მძულს წვიმა, მონოტონურად რომ უკაკუნებს ფანჯრებს. წვიმის დროს სევდიან ფიქრებში ვიძირები. თოვლი თუ გაღირსა ღმერთმა, ისიც ზოგჯერ, მადლობა უნდა თქვა. ჩემი მონტე-კარლო მაინც ბათუმია, ზღვით და მაგნოლიებით დამშვენებული.

რადიოს აუწია. მომაჯადოებლად კითხულობდა ქეთინო ბეროშვილის ლექსს გურამ საღარაძე:

„ნუ დაბრუნდები, შენი მოსვლა, იცი არც მინდა,
ნუ გაიკვირვებ, რადგან გული უკვე გაცივდა,
ნუ დავაბრალებთ, დავშორდით და წლები გავიდა,
არ გავუფრთხილდით, სიყვარული მიტომ წავიდა,
გასაოცარი კანონი აქვს დედა-ბუნებას,
უსიყვარულოდ რა აზრი აქვს შენს დაბრუნებას!“

ისე მოეფინა ეს ლექსი გულზე, თითქოს ბნელ სამყაროში სინათლე შემოიჭრაო.

სად არიან ამდენ ხანს?! თავისთავს დაუსვა კითხვა. ბავშვები სკოლაში იქნებიან. ქალბატონი, ალბათ, დაქალებთან. დაქალების მისამართით ისეთი რამ თქვა, ბეჭდურ სიტყვაში უზრდელობად რომ ითვლება.

ჯერ საძინებელში შევიდა, მერე სამზარეულოში, მერე ბავშვების ოთახში, მერე სადარბაზოში. აუგუსტ ფორდტერის ფირმის როიალის კლავიშებს ხელი შეახო. დარბაზში ბგერების ქარიშხალი დატრიალდა. აწი სად წავიდე?! – გაიფიქრა. ისე ქეიფი კარგია, „გზებზე სუფრის გადაფენა“... ისიც ხომ ქეიფის დროს გაიცნო. უფრო სწორად – ქორწილში... მეგი წერეთელი... ცოლიანი არ ვიყო ნეტავიო – ინატრა. მეგი მან მაშინ დაინახა, როცა იგი სადარბაზოში შემოვიდა. მოყელყელაობდა მშვენიერება. საამო საცქერი იყო. ეტყობოდა თვითონაც გრძნობდა თავის სიმშვენიერეს. მისი გადატკეცილი შუბლი, მერცხლის ფრთასავით გაფრენილი წარბები, ძალიან ლამაზი ტუჩები, თუ პლასტიკური ოპერაციის დამსახურება არ იყო, ძალიან უხდებოდა. მწვანე თვალები ციცინათელებივით უბრწყინავდა. მისი ხილვისას ლევანს გულში სითბო ჩაეღვარა. მერე მეგის მთვრალი მერიქიფე აეკიდა – გამომყევი გოგო ცოლად, თუ არა, ტვინს მიგასხმევინებ კედელზეო. მეგი შიშით კედელს აეკრა. ლევანმა დაიცვა ქალი, ჩამოაშორა მოძალადე. მოსახდენი ამის შემდეგ მოხდა. თურმე მეგისაც გულში ჩავარდნოდა ეს უზადო ვაჟკაცი, ყურყუმალა შავი თმები რომ უმშვენებდა სპეტაკ შუბლს.

მალე მათი შეხვედრები მოხდა და მიხვდნენ, უფრო სწორად, იგრძნეს რომ სანეტარო ექსტაზში იმყოფებოდნენ, სულის აღმაფრენა დაწყებული იყო და უერთმანეთოდ გაძლება არ შეეძლოთ.

ლევანმა ბევრჯერ მთვარეს შეჰღაღადა თავისი გასაჭირი, მაგრამ მთვარე რას უშველიდა?! გრძნობდა, ის ჟამი დამდგარიყო, ცოლ-შვილი უნდა მიეტოვებინა. თავზარი დაეცა. მართალია, ვალიდა არასოდეს ყვარებია, დედისა და დეიდის დაჟინებული თხოვნით შეირთო, მაგრამ დღეს მას ცოლი ერქვა და მის უფლებებს ასე ადვილად არ დათმობდა. ისე შეხედულადაც არ იყო „ვაი რა გადამრიე“, მაგრამ ამას ახლა მნიშვნელობა არ ჰქონდა.

საერთოდ, ქალი ისეთი უნდა იყოს, თავი უნდა მოგაბრუნებინოსო – გაიფიქრა ლევანმა.

სიყვარული თუ იშრიტება და იფიტება ნეტავიო – ფიქრობდა. პასუხი უარყოფითი იყო. მეგის სიყვარული ისე მოსდებოდა გულს, თითქოს ქარიშხალი ეხვია. მერე რაღაც შეუცნობში სურდა გარკვევა, მაგრამ ვერ არკვევდა. ერთხანს შიშმაც შეიპყრო.

რა არის ესო – თავზარი დაეცა. მას ხომ ცოლიც ჰყავს და შვილებიც. ეს მესამე რაღაა?! ყოველ წამს გრძნობდა პასუხისმგებლობას და შიშს, რომელიც ცოლ-შვილის დაკარგვასთან იყო დაკავშირებული.

ცოლი... კარგი... ჯანდაბას გზა ჰქონია. წავიდეს სადაც უნდა, ან სად უნდა წავიდეს, როგორ ღარიბად ცხოვრობენ, სახლში წვიმა ჩამოუდით... ხაზი გაუსვა ცოლის პლებეურ წარმოშობას.

მეგის გარეშე ჩემს ცხოვრებას აზრი არა აქვს. – გადმოდი ჩემთანო – მეგიმ. მერე შვილებს მე ვინ გამომატანს?! ჩემი ნინიკო და ხვიჩა მივატოვო?! სულ იმას ვცდილობდი, ისე გამეზარდა ბავშვები, ცხოვრების სუსხი რომ არ ეგრძნოთ. სხვათა შორის, დოსტოევსკიმ თქვა: „არც ერთი იდეა არ ღირს ბავშვის ცრემლად“.

თავზე ფიქრების კორიანტელი მათოვს, როგორ მოვიქცე არ ვიცი. ვერ ვიქარვებ გულზე მოწოლილ სევდას. ვიხილე მშვენიერება და გავხალისდი. ვგრძნობდი, რომ სულის ამღერება იწყებოდა.

ზოგჯერ მგონია, სიყვარული არარსებულისკენ სწრაფვაა და მეტი არაფერი... მე კვლავ შენზე ფიქრებში ვარ ჩაძირული, საყვარელო! ეს მეგის მისამართით თქვა. მთელი ჩემი არსება უკიდეგანო სევდას მოუცავს. ის მოაგონდა, თხელი კაბის ქვეშ მეგის სხეულის სრულყოფა რომ ილანდებოდა. მერე, როცა იგი ქალური მოძრაობით, ნარნარად მიუახლოვდა, ლევანმა მისი ხელები მუჭში მოიმწყვდია და დაუკოცნა. სულის შემძვრელი იყო მისი გამაოგნებელი ხიბლი. მე მის თვალებში სიყვარულის ბრწყინვალება ვიხილე... ახლა ჩემს ირგვლივ გაუსაძლისი მონატრებაა, თავში მოზღვავებულ აზრთა კორიანტელი, ხოლო გულში დიდი სევდა. წუხელ სიზმარი ვნახე, ნიაგარას ჩანჩქერთან ვიყავი ახლოს. რა ლამაზი საცქერი იყო თეთრი ბროლი რომ იმსხვრეოდა მზის სხივებში. მერე მეგი წამოიმართა – ანტიკური ღმერთქალი, განუმეორებელი ღიმილით მიღიმოდა. ნეტავ რა ძალაა ის ძალა, სიყვარულის საბურველში რომ ახვევს ადამიანს?! მეგის გარეშე სიცოცხლე არ მინდა, რა ყოვლისმომცველია ეს ხუთი სიტყვა.

ლევანი მშვენივრად გრძნობდა, რომ წლობით თვლემდა მის გულში ცოლის ღალატის სურვილი, რომელსაც აქამდე ასრულება არ ეწერა, მაგრამ დადგა ეს დროც – შეუყვარდა სხვა. გრძნობდა, რომ იმ სხვასთან სიახლოვე ცხოვრებას გაუხალისებდა. რატომღაც ნაზიმ ჰიქმეთის სიტყვები აეკვიატა: „იდეალური სიყვარული საერთოდ არ არსებობს“... არაა სწორი. ლევანი ბედნიერების მსუბუქმა თრთოლვამ აიტაცა. მალე ყველაფერი წარმოსახვის ლაბირინთებში შთაინთქა და გაქრა. „არ მოხველ, მაშ გული რიღასთვის გელოდა?!“ – ვისი ნათქვამია ნეტავი?! შორეული ზღვაოსნობის კაპიტანივით ჰორიზონტს გახედა, საიდანაც მარადიული თოვლით შემოსილი ამაყი კავკასიონი ჩანდა; ათასწლოვანი მთის თავზე კი ბადრი მთვარე ეკიდა... ირგვლივ მდუმარებას დაესადგურებინა.

ცას დატოტვილი ელვარება კვეთდა, რომელიც ავისმომასწავებლად ინთებოდა და ქრებოდა. ღრუბლებით სავსე მთვარე ნელ-ნელა მიცურავდა ნისლიან შორეთში. გარეთ ქარი კვნესოდა, შემოდგომის ცივი ქარი. ლევანის გულში კი

მარადჩაუქრობი სიყვარულის ნაპერწკალი კიაფობდა. არა!.. გამოსავალი უნდა ვიპოვო. უკიდეგანოა დღეს ჩემი ნაღველგარეული სევდა. შევცოდე. მე წმინდანი ხომ არა ვარ, მაპატიოს გამჩენმა; მერე წმინდანები მოაგონდა: მირიან მესამე, ვახტანგ გორგასალი, არჩილ მეფე, დავით IV (აღმაშენებელი), თამარი, დემეტრე II (თავდადებული), მეფე ლუარსაბი. რატომ არაა წმინდანებში მეფე ერეკლე?! ოთხივ კუთხივ ხმლის ქნევაში დაბერებული, სვეგამწარებული მეფე?! – დასვა ზოგადსაკაცობრიო კითხვა, რომელიც მუდამ დარდად და იარად აწვა გულზე. სადარდებელი განა ცოტა გვაქვს ქართველებს?.. ტაო-კლარჯეთი თურქმა წაგვართვა, სოჭი – რუსმა, ლორე – სომეხმა, საინგილო – აზერბაიჯანმა.

კვლავ რადიოს აუწია. „ხალხის გაძარცვის ლეგიტიმური მეთოდი: ბანკების მიერ დაწესებული მაღალი საპროცენტო განაკვეთები სესხებზე“. ოტია იოსელიანის სიტყვები მოაგონდა: „ჯერ დედამიწაზე ხალხის საყვარელი მთავრობა არც ერთ ერს არ ჰყოლია“.

* * *

ცის ტატნობზე თვალისმომჭრელად ელავდა ცხრათვალა მზე, რომელიც სხივებს უხვად აფრქვევდა და თავის ორბიტაზე მოძრაობას განაგრძობდა. ირგვლივ გაზაფხულის საამო სურნელი ტრიალებდა. ლაჟვარდ ცაზე მერცხლები დაფრინავდნენ.

ლევანი აივანზე გავიდა და უსასრულობას გახედა. წინ გვანცას მთა წამომართულიყო. მთას ნისლი საბანივით წამოეხურა. ლევანის გულში სევდა დაგუბებულიყო, სევდა უნაპირო და ულევი. თავბრუს ახვევდა ძლიერი განცდის კორიანტელი; წყვდიადში დაფარფატებდნენ არეული ფიქრები სიყვარულზე, სიბრალულზე, პასუხისმგებლობაზე, ზნეობაზე.

ლევანს დღეს მეგობარი ესტუმრა, კახა ხიდაშელი, რომელმაც საკმაოდ მწვავე კითხვა დაუსვა: რას აპირებო!

– იძულებული ვარ ააღებული გრძნობა გულში ჩავიკლა, ნეტავ ნაკლია, თუ ღვთით მომადლებული ნიჭი, შეყვარებული რომ ვარ? იმასაც ვფიქრობ, ხომ არ ჯობს დარჩეს ყველაფერი ლამაზ მოგონებად?!

– ამას შენ ვერ შეძლებ, რადგან უზომოდ ხარ შეყვარებული.

– სწორი ხარ. მეგი ჩემი სულის ტკივილია, ჩემი დარდი და ყოველდღიური სიხარული. იგი მანათობელი მზეა ჩემთვის.

– კარგი. ნუ გააბუქე, მზე არა, მთვარე. თუ გრძნობ პასუხისმგებლობას ოჯახის წინაშე? ცოლის წინაშე. მან დაწუნებული ქალის სახელით როგორ იცხოვროს? მერე ხომ არ გგონია, რომ მეგი მუდამ ასეთი ლამაზი იქნება? სიყვარული იქ მთავრდება, როცა სილამაზე ქრება.

– ნუ იტყვი მაგას, კახა. რატომ უნდა იყოს სილამაზე წარმავალი?! დროის ცვალებადობას რატომ უნდა ემორჩილებოდეს იგი?

– ყველაფერი დროს ემორჩილება, ამას ვერაფერი შეცვლის.

– დღევანდელი დღით ვილაპარაკოთ. მეგი დღეს ჩემი სულის ტკივილია, ჩემი დარდი და სიხარული.

– ეს სიხარული რომ შეინარჩუნო, ამიტომ ოჯახი უნდა დაანგრიო? შენს ნაბიჯს მოიწონებს ხალხი, საზოგადოება, რომელსაც ინტელექტი და ზნეობა მართავს? ადამიანის საქციელი ზნეობრივი კრიტერიუმებით იზომება, არ დაგავიწყდეს. შენს მოქმედებას დანაშაული ერქმევა და დანაშაული კი მორალის თვალსაზრისით დასჯადია.

– მე მესმის რა დამღუპველ ზეგავლენას მოახდენს საზოგადოებაზე მორალის უარყოფა, მაგრამ სიყვარული მაიძულებს მცდარი ნაბიჯი გადავდგა. ორცოლიანობა რომ შეიძლებოდეს... რა ქვია?

– ბიგამია... არ დაგავიწყდეს, ორცოლიანობა ორი სიდედრით ისჯება, სასაცილო არაა?

– ისე სიყვარული ნამდვილად ერთი ტრაგედიაა, განუზომელი. ვინმეს თუ უთქვამს ერთი მეტრი სიყვარულით მიყვარსო. არა, მისი საზომი არ არსებობს. მე ვერ გეტყვი რა ზომით მიყვარს მეგი. მხოლოდ ერთი სიტყვით გამოვხატავ... უსაზღვროდ...

– არ დაგავიწყდეს, საზოგადოებას მართავს ინტელექტი და ზნეობა; საზოგადოების აზრი შიშს უნდა გგვრიდეს... რას იტყვის ხალხი... ხალხი ამ შემთხვევაში მთავარი მოქმედი პირია, რომელმაც შენნაირების ბედი უნდა გადაწყვიტოს.

– მესმის, ყველაფერი მესმის, მაგრამ გაოგნებული ვარ, თითქოს შეუცნობ სამყაროში უაზროდ ვტრიალებ. ვერაფერი შეედრება იმ სატანჯველს, მეგისაგან დაშორებით რომ იქნება გამოწვეული.

– სხვათა შორის ჰიუგომ თქვა: „უზენაესი სამსჯავრო, სინდისის სამსჯავროაო“. – არ დაგავიწყდეს, როცა ოჯახის დანგრევაზე დაიწყებ ფიქრს.

– ცოლ-ქმრობა ლეგალიზებული გარყვნილებაა – იმასაც ამბობენ.

– მე მაინც შენი გრძნობა ხორციელ სიშმაგედ მიმაჩნია და არა ჭეშმარიტ სიყვარულად.

– მეგის დანახვისას ვნების ალი რომ შემომენთო და გონებას ბინდი გადაეფარა, ეს არაფერია?

– ეს უპირველესად ცოლის ღალატია.

– კარგი ერთი. რა გაიკვირვე – რომელი კაცი არ ღალატობს ცოლს? მეგი როცა დავტოვე, ასე მეგონა გული მასთან დამრჩა.

– ნუ იტყვი სისულელეს. როგორ დაგრჩა გული. ქუდი ხომ არ იყო, რომ დაგრჩენოდა. დარჩენა შეიძლება ნივთის და არა სხეულის ნაწილის. იცოდე, სარეცელი მალე დაამსხვრევს თქვენს უნაპირო სიყვარულს. გახსოვდეს, რაც ყოველდღე შესაძლებელია, ის სანატრელი არაა. როცა პირველი აღტაცება გაივლის, მიხვდები რა ტყუილად დაგინგრევია ოჯახი.

– იცი, წუხელ მთვარიანი ღამე იყო. ვარსკვლავები ისხდნენ ცაზე და რაღაცას ელოდნენ. მე მას ველოდი, მოუთმენლად, თვალების ცეცებით ველოდი.

– არ გინდა ეს მეტაფორული აზროვნება. მერე მოვიდა?

– არა. სად უნდა მოსულიყო.

– ლევან! შენ მორალურად მუდამ ძლიერი ადამიანი იყავი, ახლა რა მოგივიდა?! იცი, რა თქვა პატრიარქმა? „ქართველი ერის ღირსება ნამუსი და პატიოსნებაა. ერს სრულიად ზნეობის სიწმინდე გადაარჩენსო“.

– თუ სიყვარულის მორევშია ჩაძირული, იმას რა ეშველებაო, არ უთქვამს?!

– ზნეობრივი ზღვარი მიიღოს მხედველობაშიო... ლევან, ქალის ცბიერმა მომხიბვლელობამ და ღიმილმა არ უნდა დაგაბნიოს. შენ ცხოვრების ფერხულში უკვე ჩაბმული ხარ და ნუ აიწყვეტ, ვნების მატარებელი ჩაივლის იცოდე და მერე იმას ვეღარ მოაბრუნებ.

– დღემდე თავი ვალდებულად მიმაჩნდა, რომ მაღალი და სპეტაკი იდეალებით მეცხოვრა, დღეს რა მომივიდა არ ვიცი. წინ ხახადაღებული უფსკრული მეჩვენება. იმედგაცრუების მწარე ტკივილი მიღრღნის გულს. ჰიუგოს თქმისა არ იყოს, უზენაესის სამსჯავრო, სინდისის სამსჯავრო ყოფილა. მეგის მომაჯადოებელ ძალას ახლაც ვგრძნობ, არდასავიწყებელია მისი თვალების ელვარებაც, მაგრამ მაინც უნდა დავივიწყო...

ლევანს ცოლიც ებრალებოდა. მისი სულის სიღრმეში დაგუბებული სათნოება იღვიძებდა. მის მიმართ ლტოლვას აღარ გრძნობდა, მათ შორის, თითქოს, სიცარიელე ჩამომდგარიყო, მაგრამ იქვე იდგა პასუხისმგებლობის გრძნობა, პატიოსნებას ამოფარებული. იმასაც ხვდებოდა, რომ პირადი ცხოვრების შეცვლა არც ისე ადვილი იყო. დაბინდებული გონება კვლავ მეგის სიყვარულს უხმობდა, მის თვალებში კი ღრმა შინაგანი სევდა ბუდობდა.

– იცი ლევან, ადამიანი იმის მიხედვით ფასდება, რამდენად შეუძლია თავისი სურვილების მოთოკვა. – ეს კახაა.

– სწორი ხარ. მე ცოლ-შვილს ვერ მივატოვებ. ცხოვრება გაგრძელდება ტკივილითა და სევდით. ვერაფრით მივიკერებ იმ იარლიკს, უზნეობა რომ ჰქვია. ვიცი, ჩემი სიყვარულის მატარებელი ვერ ჩაივლის უმტკივნეულოდ. რა უფლება მაქვს მორალის უარყოფის. ვინ ვარ მე, ერთი პატარა ნამსხვრევი იმ დიდი ერისა, აღმაშენებელი რომ შვა, რუსთაველი რომ შვა, მეფე თამარზე

უნაპიროდ შეყვარებული რუსთაველი. იმანაც ხომ სძლია თავის თავს და დატოვა თამარი; მორალურ სენტენციებს, ზნეობას დაემორჩილა.

* * *

შინდისფერი ჩამოწვა. თითქოს ირგვლივ ყველაფერმა მოიწყინა. ნისლით გაჯერებული დილა იდგა. საავდროდ გამზადებული ღრუბლები გემზე მოფრიალე აფრებს ჰგავდა. დაზაფრული ქარი ხეებს ეხეთქებოდა. სევდით შრიალებდნენ ფოთლები. „ყველაფერი სიზმარივით გათავდა, რასაც გული მასზე დამიხატავდა“, ეს სალექსო სტრიქონები აეკვიატა.

გრძნობდა, რომ მეგის ნახვის სურვილი ოცნებაში ჩაიფერფლა. გაუჭირდა, მაგრამ მაინც უთხრა ბოლოს: – მეტი აღარ დამირეკო. თითქოს მილიონი ძაფით იყო დაკავშირებული მეგისთან და ეს ძაფები ყველა ერთბაშად გაწყდა. მისი ტვინის ხვეულებში შეიჭრა სიმართლე, მან დათმო სიყვარული და მონატრება, – შეაზანზარა. ქვეცნობიერი, ინსტიქტურ-კოდირებული რეფლექსი მეგისკენ რომ ეწეოდა, ჯერაც არ გამქრალიყო. დამუხტული სული ეხუთებოდა და მარტოობის საშინელი გრძნობა დაუფლებოდა. მისი ხილვა სიცოცხლეა ჩემთვის. ვიხილავ კი?!. ეს რომანტიკული განწყობილება სადღაც დაიკარგა, გაქრა. მერე იმის გახსენებამ, რომ მეგის აწი ვერასოდეს იხილავდა, კრუნჩხვის მომგვრელი ტკივილი მიაყენა.

* * *

ცხრათვალა მზე უხვად აფრქვევდა სხივებს და თავის ორბიტაზე განაგრძობდა მოძრაობას. ირგვლივ ფრთამალი ქარი დანავარდობდა. დაბინდული გონება კვლავ მის სიყვარულს უხმობდა, მეგი რომ ერქვა.

მეგის გულში კი ვნების მხურვალე კოცონი კვლავ გიზგიზებდა. ეტყობოდა, მარადიულ სიყვარულს ინახავდა მისი ყოველი განცდილი წუთი. მან კარგად უწყოდა, რომ წარსული მარადისობაში გამდინარე ჟამთა ბრძოლაა და მამაზეციერსაც არ შეუძლია მისი დაბრუნება.

მამუკა ოჩიაური

ისევ ასინათს

მთების გადაღმა მთვარე ჩადის ცქიოტად მნათი,
ისევ ლოდინი, გულს ეკალი დარდის მესობა
ჩემთვის გასულ წლებს მოუპარავთ, ის ასინათი
ძილშიც და ცხადშიც არ მასვენებს, მე უმისობა.

არ მიინავლა გულში ტრფობის მწველი ალები,
და არ გახუნდა იმ ხალასის ურიცხვი ფერი.
ეხ, ასინათო რად ვერ გხედავს ჩემი თვალები,
რად გამიხადე მზიანი დღე სულ ბინდისფერი.

გავყურებ შარას რომელ გზითაც გაუჩინარდი,
რომელმაც ალბათ ტრამალებში უხმოდ გატარა
ვით მყინვარს ნისლი, შესჩვევია ამ გულსაც დარდი
იქნებ გათხოვდი და კალთაში გიზის პატარა.

ხალისი მტოვებს, დარდი მიპყრობს, მტანჯველი ავი,
სხეულს ეცლება მიცემული უფლისგან ძალა
ეხ, ასინათო იქნებ ვინმემ შენი ნაწნავი,
თქვენს სარეცელთან, ალერსის დროს ჩუმად ჩაშალა.

და თმებს ჩამოშლილს, კუპრის ტევრად ყელთან და მხრებზე,
უხმოდ დავარცხნის შენი საქმროს ურცხვი თითები,
გწვავს კოცნის ალი ასინათო მაგ ბაგეებზე
და შენც ამ ვნების კოცონივით უხმოდ ინთები.

მე კი ამ მთებში ქარაფებთან დავეც კარავი,
და ასე ვცხოვრობ, დრომ მომტაცა შეყვარებული
ღამეს ვტეხთ ორნი, მე და ჩემი ძველი კალამი
ბარს ვუორგულე, ახლა მთებს ვარ შეფარებული.

მთების გადაღმა მთვარე ჩადის, ცქიოტად მნათი
მე ღამეს ვტეხავ სტრიქონებით ლექსები ვქარგე,
რად არ დაბრუნდა წარსულიდან ის ასინათი,
იქნებ არ მოვა, სამუდამოდ იქნებ დავკარგე?!

კვლავ გიცდი...

კვლავ გიცდი როშკას დევისფერ კლდესთან,
მდუმარედ ვუმზერ სოფელს და ჭალას
ნისლებს მოუნდათ შეხვედრა მზესთან,
ყელზე ახვევენ ქათქათა დალალს.

სადა ხარ, ნეტავ, გიცდი და გელი,
ვუმზერ ბარიდან მომავალ გზაწვრილს,
როშკის ჭიუხის დამზრალი ხელი,
ბერი ხევსურის მტევანს გავს გაწვდილს.

სადა ხარ, ლოდინს არ უჩანს ბოლო,
დახავსდა დარდი დანაძველები
სადახარ მუდამ მნათობის სწორო,
მოდი მოგხვიო წელზე ხელები.

ცივ მყინვარებთან ტბას ლოკავს ნისლი
და ამოჰყვება მთებს გაძარცვული,
ოცნების კოშკებს მინგრევ და მიშლი,
რად დამიზამთრე ეს გაზაფხული.

მოსვლა რატომღაც შეგაგვიანდა,
გულმა განგაშის ზარი დარეკა,
უღელტეხილის მდუმარე კართან
მოგვეგებება გულთბილად დეკა.

კვლავ გიცდი როშკას,
სავალ გზაწვრილებს
გაჰყურებს თვალი ვერ დაუღლელი,
დრო კი მოთმენის სიმებს აწვრილებს
და დაუსრულებ ნოტებზე მღერის.

სად ხარ ამ გულის თანაზიარო
ქარში ქანაობს ცირცელის ტოტი
მოდი, ეს მთები გადავიაროთ
იქ გვიმასპინძლებს ქალავ არხოტი!



ნოდარ ბასილაძე

მამაჩემი

მამაჩემი – ასლან ქემალის ძე ბასილაძე წერა-კითხვის უცოდინარი კაცი იყო. მას სკოლაში არ უსწავლია. მხოლოდ ხელის მოწერა იცოდა და მეტი არაფერი, ისიც ვინ ასწავლა, არ ვიცი, მაგრამ მას მათემატიკის საოცარი ნიჭი ჰქონდა. ორნიშნა რიცხვებს ზეპირად ისე გაამრავლებდა, რომ მათემატიკოსსაც შეშურდებოდა.

ცხადია, მამაჩემს თავის ცხოვრებაში არც ერთი წიგნი არ წაუკითხავს, მაგრამ ცხოვრების დიდი გამოცდილება ჰქონდა. იგი საუცხოოდ ფლობდა ბავშვთა აღზრდის ხალხურ პედაგოგიკას. არ უყვარდა შვილების განებივრება,ზედმეტი ფერება და ალერსი. ათასში ერთხელ თუ მოგვესიყვარულებოდა, ისიც, თუ დიდი ხნის უნახავი ვყავდით, შვილიშვილებს კი უფრო თბილად ეპყრობოდა. მისი პრინციპი იყო ხალხური გამოთქმა: „შვილი მტრულად გაზარდე და მოყვარედ გამოგადგებაო“. ხუთივე შვილს (ოთხი ვაჟი და ერთი ქალი) გვინერგავდა შრომის სიყვარულს, უფროს-უმცროსის პატივისცემას, გულწრფელობას, სამართლიანობას, ზრდილობას და სხვა მაღალზნეობრივ თვისებებს. ფიზიკურად არ გვსჯიდა, ცემა არ იცოდა, მაგრამ მის სიტყვას ყველა ჩვენგანისთვის კანონის ძალა ჰქონდა, სიტყვას ვერ შეუბრუნებდი.

ჩემი და ჩემი და-ძმების ბავშვობა დაემთხვა დიდი სამამულო ომისა და მის შემდგომ პერიოდს. მძიმე წლები იყო, ძალზე ჭირდა ცხოვრება. 1950 წლამდე ცხოვრება დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, ქვეყანა იშუშებდა ომის შედეგად მიყენებულ ჭრილობებს. ახლა ვიძახით, ცუდად ვცხოვრობთო, მაგრამ ახლანდელ ჩვენს ცხოვრებას ჩვენი ბავშვობის პერიოდს რომ ვადარებ, თავი სამოთხეში მგონია.

ერთხელ დედაჩემის დეიდა, რომელიც ჩვენს სოფელში იყო გამოთხოვილი და შვილი არ ჰყავდა, მოსულა ჩვენთან და მამაჩემისთვის უთქვამს: – წვრილშვილის პატრონი ხარ, გიჭირს მათი მოვლა, მოდი, ერთ-ერთი ვაჟი მომაშვილეო. მამას კი ასეთი პასუხი გაუცია მისთვის: – ჩემი შვილი, მშიერია თუ მაძღარი, ჩემთან უნდა იყოს, რაც შემიძლია, დაგეხმარები, მაგრამ შვილს ვერ შეველევიო.

დიდი სამამულო ომის თემასთან დაკავშირებით ერთ-ერთ ლექსში ვწერ, რომ იმ დროს ბევრ ჩვენგანს შიმშილით კუჭი გვიხმებოდა-მეთქი. „მაგრამ ჩვენ მაინც არ დავცემულვართ, სულით ძლიერნი ვიყავით მარად და გამარჯვებას მტერთან ბრძოლაში ჩვენც ვჭედდით შრომით მთასა და ბარად“.

დიახ, ასე იყო, მაშინ დიდი და პატარა, მოხუცი თუ ახალგაზრდა – ყველა შრომის ფერხულში იყო ჩაბმული – ქმნიდა მატერიალურ თუ სულიერ დოვლათს. მშობლები შვილებს შრომას არ გვარიდებდნენ. ხუთი-ექვსი წლიდან ყველა და-ძმა შრომაში ვიყავით ჩაბმული. მშობლებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად ზოგჯერ ორი საათის სავალ გზაზეც დავყავდით. დღევანდელ დღესავით მახსოვს, ერთხელ მეზობელმა მამაჩემს უთხრა ჩემზე: ამოდენა მანძილზე რომ მიგყავს ეს ბაღანა, მაგან რა უნდა გაგიკეთოს, დატოვე შინ და მეზო-

ბლის ბაღნებთან ერთად ითამაშოს, სადილს კი მისი ხელითაც ჭამსო. მამაჩემმა უთხრა: – კი ბატონო, დავტოვებ, მაგრამ რა გარანტია მაქვს, რომ მეზობლის ბოსტანში არ გადაძვრება და კიტრს არ მოიპარავს. ამისთვის მეზობელი არ მომივარდება და მეტყვის, შენმა შვილმა კიტრი მომპარაო და რადგან ეს პირველი ქურდობა შერჩება, შემდეგ უფრო დიდ რამეს მოიპარავს და მისგან ქურდი დადგება, ყანაში კი ცხოვრების ყადრს ისწავლის, შრომას და მშრომელ ადამიანს დააფასებსო.

ყანაში, მართლაც, ბევრ რამეს ვერ ვაკეთებდით, მაგრამ შრომაში დაქანცულ მშობლებს ხან წყაროს ცივ წყალს მოვურბენინებდით, ხან თოხსა და ბარს მივეძალებოდით და ასე ვსწავლობდით ცხოვრებას.

აქედან მოყოლებული თოხი და ბარი ჩვენი მუდმივი თანამგზავრი იყო, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ჩვენთვის სწავლაში. დღეს კი ზოგიერთი მშობელი იმ მოტივით, რომ შვილმა კარგად ისწავლოს, ათავისუფლებს მას საოჯახო-საყოფაცხოვრებო და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისგან, რაშიც ისინი აშკარად ცდებიან. მართალია, მოსწავლე ბავშვის ფიზიკური შრომით გადატვირთვა არ შეიძლება, მაგრამ მისი მთლიანად გათავისუფლება ამ საქმიანობისგან, დაუშვებელია. ბავშვმა ყველა საოჯახო საქმე სკოლამდელ ასაკში უნდა ისწავლოს. ამ ასაკში, როგორც ცნობილი კლასიკოსი პედაგოგები გვირჩევენ, არ უნდა განვასხვაოთ ქალისა და მამაკაცის საქმე. როგორც გოგონებს, ისე ბიჭებს უნდა ვასწავლოთ ოთახის დაგვა-დასუფთავება, აწყვეტილი ღილის მიკერება, თავიანთი წინდებისა და ცხვირსახოცის გარეცხვა, ფანჯრის რაფებზე ყვავილების მორწყვა, სუფრისა და ლოგინის გაშლა-ალაგება, რასაც ჩვენ, მეტწილად, დედა გვასწავლიდა.

სამწუხაროდ, საბჭოთა წყობილების დაშლის შემდეგ, შრომამ ჩვენში ფასი დაკარგა, უფრო მეტიც, სათაკილო საქმედაც იქცა. ბოლო წლებში არათუ ბავშვები, არამედ ზრდადასრულებული ადამიანებიც კი ამ მიმართულებით თითქმის არაფერს აკეთებენ. ადრე საკარმიდამო ნაკვეთის გარდა, საკოლმეურნეო ყანებსაც ვამუშავებდით, დღეს კი ბევრი ჩვენგანი საკარმიდამო ნაკვეთსაც არ ამუშავებს და ვაჭრობით ან საზღვარგარეთის ქვეყნებში მუშაობით ირჩენს თავს, სადაც ისეთ სამუშაოს ასრულებს, რომელსაც თავის ქვეყანაში თაკილობს.

ვაი, ჩვენო ქართველობავ!

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ მამაჩემს. იგი, როგორც აღვნიშნე, უსწავლელი კაცი იყო, მაგრამ ცხოვრების დიდი გამოცდილება ჰქონდა. მისი გონება გასაოცარი ალღოთი და სიღრმით ითვისებდა იმ დროის ყველაფერს. მისგან განაწყენებული კაცი არავის უნახავს, თუმცა სიმართლის თქმას, როცა საჭირო იყო, არ ერიდებოდა. სწავლის საშუალება რომ ჰქონოდა, ალბათ ასტრონომი გამოვიდოდა, საოცრად ეხერხებოდა ცის „რუკის“ კითხვა. დილით გახედავდა ცას და პატარა ღრუბლის ნაგლეჯიც რომ დაენახა, იცოდა, მას რა მოყვებოდა. ხშირად, დილით, მზიან ამინდშიც კი, იტყოდა: – დღეს საღამოს გაწვიმდება ან ქარი ამოვარდებაო და ა.შ. მისი დიაგნოზი, უმრავლეს შემთხვევაში, მართლდებოდა.

ჩემი მეუღლე – ლეილა გურგენიძე ერთხანს ამინდის ბიუროში მუშაობდა და ვეუბნებოდი, მამაჩემი თქვენზე უკეთ არკვევს მოსალოდნელ ამინდს-მეთქი.

ვინც მამაჩემს კარგად იცნობდა, მას ჩემი სიტყვები გადამეტებულად არ მოეჩვენება. მის მიმართ ჩემს სიტყვებში გადაჭარბების ნატამალიც არ არის.

შრომასთან ერთად, მამას უყვარდა თევზაობა და ნადირობა. მეზობლის კაცთან, ახმედ ცინცაძესთან ერთად, იგი ხშირად ბადით თევზაობდა აჭარისწყალზე, ზამთარში ნადირობდა ჩიტებზე. ერთი ძველი ფილთა თოფი ჰქონდა, რომელსაც „საჩიტე თოფს“ უწოდებდა და იმით ნადირობდა. ასევე ჰქონდა ძველი ბერდანა, რომლითაც, მეტწილად, მტრედებზე, კურდღლებზე და მხეცებზე ნადირობდა. განსაკუთრებით უყვარდა მტრედებზე ნადირობა. ერთხელ ერთი

გასროლით ოთხი მტრედი მოკლა, რაც უჩვეულო შემთხვევა იყო.

მამაზე წაბაძვით, მე და ჩემმა უფროსმა ძმამ ოსიკომაც შევიყვარეთ ნადირობა და ზამთარში ვნადირობდით შაშვებზე, ბოლოშავებზე, ჩხართვებზე, ჩხიკვებზე და სხვ. ამის შესახებ მე პატარა მოთხრობაც დავწერე, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინ გაზეთ „აჭარაში“ დაიბეჭდა სათაურით „ერთხელ, ბავშვობისას“ (2016 წლის 6-7 ოქტომბერი).

მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მამამ საკოლმეურნეო და საოჯახო შრომაში გაატარა. დღესაც მიკვირს, როგორ გვარჩენდა ხუთ სტუდენტ შვილს (ორი წლის განმავლობაში ხუთივე სტუდენტი ვიყავით), მას ხომ არც ხელფასი და არც რაიმე დახმარება არ ჰქონდა. ამას აკეთებდა იგი ისევ და ისევ თავისი დაუღალავი შრომით. მისი ძირითადი შემოსავალი იყო ხილის გაყიდვით მიღებული თანხა. მართალია, ოსიკოს გარდა, რომელიც პოლიტექნიკური ინსტიტუტის საღამოს განყოფილებაზე სწავლობდა, ყველა და-ძმას სტიპენდია გვქონდა, მაგრამ იგი სანახევროდაც არ გვყოფნიდა და ხშირად მამას ვაკითხავდით ბაზარში (იგი კვირაში თითქმის ორი-სამი დღე ბაზარში იყო), მაგრამ ხუთ მანეთზე მეტს არ მოგვცემდა. იტყოდა, მეტი რომ მოგცეთ, რესტორანში შეხვალთ, ხუთი მანეთი კი საამისოდ არ გეყოფათო. როცა გაგითავდებათ, მოდით, მე ყოველთვის ბაზარში ვარო. ჩემი აზრით, ეს იყო შვილების სწორი აღზრდის საუკეთესო გზა, რადგან „ფული სათავეა ყოველგვარი ბოროტებისა“ (ანატოლ ფრანსი).

ერთხელ მეზობლებთან ერთად, მამამაც გადაწყვიტა ქალაქ ყაზანში ვაშლის წაღება და გაყიდვა. მაშინ სოფელში სამანქანე გზა არ შემოდიოდა და მთელი ერთი კვირის განმავლობაში ზურგით გვიხდებოდა ვაშლის სოფ. დოლოგანში სამანქანე გზაზე ჩატანა, რომელიც ჩვენი სოფლიდან სამი კილომეტრითაა დაშორებული. დღეში ოთხ გზას ვაკეთებდით. და ეს ხდებოდა დეკემბრის მოკლე დღეებში. მახსოვს ისე ვიღლებოდი, რომ უკან მომავალს რამდენიმეჯერ გზაში სიარულში მძინებია, თანაც ისეთ გზაზე, რომ საკმარისი იყო ერთი ფეხი დაგცდენოდა და აჭარისწყალში ამოყოფდი თავს.

მამაჩემი მეტად ტრაგიკული ბედის ადამიანი იყო. ცხოვრებაში ბევრი ტანჯვა-წვალება ჰქონდა გადატანილი, დანტეს ჯოჯოხეთი ჰქონდა გამოვლილი. ბევრჯერ იდგა დღის წესრიგში მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი, მაგრამ მაინც არ ჩაუწყდა ბეწვის ხიდი და გადარჩა. მიუხედავად ამისა, მას ადამიანობა არასოდეს დაუკარგავს, არ გაბოროტებულა და ბოლომდე ბავშვურად ერთგული, გულუბრყვილო და უშუალო დარჩა.

ერთხელ ლობიოს სარებს წვერს უთლიდა წალდით. უცებ წალდი მაღლა რაღაცას წამოედო, მიმართულება შეიცვალა, მარცხენა ხელის მაჯაზე დაირტყა და ვენები გადაიჭრა, სისხლი თქრიალით წამოვიდა, მაგრამ მარჯვენა ხელით შეაჩერა სისხლის დენა და ასე მოვიდა შინ. შემდეგ იგი არც ექიმთან წასულა და არც ვინმე დახმარებია ამ საქმეში, თვითონ მოირჩინა. მას ხალხური მკურნალობაც ემარჯვებოდა, განსაკუთრებით ნაჭრილობევისა.

ერთხელაც, მეზობლის ბიჭი ისიდორე კობალაძე მდინარე აჭარისწყლის მარცხენა ნაპირას საკოლმეურნეო მინდორს ხნავდა გუთნით, რომელშიც ცხენები იყვნენ შებმული, მამა კი ცხენების წინამძღოლი იყო. უცებ ცხენები დაფეთდნენ, მთელი ძალით მოკურცხლეს და ავშარაზე დაკიდებული მამა გააქროლეს. აქეთ-იქით ცხენები იყვნენ, უკან კი გუთანი, როგორც იტყვიან, წინ წყალი და უკან მეწყერიო, ისე იყო მისი საქმე. აშკარა სიკვდილის საფრთხე ემუქრებოდა, მაგრამ, მისდა საბედნიეროდ, 300 თუ 400 მეტრის გარბენის შემდეგ, გუთანი მოწყდა, მამა კი პატარა თხმელის ხეს მიენარცხა მკერდით და გონება დაკარგა, ცხენებმა ხეს აქეთ-იქეთიდან ჩაუქროლეს და განაგრძეს გზა. ასე სასწაულად გადაურჩა იგი სიკვდილს. ამ დროს იგი 75 წლის იყო. ამას რომ ვიხსენებ, ტანში ჟრუანტელი მივლის. განა ადვილია, საკუთარი თვალებით ხედავდე სიკვდილს და მშველელი არავინ იყოს?

ღმერთმა ყველა დაიფაროს ასეთი შემთხვევისგან, მოყვარეც და მტერიც!

სიცოცხლისთვის ასეთი საშიში შემთხვევა სხვა დროსაც ჰქონია მამას. 80 წელს გადაცილებულმა, დაიწყო გოდრების ქსოვა და თავს ამით იქცევდა. ერთხელ კი საგოდრე მასალის მოსატანად ჩასულა სოფლის ბოლოს ჩვენს ყანაში. ყანის ბოლოს ღელე ჩადის და დიდი ხრამია. აქ იგი დაგორებულა, ფეხი მოუტეხია და კლდის თავზე თითქმის მთელი დღე ბარდებში გახვეული თხილის ბუჩქზე დაკიდებული ყოფილა. ჩვენი პატარა ძმა თემური სკოლიდან საღამოს დაბრუნებულა შინ და მეუღლისთვის უკითხავს, მამა სად არისო (დედა უკვე მაშინ ცოცხალი არ იყო), მაგრამ მისი ასავალ-დასავალი არავინ იცოდა. ერთ-ერთ მეზობლის ქალს უთქვამს, სადილობისას წალდით ხელში სკოლის წინ ქვემოთ მიუყვებოდაო. თემური მიმხვდარა, რომ იგი ყანაში იქნებოდა წასული გოდრისთვის თხილის მასალის ამოსატანად და მეზობლებთან ერთად მაშხალებით დაუწყიათ ყანაში ძახილი და ძებნა. ბოლოს, როცა იმედგადაწურული შინ დაბრუნებას აპირებდნენ, ერთ მეზობლის კაცს დაუჩემებია თურმე, რომ ღელის თავზე ტურების ვიწრო გზა-ბაწარა არის, იქაცაა თხილებიო და მოდი, იქაც ჩავიდეთო. და როცა რამდენიმე ნაბიჯი ამ გზით გადაუდგამთ, კვნესის ხმა გაუგონიათ (მთელი დღის ძახილით ხმა უკვე ჩავარდნოდა). რის ვაივაგლახით ამოუყვანიათ იქიდან. მეორე დღეს თემურმა დამირეკა და ეს ამბავი შემატყობინა. მაშინ მე მანქანა „ჟიგული“ მყავდა და ბათუმში ჩამოვიყვანეთ. ქალაქის პოლიკლინიკაში ტრავმატოლოგმა, რომლის გვარი არ მახსოვს, ჩაუწყო მენჯში ირიბად გადატეხილი ძვალი და ორ სხვა მასავით ფეხმოტეხილ ახალგაზრდასთან ერთად იწვა პალატაში. პირველივე მისვლისთანავე რენტგენის სურათი ვნახე და არ მომეწონა, რადგან გადატეხილი ძვალი სწორად არ იყო შეწყობილი. როცა ამის შესახებ ექიმს ვუსაყვედურე, მან მითხრა, შეცდომა მოგვივიდა და ახლა მაგის მოშლა და ხელმეორედ ჩაწყობა არ ივარგებს, ყავარჯნით სიარულს შეძლებს, საკუთარ თავს მიხედავს და გირჩევ, არ მომაშლევინოო.

მართლაც, ამის შემდეგ მამამ სამი წელი იცოცხლა და ყავარჯნით დადიოდა.

ერთხელაც, ნაწვიმარზე, როცა თემური სკოლიდან დაბრუნებულა, დაუნახავს, მამას ცალ ხელში ყავარჯენი უჭირავს, ცალში კი – ბარი და სახლის წინ ბაღჩაში სიმინდის პატარა ნერგებს რგავს და მახრის მიერ გაჭრილ ცარიელ ადგილებს ავსებს. თემურს როცა უსაყვედურებია, მამას უთქვამს: – აბა, რა ვქნა, ვიჯდე ოთახში და სიკვდილს ვუცადო, რაღაცა მეც ხომ უნდა გავაკეთოო. ასე ვერ უძლებდა იგი უსაქმოდ ყოფნას და ყოველთვის რაღაც თავშესაქცევს ეძებდა.

აქვე მინდა მამის შესახებ კიდევ ერთ დეტალს გავუსვა ხაზი. იგი იყო მეტად უდრეკი და უშიშარი კაცი, პრინციპული და შეუპოვარი, წამოწყებულ საქმეზე ხელის აღება და უკან დახევა არ ჩვეოდა. ეს ყველაზე მეტად გამოვლინდა 1939 წელს, როცა სოფელში კოლმეურნეობა ჩამოყალიბდა. მაშინ მას უკვე ოთხი მცირეწლოვანი შვილი ვყავდით. ამიტომ გადაწყვიტა მშობლებსა და და-ძმებს გამოყოფოდა და ცალკე ცხოვრება დაეწყო. იქვე სოფელში მამაპაპისეული სახლიდან 200 მეტრში იყო ჩვენი კუთვნილი 3000 კვადრატული მეტრი მიწა. იქ მან პატარა ფაცხა ჩადგა და საცხოვრებლად გადავედით, თუმცა მე და ოსიკო არ გავყოლილვართ და ბებიასა და ბაბუასთან ვიზრდებოდით, სადაც დავიბადეთ და შეჩვეული ვიყავით ცხოვრებას. შემდეგ მამას ამ ადგილის გასაფორმებლად იმდენი დავა და სასამართლოში სირბილი დასჭირდა, იმდენ უსამართლობასა და უკანონობას წააწყდა, რომ ბევრი ამას ვერ გაუძლებდა და თავის განზრახვაზე ხელს აიღებდა, მაგრამ იგი არ შეუშინდა არავის, არაფერს და დასახულ მიზანს მიაღწია. ახლა ამ ადგილას თემური ცხოვრობს.

ზემოთ მამაჩემის მიერ ცხოვრების საუცხოოდ ცოდნა ვახსენე. იგი ჩვენ, უმაღლესი განათლების მქონე შვილებს, გვჯობნიდა ზოგიერთი ცხოვრებისეული საკითხის გარკვევაში. მე, მაგალითად, ვერავინ დამარწმუნებდა, რომ საბ-

ჭოთა კავშირი დაიშლებოდა და კომუნისტები არ იქნებოდნენ ჩვენი ცხოვრების სათავეში, მამაჩემი კი შვილებს ჯერ კიდევ გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში გვეუბნებოდა: მე უკვე მოვხუცდი, მალე საიქიოს ბინადარი გავხდები, სადაცაა საბჭოთა კავშირი დაიშლება და „კერძოობა“ შემოვაო (ასე ეძახდა იგი კერძო საკუთრებას), სანამ ცოცხალი ვარ და ფეხზე დგომა შემიძლია, გამომყევით და განახებთ, სადაა ჩვენი ტყე და ყანებიო. მე ვეუბნებოდი, რას ამბობ, მამი, მაგი ვინმესთან არ წამოგცდეს, თორემ მაგისთვის ციხეში გიკრავენ თავს-მეთქი; ტყე და ყანები სახელმწიფოსია და ჩვენ ვინ მოგვაშავებს-მეთქი, მაგრამ იგი მტკიცედ იდგა თავის აზრზე, ღრმად სწამდა, რომ ადრე თუ გვიან საბჭოთა ხელისუფლება დაიშლებოდა. ამას იგი, სამწუხაროდ, ვერ მოესწრო, გარდაიცვალა 1991 წლის იანვარში და ერთი წელიც არ გასულა, რომ მისი ოცნება რეალობად იქცა. მაგრამ კერძო საკუთრება სულაც არ დარჩა ისეთი, მამაჩემს რომ წარმოედგინა. დღეს ბევრი სოფლელი ქალაქშია გადახვეწილი და ყანებს კი არა, საკარმიდამო მიწის ნაკვეთებსაც არ ამუშავებს. სოფელი ჩვენში, ფაქტობრივად, არ არსებობს და იგი ქალაქიდან მარაგდება საზღვარგარეთიდან შემოტანილი საქონლით, პირიქით კი უნდა იყოს.

მამაჩემი უზომოდ იყო შეყვარებული სოფელზე. მისთვის მთელი ქალაქი რომ მიგეცა, იგი სოფელს არ დატოვებდა. შვილებსაც ამას გვირჩევდა, სოფელი არ დატოვოთ, დადგება დრო და უკან მოიხედავთო. სიკვდილამდე ერთი წლით ადრე, 80-იანი წლების მიწურულს ვუთხარი, შენ რომ გვეუბნებოდი, ის დრო უკვე დადგა, ქალაქში ცხოვრება გაჭირდა-მეთქი. ჯერ სადა ხარ, შვილო, ამაზე უფრო გაჭირდება ქალაქში ცხოვრებაო, რასაც მე ვერ წარმოვიდგენდი. მართლაც, 90-იან წლებში, კუპონების პერიოდში, ჩვენი ცხოვრება განა ცხოვრება იყო?

აი, ასეთი შორსმჭვრეტელი და წინდახედული კაცი იყო მამაჩემი, ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული! ამინ!

ᲞᲝᲔᲖᲘᲐ

ᲒᲝᲔᲗᲔ

* * *

ღამეულ მწუხრში
მინაბულან მთის მწვერვალები,
მშვიდი ხეობა
ავსებულა სინედლის გზნებით,
გარინდულ ტყეში
აღარ ისმის ფრინველთა ხმები,
ურჩმა სიომაც
მიატოვა ნავარდი ნებით...
სულ ცოტა კიდევ...
იყუჩე და შენც დამშვიდდები.

Ვ. ᲰᲘᲣᲒᲝ

ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ

მეფე რომ ვიყო, მოგიძღვნიდი სრულად სამყაროს,
ტახტრევანს, სკიპტრას, მორჩილებას დაჩოქილ ხალხთა,
ჩემს ოქროს გვირგვინს და პორფირის ჩემს აბაზანას,
ზღვა რომ ვერ იტევს – მოგიძღვნიდი ჩემს ფლოტსაც, ქალო,
ერთხელ გეტყორცნა ისარი თვალთა!

ღმერთი რომ ვიყო, ზღვას და ხმელეთს შენ გაჩუქებდი,
ანგელოზებსაც და ჩემს მორჩილ დემონებს ბოროტთ,
მიწისქვეშეთის საუნჯეებს ფერხთ დაგიფენდი,
მარადისობას, ზეცას, სივრცეს, სამყაროს ფერებს
გავიმეტებდი შენს საამბოროდ!

გ. აპოლინერი

შენი თვალების ტბაში

ეს ჩემი გული – უბედური, განაწამები,
ჩაიყოლია უძირო ტბამ შენი თვალების
და ფლეთს და ჯიჯგნის უმწეო მსხვერპლს გიჟური ვნების
მელანქოლია და უღონო მოგონებები.

ი. კუპალა

ნუ ეძებ

შენს ბედს და იღბალს ნუ ეძებ სხვაგან –
უცხო ველებზე თუ ტყეში, რადგან
ის ყველაფერი, რაიც შენია,
სხვათა ტევრს და ზღვებს არ შერჩენია...
შენს ბედს და იღბალს ნუ ეძებ სხვაგან!

ყველაფერს ნახავ აქ, სადმე ახლოს,
სად დედის ლანდი მუდმივად სახლობს,
სად გიმღეროდა ნანინას ლხენით,
სადაც დაირწა აკვანი შენი...
ოღონდ შეძელი, რომ მიეახლო!

ნურც მეგობრების დაიწყებ ძებნას,
ნუ გსურს უცხოთა, ბოროტთა ხლება,
ხიბლი ქალაქთა, სრასასახლენის,
პანების მშვიდი ცხოვრების, ლხენის –
იქ ნუ დაიწყებ მეგობრის ძებნას!

შენ მათ იპოვნი მახლობლად სახლის,
სად ბავშვობაში მწყემსავდი ნახირს,
სად სიყმაწვილე შენი ელავდა,
სად ყოველ დილით ბალახს ცელავდი...
ოღონდ შეძელი, ეძებო ახლოს!

სხვაგან ნუ ეძებ სამშობლოს, ძმაო,
ნუ ედევნები ქარებს ამაოს!
ნუ ეძებ უცხო ხმელეთზე, ზღვაში,

ნუღარც ლხინში და ნუღარცა ჭირში –
სხვაგან ნუ ეძებ სამშობლოს, ძმაო!

შენ მას ძალიან ახლოს მიაგნებ,
როგორც პოულობს ტყეებს ნიავი,
თუ ჩაიხედავ საკუთარ გულში,
თუ ჩაიბუდებ ამ სურვილს სულში,
სამშობლოს შენსას ახლოს მიაგნებ!

ფრ. პეტრარკა

სონეტი №2

მე სიყვარული არად მიჩნდა, ვიყავ ეული,
მაგრამ ამურმა მოიმარჯვა მაშინ ისარი,
შურისძიებით ანთებოდა გულისფიცარი,
რადგანაც ჩემი სიყვარულით იყო სნეული.

თუმც გული მქონდა მაგარი და სალი, კლდეული
და ნება ჩემი ერთადერთი იყო მიზანი,
მაგრამ ამურის ისრის სუსხი აქაც ვიცანი,
სად ყველა გრძნობა აქამდისაც იყო ძლეული

ამ დაძგერებით შეძრულ გულს კი სად ჰქონდა ღონე,
შებრძოლებოდა ყოვლისშემძლე ძალას ისართა!..
როგორ შეეძლო, ყოფილიყო ჩემი გამგონე

ან იარაღით, განრიდებით, ანდა მისანთა
მოშველიებით დავეხსენი, ტანჯვის არმქონე...
ახლა კი ცდილობს, თუმც შორსაა ძალზე მიზანთან.

ე. დიკინსონი

გულო, ჩვენ მას დავივიწყებთ

შევძლებთ, გულო, დავივიწყებთ
ამაღამვე ერთად!
შენ ის სითბო დაივიწყე,
რაც მან გაიმეტა,

მე მის ნათელს მივივიწყებ,
არ ვინატრებ ფიქრშიც,
ოღონდ ყოყმანს ნუ დაიწყებ,
თორემ მახსოვს იგი...

ა. ქარადაღი

ჩიტები, ქუჩები, ადამიანები

გადაფრენისას იღლებიან, ნეტავ, ფრთოსნები?
მე კი დამღალა საკუთარი თავის სიშორემ.
ისინი ერთად ათასია, მე კი ოცნების
დავკარგე ნიჭი, მარტოობას ველარ ვიშორებ...
სახეტიალოდ მრვალია ქუჩები ერთობ –
უკანა ქუჩა, ქუჩაბანდი, მერე – ჩიხები...
იმათ რომ აწვიმთ, მე ცვარის კი არ მხვდება წვეთიც,
გადაიკარებს, მე კი მუდამ აქვე ვიქნები.
რაც ახლოს მიველ, უფრო მეტად რატომ მიგანეს?
ყველა მათგანი შორეული ტაძრის დარია;
ისინი ტურფა ვარდობისთვეს მივამგვანე და
ჩემი თავი კი – შემოდგომას, ისიც ავდრიანს...
იმათ სათქმელი ჰქონდათ, მე კი, დარდის მთოვარი,
ჩემი ბავშვობის მოგონებებს უხმოდ ვბარდები...
მაინც რა დამრჩა ამ ქალაქში ღირსსახსოვარი –
ჩიტები? ხალხი? იქნებ სწორედ ქუჩაბანდები?
და მე, საკუთარ თავისაგან გამოქცეული,
ვარსებობ, ვცხოვრობ, ჩაფიქრებას ხანდახან ვბედავ;
დავალ ეული, დამფრთხალი და სულარეული...
ნუ გამაღვიძებ აისის ჟამს, ამას გთხოვ, დედა!

მ. მაჰზუნდოღანი

დედაჩემი მკათათვეში

მკათათვე იყო,
დედაჩემმა რომ მიიძინა...
მაშინ ოქროსფრად ელვარებდნენ პურის ყანები,
არსთაგამრიგემ ზესთასოფელს რომ გაუყენა
მივიწყებული ჩვენი სოფლიდან...
ჩვენი სამზადის სარკმელი კი იძვროდა ნელა –

ეთხოვებოდა ჩამქრალ თვალებით...
და მამაჩემიც გამოერკვა მაშინ ძილიდან,

თურმე, კოშკურის ცივ მინაზე
მიადო თავი
(სხვას რას იზამდა ჯარისკაცი, გუშაგად მდგარი!)
და გაახსენდა დედაჩემი – ძვირფასი ქალი.
გული ჩააწო
მთვარის შუქის მელანში მაშინ,
გულით დაბეჭდა
ღამეული უჟამო ჟამი...

ჩაიხრიგინეს ვაგონებმა კოშკურის გვერდით,
როს მკათათვეში დედამიწა დაობლდა დედით...

ალ. პუშკინი

მე თქვენ მიყვარდით

მე თქვენ მიყვარდით... ჩემში ეს გზნება
ალბათ, ბოლომდე არც დანაცრულა;
თქვენ არ ინაღვლოთ, ეს აღსარება
აწ აღარაფერს გავალებთ სულაც.

მიყვარდით ნაზად, უხმოდ, გულწრფელად...
იმ სატანჯველით მე დღემდე ვხარობ
და უფალს შევთხოვ, ისე ძლიერად
ოდესმე სხვამაც რომ შეგიყვაროთ!

მ. ლერმონტოვი

* * *

როს იღიმები, ნანატრო ქალო,
გული მზის სხივით გადამევსება
და მაშინ მინდა, გადმოგიშალო
რასაც ეს გული მეჩურჩულება.

როცა ვიგონებ დღეებს გარდასულს,
(მინდა, გაგენდო, იცოდე, მინდა)

ვწყევლი, თან ვლოცავ და ვიწამებ სულს –
თვალთაგან ცრემლი მოწვეთავს წმინდა,

რადგანაც, ჩემო, თუ არ მოგელი,
შენი მგზნებარე მზერის გარეშე,
ვით ცა უღმერთოდ, ვარ ცარიელი,
სევდა-ვარამი მომითარეშებს.

ეს ახირება სულს შერჩენია –
ხო, სანატრელო, იმ დღეებს ვლოცავ,
ბედნიერებად ის დრო მჩენია,
როცა გულს მტკენდი, მტანჯავდი როცა.

ლევმეი

შობა

რა დრო იყო და რა აცხადება
წინასწარმეტყველთ სიტყვების ყოვლის! –
ზეცით მოფრინდა ანგელოზთ წყება,
აღმოსავლითგან – ვარსკვლავთა ხომლი!

სამყარო დიდხანს ელოდა მხსნელს და
ღარიბ ბაგაში, ბეთლეჰემს შინა,
ედემის ტკბილი ჰანგი რომ სდევდა,
ნანატრი ჩვილი გამოაბრწყინა!

ს. ნოვიკი

შემოდგომა

შემოდგომაა, ოქროსფერი მეფობს მიწაზე,
სიხარულსა და სიმშვიდეს თესავს.
ჩამოიღვენთა რა ხანია, ღრუბელთ სინაზე,
წეროთა გუნდი მიხაზავს ზეცას...

რა ლამაზია ნაწნავებში ჩაწნულ – ჩადნობილ
ვერცხლისფერ სხივთა შუქი მზიური!
რა ლამაზია ლაჟვარდოვან ზეცის ტატნობი! –
ირგვლივ სიჩუმე მეფობს ღვთიური...

და ტყის ბილიკებს თბილს, სასურველ ფიანდაზს თითქოს,
დავემგზავრები მე ნება-ნება;
შემოდგომა კი ღიმილით და თავაზით მიხმობს,
ტყის პაემანზე მეპატიჟება.

ეს სილამაზე შეუქმნია, ნეტავ, რა ხელებს!
თვალწარმტაცია ბუჩქიც დ ხეცა!
დედამიწა კი, ოქროსფერით თვალს რომ ახელებს,
რა უშურველად მოხატა ზეცამ!...

ი. სევერიანინი

ყველ ერთსა და იმავეს უბნობს

მონასტრის ბაღის მწვანე უბეში
ბულბულები, ვით მგოსანნი ყველა,
ხმობენ, არისო ქვეყნად ნუგეში,
მას სიყვარული ჰქვია სახელად.

მონასტრის ბაღის ყვავილთა დასი
სურნელთ ფიანდაზს გვთავაზობს ნაქებს
და ხმობს: ჯილდოა უზენაესი –
სასიყვარულო იგემო ბაგე.

ტბები მონასტრის, ტყეების ბადე –
სავანე ცისფერ მტრედების გუნდთა –
უბნობენ: არ არს სხვა სილაჟვარდე
თვინიერ მზერის შეყვარებულთა.

რ. როჟდესტვენსკი

* * *

სიყვარულს ჩემში სძინებია მრავალი წელი,
ეს სიტყვა ჩემთვის იყო მუნჯი, არაფრისმთქმელი;
ის დროს ელოდა – უჩინარი, ღრმად ჩამალული,
გამოიღვიძა და მომაპყრო თვალები მწველი.

ახლა მე არა, სიყვარული ამღერდა ჩემში,
მისი ექოა, მთელ სამყაროს რომ ეფინება!

მოვიდა იგი, როგორც მოდის აისის ეშხი,
სიყვარულია, ხან რომ ვტირი, ხან მეცინება...

და აი, ჩემ წინ გადიშალა მთელი პლანეტა...
არ განელდება, ვითარცა მზე, ეს სიხარული!
ვერ გაექცევი ამ ცეცხლის ალს – მწველსა და ნეტარს,
საცა გინდ იყო, დაგეწევა შენ სიყვარული!

სიყვარულს ჩემში სძინებია მრავალი წელი,
ეს სიტყვა ჩემთვის იყო მუნჯი, არაფრისმთქმელი;
ის დროს ელოდა – უჩინარი, გადამალული,
გამოიღვიძა და მოაპყრო თვალები მწველი.

ბ. პასტერნაკი

* * *

მძიმე ჯვარია ზოგის ტრფიალი,
შენ კი – მარტივად ლამაზი ქალი;
სიმშვენიერის შენის ციალი
ყოფნა-არყოფნის არაკი არი.

გაზაფხულს მოაქვს სიზმართა ცხადი
ჭეშმარიტების შრიალის ჩენით;
შენც ამგვარი ხარ – როგორც ლაჟვარდი,
უანგაროა ფიქრები შენი.

იღვიძებდე და იყო ფხიზელი,
გულს არ შეახო ბილწი და ბნელი;
მერე იცხოვრო ასე უზადოდ,
თურმე, არც ისე ყოფილა ძნელი!

ს. ესენინი

* * *

ლურჯი ღამეა მოციმციმე მთვარის იერით,
ერთ დროს მეც ვიყავ ახალგაზრდა და სახიერი.
მოუხელთებელ, დაუოკარ დრო-ჟამს ვერ ვდიე,
გულიც განელდა და ციალმაც უგანა თვალებს,
მოაკლდა ხიბლი ლურჯ სიხარულს, მთვარიან ღამეს...

რ. კაზაკოვა

* * *

გადაიქროლეთ?
ო, წლებო, წლებო!..
ანდა, იქნება აქვე ხართ ჯერაც?
ვით დავიჯერო, იადონებმა
მოიწყინეს და შეწყვიტეს სტვენა!

იყო კაშკაშა დღეების წყება,
თუმც ყველაფერში – ბნელშიც და მნათშიც –
ის, რაც ტკბილ-მწარედ მომაგონდება,
მიყვარს ყოველი მისხალი მათი.

რა ბედენაა, ცხელა თუ ცივა,
შრომაც, გართობაც არის ადვილი...
თუმცა სიკვდილი ყურთან მიწივის,
ბავშვის გაჩენის კვლავ მწვავს წადილი!

და ნუ ჩამითვლით ცოდვად, დიადი
ჟამთასვლის წინ რომ ასე ვყმაწვილობ...
გაზაფხულისკენ შემოვტრიალდი
და, იქნებ, ასეც არის საჭირო!

ვლ. ვისოცკი

ნიღბები

ვხარხარებ ძალით, ვტაკიმასხარობ –
ასეთი როლი შემომთავაზეს:
მოღუნულ ცხვირებს, დაკრეჭილ კბილებს –
რას არ შეხვდებით ამ კარნავალზე!

შემომეხვია გრძნეულთა ტალღა,
ვეღარ მოვასწარ უკან დახევა.
უტყუარ ნიღბად მიიღეს, ალბათ,
ჩვეულებრივი ჩემი სახება.

ციალებს ირგვლივ ათასი ფერი,
გვიანღა არის კბენანი ნეკზე;

მიკიჟინებენ – ტაქტს ვერ ავყევი,
რომ პარტნიორებს ვაბიჯებ ფეხზე.

როგორ მოვიქცე? მოვკურცხლო? იქნებ
დავრჩე და მათთან ვიმხიარულო?...
მხეცთა ნიღაბქვეშ ალბათ რამდენი
კაცური კაცის სული მარხულობს!..

ჩამალულია ნიღბებში ყველა –
ზღაპრებისა თუ იგავთა გმირი...
ეს – არლეკინი, ის კი – ჯალათი,
ყველა მესამე – ნამდვილად ვირი!

ერთი იფერებს ურცხვად თეთრ ფერებს,
სხვამ კი ნიღაბქვეშ მალვა არჩია;
ვიღაცამ სხვისი ნიღბისგან მერე
თავისი სახე ვერ გაარჩია.

...და მეც ვებმები ფერხულში, თუმცა
არ იქნა, მაინც ვერ მოვისვენე:
რომ მოეწონოს ვინმეს ჯალათის
ნიღაბი და არ მოიხსნას მერე?

არლეკინს მართლა რომ მოეწყინოს
და სამუდამოდ მწუხარე დარჩეს?
ვინმე სულელმა კარნავალს მერეც
რომ დაიტოვოს ჭკვიანის სახე?

კეთილ სახეებს შევიცნობ როგორ,
პატიოსანი ვით გავარჩიო?
დღეს ხომ ნიღბები ყველამ მოირგო
ნამდვილი სახის გადასარჩენად!..

მგონი, გავუგე ნიღბებს მუღამი
და ჩემი დასკვნაც არის უცილო:
ამ გულგრილობის ნიღბით ცდილობენ,
ფურთხი და სილა რომ აიცილონ.

მთარგმნელი **თინა შიოშვილი**

გაიანე ვოლოსიანი

ჩემი უკანასკნელი სარძევე კბილი

მოუთმენლად ველოდი, თუ როდის მომექანებოდა მორიგი სარძევე კბილი, რადგან ამას მთელი ცერემონია მოჰყვებოდა, რომელიც ჩვენს ოჯახში დაურღვეველ წესად იყო უკვე დამკვიდრებული. ... კბილის მოქანების ამბავი პირველად მამას უნდა გაეგო. მე მამასა და ტელევიზორის ეკრანს შორის ვდგებოდი, მომხდარისათვის უფრო მეტი მნიშვნელობა რომ მიმენიჭებინა, უსიტყვოდ ვაღებდი პირს და ენით საზეიმოდ ვაწვებოდი მოქანებულ კბილს. – მოიტა ბავშვის კბილის კოვზი, – მიმართავდა მამა დედას. „კბილის კოვზად“ წოდებული ერთი ტარმოჩუქურთმებული ვერცხლის კოვზი იყო, რომელსაც მხოლოდ კბილის მოქანების შემთხვევაში თუ ამოიღებდნენ უჯრიდან. გარდა ამისა მხოლოდ მამას ჰქონდა უფლება შეემოწმებინა თონის დანთების დრო იყო ნამდვილად, თუ არა. დედაჩემი გამოაღებდა სამზარეულოს თეთრი კარადის ზედა კარს, ამოიღებდა ვერცხლის კოვზს და მამას მისცემდა. მამაჩემი კოვზის ტარით ფრთხილად მიაწვებოდა მოძრავ კბილს და იტყოდა: – კვირამდე კარგად მოფამფალდება, კვირას თონეს გავაჩაღებთ. ამით იწყებოდა ჩემი ტანჯვა. არა და არ დგებოდა კვირა. თენდებოდა და არ ღამდებოდა. ბოლოს და ბოლოს შაბათ საღამოს მე და დედა ვირჩევდით მეორე დღისთვის ჩასაცმელ კაბას, ბაფთებს, ფეხსაცმელებსა და წინდებს... ჩვენი სახლი პატარა იყო და ერთსართულიანი. თონე ჩვენს ქოხთან უფრო ახლოს იდგა, ვიდრე ბიძაჩემის ორსართულიან ქვის სახლთან. ჩვენ და ბიძაჩემი ვცხოვრობდით ერთი დიდი ბაღის სხვადასხვა კუთხეში აშენებულ სახლებში და პატარობისას მიძნელდებოდა გარჩევა, რა იყო ჩვენი და რა ეკუთვნოდა ბიძაჩემის ოჯახს. მხოლოდ მე მქონდა ნება დართული ისე დამერღვია ყველა საზღვარი, გამეთელა ბოსტანის ყველა კვალი და დამეტეხა ყველა მსხმოიარე ხილის ტოტი, როგორც მე მსურდა. რაც შეეხება თონეს, ის ხომ მთლიანად ჩემი იყო და ჩემი. უპირველეს ყოვლისა ეს თონე ყლაპავდა ყველა ჩემს სარძევე კბილებს, გარდა ამისა, ქათმების საბუდრისაკენ მიმავალი გზა თონეს გვერდს ჩაუვლიდა, მე კი თოხლოდ მოხარშული კვერცხი ძალიან მიყვარდა. კვირა დილით უთენია კვამლის მწკლარტე სუნი და ჩემი აცრემლებული თვალები მაღვიძებდნენ. ამჯერად ხმელი ფოთლები და წკირები, რომლებსაც თონეში ტკაცა-ტკუცი გაუდიოდა უსიამოვნო შეგრძნებას არ იწვევდა ჩემში. მე სხვა დანარჩენი დღეებივით აღარ ვნებივრობდი საწოლში, წამოვხტებოდი და ღამის პერანგით მივრბოდი თონისკენ მამაჩემთან და ისიც აალებულ თონესთან მდგარი სწრაფად ხელში ამიტაცებდა. ...მამაჩემი აუწერელად ლამაზი იყო. შავი ფართო თვალები ჰქონდა, მშვილდივით წარბები, ხორბლისფერი, უზადო კანი, სწორი, ლამაზი ცხვირი და ამობურცული ტუჩები. მართალი რომ ვთქვა, მე ეს ყველაფერი აღარც კი მახსოვს, დედაჩემის მონაყოლიდან ვიცი. აბა ხუთი წლის ბავშვს საიდან აქვს იმის შეგნება შეაფასოს მამამისი ლამაზია თუ

არა? დედაჩემი მიყვებოდა, რომ მამას მშვენიერი, ხავერდოვანი ხმა ჰქონდაო. მე მახსოვს, თუ როგორ მღეროდა ის ჩემს დაბადების დღეებზე და ისე, ყოველგვარი მიზეზის გარეშეც. ღამღამობით მიმღეროდა, რომ დამეძინა. სიტყვებიც კი მახსოვს „მგელს ერგოს წილად გული ჩემი, მხოლოდ დედაჩემს არ მოესწროს სიკვდილი ჩემი“, – მღეროდა მამა. – დღეს უნდა ვიმღეროთ, მეტყოდა თონესთან მდგარი. მერე ძირს ფრთხილად ჩამომსვამდა და მეც ხტუნვა-ხტუნვით გავიქცეოდი სახლისკენ, ჩავიცვამდი ლამაზ, საზეიმო კაბას, წინდებს, ფეხსაცმელებს... მერე კი, დედაჩემთან ხელჩაკიდებული, მორთულ-მოკაზმული ვბრუნდებოდი თონესთან, სადაც უკვე თავი მოეყარათ ბიძაჩემს, მის ცოლსა და სამ შვილს. ჩემს გამოჩენაზე ყველანი ტაშს უკრავდნენ. მე შუაში გავჩერდებოდი, მამაჩემი არაყით დააველებდა ძაფს ჩააბამდა მოფამფალებულ ჩემს სარძევე კბილს და მოქაჩავდა. შემდეგ მამა ჩემს კბილს ფრთხილად დადებდა ლურჯყვავილებიან ხელსახოცზე და მომცემდა. შემდეგ მე და მამა თონეს გარს ვუვლიდით და ვმღეროდით „თონევ, ჩემო თონევ, მე შენ მოგცემ ძაღლის კბილს, შენ მე მომე ბატკნის კბილი“. ამ სიტყვებს სიმღერით ვიმეორებდით შვიდჯერ. მამაჩემი ბოხი ხმით მღეროდა მე კიდევ ვაკარკარებდი, ვცდილობდი რაც შემეძლო კარგად მემღერა, რადგანაც მამაჩემმი ამბობდა, რომ თუ კარგად არ ვიმღერებდი თონე გაბრაზდებოდა და უსწორმასწორო კბილები ამომივიდოდა. შვიდჯერ გამეორების შემდეგ კბილს თონეში გადავუძახებდი. ვცდილობდი დამენახა, თუ როგორ იწვოდა ჩემი კბილი, მაგრამ ვერ ვახერხებდი, რადგანაც ცეცხლის ენები სწრაფად ნთქავდნენ მას. ყოველივე ამის შემდეგ მივრბოდი ჩემი საწოლი ოთახისაკენ და ბალიშს ავწევდი, ვიცოდი იქ საჩუქარი უნდა ყოფილიყო ჩემი მორიგი სარძევე კბილის თონესთვის გადაცემასთან დაკავშირებით. საჩუქრად ხან თოჯინა დამხვდებოდა, ხანაც დათუნია, ხან კიდევ ლამაზი კაბა... შემდეგ უფროსები მწვადს წვავდნენ (აბა ცეცხლს ტყუილუბრალოდ ხომ არ დაკარგავდნენ), ჩემთვის კი ეს სადღესასწაულო ღონისძიება საჩუქრის მიღებით მთავრდებოდა, ამიტომაც ოჯახური სადილიდან ბევრ რამეს ვერ ვიხსენებ. როდესაც უკანასკნელი სარძევე კბილი მომექანა მამაჩემი საავადმყოფოში იწვა. მე დეიდა ემილიას სახლში ვრჩებოდი, ერევანში, რადგანაც ჩვენსას სახლში არავინ იყო. დედაჩემი მამას უვლიდა საავადმყოფოში. კბილი რამდენიმე დღე ინძრეოდა, შემდეგ კი სულ მოეშვა და ჩამოეკიდა. – მოდი კბილს ამოგიღებ, უცებ არ გადაყლაპო, – მითხრა დეიდამ. – ვერცხლის კოვზი სოფელშია, – ვუთხარი მე. – ვერცხლის კოვზი რად მინდა, ხელით მოგაძრობ... – როგორ თუ ხელით? – გავიკვირვე მე. ...ჩემთვის უკვე გასაგები იყო, რომ დეიდაჩემი სარძევე კბილის ამოღების წესებს არ ფლობდა და მოვითხოვე მამაჩემთან წავეყვანე (პატარობისას მე თხოვნა არ ვიცოდი, მხოლოდ მოვითხოვდი). მეორე დღეს კბილი თვითონ მოძვრა. მე დეიდას ხელსახოცი ვთხოვე, მანაც მომცა, მაგრამ ყვავილებიანი კი არა, ჩველებრივი, თეთრი. მე მაინც გავახვიე კბილი ხელსახოცში და ჯიბეში ჩავიდევი. კვლავ მოვითხოვე წავეყვანე მამასთან. მეორე დღეს დედაჩემის ძმამ საავადმყოფოში წამიყვანა. მამაჩემი საწოლში იწვა, ფანჯარასთან. როცა შევედი საწოლიდან წამოიწია, ხელში ამიყვანა და დიდხანს კოცნიდა ჩემს ბეწვის ქუდს. მე ძლივს დავაღწიე თავი მამაჩემის ხელებს, ჯიბიდან ამოვიღე ხელსახოცი, გავხსენი და შევეკითხე: – ახლა რაღა უნდა ვქნათ? – ვინ ამოგიღო? – მკითხა მამამ. – თვითონ ჩამოვარდა, – ვუთხარი მე – რა უნდა ვქნათ, თონე უნდა ავანთოთ, – გაიღიმა მამამ. – როდის? – ვკითხე მე. – ერთი კვირის შემდეგ სახლში წავალთ და ვიმღერებთ. მამაჩემმა კბილი გამომართვა, შემდეგ საწოლის გვერდით მდგარი პატარა კარადიდან უჯრედა ცხვირსახოცი ამოიღო, კბილი შიგ გაახვია და მე მომცა. ერთი კვირის თავზე მამაჩემი გარდაიცვალა. ჩემი უკანასკნელი სარძევე კბილი, უჯრედა ცხვირცახოცში გამოხვეული, ახლა ჩემი საწერი მაგიდის მარჯვენა უჯრაში დევს.

სლო

სლო ჩვენი სოფლის ობოლი იყო. მისი მშობლები დიდი ხნის წინ გარდაიცვალნენ, როგორც მახსოვს, ავტოავარიის შედეგად. სლოს არ ჰყავდა ახლობლები, ან იქნებ ჰყავდა, მაგრამ გაითქვიფნენ სხვა კალთამადლიანთა შორის და შესაძლებელია ისინიც სხვებთან ერთად ზრუნავდნენ ბიჭზე. სოფლის ქალები ზედმეტ ლუკმას და ბავშვების ძველ ტანსაცმელს არ იშურებდნენ სლოსათვის. ხშირად გულუხვობასაც იჩენდნენ და ახალი შეძენილი ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით ასაჩუქრებდნენ. ხშირი იყო ისეთი დღეები, როცა სლოს ნაყინით, ნამცხვრითა და მურაბით უმასპინძლებოდნენ. მურაბას სლო სადილის კოვზით ჭამდა და სიამოვნებისაგან თვალებს ნაბავდა. ზოგჯერ სლოს ფულსაც აძლევდნენ. ფული მოწყალების საზღვრებში არ ჯდებოდა, ამოტომაც ფასის შესახებ წინასწარ მოელაპარაკებოდნენ: – ამდენ შეშას რამდენად დამიპობ? – რასაც მომცემ, – იყო პასუხი. ნამდვილად იცოდნენ სლო რასაც იტყოდა, მაგრამ როგორც კეთილსინდისიერი „დამსაქმებელი“ მაინც ჰკითხავდნენ, „რამდენად?..“ მე სლოსი მეშინოდა. ის თითქმის 14-15 წლის იქნებოდა, მაგრამ მე მაშინ ძალიან პატარა ვიყავი და ის დიდი მეჩვენებოდა. დიდი, უზარმაზარი და მხრებში მოხრილი. ჩაფართხუნებული, გრძელმკლავებიანი კოსტიუმით, ასე გეგონებოდათ, კი არ აცვია, არამედ აკერია სლოს გამხდარ და განიერ მხრებსო. სახე სულმუდამ შეშინებული ჰქონდა, ხელში ქვა ეჭირა... სლოს ხელში სულ ქვა ჰქონდა. სლო ტროტუარზე დადიოდა, ხელში ქვით, თავჩაღუნული დადიოდა... გამუდმებით უკან იხედებოდა, თითქოს მადევარს გაურბისო. როდესაც მას ესაუბრებოდნენ ქვიან მუჭს მაგრად მიიკრავდა მკერდზე და მზად იყო ქვის გამოსაქნევად. სოფლის 10-12 წლის თავზე ხელაღებულები სლოს მოსვენებას არ აძლევდნენ, დღე ისე გავიდოდა, რაიმე ოინი არ დაეწიათ მისთვის... ჯიბეში ბაყაყს უგდებდნენ, საჯდომზე ნემს ურჭობდნენ, მიეპარებოდნენ და მალულად ჭრიდნენ მხრებზე გაფენილ ოქროსფერ თმებს. სლო წამოხტებოდა და გაბოროტებული თვალებით ეძებდა მორიგ მოწინააღმდეგეს, ვერ პოულობდა და ხელში ჩაბღუჯულ ქვას გაიქნევდა თავშეყრილებისაკენ და გაიქცეოდა თავის პატარა მიწურ სახლში. სლო ჭკუას მაინც ვერ სწავლობდა, ალბათ იმიტომ, რომ მარტოობა არ უყვარდა. ხშირად მოვიდოდა და გაერეოდა სოფლის შარაზე გამოფენილ ხალხს. ჩაცუცქდებოდა კუთხეში და შესცქეროდა ხან ერთს და ხან მეორეს. ისმენდა მათ საუბარს, დაწყებული გაძვირებებიდან დამთავრებული აიწოს წერილამდე, რომელიც, როგორც ამბობდნენ, ბრეჟნევისაგან მიუღია. ვუცქერდი და ვხედავდი როგორ იცინოდა სლო. როდესაც სლოს აბუჩად აგდებისაგან დაღლილი სოფლელების გული სიახლეს ითხოვდა და დაიწყებდნენ ერთამენთის გაქილიკებას, სლო იცინოდა. იცინოდა და აჩენდა თეთრ კბილებს, მხრები უცახცახებდა მაგრამ ქვა... ქვა მაგრად ჰქონდა ჩაბღუჯული მუშტში, მუშტი კი მტკიცედ მიკრული მკერდზე. ...შემოდგომის მზიანი დღე იდგა. ჰაერში მოახლოებული ზამთრის სურნელი უკვე იგრძნობოდა და შემოდგომის ამ იშვიათ თბილ ამინდს სოფლის მცხოვრებლები სახლებიდან გარეთ გამოეყვანა და მათაც სოფლის ცენტრში, დიდ სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილ ობელისკთან, თავი მოეყარათ. დედაჩემი სოფლის კულტურის სახლის დირექტორი იყო და მისი სამუშაო ოთახის ფანჯარა პირდაპირ გადაჰყურებდა ობელისკს. მე ფანჯრიდან ვიხედებოდი. უცებ მოულოდნელი რამ მოხდა. ადამიანები, რომელიც მანამდე წყნარად იჯდნენ წამოვარდნენ და აქეთ-იქეთ გარბი-გამორბოდნენ. მერე სლო დავინახე, მისი კოსტიუმი იწვოდა უკანა მხრიდან. ხალხმა ცეცხლი ყაყანითა და მუჯლუგუნებით ჩააქრო. ამჯერად სლოს შეკრებილთათვის ქვა

არ უსროლია, სახლშიც არ გაქცეულა. ჩამოჯდა კუთხეში და ხელით კოსტიუმის დამწვარი კალთების ჩასწორება დაიწყო. დანარჩენი კი მე არ მინახავს... დანარჩენს თვეების განმავლობაში უყვებოდნენ ადმიანები ერთმანეთს... მერე აღარ ყვებოდნენ, რადგანაც მომხდარის შესახებ ყველამ ზეპირად იცოდა. ასე მომხდარა... სლო რამდენიმე წუთი უძრავად ყოფილა გაჩერებული ტროტუარზე, მერე ქვეშ შეუვარდა, თურმე, დამრეცზე დიდი სიჩქარით მომავალ სატვირთო მანქანას... სლო გარდაიცვალა საავადმყოფოში. ამბობენ, როცა ექიმი ბიჭს შუბლზე ეამბორა, სლომ ხელში ჩაბღუჯული ქვა შეუმჩნევლად დადო მაგიდაზეო...

სომხურიდან თარგმნა **ელენე ტუღუშმა**

ედგუჯა
გუაძე

„რალა ამაღამ ამიჭირა წვიმამ პალმები“...

– ე, ბიჭო ვისი გვარის ხარ? – ხმას დაუწია, ნაცნობ ხმას ამსგავსა და ცოტათი შეცბა, მაგრამ ნაბიჯი არ შეუნელებია... და, აი, გზაგასაყარიც. ყველა გზა ერთმანეთს გავს. ნეტავ, ამათგან რომელი გზა მიიყვანს ტაძრამდე? – ფიქრობს, მამულზე ფიქრობს, ერზე ფიქრობს. ფიქრებს თავს ართმევს, მაგრამ არარეალიზებულ განწყობებს ვერაფერს უხერხებს და „ცეცხლის პერანგიც“ ხომ მეხსიერების ღრმა შრეებიდან, წარსულიდან აწმყოში არეკლილი არარეალიზებული განწყობების მოზაიკური მხატვრობაა:

გარს მახვევიან მსურველნი,
ვგრძნობ, ოცდაათი ვერცხლის...
აღარც ბულბულის გალობა...
აღარც ჭიკჭიკი მერცხლის...
ცეცხლის პერანგი მაცვია,
სული დამეწვა ცეცხლით.

ის განცდებსა და განწყობებს ხატავს, ცრემლს ვერ იკავებს, ვერც ვერსად მალავს, მას სტკივა საქართველო, საქართველოში ტკივა ქართველი...

ე, ბიჭო, ვისი გვარის ხარ?!
შენც ხომ არ მაყრი ნაცარს?!

ამ ავად აღრენილ წუთისოფელში ნეტავ კიდევ თუ ვინმეს აინტერესებს, ვინ ვისი გორისაა, საიდან მოდის, საით მიდის ან საგზლად რა უდევს ხურჯინში – ვინმე სამარცხვინო მთავრობის კაცისთვის მისართმევი „ძღვენი“, გამცემლობის და ღალატის საზღაური ოცდაათი ვეცხლი თუ დღენიადაგ სინანული და სიქველით გაღებული სასყიდელი ღმრთისაგან.

საეროებსა თუ სასულიეროებს, რომლებსაც ძალუძთ, უშურველად გაიღონ სასყიდელი ღმრთისაგან, ჩვენ ვუწოდებთ ღვთისაგან საყვარელ ადამიანებს.

ღვთისაგან საყვარელი ადამიანია კაი ლექსის პატრონი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე დავით თედორაძე. მას, როგორც ღვთისაგან საყვარელ კაცს შეჰფერის, სწამს და უყვარს. სწამს ღმერთი, უყვარს სამშობლო და მშობელი ერი, ამაზე მეტყველებს მთელი მისი ცხოვრება და მოღვაწეობა, მთელი მისი მხატვრული შემოქმედება, სადაც ვერ ვნახავთ უგემოვნოდ მოქნეულ სტრიქონს, მისი ლექსიც ხომ არა მარტო ევფონიური რითმებით, ლამაზად მოქნეული ძარღვიანი სტრიქონებით ფასობს. ლექსში „უბედურია შესაწირიც და შემწირველიც“ გრძნობამორეულ სტრიქონებს ლამის ძარღვები დაასკდეს:

სამგლოვიარო დუმილივით აუტანელი
ეს დღეც წავიდა,
მაპარტახებს სიცარიელე.
ჩემს განწყობასთან მოდის ახლა
მხოლოდ გრანელი,
ვიმშვენიერებ სულს ლექსებით,
ვიმშვენიერებ.

არის მისტიკა,
ყრუ ქვითინი შემცდარი ქალის,
ცას ვინ მიელტვის, განძს ვინ ეძებს
ფრთებით ფრინველის.
შენსკენ მომავალს
უცაბედად მეცვალა მხარი...
უბედურია შესაწირიც
და შემწირველიც.

მას მხარი ეცვალა. ის მარტოობის განცდასთან გამუდმებულ კონფლიქტში მყოფი მხარნაცვალი პერსონაჟია და მარტოობის განცდის ენერგეტიკული მუხტიც კულმინაციას სწორედ მაშინ აღწევს, როცა ხედავს, რომ „სამგლოვიარო დუმილივით აუტანელი ეს ერთი დღეც წავიდა“, ...ეს ერთი აუტანელი დღეც მიილია და თითქოს შვება უნდა ეგრძნო, მაგრამ არა! რადგან შინაგანად აპარტახებს მეტაფიზიკურ დუმილში დანთქმული სიცარიელის განცდა. ხსნას ეძებს, ხსნა მისტიკაშია? მისტერიაშია? ნაკლებსარწმუნოს რწმენაშია? ნეტარ არიან... ნეტარ ვერასდროს იქნებიან ჭეშმარიტი ღმერთის რწმენაში დაეჭვებულები. მას სწამს. არასდროს დაუგმია... ახლა, როცა „აპარტახებს სიცარიელე“, სულს ლექსებით იმშვიდებს და იმშვენიერებს, სულის სიმშვიდეს ლექსებში პოულობს, ლექსებში და კაი ლექსის მთქმელ გრანელში და, მაინც მას სტკივა გრანელი, სულის სიღრმემდის სტკივა გრანელის სევდა.

ტერენტი გრანელი თავის „ელეგიაში“ სევდიანად ამბობს, – „მე იმდენად შევეჩვიე სევდას, ყველა ლექსი ცრემლით დამისველდა...“ სევდამ შეჩვევა იცის, მით უფრო, როცა ქართული ყოფის ონტოლოგიურ კალენდარზე სევდიანი დღეები ჭარბობს, სევდიან დღეებს სევდიანი განწყობები მოაქვს, სევდიან განწყობაზე შეთხზულ ლექსებს კი ცრემლი ასველებს. არიან პოეტები, რომლებიც სენსიტიურ თემებზე წერენ და ცრემლს მალავენ, ცდილობენ, არ შეიმჩნიონ, მაგრამ სამშობლოსა და მშობელი ერისადმი, დედისა და, საზოგადოდ, ქალის ხატებისადმი მიძღვნილი თუ მწველი განცდებითა და არარეალიზებული განწყობებით აღსავსე ლექსების მეტი ნაწილი სტრიქონსა და სტრიქონს შუა ცრემლს მალავს, ოღონდ ეს ცრემლი არის არა უმწეობისა და უიმედობისა, არამედ შინაგანი წესიერებისა, ბრძოლის ჟინისა, ღმრთისადმი სასოებისა, ნების სიმტკიცისა, წარსულით სიამაყისა. დავით თედორაძე ლექსში „როცა ვუყურებ ხანდაზმულ ხერთვისს“ მკითხველთან გულწრფელია, როდესაც ამბობს, – „მე შემიძლია, დავმალო ცრემლი...“ მან ნათქვამი შეასრულა და ცრემლი დამალა, მაგრამ თავად ლექსმა ვერ დამალა პოეტის ცრემლი და სიამაყე:

მე შემიძლია, დავმალო ცრემლი,
მოვხარშო გული და არ ვიტირო,
როცა ვუყურებ
ხანდაზმულ ხერთვისს,
როცა გადუფრენს ზარზმას მიმინო.
ასპინძის ქვაზე ვწევარ გულაღმა
და ცალი თვალით მზეს ვეფერები,
დაიჭიხვინა სადღაც ულაყმა,
ფაფარაშლილი მოჩანს სერები...

ეს ლექსი სულ ოთხსტროფიანია და თითოეული სტროფი წარსულიდან აწმყოში არეკლილი სცენური სურათოვნების საინტერესო ფრაგმენტს წარმოადგენს. მკითხველზე მხატვრული ზემოქმედების ძალაც მთელს არქიტექტურულ ქსოვილში ისეა სინთეზირებული, რომ პოეტური ნარაციის სინტაქსი საგრძნობლად შეკუმშულია, რაც ასახვას პოულობს ჯვარედინად გარითმული სტრიქონების მელოდიურობაში, პოეტი ლექსის ფინალში ქმნის ისეთ სააზროვნო სიტუაციას, სადაც ღვთისაგან დალოცვილ მკითხველს იმედიანი მზერა წმიდა თამარ მეფის ხატებაზე გადააქვს, – „თეთრი ფაშატით ხვდება თამარი, გამარჯვებული მოდის სოსლანი“. წმიდა თამარი, წმიდა კეთილმოღვაწე მეფე. მისი ზეობის ხანაში აიკრძალა სიკვდილით დასჯა, წამება და მკვდრის შეურაცხყოფა, ძლევამოსილმა თამარ მეფემ შეზღუდა მისი, როგორც მონარქის უფლებები და ხელი შეუწყო კარვის, იგივ პარლამენტის სამართლებრივი საფუძვლების მომ-

ზადებას... ჰოდა, ცოდო არ არის თამარის ერი, დავითის ერი, რუსთველის ერი, რუს დამაქცევარს ამ ოცდამეერთე საუკუნეშიც, როცა არსებობს კეთილი ნების მსოფლიო თანამეგობრობა, გავლენიანი საერთაშორისო პოლიტიკური და სამართლებრივი ინსტიტუტები, მორჩილებდეს და გუნდრუკს უკმევდეს?! არადა, ამ ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე ყველა მთავრობა უკმევს, რასაც ერთი ქართული ანდაზით ამართლებენ, – „დათვი რომ მოგერევა, ბაბა დაუძახეო,“ ჰოდა, დათვზე ანდაზა აიკვიატეს თუ როგორაც არის, უბრალო გაფაჩუნებაზეც კი ერთხმად ეძახიან, – „ბაბაა!..“ აი, რა სტკივა ქართველს, რა სტკივა პოეტს, რომელსაც უსაზღვროდ უყვარს თავისი მამული და თანამემამულე ქართველები, სარწმუნოებრივი აღმსარებლობის მიუხედავად, უყვარს საქართველოს მიწა-წყალზე სტუმრად მოსული მასპინძელი ქართველების გვერდით დასახლებული და გულითადი მასპინძლების მადლიერი ჩვენი ებრაელი, ასირიელი, ბერძენი, ...ძმები და დები, მაგრამ გულგატეხილია ოთხი-ხუთიოდე საუკუნის წინ თითო კინკილად და ფეხაკრეფით ხიზნად მოსულ აფსუებზე, მერე, რასაც ნამდვილად არ მოველოდით, უმადურობასა და ათას სიგლახეში ოს ხიზნებს რომ გადაასწრეს, – ძმობას უღალატეს, ჯვარს უღალატეს, ჩრდილოელი დამაქცევრის სამსახურში ჩადგნენ და ზურგში დანა ჩაგვცეს, რუსი რეაქციონერების წაქეზებითა და სამხედრო-ფინანსური დახმარებით ათასი სისასტიკე ჩაიდინეს. რუსი, ოსი, აფსუა, აფხაზეთში ფეხმოკიდებული სომხები და ე.წ. კონფედერატები, ყველანი ქართველების წინააღმდეგ აღიმართნენ, სისხლის გუბეები დააყენეს, ძირძველი ქართული მიწებიდან ძირძველი აფხაზები და ქართველები აყარეს და ჩვენ კიდევ სათქმელს ათასნაირად ვზომავთ, მწვავე თემებს შორიდან ვუვლით. სიმართლე ოსმაც იცის, აფხაზმაც, სომეხმაც, მაგრამ ვნახეთ, რა საშინელებებიც ჩაიდინეს, – თავი მოაქვთ, ამპარტავნობენ და ამის მერე კიდევ ჩვენ მივუტევოთ და შევუნდოთ?! პოეტი სწორედ ასე აყენებს საკითხს თავის ერთ-ერთ მგრძნობიარე ლექსში „დროა, სიმართლეს ქართველებმა თვალში ჩავხედოთ“.

ყურს ვინ გათხოვებს,
ქართლის ჭირი გაუზიარო,
ასე ჰგონიათ,
დასაჯიჯგნად ხარ აფრენილი,
დიდ იმპერიას სურს პატარად
შენც გაღიაროს,
ღრენით გიკლებენ,
შეგყურებენ მშიერ მგელივით.
ტკბილო მამულო!
მადლი ცოდვად დაგიტრიალეს!
საქართველოში დიდგულობენ
ურცხვად ხიზნები,
ენა ქართული,
ლტოლვა ჩვენი აღიზიანებთ
გულაღრენილებს
მზაკვრულ მიზნებით.
არა ერთი და არა ორი
მწარედ თავხედობს,
გულს უკორტნიან
სატანა და ჭინკა ცდუნების...
დროა, სიმართლეს
ქართველებმა თვალში ჩავხედოთ,
არც მიტევება,
არც შენდობა უმადურების!

„არც მიტევება, არც შენდობა...“ არარეალიზებულ განწყობათა სიჭარბეში პოეტის სულიერი დრტვინვის გამოძახილია. ასევე ითქმის ემოციურად დამუხტულ სტრიქონებზე: „საქართველოში დიდგულობენ ურცხვად ხიზნები, ენა ქართული, ლტოლვა ჩვენი აღიზიანებთ გულაღრენილებს მზაკვრულ მიზნებით“. ლექსი, „დროა, სიმართლეს“... ერთ მთლიანობაში ფსიქორეფლექსიისა და ინდივიდუალური აპერცეფციის ნაყოფია, რაც ასახვას პოულობს მის არქიტექტონიკაშიც. რომ არა არარეალიზებულ განწყობათა ესოდენი სიჭარბე, ესოდენ ძლიერი, ემოციური მუხტი და ტკივილი ერთ დროს ხიზნად მოსული უმადურების მზაკვრობის გამო, არ იქნებოდა უკიდურესი პროტესტის განცდაც.

დავით თედორაძის პატრიოტული ლირიკა ტროპული მეტყველების ქვეტექსტებითა და პოეტური ნარაციის ველზე გადაფენილი მეტაფორული ელფეროვნების ინტერტექსტებით, ღრმა შინაგანი პროტესტია ყველაფერი იმის მიმართ, რაც მის სამშობლოსა და მშობელ ერს გაუსაძლის ტკივილებს აყენებს.

მკითხველზე მხატვრული ზემოქმედების ძალით გამორჩეული ლექსია „ვინ რას გვიშველის“, პოეტის მეხსიერების ღრმა წვეთ-წვეთობით ჩაღვენთილი ზოგად ქართული სევდისა და იმ მახინჯი რეალობების მოზაიკური საინტერესო მცდელობაა, რომელ მახინჯ რეალობებშიც პოეტი ცხოვრობს და მოღვაწეობს.

დაღონდა სული მძაფრი განცდებით,
ხალხი აქამდე არც მე მცნობია,
საკუთარ თავთან
როგორ ვმარცხდები,
ძვირფასო, ეგ რა საამბობია.
ეს სიძულვილი სიდან მოვიდა,
ვინ ჩაგვიღვარა სულში ბალღამი,
როდის დაიწყო, რომელ დროიდან,
აღარც დედის გვწამს
და აღარც მამის...
შვილებს შეშლილი მოაქვთ თვალები,
შიშმა წალეკა ლამის მთა-ველი,
არც ცოტნე გვახსოვს, არც სააკაძე,
არც შავლეგო და არც რუსთაველი.
ზნეც დავკარგეთ და
სახეც დავკარგეთ,
მთლად გავშიშვლდით და
ვდგავართ შიშველი,
ვისი იმედით, რისი იმედით,
ობლად დაყრილებს
ვინ რას გვიშველის.

პოეტი ძლიერ განიცდის, რომ ხალხი აქამდე ვერ შეუცვნია და ვერც იმას ეგუება, რომ საკუთარ თავთან მარცხდება, რაც, ცხადია, საგონებელში აგდებს. მაინც ხალხს დარდობს. არ იდარდებდა, მასში რომ ორსახოვანი იანუსი იმთავითვე დაენახა, თუმცა, ვინ იცის, იქნებ დაინახა, ოღონდ მოგვიანებით და ამიტომაც არის, რომ გულნატკენი საკუთარ თავს საყვედურობს, – „დაღონდა სული მძაფრი განცდებით, ხალხი აქამდე არც მე მცნობია, საკუთარ თავთან როგორ ვმარცხდები“.

პოეტმა ამ ოთხსტროფიან ლექსში საგონებელში ჩავარდნილი საინტერესო ავტოპერსონაჟი შექმნა, თანაც მეორე სტროფშივე პოეტური ნარაციის ველზე მისებრ დაღონებული, მისივე ორეული პერსონაჟი შემოიყვანა, რომელსაც მკითხველთან მისატანი სათქმელი მიანდო. ორეული პერსონაჟი სათქმელს განაგრძობს, ავტოპერსონაჟი კი აყურადებს. მართალია, თავისი ორეული პერსონაჟი თანაავტორად გაიხადა და შემოქმედებით პროცესში ტექსტს ინტერპრეტირების თავისუფლებაც მისცა, მაგრამ არ უნდა, რომ ლექსი, რომელიც მისია, ინტერპრეტაციებში ჩაიკარგოს. არ უნდა ახლაც, თუნდაც წარმოსახვაში, ასე მოხდეს, ამიტომაც ფხიზლობს. თანაავტორი პერსონაჟი კი მახინჯი რეალობებისადმი გულისწყრომას ვერ მალავს: – „ეს სიძულვილი სიდან მოვიდა, ვინ ჩაგვიღვარა სულში ბალღამი... შიშმა წალეკა ლამის მთა-ველი... არც ცოტნე გვხასოვს... არც რუსთაველი. ზნეც დავკარგეთ და სახეც დავკარგეთ... ობლად დაყრილებს ვინ რას გვიშველის“, თანაავტორ პერსონაჟზე გაფაციცებით მიყურადებული ავტორი და ავტოპერსონაჟი უსმენს და თითქმის ყველა სტროფსა და სტრიქონში ეთანხმება, მხოლოდ ის ბოლო ორი სტრიქონი და ბოლო აკორდში პესიმისტური ნოტების სიჭარბე აფიქრებს. თანაავტორი ორეული პერსონაჟი არწმუნებს, რომ გამგები გაიგებს. ხალხი ბრძენი და გონიერია, მალე მიხვდება, რომ თავად უნდა უშველოს თავის თავსაც და თავის ქვეყანასაც. ავტორს თანაავტორის სჯერა. ხალხი კი ყოველთვის ხალხი იყო და ხალხად დარჩება, ხალხი კეთილია, მას ხალხი უყვარს, მას ხალხის სჯერა. მართალია, ზოგჯერ იმედი გაუწბილდა, მაგრამ მაინც ხალხი ეიმედება.

„არ აღრეულხარ“ დავით თედორაძის პატრიოტულ ლირიკაში ერთ-ერთი გამორჩეული პოე-

ტური ნაწარმოებია, სადაც ნათლად ჩანს თავის სამშობლოსთან მთელი არსებით გამიჯნურებული პოეტის მხატვრული ოსტატობა. ოცდაშვიდ პწკარზე მიმობნეული ორმოცდათექვსმეტი სიტყვისა და ოცდაორი სასვენი ნიშნის მხატვრულ-მოზაიკური კომბინაციით შეთხზული ეს ჩინებული ლექსი გემოვნებიანი მკითხველის ტკბობასა და კვლავტკბობას იწვევს.

1. ვფიქრობ,
2. სულ ვფიქრობ,
3. სად იწყება,
4. სად,
5. სად მთავრდება
6. ჩემი ნანატრი საქართველო –
7. დარდიც, ხალისიც...
8. გაიმძვინვარებს
9. ხან საძრახი,
10. ხან სასაცილო,
11. ქართლის ცხოვრება,
12. და დამზაფრავს უცებ კრწანისით.
13. განფენილია ქართლის სული
14. გაღმაც,
15. გამოღმაც,
16. შატბერდის მრევლი,
17. ტბეთის მრევლი
18. ითხოვს დამოძღვრას,
19. ფესვძლიერო და სვეძლიერო,
20. ამერ-იმერო,
21. ენას იმშვენებ,
22. სისხლს იმშვენებ, საბედნიეროდ!
23. არ აღრეულხარ, არ გაცვლილხარ
24. მონღოლ-თათარში,
25. მიკვირს, სულ მიკვირს –
26. როგორ გაძელ,
27. როგორ გადარჩი!

„გაიმძვინვარებს ხან საძრახი, ხან სასახელო ქართლის ცხოვრება და დამზაფრავს უცებ კრწანისით“ – პოეტი ისტორიული მეხსიერების ღრმა შრეებიდან ამოფრენილი სევდიანი სტრიქონებით იხსენებს კრწანისს, სადაც, სავალალოდ და საბედისწეროდ, „ხან საძრახმა“ ქართლის ცხოვრებამ გაიმძვინვარა. საძრახი იყო და სამარცხვინო დიდი ღალატი, თავაშვებულმა თავადურმა რეაქციამ, თავიანთი მხარდამჭერებით, ტროლებითა და ბოტებით აყროლებულმა, „ბარკოზაშვილის დარბაზმა“, დარეჯან დედოფალმა (ერეკლეს მესამე ცოლმა), – ოსმალოსაკენ მიდრეკილმა დადიანის თავნება ქალმა და მისმა შვილებმა, – მამაზე დაბოღმილმა უფლისწულებმა, მეფის გაიძვერა სიძემ ზაქარია ქიზიყთმოურავმა და მისგან „გაცურებულმა“ ორი ათასმა ქიზიყელმა მეომარმა და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენმა ნაკაცარმა სამშობლოს თავისუფლების იდეა, მოხუცებული ერეკლე მეფის სიძულვილით, კრწანისის ველზე ღალატით დაასამარეს და 225 წლის წინანდელი ღალატის ავბედით შედეგებს დღემდე ვიწვნევთ.

დავით თედორაძის პატრიოტულ ლირიკაში მრავალ საგულისხმო შტრიხსა და სენსიტიურ მონასმს ვხვდებით და სწორედ ამ შტრიხებისა და მონასმების შთამბეჭდავ მხატვრულ ფორმად გარდაქმნის ოსტატობაა ის, რითაც ფასობს პოეტის მხატვრული სიტყვა. ის სიყვარულით გამთბარი კაცია და გულით სწადია, რომ ეს მისი სითბო ყველას უწილადოს. მისი ლექსების თემატიკის, სათაურებად შერჩეული სიტყვებისა და ფრაზების, მეტწილ გამოყენებული მხატვრულ-გამომსახველობითი ფორმებისა და მიძღვნილი ლექსების ზოგადტექნიკური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ის პოეტია, ლექსი მისი გამოწვევაა, საოცრად მდიდარი ლექსიკა და პოეტური ბგერათმეტყველების მაღალი კულტურა აქვს, მაგრამ ამით თავი არ მოაქვს. ის, რაც დღეს იშვიათობაა, მას აქვს დანახვის ნიჭი. შეუძლია, აღფრთოვანდეს მეგობარი პოეტების მხატვრული შემოქმედებით და აღტაცებული იყოს მათით, ქართველ პოეტებში დაინახოს სამშობლოსათვის მასზე არანაკლებ გულანთებული, კაი ლექსის პატრონი, უფლისაგან მირონცხებული სიტყვის ოსტატები, სამშობლოს დარდით გამშრალი ნაღდი კაცები და უფლის სიყვარულით შემოსილი შემოქმედი ქალბატონები. ლექსში „მის ნახვას მომთხოვს სული“ – მკითხველს დიდებულ პი-

როვნებაზე ბაღათერ არაბულზე ესაუბრება და მხატვრული ოსტატობის წყალობით ცდილობს, დაინტერესებულ მკითხველს დაანახოს, თუ როგორია პოეტის „ლექსში ნაგვემი გული“.

სამშობლოსათვის
დარდით გამშრალი,
ლექსში ნაგვემი გული,
კაცობის მეტრიც, მარშალიც –
ბაღათერ არაბული...

და ფინალური სტროფი: აღორძინდება, აღსდგება, ასჯერ რომ გადათელონ, მტრისგან ნამუსრი ქვეყანა, ნატანჯი საქართველო, – ეს ის იმედია, რასაც ბაღათერი ურიგებს ხალხს და გვწამს, რომ საქართველო აღორძინდება, აღსდგება.

მრავალმხრივ ინტერესს აღმიძრავს ლექსი „მინაწერი ფრიდონ ხალვაშის „ომრზე“, რასაც წინ უძღვის ვახტანგ ღლონტის მცირე კომენტარი: „ომრი მეომრის წიგნია, დროსთან რომ ჰქონდა ომი“.

ომრი ცხოვრების წიგნია,
წუთისოფლის მახეებით,
ქარებით და ქარაფებით,
ცრემლში ნაწრთობ სახეებით.
ავდრებით და ხავერდებით,
სხვა ყოფით და სხვა სახელით,
გულის ძარღვით, გულის სისხლით,
დაღვრილით და დასაღვრელით,
წიგნი, სავსე სიყვარულით,
წარსულით და მომავლით,
დასტურია, აჭარელი
მტრის მოშიში რომ არის.

პოეტი ლექსის შეთხზვის პროცესში შემოქმედებითად უდგება ლექსის ადრესატის პორტრეტისათვის დამახასიათებელი შტრიხების ფრაგმენტულ-მოზაიკურ მხატვრობას: მღერად სტრიქონებსა და სტრიქონ-ხილვებში მეტწილ პრევალირებს ევფონიურობის ეფექტი და ის აქცენტები, რომლებსაც რიგ შემთხვევაში იყენებს ლექსის ადრესატის სახასიათო-ინტიმური ანფასის კონტურების წარმოსაჩენად. ის მიძღვნილ ლექსში გულწრფელი და კეთილხმოვანია, რაც მის უშურველობაზე მეტყველებს. ლექსში, „თეიმურაზ ლანჩავას“, ფერებს არ იშურებს მხატვრული სიტყვის დიდებული ოსტატისა და განწყობა-შთაბეჭდილებების მხატვრული ფორმად გარდაქმნის ხელოვანის პორტრეტის ცალკეული შტრიხებისა და მონასმების იმპრესიონისტულ ფერებში გადმოსაცემად:

...სიტყვის ოსტატო, დღეგრძელო,
უფლის მირონი გაცხია,
რაც ყვავილები გაშალე,
ბროწეულებად გასხია.
დღეს სიყვარულის ბაღი ხარ,
მეტაფორების ტბებით,
ცისკრის ვარსკვლავად ანთიხარ,
ვაჟას ბუხართან თბები...

„უფლის მირონი“, „მეტაფორების ტბები“, „ვაჟას ბუხარი...“ ლამაზად დაუნახავს, ლამაზად დანახვას კი მრავალმხრივი ნიჭი უნდა.

მხატვრული ოსტატობის ნიჭთან ერთად, მრავალმხრივი ნიჭის ნაყოფია აკაკის და გალაკტიონის ქალაქისადმი მიძღვნილი ლექსი „ზიარების მისაღებად აქ მოდიან“ – „ქუთაისი პოეზიის ქალაქია, პოეტების მექაა და მედინა, მის კარიბჭეს, მგოსნებისთვის მარად ღიას, სიყვარული ფიანდაზად ეფინა. ქუთაისი სიტყვის, სიბრძნის წალკოტია, რითმითა და მეტაფორით რწყავენ, ზიარების მისაღებად აქ მოდიან, მერე ლექსით საქართველოს რთავენ. ზნე ქართული ეკონება აქ ბიბლიას, გენიოსებს თვით უფალი ლოცავს, სხვა მადლი აქვს, სხვა ძარღვი და სხვა ხიბლი აქვს, იმერეთში დაბადებულ მგოსანს.“

დავით თედორაძე თავისი მხატვრული შემოქმედებით ქართველ პოეტთა იმ სიმრავლეს მიეკუთვნება, რომლებიც განცდების რეფლექსიითა და განწყობა-შთაბეჭდილებების მხატვრულ სტილში სინთეზირებით ასიმეტრიული ტროპული მეტყველებისა და ექსტრავაგანტური პოეტური ნარაციის მოდერნულ ფორმებს ძერწავენ. მას შეუძლია, დარდი გაყიდოს და

ამით ტკივილები გაიყუჩოს, მაგრამ დარდის მყიდველი არსად ჩანს.

...მზეო, ამოდი, გაბრწყინდი,
გამათბე, გამალაღე!..
ბაღში ვდგავარ და დარდს ვყიდი,
მყიდველი დამანახე.
(„პეპელა უფრო...“)

პოეტური ნარაციის მოდერნული ფორმისა და განწყობა-შთაბეჭდილებების მხატვრულად ასახვის საინტერესო ნიმუშია ლექსი „თენგიზ აბულაძის „მონანიების“ ნახვის შემდეგ“. „ცხოვრება გართულდა, სიცოცხლეც გართულდა, მომავალს სხვანაირს ვხედავ, ცრემლებმა გამრიყა ცრემლგამშრალ წარსულთან, შვილო და მშობელო დედავ! ბევრი მაქვს სათქმელი მრევლთან და მოძღვართან და თუკი აუგი ვკადრე – ეს გული ტირანთა დაფდაფში ოხრავდა, ეს გული კვდებოდა ადრე...“ პოეტი ცრემლგამშრალ წარსულთან ისევ და ისევ ცრემლებმა გარიყა. წინასწარმეტყველებს – მომავალს სხვანაირს ხედავს: „ის, შვილი და მშობელი დედა“ სიყვარულით მადლმოსილი სამერთიანობაა, ისეთივე სიყვარულით გარემოსილი, როგორიც დედაშვილობა, როგორიც მამაშვილობა. მამაშვილობა სასჯელია კაცის, რომელსაც ვერსად გაექცევა, ვერც დაემალება. ეს იცის მრევლმა და მოძღვარმა, მაგრამ მათთან სხვაც ბევრი რამ აქვს სათქმელი. და, აი, ლექსის საოცრად შთამბეჭდავი ფინალიც:

...ვის უნდა ლოცვა და
ცოდვილი სტრიქონი,
თაყვანი ვის უნდა ქირით,
მეც ვკიცხავ, ძვირფასო,
ჩემს დაღლილ დუმილს და
მდუღარე ცრემლებით ვტირი.

„ცოდვილი სტრიქონი“, „თაყვანი ქირით“, „დაღლილი დუმილი“ პოეტური სუგესტიის ნაყოფია, პოეტი შთაგონებულია და შთაგონების მთელს ენერგეტიკულ ნაკადს მკითხველზე მხატვრული ზემოქმედების ძალის გაძლიერებასა და მკითხველის ტკბობის ეფექტის ზრდას ახმარს. ასეთ დროს, ცხადია, დიდ მნიშვნელობას იძენს არქიტექტონიკური სტილი.

ასევე, პოეტური სუგესტიის ნაყოფია ლექსი „მელაპარაკე ქართულად“, სადაც პოეტი მაქსიმალურად კუმშავს სათქმელს, პერსონაჟებს არ იწვევს პოლემიკაში, არც შორიდან უვლის და არც კითხვის ნიშანს უსვამს სათქმელს:

არ არსებულა, არ თქმულა,
ზღვა ამოევსოს მდინარეს,
მელაპარაკე ქართულად, –
გუმბათი ეტყვის მინარეთს.
მელაპარაკე ქართულად,
წყალში მდგომს წყალი მწყურია,
ვერ ვეგუები ამ სურათს,
ენა სამშობლოს გულია.
ამ ენის სათავეებთან
უფლის სურვილი ჩათქმულა...
ქედს ნუ მოვიდრეკთ დევებთან,
მელაპარაკე ქართულად.

გულიანი პოეტი თუ დაწერდა ამდენი საფიქრალით აღსავსე ლექსს. არ გვიკვირს, მაგრამ რამდენი სევდა ჩაუღვრია პოეტს.

დავით თედორაძის ლირიკაში მკითხველის მრავალმხრივ ინტერესს იწვევს ქალის ხატება. პოეტი ქალებისადმი მიძღვნილ სასაუბრო, მღერად სტრიქონებში თუ სტრიქონ-ხილვებში შთამბეჭდავად გადმოგვცემს გრძნობებს, განცდებს, განწყობებს, ლტოლვებს, სურვილებს. ის თავისი ფსიქონატურით, რასაც თავის ლექსებში თავადვე ხატავს, ზომიერად მორცხვია, მაგრამ, ამავდროულად, გულწრფელი და გაბედულია, რითაც სიმორცხვეს ამარცხებს. აქ მთავარი მაინც ის არის, რომ მას შეუძლია არა იმდენად განცდების, რამდენადაც გაბედულების მართვა, რითაც ქალის თვალში ფასობს ლაღი მამაკაცი.

„საირმე“ – ასე დაასათაურა ლექსი, რომელიც ლამაზი ქალების ცქერით დამტკბარი მამაკაცის განცდებზე მოგვითხობს. საირმის წალკოტში ამდენი ლამაზი ქალის შემხედვარე თითქოს შვე-

ბას გრძნობს, – უცქერს და ტკბება, ტკბება და ფიქრობს – მაგრამ აი, ის, ვინც მისთვის ყველაფერია, მასთან რომ იყოს, არჩევანს ნეტავ ვისზე გააკეთებდა, – მასზე თუ...

გამოიდარა,
ნისლებს დაფენილს
მიაცილებენ მთის მწვერვალები,
ეშურებიან წყاროებისკენ
მზის მოლოდინში მყოფი ქალები.
ვუცქერ და ვტკბები,
ვტკბები და ვფიქრობ, –
ამათში რომელს შევიყვარებდი...
შენ რომ აქ იყო,
შენ რომ აქ მყავდე,
ამაფეთქებდნენ შენი თვალები.

კითხულობ და ფიქრობ, თუ როგორი იყო ის რეალობა, რომელ რეალობაშიც დაიწერა: ვუცქერ და... ვფიქრობ: ნეტავ ამათში, ამდენ ლამაზ ქალში რომელს შევიყვარებდი...

ლექსში „ქალი სასწაულია“ დახატული ჰყავს ლამაზი ქალის დანახვაზე აფორიაქებული ავტოპერსონაჟი, რომელსაც „სიჭაბუკის ანცობა უღიტინებს შორიდან“. დამწიფებულ კაცობაში ყველა როდი უძლებს სიჭაბუკის ანცობის შეღიტინებას. ზოგს მისებრ მწიფე ქალი ისე მოუნდება, რომ ლამის...

აუ, როგორ მომინდა,
გაშლა, განავარდება
ქალის უბის ბროლიდან
კოცნა რომ აალდება.
ვეძებ, ვუხმობ, მწყურია,
როგორც გვალვას წყალი,
ქალი სასწაულია,
ცხოვრებაა ქალი.

ძნელია, არ დაეთანხმო, წარმოსახვაში გამომწვევად ჩავლილ მწიფე ქალს თვალი არ გააყოლო და სინტაქსს დაუწყო კირკიტი.

მან გაიარა ქრისტეს ასაკი და აი, რას გვეუბნება ლექსში – „დღეს სიყვარული უფრო მჭირდება“, სადაც ყველა სხვა განცდაზე პრევალირებს სინანულის განცდა.

...ჩემს უბედურ დღეს
ბევრი იტირებს,
ბედნიერებას არც ვინ მპირდება,
ხვალ შეყვარებას ნუ დამიპირებთ –
დღეს სიყვარული უფრო მჭირდება.
მე გავიარე ქრისტეს ასაკი,
ახლა ყოველ წუთს სიმძიმე ახლავს...
ქუჩაში მხვდება ლამაზი ქალი
და ვგრძნობ კეფაზე
ბერდანის დახლას...

ეს ბოლო სტრიქონი ქრისტეს ასაკს გამოვლილი მამაკაცის განცდების კულმინაციაა, – ის ლამაზი ქალის დანახვაზე გრძნობს კეფაზე ბერდანის დახლას...

თითოეული ნოტი, თითოეული აკორდი, რითაც სმენაგაფაციცებული მკითხველი ტკბება, პოეტის მხატვრული ოსტატობისა და მუსიკალური ფანტაზიის ნაყოფია. სიზმრის წყურვილიც ლოგიკურია, ოღონდ სიზმრად სულს ის ლამაზი ქალი იხილოს, ქალი, რომელიც მისი ლექსის მუსიკის კომპოზიტორიცაა და შთაგონების წყاროც.

ღმერთო, დამასიზმრე ქალი,
მწყურვალს მომიტანოს წყალი,
ჩემი მთების მადლფენილი
მზით ნაკურთხი წყاროს წყალი.
ღმერთო, დამასიზმრე ქალი,
ღმერთო, დამასიზმრე ქალი.
(„ღმერთო, დამასიზმრე...“)

ლექსში „სველი ზღარბები“ ჩვენი ინტერესი გამოიწვია მხატვრულმა ფორმამ, გამოხატვის თავისუფლების მაღალმა ხარისხმა და პოეტური მეტყველების კულტურამ – „ელვა ანათებს გაღმა სერებს, ექვსი დაიწყო, სძინავს ქალაქს და ჩაძირულია ნისლში ზღვისპირი. მოვალ და გეტყვი – ისევ დავთვერ, ვითომ რა იყო, დავთვერ და ყრმობას, ჩვენს სიყვარულს ისევ მივტირი... რაღა ამაღამ ამიტირა წვიმამ პალმები, დალახვროს ღმე-

რთმა, არ მინდოდა წვიმა სრულებით. მოვდივარ შენთან, საყვარელო, სველი ზღარბივით, – ამავსე ცრემლით, უძილობით, საყვედურებით“. ლექსში „ქარებს ვუსმინოთ“ იხსენებს – „მახსოვს, შენ მახლდი მაჭახელაში, მთა შემოსილი ვნახეთ მზის ვარდით, შენი საუბრის ყველა ბგერაში იკითხებოდა, როგორ გიყვარდი“. ის ყველას უყვარდა, სიყვარულით იყო გარემოსილი. ის უყვართ დღესაც და თაობები ხვალაც უთუოდ შეიყვარებენ, მაგრამ სიჭარმაგე ისეთი მგრძნობიარე და სათუთია, რომ ხვალისთვის და სამერმისოდ დანაპირებს, დღეს, სიცოცხლეში სიყვარული ურჩევნია და უფრო სჭირდება. აკი პოეტი ერთგან ამბობს:

ხვალ შეყვარებას ნუ დამპირდებით –
დღეს სიყვარული უფრო მჭირდება.

დავით თედორაძის მხატვრული შემოქმედება იმაზე მეტყველებს, რომ მას უსაზღვროდ უყვარს ღმერთი, სამშობლო და მშობელი ხალხი და სწორედ ეს სიყვარული ასაზრდოებს მის პოეტურ სამყაროს. იგი ფაქტებისა და მოვლენების მხატვრულ ფორმად გარდაქმნის ჩინებული ოსტატია და რაც მთავარია, გამოირჩევა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხელწერით, მდიდარი სალიტერატურო ლექსიკითა და სამწერლობო კულტურით. ვფიქრობთ აქ დავსვათ წერტილი, რადგან პოეტის შემოქმედება იმდენად ტევადი და საინტერესოა, რომ პოეტური ნაწარმოებების თუნდაც ზოგად შტრიხებში შეფასებაც შორს წაგვიყვანს.

მაია ჯაღიაშვილი

შაბლონებისა და სტერეოტიპების წინააღმდეგ

„ბატონი შაბლონი დღეს მალაყს გადადის ჩვენს ლიტერატურაში. იგი მრავალსახიანია, მრავალფეხიანი და კოშმარივით აწევს ქართულ სინამდვილეს“, – წერდა ტიციან ტაბიძე. მათ შორის, ვინც შაბლონებისა და სტერეოტიპების წინააღმდეგ გალაშქრება გაბედა, იყო ნიკოლო მიწიშვილი. მის პოეზიაში წარმოჩნდება სიმბოლისტური ესთეტიკა, რომელიც გულისხმობს პოეტური სიტყვის უმაღლეს ღირებულებად გამოცხადებას, მიღმა, ირაციონალური, მისტიკური სამყაროს ჭვრეტას, ახალი სიმბოლოების შექმნას, ნიღბების, ალუზიების, ინტერტექსტუალობის გამოყენებას, რითმისა და რიტმის სფეროში თამამ ექსპერიმენტებს, მოდერნული ეპოქისთვის დამახასიათებელ თემებს, ერთგვარ არისტოკრატიზმს, დენდიზმს, საზოგადოებისაგან გაუცხოებას. იგი ცისფერყანწელებთან ერთად ხელს უწყობდა სალექსო ტექნიკის განვითარებას და ქმნიდა ტრადიციულისგან განსხვავებულ პოეტურ სამყაროს. ნიკოლო მიწიშვილი პოეზიას უწოდებდა ხმიადს, სულიერ პურს, რომელიც სახარებისეული სიტყვასავით სჭირდებოდა ადამიანს გადასარჩენად.

მის პოეზიაში შემოჭრილია ნაკადები, რომლებიც შთაგონებულია ცისფერყანწელთა თაყვანსაცემი ფრანგი პოეტების: ბოდლერის, ვერლენის, მალარმეს, რემბოს შემოქმედებით. ნიკოლო მიწიშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართველ სიმბოლისტთა მიერ გამოცხადებულ ამბიციურ გეგმაში, რომელიც რუსთველური პოეტიკის რენესანსს, ქართული სიტყვისთვის ესთეტიკური ღირებულების აღდგენას, მისთვის ახალი გზების გაკვალვას, ქართული პოეზიის „ევროპული რადიუსით გამართვას“ და მომავალ დიდ ქართველ ხელოვანში რუსთველისა და მალარმეს „შეერთებას“ გულისხმობდა, როგორც ამას მეტაფორულად გამოთქვამდა ცისფერყანწელთა მანიფესტების შემოქმედი ტიციან ტაბიძე.

მისი პოეტური შემოქმედება ნიკოლო მიწიშვილს წარმოაჩენს, როგორც ორიგინალური პოეტური აზროვნების შემოქმედს, რომელსაც კარგად აქვს გაცნობიერებული კაცობრიობის კულტურული მონაპოვარი, ღრმად აქვს გააზრებული საქართველოს ისტორია, ტრადიციისაა და ნოვაციის თავისებურებანი, ესმის თანამედროვე სამყაროში ეგზისტენციალური კრიზისით შეპყრობილი ადამიანის ტკივილი და ცდილობს ისე გამოთქვას სიტყვიერად ეს ყოველივე, რომ მკითხველს გაუჩინოს ფიქრისა და ძიების წყურვილი. ნიკოლო მიწიშვილის ლექსებსა და პოემაში (განსაკუთრებით აღსანიშნავია „შავი ვარსკვლავი“), რომლებიც მან საქართველოსა თუ უცხოეთში იძულებით ემიგრირებულმა დაწერა, კარგად წარმოჩნდება, ერთი მხრივ, მოდერნისტული ლიტერატურისთვის დამახასიათებელი ტენდენციები, მეორე მხრივ კი, ეროვნული სატკივარი, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობით გამოწვეული ტანჯვა და გათავისუფლებაზე ოცნება.

ნიკოლო მიწიშვილი უდიდეს ყურადღებას აქცევდა პოეტის სახელის გაზღაპრებას. როგორც ვალერიან გაფრინდაშვილი წერდა, ცისფერყანწელები ქმნიდნენ ახალ პოეტურ მითოლოგიას, რომელსაც ამდიდრებდნენ საკუთარი თუ ერთმანეთის სახელების ლეგენდებად ქცევით. ისინი ინდივიდუალიზმის გამოსაკვეთად არ იშურებდნენ ფერებს საკუთარი თუ მეგობრების პორტრეტების გამოსაკვეთად. 1919 წელს დაწერილ „ავტოპორტრეტში“ კარგად წარმოჩნდება სიმბოლისტური ხელწერა:

„ეშმაკის ნაკოცნი – გრეხილი ტუჩები,
ქალა გაცვეთილი, ობით დაყლარტული,
თვალი გახელილი, ცვრით განაფუჭები,
წვერის ღეროებში მატლი გახლართული“.

პოეტი იმგვარად წარმოაჩენს თავისი გარეგნობის დეტალებს, რომ მკითხველმა მისი შინაგანი სამყაროს ტანჯვა ზედაპირზე გადმოღვრილი იხილოს. ცხვირი – არწივის ნისკარტი, შუბლი – მარმარილო, ყვითელი ლოყები – ტალახი, ყბები და კბილები – დარღვეული და დაშლილი, გადახსნილი კეფის ხრტილები მკითხველს ერთდროულად უჩენს შიშისა და კოშმარის შეგრძნებას, განიცდის ყოფის წარმავლობასა და ადამიანის უსუსურობას, ყოველივეს ხრწნასა და გაცამტვერებას. პოეტსაც სწორედ ეს უნდა, მოჩვენებითი და ილუზიებით სავსე ფერადოვანი ყოფის მიღმა მკითხველს სიცოცხლის გარდაუვალი დასასრულის შეგრძნება გაუმძაფროს და სიკვდილის სახე დაანახოს. ამისთვის ლექსში შემოაქვს ერთგვარი ხილვა საკუთარი გარდაცვალებისა:

„კუბო მიტორტმანობს, მისცურავს და ნავობს –
უკან მომყვებიან ქუდგადახდილები“.
(„ავტოპორტრეტი“)

სიმბოლისტებისთვის შთაგონების წყაროდ იქცა სიმახინჯე და ბოროტება. სწორედ ამიტომ თამამად დაიწყეს საშინელი სახეების შექმნა (ამ ესთეტიკის პრინციპებს კარგად წარმოაჩენს ვალერიან გაფრინდაშვილი წერილში: „Terror Antiquus“). ბოდლერი ლექსში „ჰიმნი მშვენიერებას“ (კრებულიდან „ბოროტების ყვავილები“) უღრმავდებოდა მშვენიერების არსს და ფიქრობდა, რომ მისი წყარო თანაბრად შეიძლებოდა ყოფილიყო სინათლეცა და სიბნელეც:

„ნეტავ საიდან იბადები, მშვენიერებავ!
ლურჯი ზეცა გაქვს სათავედ თუ შავი ქვესკნელი?
შენი მზერიდან თითქოს გულში ღვინო გვეღვრება,
ღვინო, სიკეთის და სიავის ერთად მთესველი“.
(„ჰიმნი მშვენიერებას“)

სწორედ ამგვარი ესთეტიკით არის შექმნილი ნიკოლო მიწიშვილის გამორჩეული ლექსი „წმინდანიანი“, რომელშიც პოეტი მოდერნისტული ეპოქის ახალ კერპს, მითოლოგიურ არსებას, წმინდანიანს ქმნის, რომელსაც მოაქვს ტრადიციულისგან განსხვავებული იდეალები და ფასეულობები. ეს არსება ებრძვის ძველ წმინდანებს, სიმბოლურად, ქრისტიანულ წარმოდგენებს და ამკვიდრებს ახალ რელიგიას, დაფუძნებულს შიშსა და უიმედობაზე:

„საუკუნეში ერთხელ ქვეყანას
მოევლინება წმინდანიანი –
ცეცხლის ფრინველი, მთოველი ცოდვის
და როგორც გველი – წვრილტანიანი“.

1919 წელს დაბეჭდილ ამ ლექსში (ჟურნ. „მეოცნებე ნიამორები“, №2, 1919 წ.) კარგად წარმოჩნდება კაცობრიობის უდიდესი საფრთხე, ნიცშეანური „ღმერთის სიკვდილით“ გამოცხადებული დაუძლეველი სულიერი კრიზისი, ძველი თუ ახალი ღმერთებისაგან დაცარიელებული ზეცა და სულის დაღუპვის გარდაუვალობის შეგრძნება. ლექსში იხატებიან „შეშფოთებული წმინდანები“, რომელთა მადლი ახალ საუკუნეში ყოველგვარ ძალას კარგავს, „ხატებთან გაელვებული შუქიც“ მინავლებულია და აპოკალიფსური ვიზუალური ხატები თრგუნავენ მკითხველის წარმოსახვას:

„დამბლა ეცემა წმინდა გიორგის
და გველეშაპიც მოუჭერს რკალებს.
ხელთ გავარდება მარიამს შვილი
და პეტრეს შიში ააკანკალებს.
ქრისტე წამებით ჯვარს გადატეხავს,
გაიშვერს ხელებს ცხელ ლურსმანებით.
გუმბათზე თვალი დაიხუჭება,
შეშფოთებული გველურ ზმანებით“.
(„წმინდანიანი“)

ლექსი ერთგვარი წინასწარმეტყველებაა სამომავლო კატასტროფებისა, რომლებიც გამოწვეული იქნება ტექნოლოგიური საფრთხეებით, მატერიალურ სამყაროზე მიჯაჭვული ადამიანის ეგოისტურ-ნარცისული სულისკვეთებით, ზნეობრივი გადაგვარებით. ახალი კერპები დაამხობენ ძველს და უფლისკენ მიმავალ სულის სახსნელ გზებს ვეღარ დაინახავენ მოჩვენებითი, ყალბი და ხელოვნური სინათლით დაბრმავებულნი. თუმცა ლექსში ეს ყოველივე წარმოჩნდება, როგორც კოშმარული ხილვა და გაფრთხილება:

„დილამდე გასტანს საყდართან ბრძოლა
და რიჟრაჟამდე სული ცდომილი
ავ მოჩვენებით აწვალებს საყდარს,
დაუძლევი და მიუწვდომელი“.

1922 წელს თბილისში გამოიცა მისი პირველი კრებული „წმინდანიანი“, რომლის შესახებაც ზუსტად შენიშნავს მანანა ჩიტიშვილი: „სიმბოლურია კრებულის სათაური, რომელიც ერთდროულად ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ედგარ პოს აშკარა გავლენაზე მიუთითებდა, იმ განსხვავებით, რომ ბოროტი ბედისწერის სიმბოლოდ, მიწიშვილმა „შავი ყორნის“ ნაცვლად, „წმინდანიანი“ აირჩია. ავტორის გადმოცემით, წმინდანიანი ლეგენდარული ფრინველია, რომელიც საუკუნეში ერთხელ ევლინება ქვეყანას მზის ჩასვლის შემდეგ და ბინდში ცეცხლს ჰყრის ანთებული ფრთებით. „...ნიკოლოზ ბარათაშვილი და ედგარ პო. ორი თემა „ყორანის“, რომელიც მეჩვენება მე წმინდანიანად“.

სულიერი მარტოობის, სამყაროსგან გაუცხოების ტკივილები ახალი პოეტური სახეებით წარმოჩნდება ნიკოლო მიწიშვილის პოეზიაში. მისთვისაც უმთავრესია, დახატოს არა გარეგანი თვალით დანახული, არამედ შინაგანი მზერით მოხიბლული „სულიერი ლანდშაფტები“, როგორც ვალერიან გაფრინდაშვილი ლაფორგზე აღნიშნავდა ხატოვნად, მის ლექსებშიც წარმოჩენილია „პეიზაჟი უკუღმა“: „ლაფორგის სუსხიანი პეიზაჟი ახველებს, როგორც ჭლექიანი ასული და მის კვირეებში, მის პროვინციალურ მთვარეში პეიზაჟი წამებულია, როგორც დაისრული სებასტიანე. ბალზაკი სწერდა, რომ ზოგიერთი არომატი გამოსთქვამს უკვდავების იდეას. პეიზაჟი უნდა გახდეს წარსულ და მომავალ იმედების სარკედ. მასში, როგორც ვაზაში, უნდა მოვათავსოთ ჩვენი ნერვიული ბუნება“ („პეიზაჟი უკუღმა“).

„ქვრივ ოთახებში მაშინებს ღამე
მკვდარის სიჩუმის შავ გარინდებით.
უბედურება ტრიალებს სახლში
და მემუქრება მხუთავ ბინდებით.
უძილო ღამით, მარტოობაში
ყურებთან უკრავს დაფ-დაირები...
მოდის ვიღაცა ორკუზიანი
და წამჩურჩულებს – „გადაირევი“.
(„განწირული სტრიქონები“)

მეგობრებისთვის მიძღვნილ არაერთ ლექსში პოეტი წარმოაჩენს, როგორ იმკვიდრებენ ისინი თავს ახალი პოეზიის მითოლოგიაში. სამწუხაროდ, ეს არის მსხვერპლიანი გზა, ამიტომაც უწოდა ცისფერყანწელებს „ჯვარზე გაკრულნი“:

„სამშობლოს ჯვარზე პოეზიით დალურსმულები,
ფეხზე ვიკიდებთ ჰენიოსთა დაფნის გვირგვინებს
და როცა ქვეყნის აღსასრული ჩამოიგრგვინებს,
ჩვენ გავიცინებთ თეთრ ფერებში გადაცმულები.
ჩვენ ლექსებს დავწერთ, ავტირდებით და ავატირებთ,
ჩვენი დარტყმული ამ ქვეყანას დარჩება ლარი,
თვალწამოვარდნილ საქართველოს გადვინადირებთ
და ჩვენს ძეგლებზე აინთება ლოცვის ოლარი“.
(ჩვენ – „ცისფერი ყანწები“ (1922 წ.)

პატრიოტულ თემას, გაცვეთილსა და გაშაბლონებულს, სტერეოტიპული სახეებით გადატვირთულს, ცისფერყანწელებმა ახალი სული შთაბერეს, განსხვავებული პოეტური ხედვით გაამდიდრეს. ამ თვალსაზრისით გამოირჩევა ნიკოლო მიწიშვილის არაერთი ლექსი, მათ შორისაა საოცარი ნაღველით სავსე სტრიქონები: „ო, საქართველოვ, წიგნო, ჩუმად გადასაშლელო“. აქ ყოველი სიტყვა გულწრფელია და დატვირთულია ასოციაციური ნაკადებით, რომლებიც მოაქვს იმ დიდ სიყვარულს, ხმამაღლა გამოთქმა რომ არ სჭირდება.

თავის დროზევე კარგად შეაფასა შალვა აფხაიძემ ნიკოლო მიწიშვილის პოეზიის თავისებურება, როდესაც დაწერა: „ნიკოლო მიწიშვილის პოეზიაში არის შინაგანი გულწრფელობა და სიმართლე. მთელი მისი პოეზია არის საუკეთესო ილუსტრაცია, ან უკეთ, დოკუმენტია იმ სულიერი კრიზისისა, რომელიც ახალი ეპოქის მიჯნაზე დამდგარ პოეზიას ახასიათებს. პოეტის ფესვი წარსულშია, ხოლო ადამიანის სახე წინ იყურება... პოეზია, რომელსაც დეკადანსის საკმევლის სურნელება სდიოდა, იყო გამომხატველი დარღვეული ეპოქის... ლექსები გამართული და ძლიერია როგორც კომპოზიციის, ისე დეკორატიული მორთულობით“ (აფხაიძე 2010: 4).

ნიკოლო მიწიშვილი პოეზიაში ხშირად იყენებდა ქართული თუ მსოფლიო ლიტერატურისა და ისტორიის, მითოლოგიისა და ფოლკლორის კულტურულ კოდებს, რათა თავისი სათქმელი გამოეხატა. ამ თვალსაზრისით გამორჩეულია მისი ლექსი „ჰაჯი მურატის მოჭრილი თავი“, რომელშიც ხატავს დაუმორჩილებელ, თავისუფლებისათვის მებრძოლ კავკასიელ ვაჟკაცს, ჰაჯი მურატს,

რომელიც ჰამლეტური მოაზროვნის რანგში აჰყავს. პოეტმა ეს სახე აქცია ერთგვარ სიმბოლოდ, რომელმაც გამოხატა ტრაგედია ზნეობრივი გმირის შეუფერებელ აპოკალიფსურ დროში ცხოვრებით გამოწვეული ტრაგედიისა, იმ გაორებისა, რომელიც, ნებით თუ უნებურად, „ემართებოდათ“ ინტელექტუალებს, მათ შორის, ქართველ პოეტებსაც, რომლებიც ხშირად კომპრომისსაც მიმართავდნენ, რათა მოჩვენებითი „მოთვინიერებითა“ და კონფორმიზმით თავიანთი ნამდვილი მოუსყიდველი სახე შეენიღბათ. თუმცა დიქტატორულ საბჭოთა ხელისუფლებასთან ამგვარი „თამაში“ ხელოვანთა წაგებით, „მოჭრილი თავებით“ სრულდებოდა. ამის ნათელი მაგალითა ტიციან ტაბიძის, მიხეილ ჯავახიშვილის, ნიკოლო მიწიშვილისა და სხვა შესანიშნავ ხელოვანთ დახვრეტა. ეს ყოველივე თითქოს ნაწინასწარმეტყველებია ლექსში:

„მაშ ვინ იყავი?.. რა იყავი? მაშ, რაღა გქვიან,
აქაც და იქაც დაღუპულო, მოჭრილო თავო.
ხუნძახელ ჰამლეტს რად გინდოდა, რომ გაჩნდი გვიან
გაორებულო, უფსკრულებში ჩაშლილო მთაო.
აქედან ვხედავ, ამბობს იგი: ბრძოდე, იწვოდე,
გაგსრისოს, დეე, ჭრილობებმა სისხლიან ფარცხით,
მაგრამ, თუ იბრძვი – სამუდამოდ უნდა იცოდე:
გაორებული კაცის ბედი თავდება მარცხით“.

(„ჰაჯი მურატის მოჭრილი თავი“, 1935 წ.)

ნიკოლო მიწიშვილის პოეზიაში წარმოჩენილია ადამიანის სამყაროსთან, ხილულსა და უხილავ ფენომენებთან დამოკიდებულება. მისი ლექსები ერთგვარი მანიფესტაცია და ხორცშესხმაა იმ იდეალებისა და პრინციპებისა, რომლებსაც ცისფერყანწელები თავიანთი თეორიული წერილებით ამკვიდრებდნენ. სანდრო ცირეკიძე წერდა: „მოვლენათა სწორი ასახვა საქმეა ფოტოგრაფიის და მეცნიერების. მათი თავისებურად დალაგება – სტილიზაციაა და მოდერნიზმი. მაგრამ არიან სხვები, რომლებმაც ქვეყანას უცნაურად შეხედეს. მოვლენების იქით საგნები იზმორებიან უცხონი. სოფელს დიდი ხანია გაუჩნდა ორეული და მოჩვენებებით დასახლდა ქვეყანა. გაიცრიცა ფირუზის ცა, აინგრა ზურმუხტის ხმელეთი და მოისმა სუნთქვა ქაოსის. აქ აღარ გამოდგება კოდაკის აპარატი. ორი თვალი ადამიანის დაძველდა. პოეზია და რელიგია იხედებიან მოვლენათა გადაღმა და მათთვის საჭირო შეიქნა ათვისების და გამოთქმის ახალი ფორმები. მას აქეთ, რაც ადამიანმა იგრძნო სოფელი წარმავალი, იგი ჰაერში დაეკიდა და ეძებს მაგარ წერტილს თავის ნიშნის მისამაგრებლად. აქ გაიყო გზები მოგვის და პოეტის: რელიგია ეძებს ნამდვილ ორეულს ქვეყნისას და უნდა ეზიაროს მის უკვდავებას. პოეტმა თავიდანვე ეჭვის თვალით შეხედა ამ ძიებას. იმან დაიჯერა, რომ ღმერთს ჭეშმარიტს ვერ იპოვის და ეძებს მხოლოდ მის ბუტაფორიას“ („პარალელები“).

ნიკოლო მიწიშვილის პოეზიაში არის მცდელობა „საგანთა მიღმა“ გახედვისა, ჭეშმარიტების ძიებისა და ამ გზაზე ამქვეყნიური სიმულაციური და ბუტაფორიული სახეების გადალახვისა. მის ლექსებში გამოხატულია ის გაოცება, ტკივილი, სიყვარული, რომლებსაც აღძრავს არა მხოლოდ ხილულ მატერიალურ საგანთა, არამედ მათ მიღმა ჭვრეტა, მეტაფიზიკურ პოეტურ განზომილებებში ხეტიალი. ამ თვალსაზრისით გამორჩეულია მისი ლექსები: „სურათი“, „გული – თუთიყუში“, „ჩემი მწევრები“, „შავი ვარსკვლავი“, „როგორც ეპიტაფია“, „წაგებული ბიოგრაფია“ და სხვა მრავალი.

ვილიე დე ლილ-ადანი და გალაკტიონი – შორეული გადაძახილი

ფრანგი პოეტის, ვილიე დე ლილ ადანის, სახელი ცისფერყანწელებმა და გალაკტიონ ტაბიძემ გააცნეს ქართველ მკითხველს. იგი იქცა შორეული, მიმზიდველი და დახვეწილი პოეზიის ერთგვარ სიმბოლოდ. როდესაც ტიციან ტაბიძემ გალაკტიონის პირველ კრებულის ლექსებით აღძრული აღტაცება გამოხატა წერილით „მარტოობის ორდენის კავალერი“, მან სტეფან მალარმეს ის სიტყვები გაიმეორა, რომლებითაც მან ახალგაზრდა ვილიე დე ლილ ადანი შეაფასა: „ჩვენთან არავინ მოსულა ასეთი უცნაური ჟესტით, გაქანებული ილუზიის ქარით, უხილავი ნაბიჯით, როგორც ეს უჩვეულო და უტეხი ჭაბუკი, რომელიც ამბობდა: აი, მეო! ჭაბუკობისას არავისთვის გაუმჟღავნებია მას ის ბედისწერა, სადაც ანათებს აზრის ბრწყინვალება, რომელიც სამუდამოდ აღბეჭდილია მის მკერდზე მარტოობის ორდენის ბრილიანტებით“.

ვილიე დე ლილ-ადანს ახსენებენ ვალერიან გაფრინდაშვილი და სანდრო ცირეკიძე, როგორც პოეტური პროზის დიდოსტატს. როდესაც ვალ. გაფრინდაშვილი ახალ მითოლოგიაზე საუბრობს, რომელიც გულისხმობს „ძველი ღმერთების“ ნაცვლად მწერალთა სახელებისა და მათ მიერ შექმნილ სახეთა გაღმერთებას, ვილიე დე ლილ ადანსაც უთმობს ადგილს „ახალ ოლიმპოზე“: „დღეს პოეზიაში საბერძნეთის ღმერთების ადგილს იჭერენ პოეტები. ჩატერტონი, რემბო, ბესიკი, მაჩაბელი, ჰოფმანი, ვილიე დე ლილ-ადან არანაკლებ აღაფრთოვანებენ პოეტის ოცნებას, ვიდრე ზევსი და აპოლონი, აფროდიტე და ათინა. წინანდელი პოეტები – გარდაქმნილნი დროის და სივრცის ჯადოქრობით უნდა გახდნენ არა მარტო დრამატიულ და ეპიურ, არამედ ლირიკულ სახეებად“ („დეკლარაცია (ახალი მითოლოგია“)).

ვინ იყო ოგიუსტ ვილიე დე ლილ-ადანი?

პოლ ვერლენის მიერ „დაწყევლილ პოეტთა“ დასში მოხსენიებულ ლეგენდად ქცეულ გრაფ ვილიე დე ლილ-ადანს (1838-1889), მიუხედავად იმისა, რომ უძველეს არისტოკრატიულ გვარს განეკუთვნებოდა, ლუკმაპურის საშოვნელად ბევრი შეუფერებელი რამის გაკეთება უწევდა და არც ავანტიურა ყოფილა უცხო. ერთხელ „მოსიარულე რეკლამაც“ კი ყოფილა ერთი ფაბრიკისა. ყოფით პრობლემებთან გამკლავება მარცხით დასრულდა და უმშვენიერესი პოეტური სამყაროს პატრონი სიღატაკეში გარდაიცვალა. ოგიუსტ ვილიე დე ლილ-ადანი სალიტერატურო ასპარეზზე ლექსების კრებულით გამოჩნდა, შემდეგ კი აქტიურად მიმართა პროზას და მცირე ჟანრის ნაწარმოებთა თხრობის ოსტატად იქცა. წერდა დრამებსა და რომანებსაც. მისი შემოქმედება გამსჭვალულია სიმბოლისტური ესთეტიკით, ირაციონალურისა და მისტიკურის, მიღმა სამყაროს ჭვრეტის წყურვილით. იგი ხედავდა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში როგორ იკიდებდა ფეხს მომხმარებლური, პრაგმატული სულისკვეთება, ამიტომაც საზოგადოების მერკანტულ პათოსს განერიდებოდა და გაუცხოებას შემოქმედებაში დიდი ტკივილით გამოთქვამდა. გამოხატვის ფორმა მისთვისაც, როგორც არტურ რემბოს, შარლ ბოდლერის, თეოფილ გოტიეესა თუ სტეფან მალარმესათვის, უპირველესი და უმნიშვნელოვანესი იყო. ყველაზე დიდი გავლენა კი მასზე ედგარ პოს, ე. წ. კოშმარულ ხილვებს ჰქონდა. სამწუხაროდ, ქართულად მცირე თარგმანები გვაქვს, მათ შორის, მისი პროზის მხოლოდ ორიოდე ნიმუში. ამჯერად მისი ორი ნოველის ინტერპრეტაციას წარმოვადგენთ, რათა უფრო ახლოს გავიცნოთ შემოქმედი, რომელიც ქართველ მოდერნისტთა სათაყვანებელ სახელებში შედიოდა.

სინამდვილისაგან გაქცევა მას რელიგიურ სამყაროშიც ამოგზაურებდა, წმინდანებისა და ანგელოზების ღვთაებრივ, მშვიდ და ჰარმონიულ სამყაროში. ერთი ასეთი შესანიშნავი ნოველაა „და ნატალია“, რომელშიც ცოდვისა და დანაშაულის გამოსყიდვის თემები წარმოჩნდება. სახარებისეული მეძავი ქალის ალუზიაც ჩნდება. ღვთისმშობლის სახე ქართულ სიმბოლისტურ პოეზიასა და პროზაშიც ხშირად გაიელვებს (სამაგალითოდ, სანდრო ცირეკიძის „მოზაიკის ღვთისმშობელი“ ან გალაკტიონ ტაბიძის „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“ და მისივე სხვა ლექსები შეიძლება მოვიხმოთ, რომლებიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან, ღვთისმშობლის როგორი სიყვარულით გამოირჩევიან ქართველი შემოქმედნი. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, აგრძელებენ, უპირველესად, დავით გურამიშვილისეულ ტრადიციას).

„და ნატალია“ ნოველის ჟანრის კლასიკად შეიძლება მივიჩნიოთ, დრამატიზმითა და მოულოდნელი დასასრულით, შეკრული სიუჟეტითა და კომპოზიციური ქარგით. ნოველაში ერთმანეთს უპირისპირდება ტაძრისა და სოფლის ტოპოსები. მთავარი გმირი მონაზონი ნატალიაა, რომელიც გაორებული შინაგანი სამყაროს ჭიდილით იტანჯება. მის ახალგაზრდულ ვნებას ჩაკეტილი სივრცის გარღვევა და სამყაროს მოხილვა სწყურია, უძღები შვილივით შინიდან წასვლა სურს, რათა იგემოს დაცემის სიტკბოება. შეიძლება ვთქვათ, რომ მონაზვნობა მისი ნაადრევი არჩევანია, სულსა, გულსა და გონებას მასში ჯერ ვერ მიუღწევია იმ თანხმიერებისთვის, რომელიც მონასტრულ გარემოს ცოცხალ სამოთხისეულ ნეტარებად გარდაქმნიდა. მისთვის მრავალფეროვნება გარეთაა, ცოდვათა სიჭრელით სავსე წუთისოფელი მისთვის ბედნიერების ზიარების ერთადერთი გზაა. ამიტომაც ვერ ჩაუხშვია გარედან მომავალი ვნებიანი ხმები, რომელთაც მოაქვს განუცდელი და მომაჯადოებელი ნეტარების სურნელი. მიუხედავად დანაშაულისა და ღვთის ღალატის დიდი განცდისა, ნატალია შეყვარებულ ჭაბუკს მიჰყვება და ტოვებს მყუდრო და უშფოთველ მონასტერს. წასვლისას ღვთისმშობელს ევედრება: „ნუ მომაკლებ შენს მოწყალებას, მოქანცული სულითა და ხორცით მივდივარ აქედან და თან მიმაქვს ჩემს სულში შენი წმინდა სახე. წმიდაო ქალწულო, შეიბრალე ის, რომელიც მიწიერ სიყვარულისთვის ტოვებს წმიდათა სამთავროს. გესმის შენ ეს ხმა: ის მაფიცებს მე უსაზღვრო ერთგულებას! თუ არ გამოვეხმაურე მას, მაშინ მოკვდება, და განა უნდა უარვყო მე სიყვარული ჩუმი და მრავალი წლის განმავლობაში უიმედოდ მყოფი?!“ მწერალი მოკლედ და ექსპრესიულად გადმოსცემს წუთისოფლის ტკბობაში გაფრენილ ნახევარ წელს, რომელიც გავიდა „ნეტარებაში, სიყვარულში, ფლორენციის, რომისა და ვენეციის დათვალიერებაში“. მომხიბლავი ჭაბუკი კი ჩვეულებრივი დონ-ჟუანი აღმოჩნდება, ავანტიურისტი კოლექციონერი, რომელიც ერთ დღეს მიატოვებს მშვენიერ ნატალიას. ნოველაში ტრადიციული სიუჟეტური ხაზი ჩნდება, რომელიც დამატებით ფსიქოლოგიურ ნიუანსებს არ მოითხოვს იმისთვის, რომ ნატალიას თვითმკვლელობის გადაწყვეტილება მკითხველისთვის დამაჯერებლად მოტივირებული აღმოჩნდეს. ფსკერის ადამიანების სახარებისეული სიყვარული მწერლისთვისაც ჩვეულია და მას პერსონაჟი კვლავ მონასტერში მიჰყავს, რათა ცოდვა აღიარებინოს და მშვიდად გაუყენოს სიკვდილის გზას. მოულოდნელი ფინალი სწორედ აქ ჩნდება. ღვთისმშობლის ქანდაკთან დაჩოქილ ატირებულ ნატალიას მოულოდნელად და სასწაულებრივად ღვთისმშობელი, „ციური დედოფალი“ დაელაპარაკება: „ჩემო შვილო, განა შენ დაგავიწყდა? როცა ჩვენ ვშორდებოდით ერთმანეთს, დამიტოვე ზეწარი და გასაღები შენი სენაკისა. აქ ვმსახურებდი მე შენ მაგიერ, ამ ზეწარში გადაცმული მე ვასრულებდი შენს საქმეებს. ვერც ერთმა შენმა ამხანაგმა ვერ შეამჩნია შენი წასვლა. დაიბრუნე ისევ უკან, რაც დამიტოვე. დაბრუნდი შენს სენაკში და... აღარ წახვიდე ამიერიდან“ (დაბეჭდილია ჟურნალში „ოქროს ვერძი“, 1913 წ. 30 ივნისი, №5, თარგმანი ხელმოწერილია ფსევდონიმით „სკ-ლი“).

ამ ნოველის საერთო განწყობას ეხმიანება გალაკტიონის ლექსი „გვიანი ოცნება“, 1919 წელს გამოცემული ეპოქალური წიგნის, „არტისტული ყვავილების“ კრებულში დაბეჭდილი შედევრი, რომელშიც პირდაპირ სახელდება ვილიე დე ლილ-ადანი და ერთგვარ მუსიკალურ აკორდად ჩაეწერება აზრობრივ სივრცეში:

„წიგნი ვედრებიანი,
ალოცება სატანის,
და ოცნება გვიანი
ვილიე დე ლილ-ადანის.
ხშირად მომეფარების
ჩემი კარგი ზმანება
და მტანჯავს მწუხარების
ყელით გადაქანება.
ლურჯი, ლურჯი დღე არის,
განშორების დღე არის,
მე არ ველი უარესს...“.
(„გვიანი ოცნება“)

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ვილიე დე ლილ-ადანის ნოველა 1913 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „ოქროს ვერძში“, შეიძლება იგი გალაკტიონისთვის ამ ლექსის შექმნის ერთგვარ შემოქმედებით იმპულსადაც ქცეულიყო. მისი საიდუმლო პოეტური სამყარო ხომ სავსეა ამგვარი კოდებითა და ენიგმებით.

მეორე ნოველაც, სახელწოდებით „ვერა“ სიმბოლისტური ესთეტიკითაა შექმნილი. მასშიც რეალობას ილუზია და მირაჟი ჩაენაცვლება. ნოველის მხატვრული სივრცის გაცნობისას ჩნდება ედგარ პოს „ყორნისა“ თუ თეოფილ გოტიეს „შეყვარებული მკვდრის“ ალუზიები. მთავარი გმირი გრაფი რაიმონდია, რომელსაც ახალგაზრდა მეუღლე, ულამაზესი ვერა გარდაეცვლება. ერთად ყოფნის ექვსი თვე სავსე იყო ვნებათა ფეიერვერკებით. ავტორი დახვეწილი, ნატიფი ნიუანსებით ხატავს ქალ-ვაჟის ურთიერთლტოლვას, რომელიც თანაბრად იტევს სულიერ-ხორციელ მისწრაფებებს. სიყვარულს ფონად დამათრობელი სურნელებანი და მომაჯადოებელი ფერადოვნება ახლავს. მწერალი აღწერს გრაფის გლოვას და სიკვდილის გადალახვის მცდელობას (ნოველა იწყება სოლომონის ოდნავ სახეცვლილ ფრაზით „ქებათა ქებიდან“: „სიყვარული სიკვდილზე ძლიერია“ (VIII, 6). იგი სასახლეში მარტო რჩება ერთ მსახურთან ერთად და წარმოსახულ სამყაროში აცოცხლებს გარდაცვლილს: „ბუხართან იჯდა და მაგიდასთან, რომელზეც ჩაის ორი ფინჯანი იდგა, მომღიმარ ილუზიას ესაუბრებოდა“; „ჰაერში რაღაც სულიერის არსებობა შეინიშნებოდა – ვიღაცის სახე მიუწვდომელ სივრცეში გამოჩენას, გამოსახვას ლამობდა“, „მიცვალებული, როგორც ბავშვი, თითქოს დამალობანას ეთამაშებოდა“. გრაფს იმდენად დიდი ჰქონდა რწმენა მეუღლის გაცოცხლებისა, რომ იხილა კიდევაც ხორცშესხმული სილუეტი, კიდევ ერთხელ განიცადა ექსტაზი მიწისა და ცის შეერთებისა, მაგრამ მოულოდნელად გამოფხიზლდა. სიკვდილი აღიარა და ტკივილით დაიწყო ფიქრი, რა გზით შეიძლებოდა სიყვარულის დაბრუნება. მოულოდნელად აკლდამის გადაგდებული გასაღები შენიშნა. „მშვენიერმა ღიმილმა“ გაუნათა გრაფს სახე. მკითხველი გრძნობს, რომ ეს თვითმკვლელობის გადაწყვეტილებაა, თუმცა თხრობა აქ მთავრდება და ამ წარმტაცი სიყვარულის ამბავი მკითხველის წარმოსახვაში ჰპოვებს მარადიულობას. ნოველა თარგმნილია დიანა მიქელაძის მიერ, შენარჩუნებულია ვილიე დე ლილ-ადანის სტილური თავისებურებანი, მოქნილი ფრაზები თითქოს სუნთქავენ, ფერი, მუსიკა და სურნელი თანაბარი ინტენსივობით იჭრება მკითხველის შეგრძნებებში.

ანჯიგონე და აღაზა – სულიერი დები

ანტიგონე და აღაზა მსოფლიო ლიტერატურის ორი გამორჩეული პერსონაჟია. ისინი განსხვავებულ დრო-სივრცეში არსებობენ, მაგრამ ხვდებიან იმ განზომილებაში, რომელშიც ყოველგვარი პირობითი საზღვარი და ჩარჩო უქმდება. ორივემ თავისი სიკვდილით დაამოწმა ადამიანობის გადამრჩენი, მხსნელი ღირებულებების, დაძმობის, სიყვარულის უკვდავება. ორივე იქცა წმინდა მსხვერპლად, რომელიც დღემდე აფორიაქებს, აღელვებს მკითხველს და თვალს უხელს, აღვიძებს, ჭეშმარიტების ძიებისკენ უბიძგებს. ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა კავშირი ძველბერძნულ ტრაგედიასთან არაერთხელ აღუნიშნავთ, ანტიგონესა და აღაზას შორის ნათესაობაც არ გამორჩენიათ, თუმცა ამჯერად მათ სულიერ დობაზე უფრო მეტს ვიმსჯელებთ. ანტიგონე სოფოკლეს ტრაგედიის „ანტიგონეს“ მთავარი გმირია, აღაზა – ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძლისა“. ორივე ქალი ახალგაზრდა, ძლიერი ნებისყოფის ადამიანია. მათი ხასიათები, როგორც არისტოტელე იტყვის, სწორედ მაშინ გამოიკვეთება, როდესაც რთულ, მაგრამ პრინციპულ არჩევანს აკეთებენ, თავიანთ პიროვნულობას ამჟღავნებენ, საკუთარი სინდისის კარნახს მიჰყვებიან, საზოგადოებაში დამკვიდრებულ თვალსაზრისებს უპირისპირდებიან. ორივეს ამბავთან ზიარება იწვევს კათარზისს, იმგვარ განწმენდას, რომელიც მკითხველს სულიერი მზერის გახსნისკენ, მოვლენების განსხვავებული რაკურსითა და კრიტიკული თვალთახედვით აღქმისკენ უბიძგებს. ისინი სულიერი დები არიან, რადგან ერთმანეთს ენათესავებიან მაღალი მორალისა და ზნეობის ერთგულებით, იმ წინააღმდეგობით, რომელსაც „დაწერილი კანონების“ დარღვევით ავლენენ. ანტიგონე თებეს მეფე კრეონის ოფიციალურად გამოცემულ, „დაწერილ ბრძანებას“ არღვევს, ძმას მიწას მიაყრის, დაკრძალვის რიტუალს აღასრულებს, აღაზა კი – თემის ტრადიცებით, წეს-ჩვეულებებით განპირობებულ „კანონებს“ დაარღვევს, ქისტების მტერს, უცხო რჯულის ზვიადაურს, დაიტირებს. ორივე სიყვარულის ღვთაებრივ კანონებს აღასრულებს, რადგან „ვიყუარებოდით ურთიერთას, რამეთუ სიყუარული ღმრთისაგან არს და ყოველი, რომელსა უყუარდეს, ღმრთისაგან შობილ არს და იცის ღმერთი. რომელსა არა უყუარდეს, მან არა იცის ღმერთი, რამეთუ ღმერთი სიყუარულისაჲ არს“ (იონე 4, 7-8). ისინი თავიანთ ქრონოტოპში, იმ მხატვრულ დროს-სივრცეში ცხოვრობენ, რომელშიც ავტორებმა მოაქციეს, შესაბამისად, გასათვალისწინებელია ყველა ის ნიუანსი, რომელიც მათ არჩევანზე ზემოქმედებს. ამიტომ, რა თქმა უნდა, მათ შორის, განსხვავებაც ბევრია.

ორივეს ცხოვრება ბედნიერების წმინდა ნაკადულივით მიედინება. ანტიგონე დანიშნულია ჰემონზე, კრეონის, თებეს მმართველის ვაჟზე. ჰემონი მაღალი ზნეობის ადამიანია. ჩანს, ანტიგონეს სულიერი ტოლი უპოვია. ჰემონი მამას თამამად უპირისპირდება, უსამართლო გადაწყვეტილებაში სდებს ბრალს, მისკენ მოსაკლავადაც გაიწევს. ის ჰადესში, სიკვდილის საუფლოში მიჰყვება საცოლეს, თავისი მახვილითვე განგმირული. აღაზას შესანიშნავი ოჯახი ჰყავს, ჯოყოლა ალხასტაიძე ქისტეთში განთქმული ვაჟკაცი, კაი ყმაა, რომელიც გამოვა პლატონისეული „გამოქვაბულიდან“, გაარღვევს წყვდიადის ჩარჩოებს, გადალახავს იმ რთულ წინააღმდეგობებს, რომლებიც ადამიანებს ერთმანეთისგან აუცხოვებენ და სიყვარულის მწვერვალზე შედგება აღაზასა და ზვიადაურთან ერთად. ფინალური ეპიზოდის მრავალმნიშვნელოვნება სწორედ ამაზე მეტყველებს.

ანტიგონეცა და აღაზაც ბედისწერას მიჰყვებიან, ოღონდ არა ბრმად, არამედ თვითონვე ქმნიან თავიანთ ბედს. მათ გაცნობიერებული აქვთ, რომ ნაწილნი არიან ადამიანობისა, ერთი მთელისა, რომლის სიჯანსაღე მათზეცაა დამოკიდებული. ანტიგონეს მეხსიერება ტრავმირებულია მამის,

ოიდიპოსის ტრაგედიით, მას ტვირთად აწევს ქალის მოკრძალებული როლიც საზოგადოებრივ ყოფაში. აღაზას „მამა“ მთაა, მკაცრი და უშეღავათო, რომელიც განსაზღვრავს ქალის ქცევის წესს პატრიარქალურ საზოგადოებაში, თრგუნავს მისი პიროვნულობის გამოვლენის შესაძლებლობებს. თუმცა, ორივეს ეს „მამები“ გადაალახვინებენ ცოდვის აღქმისა და გაგების იმ ბარიერებს, რომლებიც ადამიანების და არა ღმერთის შექმნილია.

ორივეს გარეგნული და სულიერი მშვენიერება სრულ ჰარმონიაშია: აღაზა: „გამოჩნდა ქალი ლამაზი, /შავის ტანსაცმლით მოსილი, /როგორაც ალყა ტანადა, /ვარსკვლავი ციდამ მოცლილი“. ორივე დამცველია დიდი სიყვარულისა, რომელსაც საფრთხე ემუქრება. ეს სიყვარული „ზემხედველი“ ადამიანების თვალითაა დანახული. იმგვარია, რომელიც ადამიანს მატერიალური სამყაროს ტყვეობიდან ათავისუფლებს და ახალ განზომილებაში, სინათლისა და სიკეთის საუფლოში გაჰყავს, სადაც ყოველგვარი ადამიანური წესები უქმდება და მხოლოდ სიყვარულის უნივერსალური კანონი მოქმედებს. ეს რუსთველისეული „მიჯნურობაა“, ზეაღმატებული და „გამოუთქმელი“: „მას ერთსა მიჯნურობასა ჭკვიანნი ვერ მიხვდებიან, ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დავალდებიან“ (რუსთაველი).

ორივეს მშვიდ ყოფას მოულოდნელი საბედისწერო მოვლენა ამღვრევს: ანტიგონეს ძმები ძალაუფლებისათვის ბრძოლაში ერთმანეთს უპირისპირდებიან და იხოცებიან. კრეონი ერთ ძმას პატივით ამარხვინებს, მეორეს კი (რომელიც უცხო ჯარის დახმარებით ცდილობდა ტახტის მოპოვებას) მოღალატედ შერაცხავს და ყვავ-ყორანთა საჯიჯგნად დააგდებს, მცველებსაც დაუყენებს, რომ არავინ დაარღვიოს მისი ბრძანება. მიწას მიჯაჭვული კრეონისთვის კანონი უზენაესია, ძალაუფლებით დაბრმავებულს ეჭვიც არ შეაქვს თავისი გადაწყვეტილების სისწორეში. მის გაქვავებულ გულამდე ზეცის ხმა არ აღწევს, ამიტომაც სასტიკად ისჯება (მეუღლე და შვილი სიცოცხლეს თვითმკვლელობით ასრულებენ). ანტიგონე კი ღვთიურ მოვალეობას ასრულებს და მიწიერ კანონს არღვევს. თემისა და კრეონის კანონები ამქვეყნიური ყოფის სოციალურ „სისტემებს“ აწესრიგებენ, აღაზასა და ანტიგონეს კანონები კი მეტაფიზიკური სამყაროს ფუნდამენტს ქმნიან, დროისა და სივრცის მიღმა არსებულს.

ორივეს გაბედულება გასაოცარია. ანტიგონე დას, ისმენეს გაუმხელს, თუ რას აპირებს:

„ანტიგონე: აბა, იფიქრე, თუ შემეწევი.
ისმენე: საშიშს აპირებ, რა განგიზრახავს?
ანტიგონე: დამეხმარები, დავფლათ ძმის გვამი?
ისმენე: როგორ თუ დავფლათ, მერე ბრძანება?
ანტიგონე: შენსა და ჩემს ძმას უშენოდ დავფლავ და აღვასრულებ ჩვენს საერთო ვალს.
ისმენე: თავხედო, კრეონს გინდა ეურჩო?
ანტიგონე: ის ვერ დამიშლის ვალის სრულყოფას.
...ისმენე: უგნურებაა, თავს იდვა საქმე, ძალს და ღონეს რომ აღემატება.
...ანტიგონე: როგორც გენებოს, მე კი დავმარხავ! ასეთ საქმისთვის შვებით მოვკვდები“.

ანტიგონე მოქმედებს პრინციპით: „ბედი ცდაა“, როგორც რუსთველი ამბობს: გამარჯვება კი „ღმერთსა უნდეს, მოცაგხვდების“. აღაზა შეურაცხყოფილი, გათოკილი ჯოყოლას დაწყებულ „საქმეს“ აგრძელებს. ისიც ანტიგონესავით მარტოა, მაგრამ სასაფლაოზე მიჰყვება ზვიადაურს და თითქოს ფარულად „იცავს“:

„მიშველებასა ჰლამობდა:
„ნუ ჰკლავთ!“ ეძახის გულიო,

ფიქრობდა ბრაზმორეული:
ნეტავი მომცა ცულიო,
ნეტავი ნებას მაძლევდეს
დედაკაცობის რჯულიო,
რომ ეგ ვაცოცხლო, სხვას ყველას
გავაფრთხობინო სულიო“.

აღაზას არა მხოლოდ ცოცხალნი, მკვდარნიც კი საყვედურობენ. რა თქმა უნდა, ეს შექსპირული დრამატიზმით წარმოჩენილი ბრძოლაა, რომელიც აღაზას სულიერ სამყაროში დიდ რყევას, გულის ჭიდილს იწვევს, მაგრამ იგი საკუთარ თავზე იმარჯვებს. ერთ მხრივ, ხათრი აქვს თემისა:

„მეორით – ღმერთი აშინებს,
ქისტეთის მტრისა მოზარეს
თავს რისხვას გადმოადინებს.
ეს ფიქრი გონებისაა,
გული თავისას შვრებოდა,
კაცის კაცურად სიკვდილი
გულიდამ არა ჰქრებოდა“.

ქისტების მოკლული ზვიადაური აღაზასთვის არა მხოლოდ უცხო კაი ყმა, არამედ „ლამაზი ძმაა“, რომლის ხსოვნის სამხილსაც ინახავს:

„აიხსნა დანა, მიჰმართა
ზვიადაურსა იმითა,
ააჭრა ნიშნად, სახსოვრად
სამი ბალანი პირითა,
ჩიქილის ტოტში შეხვია
ბროლის თითებით თლილითა...
. . . . .
„უნამუსოვო“! მისძახდენ
ტანდაწკეპილნი დეკანი,
ბალახნი, ქვანი, ქვიშანი,
იმ არე-მარეს მდებარნი.
აგერ, საფლავით ამოდგა
მისი მკვდარი ძმა ებარი,
თავის ტოლებში უსწორო,
ქისტეთს გათქმული მხედარი.
თან მიჰკიოდა თავის დას,
სიტყვა პირს მოსდის მჭეხარი:
„ვაჰ, დაო, დაო, რა მიყავ?
რისხვა რად დამეც მედგარი?
მეორეს საფლავში ჩამდევ,
ერთს სამარეში მდებარი!“.

დევების გამოკიდების „ტყუილი ამბის“ გამო არ ამუნათებს ჯოყოლა ცოლს. აღაზამ ამ „ზღაპრით“ სამყაროს ის კანონზომიერი სიმართლე გამოთქვა, რომელიც ბოროტებასა და სიკეთეს შორის დაუსრულებელ ბრძოლას გულისხმობს. დევი, გველეშაპი თუ გველი მითოლოგიურად ერთი რიგის წყვდიადის მოციქულნი არიან, რომლებიც ჩანთქმას უპირებენ მზეს, მთვარესა თუ ვარსკვლავებს, აღაზასაც „სხივმიხდილ ვარსკვლავად“ აქცევენ, მაგრამ ვერ დაამარცხებენ. ყოველივე იმას, რაც სიცოცხლეს აცისკროვნებს, „უფსკრულს“ გადალახავს აღაზა. ის ამაყად აიღერებს ყელს მზისაკენ, როგორც უმშვენიერესი, ნაზი პირიმზე: „და უფსკრულს დასცქერს პირიმზე/ მოღერებულის ყელითა“. პირიმზეს სიმბოლური მრავალმნიშვნელოვნება კი იმ სიწმინდეს, სიკეთეს, სიყვარულს, რწმენას გულისხმობს, რომელსაც სიკვდილი არ უწერია. მკითხველსაც უჩნდება განცდა, რომ „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“ (რუსთაველი).

ჯოყოლას მიერ გადადგმული პირველი გაბედული ნაბიჯები, თემთან დაპირისპირებისა, ზვიადაურის, როგორც სტუმრისა და ვაჟკაცის დაცვისა, აღაზამ გააგრძელა. მან თემის საუკუნეებით განმტკიცებულ ტრადიციას, „დაწერილი კანონის“ რანგში აყვანილს, უღალატა. უცხო დაიტირა: „სიკვდილსა გლოვა უხდება, მკვდარ ძმას ტირილი ძმისაო“. აღაზასთვის ეს იყო საკუთარ თავთან ბრძოლის მოგება, უდიდესი გამარჯვება. ვგულისხმობთ იმას, როგორ საყვედურობენ ამ საქციელს სულიერ-უსულონი, რომლებიც სიზმარ-ცხადში აწამებენ, მიუტევებელი ცოდვის შეგრძნებას უმძაფრებენ, დანაშაულის განცდას უჩენენ. როგორც თამაზ ჩხენკელი წერს: „ჯოყოლა, ზვიადაური და აღაზა, ღვთისშვილთა მსგავსად, ერთურთის სტუმარ-მასპინძელნი და მოდე-მოძმენი არიან. ასეთივე „მოძმე“, ანუ „ლამაზი ძმაა“ ალუდასათვის მუცალი. „ლამაზი“ მზიური ღვთაებების ეპითეტია“ („ტრაგიკული ნიღბები“).

თავისი პერსონაჟის ამ გასაოცარმა ნაბიჯმა „გააოცა“ თვითონ ვაჟა-ფშაველაც. ალბათ ამიტომაც დასჭირდა ამდენი დრო მისი საქციელის შესაფასებლად: „იმ ადგილმა, როცა ქმარი ჯოყოლა ჰკითხავს ცოლს, აღაზას, ნამტირალევი რადა ხარო, ამის გამო ცოლ-ქმარის ბაასმა მთელი ორი თვე შემაჩერა. ნამეტნავად იმ ადგილმა გამოიწვია ჩემში სულიერი რყევა, თუ რა პასუხი უნდა მიეცა ჯოყოლას ცოლისთვის, როგორ შეჰხვედროდა აღაზას სიტყვებს, როცა იგი ეუბნებოდა ზვიადაურზე: „ცრემლები შემიწირია იმ შენი მეგობრისთვისაო“ (ვაჟა-ფშაველა, „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი“).

ვაჟა-ფშაველამ მოულოდნელი „კონფლიქტი“ ცოლქმრული ეჭვიანობის ვიწრო ჩარჩოდან გაიტანა და სამყაროულ კონტექსტში გაშალა. ამ კონტექსტში კი ჯოყოლა და აღაზა ერთარსნი არიან, ერთი დიადი სულის, სიყვარულის, ღვთის, ხორცშესხმული ხატებანი. აღაზამ ჯოყოლას გულისთქმა გამოიცნო, რეალურად, ეს ერთი სულია ორ სხეულში, ისინი ერთი სულისკვეთებით მოქმედებენ, რომელსაც სიყვარული ასაზრდოებს. ეს არის გამოღვიძება, გასხივოსნება, იმ დიდ სინათლეში შესვლა, რომელიც მწვერვალზე დაინთება. აქ აღაზა, ჯოყოლა და ზვიადაური ღვთის სახლში, სასუფეველში სხედან და მეგობრობის, და-ძმობის, თანაგრძნობის, სიყვარულის არსს ჭვრეტენ, ან, უკეთესად თუ ვიტყვით, თვითონვე არიან ხორცშესხმული იდეები, რომლებიც მარადიულად იარსებებენ, გადარჩებიან, მიუხედავად მათი განუწყვეტელი ჩაქოლვისა, მოკვეთისა, განადგურებისა („როცა მათ ჰხედავს ერთადა / კაცი, ვერ ძღება ცქერითა“). კოსმოსი ისევ იკრებს ძალას და იმარჯვებს. აქაც (ისევე, როგორც „ბახტრიონში“) ქაოსს, გველეშაპს, ლუხუმის ჩასათქმელად რომ მიემართება, სახეს უცვლის. დიდი სინათლის წინაშე სიბნელე უძლურია, ისიც ტრანსფორმირდება და სიკეთის ნაწილად იქცევა, ე. ი. თავის საწყისს უბრუნდება, რადგან ბოროტება უარსოა, ის მხოლოდ მოკლებული სიკეთეა (ფსევდო დიონისე არეოპაგელი).

ანტიგონესა და აღაზასთვის, ორივესთვის, ადამიანური მოვალეობა, სინდისით ნაკარნახევი, უზენაესია. ანტიგონე შეშინებულ დას, ისმენეს, ეუბნება კრეონზე: „ის ვერ დამიშლის ვალის სრულ-

ყოფას“. „მე მირჩევნია ქვესკნელის ღმერთთა პატივისდება, სად სავანეა სამარადისო, ვიდრე უფალთა ამქვეყნისათა“. მას არ ეშინია სიკვდილისა: „ვინც ჩემებრ მარად ტანჯულ-გვემულა, მისთვის სიკვდილი ნეტარებაა!/ და თუ ასეთი მომელის ხვედრი, შვება იქნება! მაგრამ ღვიძლი ძმა დაუმარხავი მე რომ დამეგდო, ღმერთთ შევცოდავდი“. ანტიგონე, ნაზი და უმწეო, თითქოს ზეციდან მოიკრებს ძალებს და ამბობს: „მე გავჩენილვარ სიყვარულისთვის“, კრეონი ცინიკურად შეეპასუხება: „მაშ, წადი მკვდრებთან და იქ გიყვარდეს“. ანტიგონეც მიდის, რადგან ის გზა, რომელსაც ირჩევს, სულიერ ბრმათათვის უხილავი სინათლისკენ მიემართება.

როგორც ვიცით, ანტიგონეცა და აღაზაც თვითმკვლელობით ასრულებენ სიცოცხლეს. ამგვარადაც გამოხატავენ თავიანთ არჩევანს. ისინი თავიანთ ბედს თვითონვე გადაწყვეტენ. როცა ანტიგონე ამბობს: „ტიალი, სულმთლად ობლად შთენილი / ცოცხლივ სამარეს მივეშურები“, უპირველესად, სულიერ სიობლეს გულისხმობს. მას, მართალია, გამოექომაგნენ (უპირველესად, ბრმა მისანი ტირეზია), მაგრამ მეფეს გადაწყვეტილება ვერ შეაცვლევინეს, გადარჩენა ვერ შეძლეს, კრეონის ძალას წინ ვერ აღუდგნენ. ის კი მხოლოდ თავს დამტყდარი უბედურების შემდეგ მიხვდა თავის „სიბრიყვეს“. ანტიგონე არ დაელოდა კრეონის სასჯელის აღსრულებას, რაც იმ აკლდამაში სიკვდილს გულისხმობდა და თავი ჩამოიხრჩო. კარგად შენიშნავს პიესის მთარგმნელი პეტრე ქავთარაძე: „ანტიგონე თვს სწირავს საკუთარ სრულყოფას. მისთვის მამის სიყვარული, ძმის წინაშე მოვალეობის შესრულების აუცილებლობა, პირველ ყოვლისა, მისი სინდისის, მისი უმაღლესი ადამიანობის დაკისრებული უმაღლესი და გარდაუვალი კანონია“.

სასოწარკვეთილი, მთელ სამყაროში მარტო დარჩენილი აღაზა ამბობს:

„– რაღად ვიცოცხლო, რიღასთვის?
ამას ჰფიქრობდა ქალია. –
ქისტეთში ჩემი ერთგული
კენჭიც კი არსად არია“.

ამ თემაზე სხვაც ბევრი რამ შეიძლება თქმულიყო. აქ ერთ საკითხსაც შევეხებით. „არის თუ არა აღაზას ზვიადაურისადმი თანაგრძნობაში სატრფიალო ნიუანსი?“ – ამგვარ კითხვას ვხვდებით თამაზ ჩხენკელის არაჩვეულებრივ ნაშრომში „ტრაგიკული ნიღბები“. ავტორი ვრცლად მიმოიხილავს ამ საკითხს: „მართებულად აღნიშნავს გრიგოლ კიკნაძე, რომ „ფაქტებზე დიდი ძალადობის შედეგი იყო, როდესაც ზოგიერთმა კრიტიკოსმა ზვიადაურისადმი აღაზას თანაგრძნობაში სატრფიალო ნიუანსი დაინახა“. ჩხენკელის აზრით, ვაჟას ზღვარი აქვს გავლებული გონების ფიქრსა და გულს შორის. „გული“ აღაზას დაუთრგუნველი, ქვეცნობიერი სწრაფვის გამომხატველია, ხოლო „გონების ფიქრი“ ცნობიერი სიფხიზლისა. მისი საგულისხმო დაკვირვების მიხედვით, აღაზას ნაამბობში „დევი“ აშკარა ეროტიკული შტრიხით არის წარმოდგენილი. მისი ნაამბობი მისივე ქვეცნობიერი სწრაფვის ცენზურაქმნილი და ამიტომ ნეგატიურად ინტერპრეტირებულია. დევი ხელებს იწვდის აღაზასკენ („ნეტავი იმას, ვინაცა მაგის მკლავზედა წვებოდა“). დევს „მყრალი კანი“ აქვს („ვისიცა მკერდი, აწ კრული, მაგის გულმკერდსა სწვდებოდა“). ეს კანი „ჯერაც თვალებში უელავს“ აღაზას (ზვიადაურის სიკვდილი მას „თვალებში ელანდება“). დევი ცოლობას სთხოვს აღაზას: „ჩემთან წამოდი, ჩემთან იცხოვრე, ქალაო“ („ნეტავი იმას, – ე. ი. ზვიდაურის ცოლს, – ოდესმე ქმრის ტრფობა გაუცვდებოდა?“) და შეძრწუნებული აღაზა გამორბის სახლისკენ, მაგრამ მისივე ძლიერი ქვეცნობიერი სწრაფვის განმასახიერებელი „დევი“ ღრიალით მოსდევს უკან...“. თამაზ ჩხენკელის აზრით, „არავითარ „ტრფობაზე“ და მით უმეტეს, „ეშხით ანთებაზე“ ლაპარაკი არ შეიძლება აქ“. იგი ფიქრობს, რომ „აღაზას ზვიადაურისადმი თანაგრძნობა უბრალო, ჩვეულებრივ გრძნობაზე მეტი რამ არის...

ამ განცდის არაცნობიერში დამარხული ფესვი ეროტიკული ხასიათის იმპულსზე მიგვანიშნებს (ვაჟას აქცენტირებული არა აქვს ეს იმპულსი. იგი თავისთავად ჭვივის აღაზას ფიქრებში, ქცევასა და ნაამბობში), ხოლო მის ცნობიერში დადგინებული სახე ყოვლისგადამლახველ, ზნეობრივად სრულყოფილ, უნივერსალიზმამდე ამაღლებულ „თანაგრძნობას“ გვიმხელს.... „სხივმიხდილი“ ვარსკვლავი ქვესკნელში ეშვება, რათა „გარდაცვლილი“ კვლავ შედგეს კლდის თავზე და ღვთაებრივმა მოდემ კვლავ იპოვოს თავისი ღვთაებრივი მოძმე“ („ტრაგიკული ნიღბები“).

ამგვარად, ანტიგონე და აღაზა ღვთაებასთან წილნაყარი, ზეციური სამყაროდან ადამიანთა „გასაღვიძებლად“ მოსული სინათლის სხივები არიან, მსოფლიო ლიტერატურის „მარგალიტები“, გამორჩეულები, მარგალიტად თვითონვე რომ გარდაქმნეს თავიანთი სულები („ეკერებოდა გულმკერდზე ქმარს მარგალიტის ღილადა“), „ძნელად მოსაპოვებელნი“ („მარგალიტი არვის მიხვდეს უსასყიდლოდ, უვაჭრელად“). ისინი სახარებისეულ მარგალიტებსაც მოგვაგონებენ, ღორები რომ თელავენ, მაგრამ „ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს და ბნელი იგი მას ვერ ეწია“ (იოანე, 1,5).

ლტოლვილობის ტკივილი

თანამედროვე მსოფლიოს ყოფასა და ხელოვნებაში ლტოლვილობის თემა აქტუალურია. ქართველი მკითხველისთვისაც მტკივნეული და მრავალმნიშვნელოვანია მასთან დაკავშირებული განცდები. ამავე დროს, სოციო-პოლიტიკურ ასპექტებთან ერთად ეს თემა პარადიგმულია, რადგან ქრისტიანული მსოფლმხედველობის ადამიანის ქვეცნობიერში დალექილია პირველსამშობლოს, სამოთხის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი. ეს კი ზედაპირზე ხშირად წამოტივტივდება ხოლმე, როგორც ამაოებისა და წუთისოფელში გაუცხოების სიმწარის განცდა. სწორედ ამ ყოფით-რეალურსა თუ კულტურულ პარადიგმულ სიბრტყეში მოიაზრება თანამედროვე გერმანელი მწერლის, კრისტოფ ჰაინის, რომანი „დაკარგული მიწა“.

კრისტოფ ჰაინის რომანის ქარგა გაშლილია ლტოლვილისა და ქალაქის ურთიერთობის ფონზე. ლტოლვილი ბერნჰარდ ჰაბერია, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1950 წელს, მშობლებთან ერთად ბრესლაუდან საქსონიის ერთ პატარა ქალაქში, გულდენბერგში, ჩაასახლეს. ომის შემდეგ დადგენილი ახალი საზღვრების მიხედვით, გერმანული პროვინციები, ოდერის გადაღმა, პოლონეთის შემადგენლობაში შევიდა და იქაურ გერმანელებს სამშობლოში დაბრუნება აღარ შეეძლოთ. ლტოლვილები კი სხვადასხვა ქალაქში გაიფანტნენ, მათ შორის, გულდენბერგში, სადაც ადგილობრივი მცხოვრებნი დიდი სტუმართმოყვარეობით არ შეხვედრიან. ისინი, ლტოლვილები, უცხოები იყვნენ, რომელთა მიმართ ხალხი ერთდროულად გრძნობდა გაუცნობიერებელ სიძულვილსაც და ლტოლვასაც. უცხოსადმი ამგვარი დამოკიდებულებაც პარადიგმულია და მსოფლიო ლიტერატურაში, მათ შორის, ქართულშიც, არაერთგზის არის მხატვრულად დამუშავებული და გააზრებული. უცხოს, ერთი მხრივ, დისჰარმონია შეაქვს უკვე ჩამოყალიბებულ, მწყობრ და შეჩვეულ წარმოდგენათა თუ ზნე-ჩვეულებათა კულტურულ სისტემაში, იმავდროულად, იგი ასრულებს ერთგვარი გადამხალისებლის, ძველში სიახლის შემტანის ფუნქციასაც, რაც არ არის იოლი და ადვილად შესაგუებელი პროცესი.

რომანი კარნავალით იწყება და კარნავალითვე მთავრდება. ეს არის ერთი და იგივე ზეიმი, რომელსაც შუაში წყვეტს მწერალი და ამ სივრცეში, ვერტიკალური ჩაღრმავების გზით გაშლის ამბებს.

თხრობის დრო მეოცე საუკუნის მეორე ნახევარს მოიცავს, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან ბერლინის კედლის დანგრევის ჩათვლით. ამ დრო-სივრცეში კი თამაშდება ადამიანური ვნებების დრამა. ცხოვრება ხომ კარნავალს ჰგავს, სადაც ადამიანები ნიღბებით გამოდიან „გარეთ“ და მათი ნამდვილი სახე მხოლოდ ღმერთმა თუ იცის. ჰაბერიც, რა თქმა უნდა, ათასნაირ ნიღაბს ირგებს, მაგრამ მწერალი მაინც ახერხებს, მისი ნამდვილი სახე დაგვანახვოს და შეგვაღწევინოს მისი სულის იმ ბნელ კუნჭულში, სადაც სიძულვილი იბადება.

მწერალი რომანში გვიხატავს, როგორ ცდილობს პატარა ლტოლვილი ბიჭი ბერნჰარდი ცხოვრებაში დამკვიდრებას, ქალაქის შეუვალ სივრცეში შეღწევას. მწერალი პერსონაჟის ბედს, რა თქმა უნდა, აზოგადებს და ლტოლვილობას კაცობრიობის ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ პრობლემად წარმოაჩენს. ამიტომაცაა, რომ ეს ტკივილი რომანის ბოლოს კი არ იხსნება, არამედ მძაფრდება და ახალი ძალით წარმოჩნდება. ლტოლვილი ჰაბერის შვილი თავს, რა თქმა უნდა, ქალაქის მკვიდრად მიიჩნევს და უკვე სხვას უპირისპირდება, როგორც უცხოსა და ლტოლვილს, და ეს დაპირისპირება კვლავ აუხსნელ ზიზღსა და სიძულვილს ეფუძნება. აი, რა დიალოგი გაიმართება ჰაბერსა და მის შვილს შორის:

„– იქ წეღან რა აყალმაყალი იყო?

– სად?

– სად და წეღან, დაგინახეთ, დახლთან რაღაცას ყაყანებდით.

– ააა. არაფერი ისეთი, ორი ვიეტნამელი გავაძევეთ კარნავალიდან.

– დაანებე მაგათ თავი. მით უმეტეს, თუ საკარნავალო კოსტიუმებიც ეცვათ.

– კარნავალი გერმანელთა დღესასწაულია, მაგათ აქ რა ესაქმებათ?

– რა გითხრეს ამისთანა, გეჩხუბნენ?

– არა, პირდაპირ გავისტუმრეთ გარეთ, გავყარეთ. აბა, აქ ამ კარნავალზე რა დაუკარგავთ?

– პაულ, დაანებე მაგ ხალხს თავი, ეგენი საბრალო ლტოლვილები არიან. მაგათ თავიანთი უბედურებაც ეყოფათ. ეგენი ჩვენ არაფერს გვიშავებენ და არც გვერჩიან.

– ეგენი აქ ვინ დაპატიჟა? პირადად მე არა.

– ბაბუაშენიც ლტოლვილი იყო.

– ეგ სულ სხვა რამეა, მამა, ბაბუაჩემი გერმანელი იყო და უფლება ჰქონდა, აქ ეცხოვრა“.

ამგვარი დიალოგი იმას გვაფიქრებინებს, რომ მწერალი პრობლემის გადაწყვეტის გზას არ ან ვერ გვთავაზობს და ჭრილობას კვლავ ღიას ტოვებს, თუმცა გამოსავალი თვითონ რომანში მოიძებნება. მწერალს არ სურს, მკითხველს თავს მოახვიოს რაიმე თვალსაზრისი, მაგრამ უბიძგებს უცხოსა და ლტოლვილისადმი იმ თანაგრძნობის გამოჩენისკენ, რომელმაც ეს ტკივილი უნდა აღმოფხვრას. მწერალს სურს, ადამიანთა შორის ამ გაუცხოების არსს ჩასწვდეს და ამიტომ გულდასმით გაჩხრეკს და კიდევ ერთხელ მოგვახილვინებს ადამიანთა სულის ჯურღმულებს.

ჰაბერის ბავშვობის წლების წარმოჩენას რომანში ყველაზე დიდი დრო ეთმობა, რადგან სწორედ ბავშვობამ განსაზღვრა მთელი მისი შემდგომი ცხოვრება. მისმა გულმა, გონებამ და სულმა ბავშვობის წლებში მიიღო ის იმპულსები, რომლებმაც შემდგომ მთელი მისი ცხოვრება წარმართეს და განაპირობეს. ბერნჰარდისთვის ქალაქი გუნდერბერგი გაუთანაბრდა მტერს, რომელიც ყოველი ხერხით ცდილობდა მისი და მისნაირების (ლტოლვილების) თავისი სხეულიდან მოკვეთას, გასრესას, განადგურებას. ტომას ნიკოლასი იხსენებს მასწავლებელთა დამოკიდებულებას ჰაბერის მიმართ, როგორც უცხოსადმი, პოლონელისადმი. არადა, ჰაბერი მათსავით გერმანელია, უბრალოდ, მისი სამშობლო ახლა პოლონეთის შემადგენლობაშია. ქალაქისთვის კი მთავარია ლტოლვილის დამცირება და შეურაცხყოფა, თითქოს ლტოლვილებთან გააიგივა ხალხმა თავისი გაჭირვების მთავარი მიზეზი.

ათი წლის ჰაბერი სკოლაში ადამიანების კი არა, თითქოს მხეცების გარემოცვაში აღმოჩნდა და მიხვდა, მათგან მხოლოდ ფიზიკური ძალით თუ დაიცავდა თავს. ამიტომაც ბრჭყალებს ალესილი კბილები დაუპირისპირა და „სისხლი სისხლისა წილ“ ცხოვრების მთავარ პრინციპად იქცია. პირველსავე გაკვეთილზე მასწავლებელი შეეცადა ლტოლვილი ბავშვისთვის შეეგონებინა, რომ ის ბრესალუდან კი არ იყო, არამედ ვროცლავიდან, რადგან მის ქალაქს ახლა ეს სახელი ერქვა. ჰაბერმა, მართალია, მორჩილად დაუქნია თავი მასწავლებელს, მაგრამ გულის სიღრმეში მონურ თავდახრას ამაყი ღირსება დაუპირისპირა და ვიდრე მერხზე დაჯდებოდა, ჩაიბურდღუნა: „ხო, მაგრამ მე მაინც ბრესლაუში დავიბადე“. ამ წუთებში მისი პირით თითქოს მისი წინაპრების აჯანყებული სისხლი ხმიანობდა, რომელიც არ ეგუებოდა მშობლიური მიწის დაკარგვას. ბავშვს წინააღმდეგობის ამ უცნაურ და აუხნელ ძალას სწორედ ის წინაპრები ანიჭებდნენ, რომლებიც სიცოცხლეს მის სულში აგრძელებდნენ და უშეღავათო, უსამართლო ბრძოლაში ძალას მატებდნენ.

ჰაბერმა შეურაცხმყოფელ თანატოლს, რომელმაც მის ჩანთას ფეხი ჰკრა და მოისროლა, კისერი დაუნდობლად და გულგრილად მოუგრიხა და ყველას აგრძნობინა, რომ დამცირებას არავის შეარჩენდა. ამგვარად გაინაპირა თავი მან არა მხოლოდ თანატოლებისაგან, არამედ დიდებისა და მთელი ქალაქისაგან და სხვათა სიძულვილს აგრესიით დაუპირისპირდა. მასში მხოლოდ თვითგადარჩენის ცხოველური ინსტინქტი მოქმედებდა. მამამისთან, ცალხელა დურგალთან ერთად ულმობელ ცხოვრებას შეჭიდებული სიცოცხლეს მხოლოდ მუქ ფერებში აღიქვამდა. ამიტომაც იყო, რომ ერთადერთ ერთგულ მეგობრად ძაღლი, ტინცი, ეგულებოდა. საგულისხმოა ისიც, რომ ბერნჰარდი სწავლაში უგულისყურობას იჩენდა და განსაკუთრებით უცხო ენების შესწავლა უჭირდა. შეიძლება ესეც გაუცნობიერებელი შინაგანი პროტესტის გამოვლენად მივიჩნიოთ. ბავშვი ეწინააღმდეგებოდა ყოველივე უცხოს, რათა ძირი და ფესვი საბოლოოდ არ ამოეგდო მშობლიური მიწიდან, იმ „დაკარგული სამშობლოდან“, რომელიც მის წარმოსახვაში მითად იქცა და რომლის ერთგულებისა და სიყვარულისთვის სასტიკ დევნასა და შეურაცხყოფას განიცდიდა. მისი სამშობლო ახლა სხვისი იყო. სადაც მივიდნენ, იქაც სხვები დახვდნენ და თითქოს ჰაერში გამოეკიდნენ, თითქოს მიწაზე ფეხის დადგმის უფლებასაც კი ართმევდნენ. ჰაბერი მიხვდა, რომ ეს უფლება, სამწუხაროდ, მხოლოდ ძალადობით შეიძლებოდა მოეპოვებინა. გულდენბერგი ხომ ლტოლვილებს დაუპატიჟებელი სტუმრებივით შეხვდა. „ლტოლვილებს გერმანელებად არც მიიჩნევდნენ, ზურგს უკან ლანძღავდნენ, პოლონელებს, ან სხვა ჯიშის რუსებს ეძახდნენ და ასე განასხვავებდნენ იმ დამპყრობელი, ნამდვილი რუსებისაგან“. ქალაქი გულდენბერგი ბოროტად ცდილობდა, რომ უცხოები მოეშორებინა. ამას კარგად გრძნობდა ბერნჰარდის მამაც, რომელმაც, საკუთარი, რის ვაი-ვაგლახით შეკოწიწებული სახელოსნოს დაწვის შემდეგ პოლიციელს განუცხადა, დამნაშავე მთელი ქალაქიაო. ქალაქის ამ სიძულვილს შეეწირა ჰაბერის ძაღლიც, რომელიც სასტიკად მოკლული იპოვეს. მაშინ ჰაბერი დაიმუქრა: „ვინც ტინცი მოკლა,... მოვკლავ“. სკოლის დირექტორი და მასწავლებლები ამაოდ ცდილობდნენ, ბიჭი დაშინებით დაერწმუნებინათ, რომ საკუთარი სიტყვები უკან წაეღო, მაგრამ ჰაბერმა მაინც ჯიუტად გაიმეორა: „თვალი თვალის წილ, მარყუჟი მარყუჟის წილ“. ჰაბერმა თვის გარშემო მარტოობის მაღალი და მტკიცე გალავანი შემოივლო და არა მხოლოდ ქალაქს, თითქოს მთელ სამყაროსაც დაუპირისპირდა. მას ყველა პირობა ჰქონდა იმისთვის, რომ სასტიკ დამნაშავედ ქცეულიყო, მაგრამ მწერალმა იგი ამისთვის არ გაიმეტა. მართალია, მისი ცხოვრებაც სავსე იყო წვრილმანი თაღლითობებითა და ტყუილით, მაგრამ ის სხვათაგან მაინცდამაინც არ განირჩეოდა. რაღაც შინაგანი იმპულსი, თავმოყვარეობა მას არ აძლევდა საშუალებას თავისი „დაკარგული მიწა“ შეერცხვინა. იმ მიწის ხსოვნა აძლებინებდა და ზნეობის საყრდენს საბოლოოდ არ აკარგვინებდა.

მწერალი ცდილობს, ჰაბერის ბნელ ლაბირინთად ქცეულ სულში შეღწევას და ჩვენც შეგვიყოლებს პატარა ლამპრით ხელში. ეს ლამპარი კი ბერნჰარდის ცხოვრებაში ხან სიყვარული, ხან სიკეთე,

ხან თანაგრძნობა, ხან მეგობრობა, ხან დანდობა იყო. რომანის მთხრობელი პერსონაჟები განსხვავებული რაკურსით გვიხატავენ ბერნჰარდის ცხოვრების ერთსა და იმავე ან სხვადასხვა პერიოდს და, ამავე დროს, საკუთარ თავსაც წარმოგვიჩენენ. ასე რომ, მთავარ გმირთან ერთად ჩვენ თვალწინ ხუთი სხვადასხვა ადამიანის ცხოვრებაც სისხლსავსედ იხატება. ჰაბერი ცხოვრების მდინარეში სხვებივით ჩაერთო და ბევრჯერ ყოფილა ფსკერზე დანთქმის საშიშროების წინაშე, თუმცა გადარჩა, რადგან მისი მიზანი ნებისმიერ ფასად სწორედ ეს გადარჩენა იყო. როგორც მისი ამხანაგი მარიონ დემუცი ამბობს, მას ერთი მიზანი ჰქონდა, „თავისი გაეტანა“, „ყველაფერში ჯიქურ თავით მიდიოდა“ და ოცნებობდა იმ დღეზე, როდესაც ყველას სამაგიეროს გადაუხდიდა. პეტერ კოლერი ჰაბერს ეკითხება, შენ ამბობ, შურისძიება ტკბილიაო, მაგრამ ვინ რა დაგიშავა? ჰაბერი კი ასე პასუხობს: „ვერაფრით დავივიწყებ, როგორ მიგვიღეს. დღესაც მახსოვს ჩვენი აქ მოსვლის დღე. მახსოვს, როგორ გვიყურებდნენ. მაღაზიაში რომ შევდიოდი, ხელებში ეჭვით შემომცქეროდნენ. მარტო მაღაზიის მეპატრონე კი არა, ყველა. ფულის გადახდისას, ზურგშიც და ყოველი მხრიდან შემმოწმებელ, გამჭოლ მზერას ვგრძნობდი. ვიცი ეჭვობდნენ, საიდან აქვს ამ ბიჭს ფული, ალბათ მოიპარაო. იცი, კოლერ, ისე გვექცეოდნენ, დავიფიცე, ერთ დღეს შურს ვიძიებდი. სწორედ მათ გამო ვიყავით მშიერ-მწყურვალნი. და მერე უცბად დადგა დრო, როცა მათაც უნდა განეცადათ, როგორია ყველაფრის დაკარგავა. არც არავის უთხოვია, გვერდით დაგვიდექიო, მაშინვე მათ გვერდით გავჩნდი, როგორც ნეხვს, ისე გვექცეოდნენ“. ჰაბერმა, ასე თუ ისე, შეძლო შურისძიების დამღუპველი, დამანგრეველი გრძნობის გადალახვა, მაგრამ მთელი ცხოვრება ეჭვი და უნდობლობა ღრღნიდა მის სულს. დიდი ძალისხმევის ფასად ისიც ერთ ჩვეულებრივ მოქალაქედ იქცა. როდესაც, ბოლოს და ბოლოს გამართლდა მისი ეჭვი, რომ მამამისს თავი კი არ მოეკლა, არამედ სხვებს ჩამოეხრჩოთ, შურისძიების გრძნობამ ძველებური ძალით ვეღარ იფეთქა. დროს დიდი ტკივილებიც „მოერჩინა“ და გაეფერმკრთალებინა.

მწერალი რომანში არ მისდევს სწორხაზობრივ თხრობას. ჩანართი ამბებითა თუ გადახვევებით არ ჰყვება ლტოლვილი მთავარი გმირის თავგადასავალს თანმიმდევრობით, არამედ ირჩევს ერთგვარი სარკისებური თამაშის პრინციპს. რომანში რამდენიმე მთხრობელია, რომლებიც გვიყვებიან თავიანთ ამბებს და მათ თხრობაში ირეკლება ლტოლვილი ბერნჰარდ ჰაბერისა და მისი ოჯახის ცხოვრებაც. ასე რომ, მთავარი პერსონაჟი არ დგას რომანის ცენტრში. უნდა ითქვას, რომ რომანის ქარგა არც არის ამგვარი ცენტრისკენული, როდესაც ყველა „გზა“ მისკენ მიდის, არამედ ყოველ ამბავს აქვს თავისი ცენტრი, რომელთანაც ხან ახლო რადიუსზეა ბერნჰარდი, ხან დაცილებული. თუმცა მკითხველის ყურადღება მას არასოდეს სცილდება, მაშინაც კი, როდესაც მთხრობელი იმდენად ჩაეხვევა ხოლმე თავისი ამბის ლაბირინთში, რომ ბერნჰარდი, ერთი შეხედვით, მოლოდინის ჰორიზონტიდან თითქოს ქრება. ამიტომაც ვახსენეთ სარკის პრინციპი, რადგან მთხრობელთა სარკეში ჰაბერი მხოლოდ მაშინ ირეკლება, როდესაც მის ახლოს ჩაივლის. თხრობის ამგვარი პრინციპი მწერალს საშუალებას აძლევს სხვა პერსონაჟებიც გამოკვეთოს და, ამასთანავე, დახატოს მთელი ქალაქი, როგორც პერსონიფიცირებული სახე. თვითონ ბერნჰარდიც ქალაქს სწორედ ამგვარად, ერთ მთლიანობაში აღიქვამს. საგულისხმოა, რომ მწერალს თვითონ ჰაბერი არ გამოჰყავს მთხრობლად, ე. ი. მას არ ალაპარაკებს საკუთარ განცდებზე, ამით თითქოს ერთგვარ დისტანციას ქმნის მასთან, როგორც უცხოსთან, თუმცა იგი სხვებთან დიალოგებში, რა თქმა უნდა, ამჟღავნებს თავის დამოკიდებლებას გარესამყაროს მიმართ – ეს იქნება ყოფითი ამბები თუ ფილოსოფიურ-რელიგიური საკითხები, მაგრამ ჰაბერი მაინც სხვათა სარკეებში არეკლილი მოჩანს, სხვათა მიერ დანახული და შეფასებული. ამგვარი პრინციპი მკითხველსაც ერთ-ერთ მათგანად აქცევს, რომელმაც თავის შთაბეჭდილებათა სარკეში უნდა ასახოს ამ ლტოლვილის ცხოვრება და მასთან გარკვეული ურთიერთობა დაამყაროს, თანაუგრძნოს და თავის სიყვარულის ველში მისი აგრესია გაანეიტრალოს.

რომანს ხუთი მთხრობელი ჰყავს: ტომას ნიკოლასი, რომელიც ძირითადად ბერნჰარდთან ერთად გატარებულ სკოლის წლებს იხსენებს; მარიონ დემუცი, რომელიც ჰაბერის ახალგაზრდობის, მის პიროვნებად ჩამოყალიბების გზას ირეკლავს; პეტერ კოლერი, რომლის თხრობაშიც ბერნჰარდის ცხოვრებაში დამკვიდრებისა და მისი ოჯახური ამბები წარმოჩნდება; კატარინა ჰოლენბახი, რომელიც ჰაბერის რომანტიკული გატაცებების მოწმეა (ბარბისთან რომანი და სხვა); ზიგურდ კიცეროვი, რომელიც მოგვითხრობს, როგორ ჩაეწერა ჰაბერი ქალაქის ელიტაში, საკუთარი ბიზნესი ააწყო და პატივსაცემ მოქალაქედ იქცა.

ხუთივე პერსონაჟის თხრობა რეალისტურია და დოკუმენტურობის შთაბეჭდილებას ტოვებს. მიუხედავად ამისა, რადგან მთხრობლები განსხვავებული ადამიანები არიან, მათი თხრობის მანერა და სტილი განსხვავებულია, მათივე შინაგანი სამყაროს შესაბამისი. ამგვარად მიიღწევა თხრობის სტილის ერთგვარი მრავალფეროვნებაც. თითქოს რომანი ხუთი სხვადასხვა დამოუკიდებელი მოთხრობისგან შედგება და თანაც თითოეული მონათხრობი ქმნის ჰაბერის ერთ მთლიან პორტრეტს, რომელიც მკითხველის წარმოსახვაში იხატება.

კრისტოფ ჰაინმა რომანში სამშობლოდაკარგული ადამიანების რთული, სასტიკი ცხოვრება დაგვიხატა, მათი შინაგანი, ტკივილებით სავსე სულიერი სამყარო, ხშირად სიბნელითა და სისხლით სავსე, ხელისგულზე გადმოგვიშალა. რომანის გმირმა, ბერნჰარდმა გააცნობიერა, რომ ქალაქში მისი დამკვიდრება, ახალი „მიწის“ მოპოვება უდიდესი მსხვერპლის ფასად დაჯდა. „ჯერ მამაჩემის სისხლის დაღვრა იყო საჭირო, რომ აქ ადგილობრივ მოსახლედ მივეღე“.

მწერალს სურს, რომ ადამიანებმა უარი თქვან ამგვარ სისხლიან მსხვერპლზე, რათა სიცოცხლის დღესასწაულში, ყველას, განურჩევლად წარმომავლობისა, თანაბარი უფლება ჰქონდეს ზეიმისა. ლტოლვილს კი სამარადისო სატანჯველად „დაკარგული მიწის“ ტკივილიანი ხსოვნაც ეყოფა. რომანი მკითხველს წუთისოფლის „ორგემაგობაზე“, მშობლიური მიწის სიტკბოზე, უცხოთა შენდობასა და სიყვარულზე, რწმენასა და სიკეთეზე ერთხელ კიდევ დააფიქრებს.

კრისტოფ ჰაინი მსოფლიოში კარგადაა ცნობილი აღიარებული რომანებით: „უცხო მეგობარი“, „ჰორნის აღსასრული“, „ტანგოს შემსრულებელი“, „დედა ჩვენთან აღარაა“ „ვილენბროკი“ და სხვა. ქართველი მკითხველისთვისაც ხელმისაწვდომია მისი შემოქმედება. ეს რომანი კი, რომელიც ქართულად შესანიშნავად თარგმნა მაია მირიანაშვილმა, ცხად შთაბეჭდილებას შეგვიქმნის მწერლის შემოქმედებით თავისებურებებზე.

მამაჩემის ქვეყანა

ჩვენ, ყველანი, წარსულიდან მოვდივართ, რაც იმას ნიშნავს, რომ ცნობიერი თუ არაცნობიერი ხსოვნა გვაქვს იმისა, რაც ჩვენამდე მომხდარა. წარსულის ცოდნის გარეშე ადამიანი ვერ იქნება სრულფასოვანი. ილია წერდა, ერის პირქვე დამხობა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ის თავისი წარსულის ხსოვნას კარგავსო. იგივე ითქმის ცალკეულ პიროვნებაზეც. კაცისთვის იმის ცოდნა, თუ „ვინ არის, სიდამ მოსულა“ აუცილებელია იმის განსაჭვრეტად, თუ „სად არის, წავა სადაო“ (გურამიშვილი).

წარსულს რომ ვერსად გაექცევი, ეს კარგად იცის თანამედროვე გერმანელმა მწერალმა ქალმა ვიბკე ბრუნსმა, რომელმაც დოკუმენტურ მასალაზე, ახლობელთა პირად წერილებზე ააგო თავისი

უჩვეულო მხატვრულ-დოკუმენტური რომანი „მამაჩემის ქვეყანა“, რომელიც გერმანული ენიდან შესანიშნავად თარგმნა მაია მირიანაშვილმა.

თაობათა შორის ურთიერთობა რთული და მრავალმნიშვნელოვანი საკითხია ნებისმიერ ეპოქაში. მამები და შვილები ერთმანეთთან სულიერ-ხორციელი ძაფებით არიან დაკავშირებულნი, რაც იმას ნიშნავს, რომ თაობებს გადაეცემა ცოდვა-მადლი. XX საუკუნემ გერმანიას ერთი გამორჩეული დაღი დაატყო ფაშიზმის სახით. თომას მანი წერდა: „გერმანული უბედურება – ეს ხომ კაცობრიობის ტრაგედიის პარადიგმაა საერთოდ. შენდობა, რომელიც აგრერიგად სჭირდება გერმანიას, ერთნაირად გვჭირდება ყველას“.

ვიბკე ბრუნსი მხატვრულ-დოკუმენტური ყაიდის რომანში სწორედ იმ ცოდვა-ბრალს წარმოაჩენს, რომელიც გერმანიამ საკუთარ თავსა თუ სხვებს დაატეხა. იმ ადამიანთა სულებს ხატავს, რომელნიც იმ დროში ცხოვრობდნენ და მონაწილეობდნენ იმ ამბებში, რომლებიც მათ გარშემო ტრიალებდა, ცეცხლისა და მახვილის თანხლებით. ფაშიზმმა კაცობრიობას დიდი ტკივილი და ზარალი მიაყენა, განსაკუთრებით კი მძიმე იყო ჩვეულებრივ გერმანელთა საოცარი ფერისცვალება. მეოჯახე, მეოცნებე, გულკეთილ ადამიანთა სასტიკ, უხეშ, შეუბრალებელ, დაუნდობელ ფაშისტებად გადაქცევა. რომანში წარმოჩნდება მარადაქტუალური თემა: პოლიტიკური კონიუნქტურა, დაღუპვის შიში, ნებისმიერი გზით გადარჩენისკენ სრაფვა, ინდივიდუალიზმის მარცხი. რომანში ადამიანთა ტრანსფორმირების საგულისხმო, რთული ფსიქოლოგიური ნიუანსებია წარმოჩენილი.

მწერალი აცოცხლებს მთხრობლის დედისა და მამის მხრიდან ორი ღირსეული საგვარეულოს ისტორიას, ბებია-ბაბუის, მამა-დედისა და ნათესავთა მიმოწერაზე დაყრდნობით ხატავს ეპოქის სულს. ნაწარმოებს საინტერესო ფაბულა აქვს. აქ წარმოჩნდება არა მხოლოდ ერთი ოჯახის ისტორია, არამედ სხვადასხვა ადამიანის ტრაგიკული ბედიც. მწერალს, რა თქმა უნდა, აწუხებს ერთი მთავარი ზნეობრივი კითხვა: „ვინ ვარ მე, ან რა უფლება მაქვს დღეს განვსაჯო, რა მოხდა მაშინ“. სახარებისეულ რჩევას „ნუ განიკითხავთ, რათა არა განიკითხნეთ“, მაინც გადასძალავს სურვილი, თუმცა, არა განკითხვისა და განსჯისა, არამედ სიმართლის თქმისა, მხილებისა. მწერალმა კარგად იცის, რომ ყველა დამნაშავემ თავისი ზღო, მათ შორის, მისმა ახლობლებმაც. მაშ, საჭიროა კი გახსენება იმ მსხვერპლისა, რომელიც თვითონვე იყო ჯალათიც. მწერალი ამის აუცილებლობას გრძნობს და მკითხველსაც არწმუნებს ამაში. თვითმხილველთა ნაამბობი სულ სხვა დამაჯერებლობითაა აღბეჭდილი, თანაც, ეს ყოველივე განზოგადდება და რომანში წარმოჩნდება ის ვითარებანი, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანის სულში ხან ანგელოზისა და ხან დემონის გაღვიძებას. რომანში გაცოცხლებულია, ერთი მხრივ, იდილიური, რომანტიკული ყოფა გერმანული ოჯახისა, თავისი მდიდარი მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებით, მეორე მხრივ, ბარბაროსული სულისკვეთება, იმავე ოჯახში გაჩენილი და თვითგანადგურებისა თუ სხვათა მოსპობისაკენ მიმართული. მკითხველს უნებურად ლუკინო ვისკონტის შესანიშნავი ფილმი „ღმერთების დაღუპვა“ ახსენდება, რომელშიც მსგავსი პრობლემებია წარმოჩენილი. ღმერთებში სწორედ ის ზნეობრივი ღირებულებებიც შეიძლება ვიგულისხმოთ, რომელთა დაღუპვა ადამიანს სულიერებას, სიყვარულს უკარგავს და მხეცად აქცევს, რომელიც მზადაა ძალაუფლებისთვის ყველა დაფლითოს.

მწერლის აზრით, ყველაფერი ბევრად ადრე დაიწყო, პირველი მსოფლიო ომის დროს, როცა „ომობანა“ გერმანული სახელმწიფოს პოლიტიკის ნაწილად იქცა. რომანში საოჯახო მიმოწერის (მამა-შვილის, ცოლ-ქმრის) გახსენებით გაცოცხლებულია ამ ომის სისხლიანი დღეები, რომელმაც მილიონობით ადამიანი შეიწირა და მილიონობით კი სულიერ-ხორციელად დაასახიჩრა. აი, რას წერს მწერლის ბაბუა I მსოფლიო ომის დროინდელ ერთ წერილში: „რას ნიშნავს ეს უსაზღვრო ამპარტავნება, რასაც გერმანია და გერმანელები თავიანთი შვილების სიცოცხლეზე მაღლა აყენებენ?“

მწერლისთვის რომანის შექმნის ბიძგად იქცა ფიქრი საკუთარი მამის დამნაშავეობაზე. ერთ მშვენიერ დღეს იმ ვიდეოკასეტას უყურა კვლავ, რომელზეც მამამისის გასამართლების პროცესი იყო აღბეჭდილი. იგი სანთელივით ჩამომდნარი, გასაცოდავებული, განიერ პიჯაკში, დამუნჯებულივით იდგა, როცა სასამართლოს თავმჯდომარე როლანდ ფრაისლერი ხმამაღლა გაჰყვიროდა და მძვინვარებდა: „დაბნეული ვიჯექი, ვეღარ ვინძრეოდი. ეს იყო 35 წლის წინ მომხდარი ისტორიის წამიერი გაელვება. მაშინ მამა 45 წლისა იქნებოდა, 5 წლით უფროსი, ვიდრე ახლა მე, აქ ჰამბურგში, ჩემს სავარძელში მჯდომი, მისი შვილი. მისი ცხოვრება, მისი იმედები, ყველაფერი გაქრა. გერმანიის უდიდესი ნაწილი ნანგრევებად იქცა. ომი წააგეს. ამ დროის ადამიანთა სამყარო დასამარდა. ამ სირცხვილსა და წყევლას ალბათ გერმანელები ვერასოდეს ვეღარ ჩამოიშორებენ. თავიანთი მედიდურობა მათ მომავლის დაკარგვის ფასად დაუჯდათ“.

მამამისი, ჰანს გეორგი, კეთილშობილ ოჯახში აღზრდილი, დახვეწილი ადამიანი გახლდათ, რა თქმა უნდა, გერმანიის, როგორც სამშობლოს, სიყვარულით გამორჩეული. მას ჰორაციუსივით სძულდა საშინელი მასა და ცდილობდა მორიდებოდა, მაგრამ ვერ მოახერხა. რომანში შესანიშნავად იხატება ჰიტლერისა და მისი გარემოცვის სახეები. ჰანს გეორგი თავდაპირველად არც ეკარებოდა ნაცისტებს, ვერც კი წარმოედგინა ებრაელებთან რაიმე გვარის უთანხმოება. მოვლენები კი გაუთვალისწინებელი თანმიმდევრობითა და სისწრაფით წარიმართა. 1933 წლის 30 იანვარს ჰიტლერი რაიხის კანცლერი გახდა და კანცელარიაში შესვლისთანავე განაცხადა: „ვერანაირი ძალა აქედან ცოცხალს ვეღარ გამიყვანსო!“ ორშაბათი დღე იყო. კლამროთების დიდ ოჯახში ამას არანაირი გამოძახილი არ ჰქონია. ჰაერში კი საშიში დაძაბულობა ტრიალებდა. მალე ბერლინის სპორტის სასახლეში ჰიტლერი ხალხის წინაშე გამოვიდა: „გერმანელო ხალხო, მოგვეცით 4 წელი დრო, მერე განსაჯეთ და განგვიკითხეთ“. მან სიტყვა ასე დაასრულა: „ის მილიონი ადამიანი, რომელთაც ჩვენ დღეს ვძულვართ, მალე მოვა და მოგვესალმება და გერმანიაში ჩვენ მიერ შეჭირვებით მოპოვებულ, ნაბრძოლ, სიმწრით მოხვეჭილ ახალი გერმანული რაიხის სიძლიერეს, დიდებასა და პატივს, უძლეველობას გაიზიარებს, ამინ!“ ამ დროს მწერლის დედას, აღშფოთებულ გერტრუდას, რომელმაც ჰიტლერის სიტყვა რადიოთი მოისმინა, ვეღარაფერი ამშვიდებდა. ვინმეს საარჩევნო მიზნებისათვის სამშობლო ასე ბოროტად გამოეყენებინა, ასეთი რამ ჯერ არ მომხდარაო, – დაასკვნის მწერალი.

რომანში, რეალისტური მანერით, შესანიშნავად იხატება XX საუკუნის 30-იანი წლების გერმანიის ცხოვრება. პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს იჭერენ, ებრაელებს არბევენ, მწერლები სამშობლოდან გარბიან. მიუხედავად იმისა, რომ ჰანს გეორგს არანაირი სიმპათია არ გააჩნია ჰიტლერის პოლიტიკის მიმართ, იგი სხვა გამოსავალს ვერ ხედავს და საბედისწერო გადაწყვეტილებას იღებს, შედის ნაციონალ-სოციალისტურ პარტიაში. ამ დროს ჰიტლერი რადიოთი გამოდის და ქადაგებს: „მაღალო ღმერთო, გერმანელი ხალხი ისევ ძლიერია თავისი ნებისყოფით, ძლიერია თავისი სწრაფვით და მიზნებით, მზადაა ყოველნაირი მსხვერპლისათვის. უფალო, შენ არასოდეს გვტოვებ ჩვენ! კურთხეულ იყოს ჩვენი ბრძოლა თავისუფლებისათვის, ჩვენი ხალხისათვის, ჩვენი მამულისათვის! – გაოცებას ვერ მალავს მწერალი: „ამ პატარა ეგზალტირებული გნომის ზეგავლენა ხალხზე ჩემთვის გამოცანად დარჩა. მაგრამ მე იმ დროს იქ არ ვყოფილვარ“. ასე რომ, მწერალი არ და ვერ ადანაშაულებს იმ ხალხს, რომელიც ჰიტლერს ასე უკანმოუხედავად მიჰყვა. გამაოგნებელი კი ის იყო, რომ სასულიერო პირთა უმეტესობამაც ახალ მთავრობას დაუჭირა მხარი. მათ შორის ხომ ბევრი იყო გონიერიც და წინდახედულიც, როგორც მამამისი. ამ რომანის ღირსება სწორედ ისაა, რომ მწერალი კი არ აფასებს, არამედ ნათლად და ზუსტად გვიჩვენებს იმ დროის მოვლენებს, მონაწილეთა განცდილსა და გადატანილს და ამგვარად მკითხველს უბიძგებს საკუთარი დასკვნების გამოტანისკენ.

გონიერი ხალხი შეცდომას გვიან მიხვდა, 1943 წელს და გამოსწორებასაც შეეცადა, შეთქმულება დაგეგმა ჰიტლერის წინააღმდეგ, მათ შორის იყო მწერლის მამაც, მაგრამ სინანული დაგვიანებული და უსუსური აღმოჩნდა. „მეამბოხეები“ სიკვდილით დასაჯეს.

მწერალი ცდილობს, ჩასწვდეს, როგორ მოახერხა ჰიტლერმა მთელი ერის თავისი იდეის გარშემო გამთლიანება და დაასკვნის, რომ ეს იყო დამარცხებულის კომპლექსის გამოვლენა. I მსოფლიო ომის შემდეგ გერმანელთა ღირსება შეილახა, ვერსალში აბსურდული ხელშეკრულება დაიდო, საფრანგეთმა რურის მიდამოები დაიკავა, საშინელი ინფლაცია დაიწყო, ყველანაირი ნორმა დაირღვა, გახშირდა მკვლელობები და ტერორისტული აქტები, რესპუბლიკისა და პარლამენტარული დემოკრატიის ნდობა დაიმსხვრა. ახლა კი დაბნეული ხალხი ერთი კაცის გარშემო შემოიკრიბა, რომელსაც მსოფლიოსთვის თავისი ჭეშმარიტი ძალა უნდა დაენახვებინა. ცოდვაში ღრმად ჩათრეულმა და ფაშისტური ბანგისგან გამოფხიზლებულმა ჰანს გეორგიმაც დაიწყო გამოსავლის ძიება: „რაღაც უნდა ვიღონო!“ – წერდა ის ყველა წერილში, მაგრამ თან ეშმაკის მსახურებას განაგრძობდა. ესესში ცხენოსანთა პოლკი ჩამოაყალიბა, რეზერვისტების მეთაური გახდა. იმაზე თუ დაფიქრდა, რომ მკვლელების ბანდაში შედიოდა? – კითხულობს მწერალი. პასუხიც ცხადია. ამ დროს მამამისი მხოლოდ მისთვის დავალებულ კონკრეტულ საქმეზე ფიქრობდა, აღლუმების მოწყობასა და უნიფორმებზე. ამავე დროს, მოხდა დროის შესაფერისი სამარცხვინო ჩასწორება მათ საგვარეულო დოკუმენტშიც: „საოჯახო კავშირის ყველა წევრი სუფთა არიული წარმომავლობისაა. ჩვენ ვამაყობთ, რომ ჩვენი საგვარეულო საუკეთესო რასას განეკუთვნება. კავშირის ის წევრი, რომელიც არიელთა წარმომავლობის არ იქნება, კავშირიდან უნდა გავიდეს“.

კლამროთებმა ადრე მათთვის ძვირფასი წიგნებიც დაწვეს და მოიშორეს: რემარკი, დობლინი, ჰაინე, კესტნერი. სამაგიეროდ, 1933 წლის 23 მარტს გამოვიდა „ნაციონალ-დემოკრატების საბრძოლო და საიერიშო სიმღერების წიგნი – და მალევე მილიონობით გაიყიდა. დედამისისა და ბებიის დღიურებში კი ამგვარი ჩანაწერები გაჩნდა: „ჩავლილი კოლონები აღფრთოვანებულები მღერიან ჰიტლერის ახალ სიმღერებს, „ეს სიმღერები ჩვენმა ბავშვებმაც სულ ზეპირად იციან“. „ჩვენ ყველანი უნდა მივეხმაროთ, რომ ჰიტლერს მძიმე საქმიანობა შევუმსუბუქოთ. ჰიტლერმა შეასრულა საოცრად დიდი, სისხლიანი, მაგრამ უდავოდ საჭირო გაწმენდა.

1934 წლის 9 ნოემბერს, „რაიხის გაკრისტალების ღამეს“, ებრაელები საშინლად დაარბიეს. ამან ბებიის დღიურში ამგვარი ასახვა ჰპოვა: „ჩვენ ჰუნებზე უარესები ვართ, სირცხვილია, დღეს გერმანელი გერქვას“. თუმცა, ამ ჩანაწერებში არ იგრძნობოდა თანაგრძნობა და გამოსარჩლება ებრაელების მიმართ, არამედ მხოლოდ ამპარტავნება თავმოყვარეობის შელახვის გამო. ჰიტლერი კი სწორედ ამ უდანაშაულო „დამნაშავეებზე“ დაყრდნობით ახორციელებდა თავის კაციჭამიურ პოლიტიკას: „მემკვიდრეობით დაავადებულებს“, „ცხოვრებისათვის უუნაროებს“ საგანგებოდ გამოცემული ბრძანებებით ანადგურებდა. 1941 წლის ზაფხულამდე გერმანიაში 70 000 სულიერად დაავადებული, ინვალიდი თუ დასახიჩრებული ამოწყვიტეს.

ჰიტლერმა 1940 წლის 10 მაისს დასავლეთზე შეტევა დაიწყო და ნეიტრალურ ქვეყნებსაც დაესხა თავს: ჰოლანდიას, ბელგიას, ლუქსემბურგს. მწერალი გაოცებულია, რომ მისი მშობლების მიმოწერაში ეს საშინელებები არ არის ასახული. მამათა ცოდვები კი შვილებს დააწვათ კისერზე და რეალურ ცხოვრებაში მოუხდათ გამოსყიდვა. მწერალი იგონებს: „თერთმეტი წლის ბავშვი სტოკჰოლმში, სკოლაში ლამის დამჭრეს, იმიტომ რომ გერმანელი ვიყავი! ნეტა თუ დაინახა ეს ციდან ჰანს გეორგმა? ჩასწვდა ჩემს დარდს, როცა ჩვენ, მომავალ თაობას, საშობაო ნაძვის ხეზე ეროვნული დროშის დაკიდების უფლება არ გვქონდა. როგორც ამას აკეთებდნენ დანიაში, შვეციაში, სადაც დროშა და სამშობლო სირცხვილის გრძნობას არ იწვევდა? ნეტა თუ მიხვდა, რად მიღირდა ჩემი სამშობლოს წინააღმდეგ ლაპარაკი, როცა ისრაელში კორესპონდენტად ვიყავი?“ მწერალს სურს, რომ რაც მოხდა, ის აღარასოდეს განმეორდეს. ეს რომანიც სინანულის, შენდობის და ამ გზით მოპოვებული სიყვარულის დასტურია.

მშვენიერების ჯვარცმა – გიორგი ლეონიძის „მარიჯა“

„მარიტა თითქოს მზეს ჩამოვარდნოდა!“

მარიტა სახე-სიმბოლოა მშვენიერებისა, რომელიც ღვთაებრივთან არის წილნაყარი. დროდადრო სამყაროს მოევლინება ხოლმე ხორცშესხმული მშვენიერება, რათა წუთისოფლის წყვდიადი გაარღვიოს და ზესთასოფლისეული რწმენითა და სიკეთით აღავსოს. მარიტას სახის სიმბოლურობა სიღრმისეულად გაიაზრა და შთამბეჭდავად წარმოაჩინა ცნობილმა რეჟისორმა თენგიზ აბულაძემ, რომელმაც გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხის“ მიხედვით ამავე სახელწოდების ფილმი გადაიღო. თითქოს მოთხრობიდან გადმოსულა ლიკა ქავჟარაძის პერსონაჟი, სადა, გულწრფელი გოგონა, არაამქვეყნიური სილამაზითა და ღიმილით გამორჩეული.

„ვის არ უყვარს მზე?“ – ამ რიტორიკული კითხვით იწყებს მწერალი მოთხრობას. მართლაც, წარმოუდგენელია მზის უსიყვარულობა, რადგან იგი სამყაროს მაცოცხლებელი წყაროა, სიცოცხლის დამბადებელი და მისი შემწე. მზე ნათელია. ღმერთმა სამყაროს შექმნა სიბნელისა და სინათლის განყოფით დაიწყო და პირველი სიტყვები წარმოთქვა: „იქმენინ ნათელი“. მას შემდეგ სამყაროს ღვთაებრივ საჩუქრად ებოძა სინათლე. მზის სიყვარული ამხელს ადამიანთა სწრაფვას სიკეთისა და მშვენიერებისკენ. მზისკენ მიისწრაფვის ყველა: ადამიანები, მცენარეები, ცხოველები, მთელი სულიერი თუ უსულო სამყარო. მზისკენ ვნებიანად მსწრაფველთა შორის გიორგი ლეონიძე გამოარჩევს ბროწეულის ყვავილს და განსაკუთრებული სიყვარულით ხატავს. მისთვის ბროწეული მზის თვალსაჩინო სიმბოლოა.

ქრისტიანულ სიმბოლიკაში ბროწეულის ნაყოფი ეკლესიის სიმბოლოა, ხოლო მისი მარცვლები ერთ, უნივერსალურ ეკლესიად შეკრულ მორწმუნეებს განასახიერებს. ანტიკურ მითოლოგიაში ბროწეული სიყვარულის სიმბოლოა. იმავდროულად, ის არის პროზერპინას ატრიბუტი და ყოველ გაზაფხულზე მის დედამიწაზე დაბრუნებას გამოხატავს. ქრისტიანულ ხელოვნებაში გაზაფხულის დადგომისა და მიწის განახლების ანტიკურმა მნიშვნელობამ ახალი აზრი შეიძინა და აღდგომის იმედისა და უკვდავების სიმბოლოდ იქცა. ბროწეულის ნაყოფს იმდენად აფასებდნენ სილამაზისა და გემოს გამო, რომ მღვდელმთავრების ცისფერ სამოსს ან ეფოდს მისი გამოსახულებით ამკობდნენ: „და გაუკეთე კალთებზე ბროწეულები ცისფერი, ძოწეული და ჭიაფერი მის კალთებზე ირგვლივ. და ოქროს ეჟვნები შეაბი მათ შორის, ირგვლივ. ოქროს ეჟვანი და ბროწეული, ოქროს ეჟვანი და ბროწეული სამოსის კალთებზე, ირგვლივ“ (გამ. 28:33-34) (ციტატა გიორგი კენჭოშვილის წიგნიდან „სიმბოლოები ქრისტიანულ ხელოვნებაში“).

გიორგი ლეონიძემ ახალი პოეტური ხატი შექმნა ბროწეულისა. პოეტური პროზით დაწერილი სტრიქონები ფერადოვანი და მუსიკალურია: „როგორ მწვავს ბროწეულყვავილის ნაელვები გამოსხივებანი! მიყვარს ცეცხლური ყვავილი, მზიანეთის სხივმფენარა ალნაკადი ოქრომდინარი, სეფესანთელივით რომ ბრდღვიალებს; მიყვარს მისი გულის ავსებულობა! თითქოს მზე სავსებით შეუწოვიაო. არა, არა მჯერა, რომ იგი სხვა ყვავილივით დასჭკნეს როდესმე, ჩამოსცვივდეს, განქარდეს, ამტვერდეს! არა, არა მჯერა! მზის ნაბადებია; მის კოკორში დაგუბებული სხივთანაგალობარი; შიგ ჩაწერილია ანკარა სხივთა რაკრაკი; მზისობა უჩანს თითოეულს ნაკვთში. ყვავილი კი არა, მზის ნაკადულის კამკამია! – ასე იტყვის გულისხმისმყოფელი!“

მწერლის წარმოსახვაში ბროწეულის ყვავილი და მარიტა ერთმანეთს ერწყმის, თითქოს მარიტას სული განფენილია ბროწეულის ყვავილში – ისინი ერთმანეთს საიდუმლოდ გამსჭვალავენ და

იქმნება პოეტური სამება: მზე-ბროწეულის ყვავილი-მარიტა. ამიტომაც არის, რომ მარიტასნაირნი დროდადრო ჩნდებიან სამყაროში და მერე ისევ იკარგებიან. ისინი მარადისობის მოციქულნი არიან თითქოს და ადამიანებთან მოაქვთ განცდა სამოთხისეული მშვენიერებისა. ხალხი სწორედ ასე აღიქვამს მარიტას: „პირმეტყველი სამოთხე იყო მარიტა!“ „ბუნების ასეთივე საჩუქარი იყო, ჩემს ოცნებას რომ შემოჰხვევია ბროწეულყვავილივით, – მარიტა! ნათლით სავსე, ღიმცრისკროვანი ყვავილი ჩემი ყრმობისა!“

მარიტა ამაღლებულის, შეუბღალავის, შორეულის განსახიერებაა. მოთხრობაში მწერალმა პირდაპირ კი არ შემოიყვანა თავისი რჩეული პერსონაჟი, არამედ მკითხველი თითქოს მოამზადა მასთან შესახვედრად, ერთგვარი ხიდი გადო ზეციდან მიწისკენ: მზე-ბროწეულის ხე-მარიტა. თითქოს ამ გზით მოევლინა იგი ქვეყნიერებას, მზის სხივს ჩამოჰყვა, მოთხრობის ბოლოს კი ის ამავე „გზას“ გაივლის – მის ნასახლარზე ბროწეულის ხე ამოვა. ისევ: მიწა-ბროწეულის ყვავილი-მზე. მარადიულის, ზეციურის ნაწილი მარადიულს, წარუვალს, ღვთაებრივს უბრუნდება. ეს იმას ნიშნავს, რომ უფალმა იგი საგანგებოდ მოავლინა ადამიანთა თვალის ასახელად, გულისხმისყოფად, ზეცისკენ ასახედად, სინანულის განსაცდელად. სამწუხაროდ, მეორდება მისტერია მშვენიერის ჯვარცმისა და ამაღლებისა. ადამიანებს სინანული მხოლოდ ცოდვის ჩადენის შემდეგ ეუფლებათ. მარიტა სინათლის, თავისუფლების სიმბოლოა. მარიტა მზის, ესე იგი, ღვთის ნაწილია და მასვე უბრუნდება. გავიხსენოთ ნესტანის წერილი „ვეფხისტყაოსნიდან“. ქაჯეთის ციხიდან გამოგზავნილ წერილში ნესტანი ასე მიმართავს ტარიელს: „მზე უშენოდ ვერ იქმნების, რადგან შენ ხარ მისი წილი, /განაღამცა მას ეახლო...“ ხალხი ეუბნებოდა მარიტას: „შენ „მზევარ“ უნდა გერქვას, „მზევინარა“.

მარიტას გამორჩეულობისა და ღვთაებრივთან წილნაყარობის ხაზგასასმელად გიორგი ლეონიძე სხვა სიმბოლოებსაც მიმართავს. ის ახსენებს ყინწვისის ანგელოზს და არმაზის სერაფიტას: „მარიტას მერე მე აღარ გამკვირვებია არც ყინწვისის ღვთაებრივი ფრესკა, არც არმაზელი ტურფა სერაფიტა“. ყინწვისის ფრესკაზე გამოსახულია ლურჯად შემოსილი, საოცრად მეტყველი სახის ანგელოზი. ყინწვისის ანგელოზს შეადარა კონსტანტინე გამსახურდიამ შორენა („დიდოსტატის მარჯვენა“), რათა მისი სილამაზე წარმოეჩინა. სერაფიტაც მშვენიერების სიმბოლოა. ვინ არის სერაფიტა? არმაზში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოაჩინეს უძველესი საფლავის ქვა (ძვ. წ. მეორე საუკუნისა), რომელზეც ასეთი წარწერაა: „მე ვარ სერაფიტი, ასული ზევახისა...“ უდროოდ გარდაცვლილი სერაფიტის სახე იქცა პოეტთა შთამაგონებლად. ლეონიძემაც სწორედ ის გაიხსენა, რათა მარიტას სილამაზე ეგრძნობინებინა მკითხველისთვის.

გიორგი ლეონიძე მარიტას სახის წარმოსაჩენად კიდევ ერთ პერსონაჟს მოიხმობს. ეს არის ეთერი, ზღაპრის გმირი. ხალხი ხშირად გაიოცებდა ხოლმე: „გლეხის ქალი და ეგრე ლამაზი?“ მაგრამ მაშინვე უპასუხებდა ვიღაც: „განა ეთერიც გლეხის ქალი არ იყო, უღარიბესი მეწისქვილის ასული, მეფისწული აბესალომი რომ ეტრფიალა?“ მზეთუნახავ ეთერთან შედარება მკითხველისთვის თვალნათლივს ხდის მარიტას ზღაპრულ სილამაზეს.

მარიტას პროტოტიპი იყო ლეონიძის ბავშვობის მეგობარი, შემკული ყოველგვარი ღირსებით; გამრჯე, კეთილი, სანდო. თავის მოთხრობაში მწერალმა მონატრებული გოგონა გააცოცხლა. „მარიტა ცისარტყელასავით დადიოდა სოფლის ორღობეში, თუმცა ორშაურიანი ჩითის კაბა ეცვა! რა უცნაურია ბუნება! როგორ იცის ზოგჯერ უხვად დასაჩუქრება! მარიტას სულის მშვენიერება აღემატებოდა მის გარეგან სილამაზეს. გულში ია ამოსდიოდა“. ცისარტყელასთან შედარება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მარიტას არამიწიერობას, გამორჩეულობას. ხალხს აქვს მშვენიერების აღქმისა და განცდის უნარი: „ვისაც ღმერთი არ გინახიათ, მოდით და ნახეთ მუხათწყაროში! გადამეტი არ გეგონოთ და მარიტას მშვენების სამზერად საგანგებოდ მოდიოდნენ მეზობელ სოფლებიდან. მოდიოდნენ და უყურებდნენ: – რამ წარმოქმნაო? – ჰკვირობდნენ. მართლაც, ხეობის თვალი იყო მარიტა“.

მით უფრო გასაოცარია თანსოფლელების დაუნდობლობა და სისატიკე მარიტას მიმართ. დოსტოევსკი წერდა: „სილამაზე იხსნის კაცობრიობას“. სილამაზეში ის მაცხოვარს გულისხმობდა. მარიტაც იმ მშვენიერებასთან არის წილნაყარი, ამიტომაც იწირება, „ჯვარს ეცმება“, რათა ხალხში ცოდვის შეგრძნება და სინანული გააჩინოს. ამიტომაცაა, რომ „იმასაც იტყოდნენ, ზეცაში მტრედი აფრინდა მახარობლადო, – მარიტა მოდისო!“ მტრედი ხომ სულიწმინდის სიმბოლოა. სახარების მიხედვით, მტრედი დააფრინდა იესოს მხარზე, როდესაც იოანე ნათლისმცემელმა მონათლა იორდანეში და ზეციდან გაისმა ხმა: „ესე არს ჩემი ძე, საყვარელი“. მარიტაც ღვთის შვილია: „საიქიოში ოქროს სკამი მიართვესო, დაღლილსაო. ღვთისმშობელს ეთქვა თურმე: ფერზე გეტყობა, ძლიერ დაღლილხარ, დაჯე, შვილო, შორიდან მომავალი ხარ! იესო ქრისტემ კი ხელმანდილი ამოიღო, შუბლზე უნდა მოესვა, რომ გაეცოცხლებინა, მაგრამ ისეთი ლამაზი იყო, მიწაზე დასაბრუნებლად ვერ გაიმეტა, მოინდომა, სულ გვერდით ჰყოლოდა, ახლაც გვერდითა ჰყავს ვარსკვლავადო...“ თითქოს მთელი სამყარო გლოვობს მარიტას დაღუპვას: „მთელი წელიწადი უწვიმარი იყო... ყანები ჩაიწვა. ვენახები გადახმა. ყანწი ვერავინ გაასველა!“ ეს არის ღვთისგან მოვლენილი სასჯელი ცოდვებისთვის.

სილამაზითა და ზნეობით გამორჩეული მარიტა ნიჭიერიცაა. ის საოცრად ქარგავს. გიორგი ლეონიძე კი ბავშვობიდანვე წერდა ლექსებს. თანაც მარიტა დედამისის ნათლული იყო. ასე რომ, ისინი ბავშვობაშივე დაუახლოვდნენ ერთმანეთს – უბრალო მეგობრებად კი არა, სულიერ თანატოლებად უფრო გრძნობდნენ თავს. გავიხსენოთ, როგორ აღწერს მწერალი მარიტას გამოჩენას თავის ცხოვრებაში. გიორგი ლეონიძის სოფელში ცხოვრობდა დედით ობოლი მარიტას ბებია – სათნოებით გამორჩეული დიდედა ლელაური. „ყვითელი აბრეშუმივით თმა-კულული... ლურჯი თვალები... ისე ვიგრძენი, თითქოს ჩვენს ეზოში ია შემოვიდა. შემოვიდა და შემოეფინა... მე შევდექი და გაკვირვებულმა ცქერა დავიწყე, მერე მოწიწებით მივუახლოვდი, ხმის გაცემა გავბედე და... მალე ერთად ვთამაშობდით მე და მარიტა!“ ეს შთაბეჭდილება მის ხსოვნაში დრომ ვერ გააქარწყლა. ამიტომაც გააცოცხლა მარიტას სახე მოთხრობაში.

საგულისხმოა ერთი ეპიზოდი: მარიტა სთხოვს ლეონიძეს, დამიწერე ერთი ლექსი, რომ ფარდაგზე ამოვქარგოო, პოეტი კი იმდენად აღმატებულად რაცხს მაგობარს, რომ თავი ამ პატივის ღირსად არ მიაჩნია: „სად მქონდა ისეთი ლექსი, რომ ღირსი ყოფილიყო მარიტას გულისყურისა თუ მისი თითების შრომისა? ახლაც კი ვერ დავარწმუნებდი მარიტას, რომ მის მიერ ხალიჩაზე ამოქსოვის ღირსი ლექსი ჯერაც არ დამიწერია!“ კიდევ ერთი ძვირფასი ადამიანი იყო გიორგი ლეონიძის ცხოვრებაში, რომელიც მარიტასნაირი გატაცებით სთხოვდა ლექსს: „ერთხელ ჩემი მასწავლებელი, კომპოზიტორი ნიკო სულხანიშვილი, ჩამაცივდა: ჩქარა „საქართველოს ჰიმნისათვის“ ლექსი დამიწერეო! მალე გავთავისუფლდებით და ჰიმნი დაგვჭირდებაო! ეტყობა, სულხანიშვილს მარიტასავით სჯეროდა ჩემი ნიჭისა! ცხადია, თავი ხიფათში არ ჩავიგდე და კისრად ვერ ვიდე მუსიკოსის დავალება, ისევე როგორც მარიტას თხოვნა“. პოეტს ასეთი სიყვარული შემდეგ აღარავისგან უგრძნია: „საოცარია, როგორც მარიტა და ნიკო სულხანიშვილი მთხოვდნენ დაჟინებით ლექსს, ისე ჩემთვის აღარავის არ უთხოვია ლექსი, არც ერთ რედაქტორს, არც ერთ თაყვანისმცემელს!“

მოთხრობაში აღწერილია მარიტასა და მეძროხე გედიას მშვენიერი სიყვარულის ამბავი. გედია ნათელიძეა. რა თქმა უნდა, მწერალმა გმირს საგანგებოდ შეურჩია ასეთი გვარი, მისი ნათელი სულის ხაზგასასმელად.

მათ დიდ სიყვარულს მგზნებარება რომ მიანიჭოს, მწერალი მარიტასა და გედიას ახალ ტარიელსა და ნესტან-დარეჯანს უწოდებს.

გედიასადმი ტრფობა მარიტასთვის საბედისწერო აღმოჩნდა. გოგონა ძალად მიათხოვეს ბნელსა და ყომრალ შეთეს, გედიას ანტიპოდს. მარიტას ოჯახმა უპირატესობა მიანიჭა არა სიყვარულს, არამედ ქონებას. სულიერს მატერიალური ამჯობინა და მარიტა ბნელი ძალის ტყვეობისთვის გასწი-

რა. თუმცა მარიტას მამა, ჩაჩიკა, გრძნობდა და ამბობდა: „– რათ უნდა უსიყვარულო სიყვარული? კალთაში ჩაეშლებაო! ოქროთი ვერ მოიგებ ბედნიერებას!“ „შერთეს მარიტას უნდომი, უნდო, უყვარული ქმარი შეთე – მლაშე,ზვიადი, ყომრალი კაცი, მგლისფერი!“

ერთგვარ სულიერ ტყვეობად აღიქვამდა მარიტა შეთეს ოჯახში ცხოვრებას. ერთადერთი სიხარული მისთვის გედიასთან შეხვედრა იყო. თითქოს სამყაროს ჰარმონიულობისა და მთლიანობისთვის იყო საჭირო გედიასა და მარიტას ერთად ყოფნა, ამიტომ უხაროდა ბუნებას, როცა ერთმანეთს ხვდებოდნენ: – გაუმარჯოს იმ ორ წვეთ თაფლს, რომელიც დღეს ერთ სიტკბოდ შეერთდება! – კისკისებდა სიო. ლოყაწითელი მაისის იასამნის მიბნედილი სურნელი მხიარულობდა...“

ბუნების ამ დღესასწაულს შლის და ანადგურებს ადამიანი, შეიძლება ითქვას, ბნელეთის მოციქული, ენაჭარტალა „ბალბალუკა-ნემსისპირა“, კივკივით მოსიარულე“. მას არ გამორჩენია მარიტასთან გედიას სტუმრობა. „კევიღეჭიამ გამოაქვეყნიერა ყოველივე. სოფლის ენაკეციამ ნაზი, ქლარცი და თავაზიანი ლაპარაკი იცოდა. და ამ ნაზ სიტყვათა გადაცემა-გადმოცემაში, თავისი ვითომდა კდემამოსილებით, მთელ სოფელს ამცნო გედიას და მარიტას ვითომდა საცოლქმრო შეყრა“.

სოფლის „მეუფროსე“ ციციკორემ მარიტა ზნეობის შემლახველად გამოაცხადა, სიწმინდეს ჩირქი მოსცხო და უმანკო სახელი ლაფში ამოსვარა.

მოთხრობაში იხატება საშინელი რიტუალი დასჯისა: ხალხმა მარიტა ვირზე უკუღმა შესმული სოფელში ჩამოატარა, თან ტალახს ესროდა. საოცარ სიჩუმეში მიმდინარეობდა ეს პროცესია, მაგრამ თითქოს დიდი ხმაურით ინგრეოდა კოსმოსი, რასაც გონებადახშული ხალხი ვერ ამჩნევდა: „ბრბო კი ჩუმად, უჩუმრად მიჰქუხდა, როგორც ღვარცოფი, და მის წინაშე უძლური იყო თვით ღმერთი!“

დიახ, ხალხი აღტაცებული იყო მარიტათი, მაგრამ როგორც კი არჩევანის წინაშე დადგა, თითქოს გონება დაებინდა და თვალთ დაუბნელდა. ხალხმა უკან დაიხია ბნელი ძალის წინაშე და მშვენიერება გაწირა, მეტიც – თვითონვე მიიღო მონაწილეობა მის განადგურებაში.

ბრბომ გაანადგურა თავისი სასიცოცხლო ენერგია – მშვენიერება, მარიტა ხომ ამქვეყნად მოვლენილი ღვთის საჩუქარი იყო. ღმერთმა კვლავ „გაწირა“ შვილი ადამიანთა ცოდვების გამოსასყიდად. კვლავ გამეორდა ჯვარცმის მისტერია. ამიტომაც არის, რომ მწერალი მარიტას წამებულს უწოდებს: „მოჰყავდათ სოფლის წამებული“.

საოცრად შთამბეჭდავადაა აღწერილი მარიტას გარდაცვალება, რომელმაც ხალხის კათარზისი გამოიწვია. ადამიანები გამოფხიზლდნენ და სინანული იგრძნეს. მარიტას სიკვდილი სამყარომ იგლოვა. ეს ეპიზოდი ხალხური ლექსის გმირის, ხოგაის მინდის გარდაცვალებას ეხმიანება:

„ხოგაის მინდი კვდებოდა,
მზე წითლდებოდა, ცხრებოდა,
ჩამოდიოდა ვარსკვლავი,
მთვარე უკუღმა დგებოდა“.

მაგრამ ვერანაირი ბნელი ძალა ვერ მოსპობს მშვენიერების იდეას და სწორედ ამის გამოხატულებაა მარიტას ნასახლარზე ამოსული ბროწეული. მწერლისთვის კი გამოცანად რჩება მშვენიერების მოვლენისა და გაქრობის მისტერია: „მართლაც, საიდან მოდის სილამაზე? ან სად მიდის? სად იკარგება? თუ დროებით მიეფარება? ვინ იცის?!“

სამწუხაროდ, ადამიანები ღვთიურ კვალს ხშირად ვერ ამჩნევენ და მშვენიერებას უსულგულოდ თელავენ.

მარიტა ნესტანისეულ-თინათინისეული რანგის გმირია, სინათლესთან კავშირითა და იდუმალებით. ბარათაშვილისეული „ნათელია, ზეცით მოსული, / რომლით ნათლდება ყოვლი გრძნობა, გული და სული“ („რად ჰყვედრი კაცსა“).

„ხელოვნური სამოთხის“ ლიტერატურული ანატომია

თანამედროვე გერმანელი მწერლის, იული ცეს რომანი „არწივი და ანგელოზი“ წარმოსახვაში დანტესეული ჯოჯოხეთის სანახებს წამოატივტივებს. რომანის მისტიკურ-ალეგორიული სახელწოდება მკითხველს თავიდანვე განაწყობს სიმბოლურ სახეთა გააზრება-გაშიფვრისაკენ, თუმცა მოლოდინი სულ სხვაგვარად იხსნება. მწერალი რომანში ნარკოტიკებით გამოფიტულ, დაშლილ-განადგურებულ ადამიანებს გვიხატავს, ხოლო ნარკობიზნესს წარმოაჩენს, როგორც კოსმოსური მასშტაბის ობობას, რომელსაც თავის ქსელში მთელი ქვეყნიერება მსხვერპლივით მოუქცევია, შხამავს და უკანასკნელ მაცოცხლებელ სისხლის წვეთებს წოვს.

იული ცეს ევროპაში სახელგანთქმულ რომანს, ლიტერატურული პრემიებით აღიარებულს, (გერმანიაში 2001წ. გამოიცა), ახლა ქართველი მკითხველიც გაეცნო მაია მირიანაშვილის თარგმანით. იული ცეს ამ რომანში პოსტმოდერნისტული ესთეტიკითა და მხატვრული ხერხებით წარმოჩენილია ნარკომანთა სულიერ-ზნეობრივი ცხოვრება. ადამიანთა დაშლილი და დასნეულებული სული შიგნიდან არის დანახული და ხელის გულზე გადმოშლილი. რომანის მთხრობელი თვითონ მთავარი გმირია, რომელიც ფრაგმენტულად იხსენებს თავის ცხოვრებას. კოკაინისაგან გაბრუებული მისი ცნობიერება სამყაროსაც დაშლილს და გაუცხოებულს წარმოაჩენს. მისი ლოგიკა აბსურდულია და ხშირად მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს მოკლებული. ასე რომ, მკითხველი მთხრობელთან ერთად ქანაობს წარსულსა და აწმყოში, რეალობასა და ირეალობაში. რომანში არა მხოლოდ დროული, არამედ სივრცობრივი კონტურებიც წაშლილია, რათა მთელი სამყარო რაღაც ზედროული და ზესივრცული პერსპექტივით დაიხატოს. მიუხედავად რომანის მხატვრული სისტემის ასეთი გარეგანი ქაოსისა, მწერლის ოსტატობის წყალობით, ნელ-ნელა, თხრობისას გამოიკვეთება ფაბულა და სიუჟეტი, დეტექტიური დაძაბულობით აღსავსე მინიშნებებითა და გადახვევებით. მთავარი გმირისთვის მწერალი ერთგვარ შიზოფრენიულ დისკურსს ირჩევს, ამგვარად უფრო დამაჯერებელს ხდის მის სულიერ გაუწონასწორებულობას და გულწრფელად გვაჯერებს მისი ნაამბობის რეალურობაში. ამგვარმა დისკურსმა ფოლკნერის „ხმაური და მძვინვარების“ გმირის, ბენჯის მიერ აღქმულ-დანახულ-გადმოცემული ამბები გაგვახსენა. იმის მონაყოლშიც ხომ ასე დანაწევრებულად ჩანდა სამყარო, თუმცა არა ნაკლებ ღრმად და მრავალფეროვნად, ვიდრე სრულიად ჯანმრთელის ნაამბობში. იული ცე გვიხატავს, როგორ იქცევა „ღვთის ხატად და მსგავსებად“ შექმნილი ადამიანი ეშმაკის მსხვერპლად, კარგავს სიკეთისა და ბოროტების გარჩევის უნარს, თავისუფალ ნებას და სათამაშოდ იქცევა.

რომანის მთავარი გმირი, მაქს მაქსიმილანი, ბავშვობიდანვე მოექცა იმგვარ გარემოში, რომელმაც იგი ნარკომანად აქცია. მისი უახლოესი მეგობრები ნარკომაფიასთან უშუალოდ დაკავშირებულნი იყვნენ. ჯესის მამა ჰერბერტი ბალკანეთში იკვლევდა ნარკოგზებს, შვილები და მათი მეგობრებიც ამ საქმეში ჰყავდა ჩართული. მაქსმა ცხოვრებაში მიაღწია იმას, რომ ერთ ცნობილ იურიდიულ ფირმაში სამართლის ექსპერტად დაიწყო მუშაობა. რომანის ზომიერად ჩახლართული სიუჟეტი მკითხველის ყურადღებას მთლიანად იპყრობს, რადგან იქმნება ინტრიგა და მოლოდინი: ბოლოს და ბოლოს ვინ არიან ეს ადამიანები: მაქსი, ჯესი, სერჟი, როსი, რუფუსი, ჰერბერტი? რადგან რომანში გმირის მიერ სინამდვილე ისე დანაწევრებულად არის გადმოცემული, რომ წაშლილია ზღვარი სინამდვილესა და წარმოსახულს შორის.

რომანის გმირი თავის თავგადასავალს უყვება ახალგაზრდა სტუდენტ ფსიქოლოგს, კლარას (იმავე, ლიზა მიულერს), რომელიც ნარკომანის ჩანაწერების მიხედვით სადიპლომო შრომასა წერს, თან რადიოგადაცემა მიჰყავს: „უიმედოთათვის, ნიჰილისტებისთვის, მარტოსულებისთვის, ატომის მკვლევრებისთვის, დიქტატორებისთვის და უბრალოდ, ქუჩის უსაქმურებისთვის“. კლარა კასეტებზე იწერს მაქსის თავგადასავალს და ამასობაში მისი ცხოვრების თანამონაწილე ხდება, თვითონაც კოკაინით ბრუვდება. ამან იმ მარტვილთა ქცევა გაგვახსენა, კეთროვანებს რომ უვლიდნენ, გვერდით უწვებოდნენ და სითბოს უნაწილებდნენ. როგორც გაირკვევა, კლარამაც არ იცის, რომ ეს საქმეც დიდი დაკვეთისა და ობობას ხლართის ნაწილია. დამკვეთები კი ყოვლისშემძლე, მსოფლიო მასშტაბის, უმაღლესი დონის ორგანიზაციებში (მათ შორის, გაერო-ში) მოკალათებული ბოსები არიან. მწერლისაგან ამგვარი მინიშნებები მის სითამამეზე მეტყველებს. თვითონ პროფესიით იურისტია და ეტყობა, კარგად არის ჩახედული ამ საქმეებში. რომანში ვენაში საადვოკატო ფირმის ამერიკელი ხელმძღვანელი რუფუსი მაქსს ეუბნება, ჩვენ კეთილშობილური მიზნებისთვის ვიღვწით, ახალი მსოფლიო ომის თავიდან ასაცილებლად განიარაღების პროექტებზე ვმუშაობთ. გაერთიანებული ერების გარეშე ამ მოლაპარაკებათა გარეშე მსოფლიო ვერ გაძლებდაო. თანაც, ამ საქმეებს ტვირთად მიიჩნევს, რომელსაც ღირსეულად ეზიდება. მაქსი კი აღმოაჩენს, რომ ეს „ღირსეული ტვირთი“ ნარკობიზნესია და მეტი არაფერი. იგი ათასნაირ დოკუმენტზე მუშაობდა, მათ შორის, ევროპისა და აღმოსავლეთის განვითარების საკითხებზე. არ იცოდა, რომ ეს ისევ და ისევ ნარკოტიკებით საქმეში ახალი გზის შექმნას ემსახურებოდა. როცა მიხვდა, გვიან იყო, ის უბრალო მარიონეტად ქცეულიყო სხვათა ხელში. ეჭვი კი ნელ-ნელა გაჩნდა და გაღრმავდა. როდესაც შეფს გაუმხილა სამსახურს თავს ვანებებ, ნარკომანი ვარო, მან უპასუხა, ყველა იურისტი ნარკომანიაო. უფრო მეტიც: „ჩვენთან მომუშავეთა თითქმის ასი პროცენტი ნარკოტიკს იღებსო“. გამოდის, რომ, ე.წ. მშვიდობისმყოფელნი, მსოფლიოში ახალ გზებს კვალავენ ნარკობიზნესისთვის. რომანის ერთ-ერთი გმირი ამბობს, რომ მათ ნარკობიზნესისთვის ყველაფერი აქვთ: საინფორმაციო საშუალებები, მისამართთა სიები, სერვერები, საბანკო კავშირები, თუმცა მათ ეს უმნიშვნელოდ ეჩვენებათ, რადგან საჭიროა გაფართოვდეს ნარკოტიკთა გადატანის გზები, უნდა შეიქმნას შუალედური რგოლები, საზღვარზე უნდა იცოდნენ, რას ატარებენ, აგრეთვე, პარტნიორები უნდა ჰყავდეთ მნიშვნელოვან პოზიციებზე. გამაოგნებელი კი ის არის, რომ ყოველივე ეს ხდებოდა და ხდება აღმოსავლეთის განვითარებისა და ახალი თავისუფლების მოქმედების ზონაში. თანაც, ამისთვის თანხებს იღებენ აღმოსავლეთის განვითარების საერთაშორისო დაცვის ფონდიდან. ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, ამაზრზენ პაროდიად აღიქმება ერთ-ერთი დოკუმენტის ბლანკზე გამოსახული ემბლემა – დაფნის გვირგვინით შემკული მსოფლიო რუკა.

მაქსიც აღმოსავლეთის განვითარების ექსპერტია და გაერთიანებული ევროპის ინსტიტუციონალურ რეფორმაზე მუშაობს. მისი ცხოვრება კი ნელ-ნელა ჭაობს ემსგავსება. თავს კი ისე განიცდის, როგორც ქიმიურ ელემენტებად დაშლილს. საგულისხმოა, რომ გმირის წარმოსახვაში სამყარო დეფორმირდება და თითქოს სილამაზე ქრება. ბუნება ისევე მახინჯდება, როგორც სული, ამიტომაც არის, რომ „მთვარეც დაფლეთილია“ და ცაზე ცუდის მომასწავებლად არის მიწებებული. ყველგან სიცარიელეა. გმირი განმარტოვდება ყველასგან და საკუთარი თავისგანაც გაუცხოვდება. მაქსი, ჯესი, სერჟი – ესენი აღმოჩნდნენ ბედისგან დაწყევლილნი, ნარკომაფიის ქსელში გახლართულნი. მათი სიმბოლო რომანში ასე გამოიკვეთება – ობობას ქსელში გახლართული უმწეო ჭიამაიები. საგულისხმოა, რომ თვითონ მაქსიც ცდილობს, ჩასწვდეს თავისი დასნეულებული სულის ხლართებს. იგი თავს აღიქვამს ჭურჭლად, რომელშიც უამრავი მატლი დაფუთფუთებს. მისთვის ყველაფერს დაუკარგავს აზრი, სამსახურსაც, ფულის შოვნის სურვილსაც და ნორმალურად ცხოვრებასაც. მაინც

რა იქცა მის ცხოვრებაში ათვლის წერტილად, როდესაც დაიწყო არა გარეთ, არამედ საკუთარ არსებაში ყურება და ჩხრეკა? ეს იყო უმწეო, უსუსური ნარკომანი ახალგაზრდის, ჯესის, მისი ბავშვობის დროინდელი მეგობრის თვითმკვლელობა. მაქსი ჯესის ბოლო დროს უვლიდა და მფარველობდა, თითქოს ამგვარად ცხოვრების ერთგვარი საყრდენი თუ მიზანი მოიპოვა. რაღაც ანგელოზურმა გაიღვიძა მასში, მაგრამ ყველაფერი ერთ დღეს დამთავრდა. ტრაგედიამ გმირი სასოწარკვეთილებაში ჩააგდო, მაგრამ, იმავდროულად, დააწყებინა ფიქრი ამ თვითმკვლელობაში საკუთარ დანაშაულზე. ამ ფიქრმა კი, მტანჯველმა და ჯოჯოხეთურმა, ის საბოლოო გამოღვიძებამდე მიიყვანა. ერთბაშად გაუჩნდა იმ სიყალბისაგან გაღწევის სურვილი, რომელშიც აქამდე ცხოვრობდა.

რომანში დიდი ფსიქოლოგიური სიღრმით არის წარმოჩენილი ადამიანთა სულიერი ცხოვრების უფაქიზესი ნიუანსები. მწერალი ხატავს, როგორ იქცა მაქსის ცხოვრება მექანიკური მოძრაობების ერთობლიობად, რომელთაგან უმთავრესად იქცა კოკაინის მიღება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამყარომ ფერი, სუნი და სტრუქტურა შეიცვალა. გმირი იმდენად ჩაეფლო შინაგან სიცარიელესა და სიბნელეში, რომ ნატრობს, სულ ღამე იყოს. სიბნელეში უკეთ გრძნობს თავს, ან კიდევ სურს, რომ დღეში მხოლოდ ხუთი წუთი ეღვიძოს, დანარჩენი კი ეძინოს.

რომანის პერსონაჟები თავს დაკარგულებად მიიჩნევენ, „როგორც ფრინველები გადაფრენისას, რომელთაც გეზი დაკარგეს და აღარ იცოდნენ, საით იყო სამხრეთი“. ზოგი ადამიანებსაც კი ვეღარ აღიქვამს, ირგვლივ მხოლოდ ვეფხვებს, ყვითელსა და თეთრ ლომებს ხედავს. ე.ი. ხედავს ადამიანთა დაბინძურებულ, გაველურებულ, გამხეცებულ სულებს. რომანში წარმოჩენილია, რომ თითქმის მთელი ევროპა ნარკობიზნესის გზებითაა დასერილი. ამ გზებზე დახეტიალობენ პერსონაჟები, მშვიდსა თუ ცხელ წერტილებში და „სიკვდილს“ დაატარებენ თავისთვისაც და სხვებისთვისაც. რომანი ნოველებად არის დაყოფილი, რაც მწერალს შესაძლებლობას აძლევს, ცალკეულ ფრაგმენტებს დამოუკიდებლობა მიანიჭოს და გმირის ცხოვრების ცალკეული დეტალები დასრულებულ სურათებად წარმოგვიდგინოს. მწერალს ევროპა და მთელი სამყარო დაწყლულებად წარმოუდგება, რადგან უამრავი ნარკომანია. მწერალი ამ დამღუპველ მოვლენას კი არ აფასებს, ადამიანებს კი არ განსჯის ან იბრალებს, არამედ უბრალოდ ხატავს მათ სულს. რომანის მთავარი გმირის აზრით, ევროპის დიდი ნაწილი ნარკოტიკებით არის განადგურებული, „ცოცხლად დარჩენილნი კი წაბილწულნი და აზროვნებადაკარგულნი არიან“.

ჯესის, რომანის ავადმყოფი, ყველაზე უსუსური გმირის, ცნობიერებაში საკუთარი სიცოცხლე, ნარკოტიკებისაგან განადგურებული, ზღაპრული სახეებით იბურება. „პატარაობაში, – ჰყვება ის, – ძალიან ცუდად ვიყავი. ერთმა დიდმა არწივმა რაღაც დიდ სახლში მიმიყვანა, სადაც მოტაცებულ ბავშვებს აგროვებდა. იქ ვიჯექი ფანჯარასთან. ამინდსა და წელიწადის დროებს ვაკვირდებოდი. ზაფხული მეჯავრებოდა. ამდენი ხმაური და ფერი თავს მატკიებდა. ქვემოთ ერთი ასკილის ბუჩქი იდგა. მზის მსგავსი ყვავილები ჰქონდა. ყვავილების ყვითელი ფერი თავისკენ მიმიხმობდა. ზარის წკრიალის მსგავსი ხმა ჰქონდა“. ჯესის ცნობიერებაში ასე ტრანსფორმირდა არწივად საკუთრი მშობელი თუ მთელი სამყარო, რომელმაც იგი ლოკოკინების, თეთრი მგლებისა და ვეფხვების გარემოში ჩაკეტა. ჯესიმ რეალურ გარემოს სწორედ ეს ზღაპრული სამყარო დაუპირისპირა, რათა დაევიწყებინა ის საშინელი ფაქტები, რაც ენახა და განეცადა. ბალკანეთში მის თვალწინ ერთ ტყვე ქალს ყურები დააჭრეს და მერე დახვრიტეს, თვითონ იღებდა მონაწილეობას საქმეში, რაც ლტოლვილებისთვის ნარკოტიკების გადამტანებად გამოყენებას გულისხმობდა (ლტოლვილებს ნარკოტიკიან პარკებს აყლაპებდნენ). ჯესიმ იცის, რას საქმიანობენ მისი ახლობლები და ეს არის მისთვის ჯოჯოხეთი. მას აწუხებენ „ანგელოზების ენები“, რომლებიც წვიმას მიწაზე ჩამოაქვს. ეს „ენები“ ამხელენ იმ სისასტიკეს, რაც ცხოვრებაშია და რისი აღქმაც და გააზრებაც ტანჯვისა და ჭკუიდან

შეშლის გარეშე შეუძებელია. ჯესი იმ ნარკოტიკებით ვაჭრობის თვითმხილველი იყო, რომლითაც ფინანსდებოდა სერბიის მხრიდან ბალკანეთის ომი. იგი იყო მოწმე „სერიოზული საერთაშორისო მასშტაბების დანაშაულობებისა“.

რომანის გმირები ხანდახან ცდილობენ დინებიდან ამოსვლას, გათავისუფლებას, როგორც ჯინის ბოთლიდან, მაგრამ ვერ ახერხებენ. ისინი არიან ოცნებამოკლული ბავშვები. რომანის მრავალ საგულისხმო დეტალთაგან ერთს გამოვარჩევ. კლარა ჰყვება, როგორ ოცნებობდა ცხენზე და მშობლებსაც რომ ეგრძნოთ ეს, აივანზე პირსახოცი გაჭიმა და ყოველ დილა-საღამოს საჭმელი მიჰქონდა: „უბედური ბავშვი ვიყავი. მთელი ბავშვობა აივანზე ასე მეკიდა პირსახოცი“. ეს მისი და მისნაირების ცხოვრების მეტაფორაა.

მწერალს სჯერა, რომ როგორც ჩამქრალი ვარსკვლავების შუქი დღემდე აღწევს დედამიწამდე, ასევე, სიკვდილის შემდეგ დიდხანს დარჩება ადამიანთა სახეები ამ სამყაროში. რომანის პერსონაჟები ერთმანეთში ირეკლებიან, როგორც სარკეებში. ეს მწერლისთვის საინტერესო ხერხია პერსონაჟთა ხასიათის სხვადასხვა რაკურსით დასახატავად. ისინი ერთმანეთის „გამოცნობას“ ცდილობენ. მწერალი კი მათ სარკეებს ათამაშებს და მკითხველიც ერთვება ამ თამაშში. ის ამ სარკეებში მოულოდნელად საკუთარ თავსაც დალანდავს და მიხვდება, თვითონაც სჭირს ის სიცარიელე, რაც რომანის გმირებს.

რომანის ერთგვარ გასაღებად გვესახება ეპიზოდი, როდესაც გმირი კითხულობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოზე მიღებულ დოკუმენტს, რომელშიც გამოხატულია ღრმა წუხილი ალბანეთში გაუარესებული მდგომარეობის გამო, მრავალეროვანი თავდაცვითი ძალების შექმნის შესახებ, სადაც კიცხავენ ძალმომრეობის ყოველგვარ ფაქტს. პარალელურად კი მაქსის ცნობიერებაში ტივტივებს სულ სხვა სიტყვები და წინადადებები: „მე პატარა ვარ.... ჩემი გული სუფთაა; დღეს თუ რამე უსამართლობა ჩავიდინე, ნეტა მაღალმა ღმერთმა ვერ შენიშნოს... შენი წყალობა... სისხლი ქრისტესი.... ახლა შეგვიძლია ისევ ცუდის გაკეთება“. ამ ფრაზებმა დოსტოევსკის ის გმირები გაგვახსენა, პირჯვარს რომ იწერენ კაცის მოკვლის წინ. სამშვიდობო რეზოლუციები მწერალს ამგვარ ფარისევლობად წარმოუდგება, ერთგვარ „ნებართვებად“ ბოროტ საქმეთათვის, ამ შემთხვევაში, ნარკობიზნესისთვის.

ასე გაკრთება რომანში ადამიანთა სულებიდან განდევნილი ღვთის რწმენა. მწერალს სჯერა, რომ უზენაესი ყველაფერს ხედავს და არც არავინ დარჩება დაუსჯელი. საგულისხმოა რამდენიმე ეპიზოდში პერსონაჟთა გულგრილ მზერაში შემთხვევით მოხვედრილი ეკლესიის გუმბათები და მტრედები. ეს ყოველივე გაუცხოებულია მათთვის, რადგან ყველგან ნარკომაფიის ობობას ქსელებია, ესენი შემთხვევით შემოფრენილ ბუზებს ჰგვანან, რომელთა სახეზე აღარც ტკივილი იხატება და აღარც სიხარული. მათ უჩნდებათ სურვილი, დატოვონ დედამიწა და მზის სისტემაში უკეთესი პლანეტა მოძებნონ, სადაც არ იქნება ამდენი ნაგავი და ყველაზე მთავარი – „ინფორმაცია“.

მწერალმა იცის, რომ „ყველა სიმართლე, რომელსაც ჩვენ ბოლოს მივაკვლევთ, ზედაპირზევე ძევს“. ეს სიმართლეა რომანშიც წარმოჩენილი. რომანის ერთ თავს „ბრინჯი და კანტი“ ჰქვია. მაქსი და ჯესი ბრინჯს ჭამენ და თან კანტს კითხულობენ, ხანდახან ნიცშესაც აყოლებენ. მაქსი აზრსაც მიადევნებს თვალს, ჯესი კი მხოლოდ სიტყვებს ისმენს, შინაარსისაგან დაცლილს. მეტაფორულად, დღევანდელობაში ადგილი არ რჩება სერიოზული განსჯისა და მაღალ მატერიებზე ფიქრისათვის. ყოფიერების ფილოსოფია კუჭიდან იწყება და მის გარშემო ტრიალებს.

მწერლის დაკვირვებით, ადამიანის სული შეიძლება არწივიც იყოს და ანგელოზიც. ინგლისურად: Eagels and Angels, ან ორივე ერთდროულად. არწივი ძალაუფლების სისასტიკეს განასახიერებს, ანგელოზი კი უმანკოებასა და სისუფთავეს. რომანში გამოიკვეთება ცხოვრების ოქროს წესი: „აიღე

ყველაფერი და ბევრი, მაგრამ მარტო ის, რასაც დედაბუნება გვთავაზობს და არა ნარკოტიკი“. რომანის ერთი პერსონაჟი ამბობს: „ნეტავი ვის რაში ვაინტერესებთ? ჩვენ ერთი ძველი დაწერილი ქაღალდის ფურცლები ვართ“. მწერალს აინტერესებს სწორედ ეს გადასაყრელად გამზადებული ფურცლები, გულდასმით კითხულობს და მკითხველსაც წააკითხებს ჩვეულებრივი ადამიანების უჩვეულო ისტორიებს, მათ ტკივილს აზიარებს და ამ ტკივილით თითქოს განწმენდს და აამაღლებს.

ერთ ეპიზოდში მაქსი განიცდის თავის მარტოობას, ორმოს თხრისას შემთხვევით ჭიაყელას გადაწყვეტს, მერე ერთად ჩადებს მიწაში, რათა მას „ბედნიერად გაეგრძელებინა სიცოცხლე და მარტო არ ყოფილიყო“. „მე რომ ვინმეს რამდენიმე მაქსად დავეყავი და სიცოცხლის გაგრძელება შემძლებოდა, ალბათ, ბედნიერად ვიცხოვრებდი, ასე მარტო აღარ ვიქნებოდი“. გმირი ცოცხლობს თავისი არსებობის ტკივილიანი მოგონებებით. რომანის ერთ ეპიზოდში კლარა იოცნებებს: „მინდა ტყეში პატარა სახლი მქონდეს და წინ ძეწნები იდგას. მეტი ამ ცხოვრებაში არაფერი მინდა. არასოდეს“. რაზეც მაქსი უპასუხებს: „ჩემო კარგო, ეს ლამაზად ჟღერს, მაგრამ ეს ხომ ცხოვრებაში ისეთი უბრალო რამაა, რასაც ვერასოდეს მიიღებ“. ეს არის თანამედროვე ცივილიზაციის ოცნება დაკარგულ სამოთხეზე, რომელსაც ცოდვით დაცემული კაცობრიობა ვეღარასოდეს დაიბრუნებს. ისიც დიდი შეღავათია, რომ ოცნებაში მაინც არის ჩარჩენილი. კლარა ერთგან ამბობს: „ცხოვრება უჩვეულო რამაა. შეჩერდები და მერე ისევ გადადგამ ნაბიჯს, ყოველი შეჩერებისა თუ ნაბიჯის გადადგმაზე ცხოვრებაც გეცვლება“. მწერალი ამ ცხოვრების ცვლილებას გაადევნებს თვალს და ყოველი ადამიანის არსებობის აუცილებლობასა და განუმეორებლობაში გვაჯერებს.

მიუხედავად პირქუში სურათებისა, რომლებითაც სავსეა რომანი, მკითხველს გადარჩენის რწმენა მაინც უჩნდება. ნაწარმოების ბოლო ეპიზოდში წვიმს. სულიერად განადგურებული გმირი საიდუმლო თოთხმეტნიშნა რიცხვის გამხელის ფასად, რომელიც „ტრილიონ დოლარად“ ფასდება, კლარას სიცოცხლეს გამოისყიდის. მერე თითქმის დედიშობილა გადის წვიმაში, რაღაცის მოლოდინში. წვიმა გმირის სულის განახლება-განწმენდაზე მიანიშნებს. წყალი ხომ მითოლოგიურ-რელიგიურ ასპექტში სწორედ ახლად შობაზე მიანიშნებს. საგულისხმოა ისიც, რომ მაქსი 33 წლისაა. ასე რომ, მისი ტკივილიანი „ჯვარცმა“ და გამოღვიძება სიმბოლური მრავალმნიშვნელოვნებით იტვირთება. რომანში უდაბნოს ერთი უცნაური ყვავილის შესახებაცაა მოთხრობილი, რომელიც გამოშრობის პერიოდში ყავისფერდება, მიწას განერთხმება და ბიოლოგიურად კვდება, მაგრამ საკმარისია წყალი დაესხას, რომ მაშინვე იფურჩქნება, იზრდება, მწვანდება. ეს არის იერიქონის ვარდი. მწერალს სჯერა, რომ ნარკოტიკებით გამომშრალი, სიკვდილის პირას მისული ადამიანიც გამოცოცხლდება სიყვარულის ძალით და აღორძინდება.

მარინე ჩხიკვაძე

ყველა ადამიანს აქვს რაღაც დაფარული

(აკა მორჩილაძის „მამლუქი“)

2008 წლის 14-20 ივლისს გაზეთმა „კვირის პალიტრამ“ დაიწყო მწერალ აკა მორჩილაძის ნაწარმოების ბეჭდვა. თხზულებას ქართული ლიტერატურისა და კინოს მოყვარულთათვის ძალზე ცნობილი სათაური – „მამლუქი“ ჰქონდა.

სათაურმა ჩემი, როგორც მკითხველის, ინტერესი გააძლიერა: რას ეხება ნაწარმოები? აქვს კი რაიმე მსგავსება კონდრატე თათარაშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობასთან? რომელ ეპოქას ეხება?

ჩემი აზრით, მწერლისთვის ამ სათაურის შერჩევა ერთგვარი გამოწვევაც იყო: მისი ნაწარმოები არ უნდა ჩამოუვარდებოდეს უკვე დაწერილ „მამელუკს“, რადგან მკითხველი აუცილებლად მოახდენს მათ შედარებას.

„მამლუქი“ უცხო სიტყვათა ლექსიკონში ასეა განმარტებული: მამელუკი (მამლუქი) – (არაბ.) თურქი და კავკასიელი (ქართველი, ჩერქეზი და სხვა) ტყვე-მონებისაგან შემდგარი სულთნის პირადი გვარდიის ჯარისკაცი შუა საუკუნეების ეგვიპტეში.

თუმცა ამჯერად არავითარი ეგვიპტე და ერაყი. აკა მორჩილაძის ნაწარმოების პირველივე სტრიქონებიდან ჩანს, რომ მოქმედება ხდება მეოცე საუკუნის ბოლო წლების საქართველოში. სწორედ ამიტომ ინტერესი იმისა, თუ რატომ შეარჩია მწერალმა ეს სათაური, უფრო ძლიერდება.

თავიდანვე ვიტყვი, რომ მთელი ტექსტის განმავლობაში ავტორი ეხება ყველა იმ მნიშვნელოვან მოვლენას, რომელიც ამ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში მოხდა და ისტორიის კუთვნილება გახდა. მეტ-ნაკლებად ყველა ეს ამბავი შეეხო მოთხრობის ერთ-ერთ მოქმედ პირს, ბესოს. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ავტორი აფიქსირებს, აღწერს ბევრად თუ მცირედ მნიშვნელოვან ფაქტებს, ოღონდ არ აფასებს, არ იგრძნობა მწერლის დამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენის მიმართ. გვახსენებს ქართველთა ბევრ შეცდომას, რომლებმაც უარყოფითად იმოქმედეს ქვეყნის ბედზე. ერთი სიტყვით, „მამლუქი“ საქართველოს უახლესი ისტორიის მხატვრული მატიანეა.

ხერხი, რომელსაც ნაწარმოები ეფუძნება, არახალია ძველია, იგი უამრავ მწერალს გამოუყენებია. თბილისში წარმოდგენილი ერთ-ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის უცხოელ თანამშრომელ პიტერ გოლდსმიტს ამავე ოფისის მძღოლი ბესო ინგლისურ ენაზე დაწერილ მემუარებს უტოვებს და უცხოეთში მიდის...

მემუარების იწყება არა ბესოს, არამედ მისი უფროსი მეგობრის, თითქმის უფროსი ძმის ისლამ სულთანოვის, ქიბრალის ბოლო ხანის ტახტის მემკვიდრის ტრაგედიის აღწერით: „ისლამ სულთანოვის მამა, ჰუსეინი, ქიბრალის ბოლო ხანი იყო. როდესაც კომუნისტები იმ უზარმაზარ შუა აზიას მიადგნენ და გაწითლება დაუწყეს, სულთან ჰუსეინთან მოლაპარაკებები გააბეს და მანამდე ელაპარაკნენ, სანამ არ მოკლეს“. ასე იწყება ისლამ სულთანოვის ძუნწად მოთხრობი-

ლი ტრაგიკული ისტორია, რომელშიც ზუსტად მეორდება ის, რაც თავს დაატყდათ ქართულ სამეფო-სამთავროებს მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში რუსეთის იმპერიის მიერ. მეოცე საუკუნეში შუა აზიის დრო დადგა და საბჭოთა კავშირმა ანუ „მოდერნიზებულმა წითელმა იმპერიამ“ იქაური სამეფოების ლიკვიდაციაც ძალის გამოყენებით მშვენივრად მოახერხა.

უმეფოდ დარჩენილი პატარა მთიანი ქვეყნის ხანის ოჯახის წევრები დაიფანტნენ: ზოგმა მთებს შეაფარა თავი, ზოგი სპარსეთსა და ავღანეთში გადაიხვეწა. ნაბოლარა, ოთხი-ხუთი წლის ისლამი, დედასთან ერთად კომუნისტებმა დააატუსაღეს და ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ სამშობლოდან შორს, თბილისში დაასახლეს.

დედა-შვილი არავისთან საუბრობდა საკუთარი მეფური წარმომავლობის შესახებ. ქალი ხელსაქმით არჩენდა ოჯახს და ამვდროულად, მუშათა სასადილოს დამლაგებელიც (დედოფალი ქალი, ხანის მეუღლე) იყო.

ნიჭიერმა სულთანმა თბილისის მრავალფეროვანი მოსახლების წყალობით ქართული, სომხური და ქურთული ისწავლა, ხოლო სპარსული და არაბული სამშობლოშივე იცოდა.

დიდგვაროვანთა ოჯახი, უპრეტენზიო ცხოვრების მიუხედავად, მაინც არასაიმედო აღმოჩნდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის და კომუნისტებმა 1938 წელს დედა-შვილი ერთმანეთს დააშორეს და ბიჭი ოცი წლით თეთრ ჩრდილოეთში გადაასახლეს.

გადასახლებიდან დაბრუნებულმა ისლამმა გაიგო, რომ დიდ ქალაქებში ცხოვრება აკრძალული ჰქონდა და შემოთავაზებული ოთხი პროვინციული ქალაქიდან, ქუთაისთან ახლოს მდებარე პატარა ქალაქი აირჩია.

დასახლდა აქ ორმოც წელს მიტანებული უთვისტომო მარტოსული კაცი. ქალაქის კლუბში კინომექანიკოსად მოეწყო, საცხოვრებელიც აქვე მისცეს და გააგრძელა უხმაურო, უპრეტენზიო და მოთმინებით ცხოვრება. ერთადერთ უცხოელს აქ ნათესავ-მეგობარი არ გააჩნდა და არც თავად მოუნდომებია, რომ ჰყოლოდა.

„ხელჩაქნეული კაცი“, „თათარი“, „სახიფათო ბიოგრაფიის კაცი“ – ასე მოიხსენიებდნენ ადგილობრივ კინომექნიკოსს და ისიც ცხოვრობდა, ტკივილთან, სიმწარესთან ერთად, დაუახლოვდა მხოლოდ მეზობლის ბიჭს, ბესოს, რომელიც მასზე ბევრად უმცროსი იყო.

ამის შემდეგ ავტორი ნაწარმოების მთავარი გმირის ბიოგრაფიის თხრობას წყვეტს და მასზე ამბებს ვგებულობთ ბესოსთან ურთიერთობით. ბიჭი ერთადერთი იყო, ვინც თათრის ოთახში შედიოდა.

ბესოს ისიც აახლოებდა მეზობელთან, რომ რომელიმე თანატოლთან ერთად შეეძლო ეცქირა კინოსთვის მექანიკოსის ოთახის პატარა სარკმელიდანაც. ბიჭს მშობლები და ბებია არ უშლიდნენ „სახოფათო ბიოგრაფიის კაცთან“ მეგობრობას და როცა მეათეკლასელ ბიჭს ოთხი თვის განმავლობაში ჯერ მამა გარდაეცვალა და შემდეგ – ბებია, „თათარი“ მისი ნამდვილი მრჩეველი, მეგობარი, თითქმის ძმა გახდა.

წარუმატებელი მისაღები გამოცდების შემდეგ (როგორ ირონიულად მსჯელობს მწერალი მისაღები გამოცდების შესახებ, ჩაჭრა და მასზე რეაგირება, განსაკუთრებით პროვინციებში. აქ ავტორი მკაფიოდ მიგვითითებს, რა ღრმად იყო გამჯდარი ქართველში მანკიერი თვისება – სიყვარული დიპლომისა, რომელიც საოცრად „ამაღლებდა“ მფლობელის სტატუსის საზოგადოების თვალში) ბიჭი ჯარში გაიწვიეს.

სწორედ აქ გვიჩვენებს მწერალი, თუ როგორი შორსმჭვრეტელი, ალღოიანი და ბიჭის გულშემატკივარი, მასზე მზრუნველია უჩინარი, უპრეტენზიო, თავისთვის მყოფი თათარი. მან არ გამორიცხა, რომ (მიუხედავად გვარიანად დასაჩუქრებული სარაიონო სამხედრო კომისიის დაიმედებისა, ბიჭს სამშვიდობო ადგილას მოვახვედრებო) ბესოს შეიძლება დიდი უბედურება – ავღანეთის ომი მოსწეოდა: „ავღანეთი სიკვდილი იყო. ჩვენს ქალაქში ბოლო რვა წელიწადში სამი ბიჭი ჩამოასვენეს იქიდან. მეომარი არც ერთი არ იყო, სამივენი მძღოლებად მუშაობდნენ. საერთოდ ვერ წარმომედგინა, რა იყო ავღანეთი.

უბრალოდ ვიცოდი, რომ იქ ომია და ჩვენები მიჰყავთ, დაღუპულებს კი თუთიის კუბოებით აგზავნიან, ხოლო ჭირისუფლებს კუბოს გახსნას უკრძალავენ, რაც ჩვენს ქალაქში კიდევ ერთ უბედურებად აღიქმებოდა, ვინაიდან თუკი მიცვალებულს ვერ დაინახავდენენ, საბრალო მშობლებს გულნაკლულობა და ეჭვი ღრღნიდა, ეგებ ჩვენი შვილი სულაც არ მოუსვენებიათო. მთავრობა კი სასტიკად ეწინააღმდეგებოდა ამ თუთიის კუბოების გახსნას. ჭორი დადიოდა, ერთ სოფელში ძალით გახსნეს, კუბოს თანმხლები ჯარისკაცები და ოფიცერი გალახეს და კუბოში კი მხოლოდ ნახერხი და ხის მორები აღმოჩნდაო.

აი, ეს ვიცოდი ავღანეთის შესახებ“.

მწერალი ამ ომსა და მის ტრაგიზმზე, უდანაშაულო, მსხვერპლად შეწირულ ბიჭებზე წერს და მე, როგორც ერთ მკითხველს,ზუსტად მახსენდება ეს დრო, ენით აუწერელი შიში და ტკივილი.

ავტორი მოკლედ, მაგრამ დამაჯერებლად აღწერს უძრაობის პერიოდის ქვეყნის ცხოვრების მანკიერ მხარეებს: შეშინებული მშობელი, გავლენიანი ნათესავის (აუცილებლად პარტიული ნომენკლატურის) მონახვა, მექრთამე კომისარი, საიმედო ნაწილის გარანტია – ძღვენი, დაიმედებული ოჯახი და ახალწვეული...

ერთადერთი, ვინც ეჭვითა და შიშით უცქერის ბესოს მომავალს, გადამთიელი თათარია, როგორც ჩანს, მეფური გონება და წინასწარჭვრეტა არსად იკარგება. ისლამოვი გულმოდგინედ აზეპირებინებს ბესოს მისთვის გაუგებარ არაბულ თუ სპარსულ ფრაზებს და ატანს ულამაზესი ხელით დაწერილ (ასევე ბესოსთვის გაუგებარ ენაზე) წერილს, რომელსაც საგულდაგულოდ უნდა გაუფრთხილდეს და ტყვედ ჩავარდნის შემთხვევაში უნდა გამოიყენოს.

წერილი უამრავი მხატვრული ნაწარმოების უმნიშვნელოვანესი ნაწილია. მე ძალიან მომწონს ნაწარმოების ეს მონაკვეთი: როგორ ზრუნავს უთვისტომო, ცხოვრებისგან გამწარებული კაცი არა თავისიანზე, სხვაზე. მოიფიქრა და გამოიყენა საშუალება, რაც გააჩნია...

ავტორი ამ ეპიზოდში გვიჩვენებს, რომ სიკეთეს არ გააჩნია ეროვნება, სარწმუნოება. კეთილად უნდა გაჩნდე და ხელმოცარულობის მიუხედავად, ცხოვრებამ არ უნდა გაგაბოროტოს. თუმცა იმედიან ისლამ სულთანოვს უფრო შორსმიმავალი გეგმები ჰქონია, უმემკვიდრეოდ დარჩენილს სამეფო ტახტისთვის პატრონი უნდოდა.

გულისამაჩუყებელია ჯოჯოხეთგამოვლილი ჯარისკაცისა და მისი მხსნელის შეხვედრა სულთანოვის ციცქნა ოთახში: არანაირი მადლიერების სიტყვები, აზლუქუნებული ბიჭი დიდხანს ტიროდა ისლამ სულთანოვს ჩახუტებული.

ჩემთვის, როგორც მკითხველისთვის, აკა მორჩილაძის „მამლუქი“ მოკლე აღწერაა საქართველოს ისტორიისა „პერესტროიკიდან“ დაწყებული ქართველთა მასიურად უცხოეთში წასვლითა და ჩვენში საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ფონდების შემოსვლით დამთავრებული. ბესოს თავს გადახდა ყველაფერი ის, რითაც ცხოვრობდნენ ქვეყანა და ქართველთა უდიდესი ნაწილი: კომპარტიის დამოკიდებულება, ზრუნვა ჯარგამოვლილი ავღანელებისადმი, ცვლილებები ქვეყნის ცხოვრებაში, კოპერატივების, კერძო მაღაზიებისა და რესტორნების დაშვება, გარდაქმნის დაწყება, საწყობად ქცეული ეკლესიებისათვის ფუნქციის დაბრუნება, სასულიერო პირების გამოჩენა, რელიგიაზე საუბარი, ეროვნული მოძრაობის გაძლიერება, მიტინგები, დამოუკიდებლობის მოწოდება, სხვადასხვა პარტიის შექმნა და მათი მცდელობა ომგამოვლილი ავღანელის გადმობირებაზე, არაფორმალური გაერთიანებების მიტინგების დაშლა და შეხლა-შემოხლა, ქურდული გაგების ხალხისა და დანაშაულებათა მომრავლება, 9 აპრილი, კომუნისტებთან ერთად პარტიების მმართველობა, ეკონომიკის დაღმასვლა და ა.შ.

ავტორი რამდენიმე თავს უთმობს ემიგრაციაში დაბადებული პარიზელი კონსტანტინე ერისთავის სამშობლოში დაბრუნებას, მის მიერ წინაპრების კუთვნილი სასახლისა (ახლა მუზეუმის) და საგვარეულო ნივთების დათვალიერ-

ებას. ეს ამბავი (ბევრი მაგალითისგან განსხვავებით) კეთილად მთავრდება. კანონიერ მფლობელს უბრუნდება ბოლშევიკების მიერ წართემული ქონება და ერისთავიც ქართულს სწავლობს, საქართველოს მოქალაქე ხდება...

აკა მორჩილაძე გვახსენებს ცუდ დროს, როცა ძალიან მომრავლდა იარაღიანი ხალხი და ათასნაირი კრიმინალი, გზებზე ყაჩაღობა. დამნაშავეთაგან ზოგი თავისუფლად დაიარებოდა, ზოგი ციხეში იჯდა, ზოგიც იმალებოდა.

ავტორს არც გახლეჩილი ეროვნული მოძრაობა გამორჩენია: „უკვე, ის დრო მოდიოდა, როცა საქართველოდან კომუნისტები მიდიოდნენ და ეროვნული მოძრაობის ორი ფრთა ერთმანეთს ებრძოდა. მილიცია იდგა და უყურებდა“.

ჩემთვის „მამლუქი“ არაა მხოლოდ ისლამ სულთანოვის, ბესოს, თამრიკოსა და სხვა პერსონაჟთა ამბავი. ესაა პატარა წიგნი, რომელმაც სამუდამოდ შემოგვინახა და გვახსენებს იმ შეცდომებს, რომელიც ერის ცხოვრებაში ხდებოდა: „ქვეყანას უკვე თავისი მთავრობა ჰყავდა და რუსეთისგან გამოყოფაც გამოცხადებული იყო, მაგრამ სიმშვიდე არ ჩანდა... თბილისში მაშინ ომი ახალი დამთავრებული იყო. მინგრეულ-მონგრეული და გაუბედურებული, სულ კვამლში გახვეული, რიგებით და მთელი უბედურებით“.

მწერალი აღწერს, რაც გამოვიარეთ. კომენტარი და საკუთარი შეფასება ნაკლებად, უბრალოდ გვეუბნება, რაც მოხდა და ამ სტრიქონებით გვახსენებს: ეს სამარცხვინო წლები, ავტომატიანი ხალხის განუკითხაობა, მათი მმართველობა არ უნდა განმეორდეს. მან ხომ უამრავი უდანაშაულო ახალგაზრდის ცხოვრება დაანგრია ან სიცოცხლე შეიწირა...

როგორ შეიძლება დიდი სინანულის გარეშე წაიკითხო სტრიქონები ქართველთა სამოქალაქო ომის შესახებ: „იცით როგორ იყო? დასავლეთიდან ძველი მთავრობის ძალები მოდიოდნენ და უომრად იკავებდნენ ყველაფერს, აღმოსავლეთიდან არსებული მთავრობა მოიწევდა. ადრე თუ გვიან ჩვენამდეც მოაღწევდნენ, ოღონდ არ ვიცოდით, პირველი რომელი იქნებოდა“.

ამდენ უარყოფით ემოციას ისლამ სულთანოვის სიკვდილიც ემატება: იგი საკუთარ მიწაზე, საკუთარი ქვეყნის გათავისუფლებისას მოგზავნილმა კაცმა მოკლა. თუმცა იგი ამ სიტუაციისთვისაც წინასწარ ემზადებოდა და სამეფო ბეჭედით დამტკიცებული ანდერძის თანახმად მემკვიდრეც შერჩეული ჰყავდა – უმცროსი ძმა, ქართველი ბიჭი ბესო.

ყველაფერი ისე მთავრდება, როგორც ზღაპრებში. ერთგული ბიჭი ტოვებს სამშობლოს და მიდის დაკისრებული მისიის შესასრულებლად.

ჩვენ, პედაგოგებს, გვაქვს ერთი საინტერესო და სააზროვნო დავალება მოსწავლეთათვის – გააგრძელონ ტექსტი. ახლა მე ვარ მოსწავლის როლში და ნაწარმოების დასრულების შემდეგ ვფიქრობ: რა მოუვა ბესოს, გახდება ქირბალის ხანი? თუ ხანი გახდება, სარწმუნოების გამოცვლა მოუწევს? ღირს კი რომელიმე თანამდებობა იმად, რომ მართლმადიდებელ ქრისტიანად გაჩენილმა იგი უარყოს? მე არ მინდა, ასე რომ მოხდეს.

შეიძლება ვინმეს გაეღიმოს, მე კი ასე ვფიქრობ და, საერთოდ, აკა მორჩილაძის ძალიან უბრალო, გასაგები ენით დაწერილი მცირე ზომის ნაწარმოები ძალიან ბევრ რამეზე დააფიქრებს მკითხველს.



ზაალ ბოტკოველი

ცნობილ ქართველ მწერალსა და მთარგმნელს, ესეისტსა და საზოგადო მოღვაწეს ბატონ ზაალ ბოტკოველს დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა.

სულითა და გულით ვულოცავთ ბატონ ზაალს ამ ლამაზ თარიღს და ვუსურვებთ შემდგომ შემოქმედებით წარმატებებს.

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი
კავშირის აჭარის ორგანიზაცია
აჭარის მწერალთა სახლი
ჟურნალ „ჭოროხის“ რედაქცია

მაყვალა გონაშვილი – ცისარტყელების ბინადარი

ამ წერილს ერთი უბრალო დანიშნულება აქვს – მკითხველს აუხსნას, თუ რატომ უყვარს მის ავტორს მაყვალა გონაშვილის პოეზია და თავად ამ პოეზიის შემოქმედი.

მაყვალა გონაშვილის ლექსების პირველ კრებულს „ყაყაჩოების კოცნა“ ჰქვია და შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ მისტიურმა, ფეერიულმა კოცნამ ისეთი კოცონი დაანთო, რომ მისი მხურვალება და სინატიფე დღემდე ლაიტმოტივად დაჰყვება პოეტის შემოქმედებას. არსთა გამრიგემ თითქოს სხივით ნაქარგი ქალამნები ჩააცვა ფეხზე, გიშრის თმაზე ჯიღა დაადგა და ისე გაუშვა პოეზიის უღრანებში სახეტიალოდ და თან მიანიშნა, რომ სახიფათო, ფათერაკებით და ტკივილებით სავსე გზებით ევლო, თუ უნდოდა, მისი შემოქმედება ნაღდი პოეზიის ტვიფარით ყოფილიყო აღბეჭდილი. თუ რამ ჩაიბეჭდა სულში ამ მშვენიერმა პოეტმა, რომლის შემოქმედების გარეშეც უკვე წარმოუდგენელია XX-XXI საუკუნეების გზაგასაყარის ქართული პოეზია, ის ჩაიბეჭდა, რომ მისთვის უპირველესი საფიცარი და საესავი მიწის ის ბელტია, სამშობლო რომ ჰქვია სახელად, ოცნებებით უხედნავ ქარებს ადევნებული ქვეყანა, კაცობრიობის მადლსა და მირონს რომ წარმოადგენს – და კიდევ დედამიწის მარილს, რომლის გარეშე პეწი და ელვარება მოაკლდებოდა ჩვენს ცისფერ, ულამაზეს პლანეტას. ჯანსუღ ჩარკვიანი, ქართული პოეზიის ჭეშმარიტი მაესტრო, წერდა: მაყვალა გონაშვილის ლექსთა მშვენიერება, როგორც წვიმის შემდეგ ცისარტყელა, ისე გამოკრთა ცაზე... მე ვგრძნობდი, იმ ბავშვურსა და პირველყოფილ გულუბრყვილობას, რომელიც „საფანელია ჭეშმარიტი პოეზიისა“.

რა უნდა იყოს ლამაზი ქალის მშვენიერი ლექსების გამოსარჩლებაზე უფრო საამაყო, როცა იგი სევდით სავსეა, როგორც ღრუბელი და თვით არ იცის, როდის იწვიმებს“ – ეს ფრაზა კი ქართული მწერლობის კლასიკოსს ჭაბუა ამირეჯიბს ეკუთვნის, რომლის „დათა თუთაშხია“ ქართველობისთვის ბიბლიის სადარ წიგნად იქცა. განა რაღა უნდა დაწერო ამაზე უკეთ, განა როგორ უნდა შეაფასო ამ დიდებული ქალბატონის შემოქმედება, რომ რაიმე ახალი და ღირებული წამოგცდეს... მაყვალა გონაშვილი ხომ ათეული წლებია, რაც ფეხშიშველი მიუყვება ეკლიან უცნობ ბილიკებს და თან ათასი ჭორი, ტყუილ-მართალი მიჰყვება საპყარი მათხოვრის გუდასავით. არც კი ახსოვს, როდის და როგორ შეაჭრეს ფრთები, როგორ დაუხშეს ზეცის კარები. სული

დაბზარული ხორნაბუჯივით კბილით უჭირავს და მაინც არ ტყდება, არ ნებდება წუთისოფლის მდინარებას, მზის სხივებით ქსოვს ჩალისფერ დროშებს, კემსავს მეტაფორებით გაცვეთილ ფარდაგს, ბავშვივით ეთამაშება სიკვდილს, კაცისა და მიწის უღელში შებმულია და აქეთ გვებოდიშება, აქეთ გვთხოვს პატიებას, ნუ გამიწყრებით, თუ მარტის სულელ ამინდებს ვგევარო. მის სულში ხომ ყოველივე ისე მეორდება, როგორც ასი, ორასი, ათასი, მილიარდი წლის წინ მეორდებოდა: ფოთოლცვენა, ქარი და წვიმა, სიყვარული და თავგანწირვა, ერთგულება და ღალატი. ძნელია ყოველივე ამის ატანა, ამის გადახარშვა, მაგრამ პოეტია და უძლებს. რატომ? იმიტომ, რომ ისიც კარგად მოეხსენება, მის ნატერფალზე ცრემლები მზისფერი იებად ამოიწვერება ხოლმე და არნახული სურნელით აბრუებს გარემოს. მაყვალა გონაშვილი ქართველი პოეტია, თხემით ტერფამდე ქართველი პოეტი, ქართულ სიწმინდეებში ჩაკირული პოეტი და რა გასაკვირია, გულის გულში ჰქონდეს ამოტვიფრული ილია ჭავჭავაძის – წმიდა ილია მართლის სამება – მამული, ენა, სარწმუნოება. ამდენმა ფიქრმა და დარდმა ჟამივით ხელი დამრია, შენს წილხვედრ მხარეს მიხედე, გვედრებ, ქალწულო მარიამ! ევედრება ღვთისმშობელს, ევედრება ღვთიური მადლით სხივმოსილ მაცხოვარს და უფლის ხილვას დანატრებული სხივს მიჰყვება ზეციური სანახებისაკენ, წმინდა საუფლოსაკენ, მაგრამ ყველა კარი და დარაბა დახშული ხვდება. გამჭვარტლულ ცაზე როგორ გიპოვო, უზენაესო, – აღმოხდება სასოწარკვეთილს. ეს ტრაგიზმით სავსე განცდა რეალობისა ბევრ რამეზე დააფიქრებს პოეტს, თუნდაც იმაზე, რომ მისი საესავი სამშობლო, მისი საესავი ქართველობა ვერ ცხოვრობს ისე, როგორც უნდა ცხოვრობდეს ღვთისმოშიში ერი, რომლისთვისაც უპირველესი ჭეშმარიტება უფლის ათი მცნება უნდა იყოს. ის რასაც ახლა დავწერ, შეიძლება მთლად არ ესადაგებოდეს ამ წერილის დანიშნულებას, მაგრამ... ეს რა უამური ჟამი დაგვიდგა, ქართველებო, როცა ერთი ხელით ვზღუდავთ (სრულიად სამართლიანად) თამბაქოსა და ნიკოტინის მოხმარებას, ხოლო მეორეთი ვაკანონებთ თამბაქოზე მილიარდჯერ მეტი ბოროტების მომტანი ნარკოტიკების ლეგალიზაციას. ალბათ, ამიტომაც შემოგვწყრა უფალი და კიდევ სხვა უამრავი ცოდვისა თუ ბოროტების გამო. მაყვალა გონაშვილი კი ეძებს გზას ხსნისას და მიდის იმ ლოგიკურ დასკვნამდე, რომ არაფერი არ გვეშველება, თუ არ შემოაბიჯებს ამ ქალაქში მზესავით კაცი სხივზე მაღალი, ძე – ცისა და მიწის... და კიდევ: არ გვეშველება მანამდე, სანამ საკუთარ გულში, საკუთარ სულში არ მოვიძიებთ და არ აღმოვაჩენთ არსთაგამრიგეს ჩვენსას. თავად პოეტს კი მისი წილი ქრისტეს კვართი და სამსჭუალი დიდი ხანია სულში საგულდაგულოდ გადაუნახავს და ისე მიუყვება გოლგოთის გზას, თან თანამოძმეთ მოუწოდებს, ტაძრისაკენ მიმავალი გზა ეძიონ, მით უმეტეს, რომ საქართველოს დედაეკლესიას დღეს ჭეშმარიტად ღვთის კაცი – უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე უდგას სათავეში. ღვთის კაცი, რომლის სიბრძნემ, გონიერებამ, წინდახედულებამ არაერთხელ იხსნა საქართველო უბედურებისაგან. მადლობა უფალს, თქვენ მოგანდოთ ბედი ქართლისა, ლოცვით და ცრემლით აგივსიათ სიბრძნის სალარო, რადგან თქვენ მყევხართ, მზის ნათელი ადგას ჩემს მამულს, სამოციქულო ეკლესიის მამამთავარო! მიმართავს პოეტი საქართველოს მწყემსმთავარს და ეიმედება მისი, ეიმედება, რომ ღვთისშობლის წილხვდომილი ქვეყანა გადარჩება, თუმცა ეჭვი მაინც ღრღნის და მოსვენებას არ აძლევს. აბა, რა მოასვენებს, როცა ხედავს, რომ საკუთარი ფესვები გადავჭერით, ფრთები მოვკვეთეთ ფუძის ანგელოზს, როცა მოხვევია ჭიგოს ვნებით ვაზის ნაცვლად უსურვაზი“, როცა ხომლის მთაზე ასულს ზვრების ნაცვლად საზამთროს ბაღჩები ხვდება, იმ საზამთროსი, ყიზილბაშთა ჩალმიან თავებს რომ აგონებს. დიახაც რომ ძნელია და ტკივილამდე აუტანელი იმის დანახვა, როგორ შემოხვევია ვაზს ეკალბარდი:

ჩვენო საგალობელო,
შენ ნათლულო მზისა,
ნინოს თმით დახლართულო,
ხეო სიწმინდისა.

გაჩუქურთმეთ ტაძრებზე,
ვით ღვთისმშობლის ხატი,
გვინათებდა სტრიქონებს
შენი ათინათი.

რამდენი სევდა და ვაებაა ჩაღვრილი ამ სტრიქონებში, რა მართალია პოეტი, როცა ხმამაღლა აცხადებს, გადახსნილი მაქვს ყველა ჭრილობა, სისხლით კი არა, სევდით ვიცლებიო. აბა, სხვანაირად რა იფიქროს და მოიმოქმედოს შემოქმედმა, როცა გონებადანისლული ქართველები მხოლოდ ხინკლის ოხშივარიდან შესცქერიან საკუთარ ქვეყანას და ლამის ლოთის სიყვარულივით ჩაატიონ ჭიქაში ივერთა მხარე. სწორედ ამ დროს ხვდება ქალბატონი მაყვალა, რომ მის გენში მისი დიდი წინაპრების შემკრთალი სული კივის და ბორგავს. დიახ, ცარგვალზე აცახცახებული ვარსკვლავების ხომლის ფონზე თრთიან და შფოთავენ წინაპართა წმინდა სულები და მოსვენებას არ გვაძლევენ, რადგან ამ ქვეყანაში ქარი რომ ქრის, ქარი კი არა, მამულის კვნესაა, წვიმის დროს კი წვიმის წვეთების ნაცვლად უფლის ცრემლი მოგორავს ტატნობზე... ჩვენს მიტოვებულ სოფლებს კი ერთადერთ ერთგულ ჭირისუფლად ქარბორბალა შერჩენია, წალეკვით რომ ემუქრება ყველას და ყველაფერს. სწორედ ამის შემხედვარეს აღმოხდება მუნკის კივილივით პოეტს:

ეს ლექსი არაა, ეს ჩემი ცრემლია,
ამდენ ხანს გულით რომ ვმალე,
როდის გათენდება, როდის გათენდება?
მალე, სანატრელო, მალე...
. . . . . .
ამირანს მტრის არა, ნათლიის ჯინი სჭირს,
ყორანი დასწევია მერანს,
დღეს ნაწილ-ნაწილ გლეჯავენ საქართველოს,
როგორც მაცხოვარის პერანგს.

ყოველივე ამის შემდეგ, რა მორცხვად, რა საყვარლად წამოსცდება ავტორს:

ვაი, როგორ მომენატრა
მზეზე მოშრუკული შინდი.

და თქვენ ხვდებით, ძვირფასო მკითხველო, ამ მოშრუკული შინდის მონატრება უბრალო მონატრება არ არის, არც ბავშვობის მონატრებაა და არც იმ უმშვენიერესი მოგონებების მონატრება, ხანდახან ძილსაც რომ გვიკარგავს ხოლმე, ეს იმ საქართველოს მონატრებაა, როდესაც ქვეყანას მის ბედსა თუ უბედობაზე ღრმად ჩაფიქრებული ერისკაცები მართავდნენ, ქვეყნისათვის თავგანწირვა რომ შეეძლოთ, რომელთა წმინდა სისხლიც უხვად იღვრებოდა ყარაყორუმის უდაბნოებსა თუ შირაზის ველზე... იმ საქართველოს მონატრებაა, ვაჟკაცს ვაჟკაცი რომ ერქვა და მანდილოსანს მანდილოსანი. ხედავთ, რა შესძლებია პოეტს, ერთ სტრიქონში ჩაატიოს ვეება დარდი და ვაება, ტკივილი და სასოწარკვეთა მაშინ, როდესაც მზეც კი აღარ მზეობს, უფლის ყვავილი.

ყოველივე ამას გრძნობს და ხედავს პოეტი, გრძნობს, რომ დამდგარა, ჟამი უჟამური უსიტყვო კაცთა, რომ ჩვენი ცხოვრება ჩრდილში დამწიფებულ ხილს დამსგავსებია, უგემურსა და არაფრის მაქნისს. ყოველივე ამის შემხედვარე შემოქმედი ვერ დარჩება გვერდზე და რინგის მსაჯივით ვერ დაუწყებს ათვლას ნოკაუტში ჩავარდნილ სამშობლოს. ამიტომაც ეს ბრწყინვალე ლირიკოსი, სიყვარულისთვის და დიდი ადამიანური ბედნიერებისთვის გაჩენილი სუსტზე სუსტი არსება, რომელიც ჭიანჭველასაც არ დაადგამდა ფეხს, ჯაჭვის პერანგს იცვამს, მუზარადს იხურავს თავზე და უშიშრად გამოდის მშობელი ქვეყნის სადარაჯოზე. ქალბატონ მაყვალას ბოლო წლების სამოქალაქო პოეზია გაკვირვებთ ფოლადისებური სიმტკიცით, შეუვალობით, პრინციპულობით და, რაც ყველაზე მთავარია, სიმართლით, დიდი ადამიანური სიმართლით, რომელსაც არათუ ვერ შეედავები, კრინტსაც ვერ დაძრავ.

მაყვალა გონაშვილის სამოქალაქო პოეზია შიმშილით გასავათებული, ფიქრით გამოფიტული თანამოძმეების გამოსარჩლებაა, რომელთაც სამშობლო ერთ დიდ ფსიქიატრიულ კლინიკად გადაქცევიათ და აღარ იციან ზვავში მოყო-

ლილებმა რომელ ერთ სატკივარს, რომელ ერთ პრობლემას უსაშველონ. თანამედროვე დემოკრატია ხომ ნებადართულ სიძულვილად ქცეულა ყოველივე იმისა, რამაც აქამომდე მოგვიყვანა.

გზა აბნევია ფუძის ანგელოზს,
ჩამოქცეულა მაღალი ჭერი
და შმორის სუნით მიბნედილ ქალაქს
ავტომატების აღვიძებს ჯერი...

სული შეგეკვრებათ, გული შეგეკუმშებათ ამ ციკლის ლექსების წაკითხვისას. პოეტის მიზანიც ეს არის, რომ გამოაფხიზლოს ლამის საღათას ძილში ჩავარდნილი ერი და ის საწოვარა გამოაცალოს პირიდან, რომლითაც მის სამუდამო მიძინებას აპირებენ.

ჩემი სიმცირით მამცირებენ, ჩემი სიკეთით,
პოლიტიკას კი საძაგელი სუნი აქვს შმორის,
ვდგავარ დაღლილი სიმართლის და
სიცრუის კართან
და ვეძებ საზღვარს სიკვდილსა და
სიცოცხლეს შორის.

გუშინ იყო თუ გუშინწინ, როცა ძლიერნი ამა ქვეყნისანი ერთი ჯამიდან სვამდნენ, ერთი გობიდან ჭამდნენ და მაინც არ ინდობდნენ ერთმანეთს ცეცხლისთვის, ქალისთვის, აბრუებდათ პირველკაცობის ჟინი და სურვილი, სიტყვებს, როგორც გვირგვინს, ისე ირგებდნენ თავზე ეს თვითმარქვია ქვემძრომები, როგორ „უხდებოდათ“ ბრძენის მანტიები გაზულუქებულ მანქურთებს, რომლებიც მრუდე სარკეების სამეფოში აცხოვრებდნენ ერს, რომლის ერთადერთ შეცოდებას ის წარმოადგენდა, რომ ქართველებად ვიშვით ამქვეყნად. ამ ჩემს ტკივილს რას გაიგებს ჩვენი მეფე ქართველითა ქართველისა შემმუსვრელი. ამ სტრიქონების დაწერა ჩვენს უახლეს წარსულში დიდ მოქალაქეობრივ გამბედაობას მოითხოვდა და ბარაქალა მაყვალა გონაშვილს, რომ ყველა პარტიაზე მაღლა პატრია დააყენა. არც იმ ლექსის დაწერა გახლდათ მთლად უხიფათო, „თოჯინების სახელმწიფო“ რომ ჰქვია.

ვინ გიწოდათ თოჯინები
შუშისთვალა მაცილებს?
თუ ხისა ხართ, როგორ აფრქვევთ
სიძულვილის ბაცილებს?
. . . . . .
თოჯინების სახელმწიფო,
სახელმწიფო თეატრი.

ამ თოჯინების სახელმწიფოში ყველაფერი იყიდებოდა – სულიც, სხეულიც, სიყვარულიც, ერთგულებაც, იყიდებოდა გროშ-კაპიკად, იყიდებოდა ჩვენი სამშობლოც, უფლის კვართად გადაქცეული სამშობლო და არავინ იყო განმკითხავი. და როცა ყველაფერი იყიდება, უკლებლივ ყველაფერი, იქნებ მართლა ბოლო გაჩერებას ვუახლოვდებით, რა გვეშველება? რა გვეშველება, როდესაც მოგონილი გულწრფელობით, ლიქნითა და ფარისევლობით ქადაგებენ ტელებიჭუნები, როდესაც ქვეყანა გაავსო ტელე-ჯარმა, ტელე-გმირმა, ტელე-პოეტმა, ტელე-პარლამენტმა. რაღა დაგვრჩენია ამ დროს?

მაშ, გამორთე ეგ ცრუ ყუთი,
ჩემო ბრძენო ერო.
ეკრანს მიღმა – დარდიანო,
ტელე – ბედნიერო!

აღარავის ახსოვდა (თუ – ახსოვს), მზე რომ დედა არის ჩვენი, მთვარე კიდევ – მამა, ვარსკვლავები – დები და ძმები. აბა, რა გასაკვირია, თუ ამ დროს სიყვარული, თავგანწირვა, რწმენა, არც მეტი და არც ნაკლები, ერთ კუპონად ფასობს.

ჭრილობა გახსნილა და გველის ამბორი
არ მშველის წამლად და მალამოდ,
უნდა სხივით გქსოვო, უნდა ცრემლით გკემსო
ჩემო დაფლეთილო ალამო.

მართლაც შემზარავი პანორამა გადაიშალა ჩვენი უახლოესი წარსულისა, როდესაც ქვეყანა იქცეოდა და მავანნი, ხელისუფლებაში სასწაულებრივად მოხვედრილი შადიმანები, ყურს გვიხედნიდნენ იმით, რომ თურმე საქართველოს ისტორია მათი მოსვლის შემდეგ დაიწყო. ამაზე

დიდი ცინიზმი და ნიჰილიზმი წარმოუდგენელია და იმ მრუმე დიდი ღამის შემხედვარეს, მაყვალა გონაშვილს სწამდა, რომ თუ რამ იხსნიდა მის სამშობლოს, მისი ფესვები იხსნიდა, მიწაში მყარად ჩაკირული ფესვები, პაატა საკაძის მოჭრილი თავი, ქეთევან დედოფლის დაშანთული მკერდი და უსახელო უფლისციხელის ნაისრალი ზურგი...

იქნება, მართლა გაიხსნას ზეცა...
თენდება, სადღაც ყივის მამალი.

მაყვალა გონაშვილი მაცხოვარივით ჯვარცმული ქვეყნის შვილია და ამ ქვეყნის შვილობა ბევრჯერ დააფიქრებს იმაზე, რომ ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო არს, დააფიქრებს იმაზეც, რომ ცხოვრება ძლიერ ჩამოგავს ზღაპარს და ჭინკა-ჭორივით დაძრწის სოფლად.

მე გამოვექეც შენს ზღაპრებს, პაპი,
გზად შევეჩეხე ჯადოქრებს, დევებს,
რად არ მახსოვდა, ღმერთთან მორკინალს
ზღაპარშიც სჯიან, ზღაპრადაც სდევენ.

პოეტი მიუყვება გზაწვრილს, რომელსაც არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული, მიუყვება წუთივით მოკლე მარადისობის დაღლილი, თვალებში ბინდჩაგუბებული მგზავრი, რომელსაც ის ეიმედება, რომ თუ აღესრულება და ცის სინარნარეს შეერწყმება, შეერწყმება სიმღერით და ესეც მისი ბედი იქნება. ტკივილისგან, დარდისგან, ვაებისგან სულშეძრული გაუთენებელ ღამეებს ფხოჭნის სანთლისფერი მკრთალი თითებით, რადგანაც ხედავს, რომ ჟამი ისევ ერთი საცრით ცრის კეთილს თუ ბოროტს, მტყუანს თუ მართალს, როცა ღიმილი რომ ღიმილია, ისიც კი მავანთა სახეზე შემზარავ ლოკოკინას ლორწოვან ბილიკს აგონებს.

ერთხელ მოვსულვართ ამ ქვეყანაზე,
ღმერთმა გვიბოძა გზა, ერთი ციდა,
წამი არ გვრჩება სიყვარულისთვის,
სიძულვილისთვის? რამდენიც გინდათ.

წუხს იმაზე, რომ ხშირად ფუძის ანგელოზივით ჩამოქნილ სილამაზესა და მშვენიერებას ვერ ამჩნევენ და სხვათა გარეგნულ ფოიერვერკებს ეთაყვანებიან. არადა, ფოიერვერკს ერთი ცუდი თვისება გააჩნია – მყისიერად იფერფლება და ქრება. იცის, რომ ძნელია მოგონილი ბედნიერებით ცხოვრება, როცა ვნება რომ ვნებაა, ზოგჯერ დაფარულზე დაფარული, იმასაც სულ სხვა ქარებს უზიარებენ, როცა ალვის ხეებად ბალბას და ქონდარს ასაღებენ, ციცინათელებს კი – მზედ.

სხვა რა მადარდებს?
– თეთრი მერცხალი
ჩემს აივანზე აღარა ბუდობს
და ჩუმი სევდა ისე ყვავილობს,
ვით გაზაფხულზე ჭორი და სურდო.

მხარზე ყავს შესმული ფუჭი ოცნების და ტკივილების ვეჟანა ძერა, გადახსნილი აქვს ყველა იარა და უფალს შესთხოვს, პატიების მომმადლე ნიჭი, ტკივილები ეკლებად შემასხიო. კიდევ ის უნდა, ვინმემ მუჭა გაზაფხული უსახსოვროს და დაეხმაროს, რომ როგორმე სიტყვით უწამლონ ამაოების ბაზარს.

როცა დარეკავს ჟამი განკითხვის,
ცა სამაისო შვიდჯერ იელვებს,
რითი შევავსებთ, ვიცოდე, მაინც,
ამ გასაოცარ სიცარიელეს.

ერთი რამ დანამდვილებით იცის – ბედს არ უნდა მიენდო, თორემ ნაფოტივით აგათამაშებს წუთისოფლის მორევში და ბოლოს მოუსავლეთში გაგრიყავს და გაგინაპირებს...

ბატონებო, საკმაოდ ბევრი ვისაუბრეთ მაყვალა გონაშვილის პოეზიაზე, მის მოქალაქეობრივ მრწამსსა და პოზიციაზე. ერთი კია, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგი, უპირველეს ყოვლისა, ქალბატონია, სიყვარულისთვის და ბედნიერებისთვის დაბადებული ქალბატონი, რომლის პოეზიასაც სიყვარულის განცდა სულ სხვა პეწსა და ელვარებას მატებს...

პოეტის ლირიკულ გმირს შეუძლია მოთიბული ბალახივით მხარგაშლით გაწვეს მინდორზე და თავსაიათი დამშვენებული დაელოდოს თეთრ ბედაურზე ამხედრებულ გულის სწორს.

ცხოვრობს ისე, როგორც ცხოვრობენ მეოცნებე ქალები, მასპინძლობს დაღლილ ქარებს და წვიმებს და ევას გეშით დაეძებს მარადიულ ნახევარს, კარგად იცის, რომ კაცი თუ ტკივილებით ფასდება, ქალს ლოდინის ნიჭი გამოარჩევს.

კოშკი ვარ, თეთრი კირით ნაგები
და ზეცას წვდება ჩემი ფიქრები.

ამ ფიქრებში კი სიზმრის კაცისთვის შლის მთვარის ლოგინს, ნისლებად ჩამოღვრას აპირებს საყვარელი არსებისთვის.

და ჩემი ტრფობაც, არ გაგიკვირდეთ,
მეცხვარე ბიჭის
დაგუბებულ მონატრებას გავს,
როცა ბალახსაც აქვს ქალის სილბო,
როცა წყაროსაც აქვს ქალის სიტკბო,
როცა ხეებსაც აქვს ქალის ფორმა...

განა რისი გაღება შეუძლია მსხვერპლად სატრფოსათვის? შეუძლია სიყვარულის ქათიბი მოუქსოვოს, ფიფქივით დააკვდეს ხელისგულზე და კიდევ ის, რომ მოქათქათე ღრუბლის ფთილიდან ერთგულების ძაფი დაართოს. ის კი იგვიანებს, საეჭვოდ იგვიანებს და გულშეძრულ ქალს ისღა დარჩენია, დაიჩურჩულოს:

მე უნდა ვზიდო შენი ცრემლები,
მე მოღალატედ როდი ვშობილვარ,
აჰა, მოვედი შენს დასახსნელად
შენი სიზმრიდან და ბავშვობიდან.

მოდის ყველა შეყვარებული და უარყოფილი ქალის სახელით, მოდის იმ მივიწყებულ საყდარში, რადგან სხვაგან ვერ იპოვის სწორსა და ბადალს. იძირება ცრემლებში და ახსენდება ის დრო, როცა ქარის შეჟრჟოლებაზე ვნებით კრთოდნენ ფარდები, როცა ვნების პერანგი ლამის ტანზე შემოეფლითა, როცა ყველა კართან მოსისხლე მტერივით ჩასაფრებული ჰყავდა იმ კაცის სიცილი, რომლის გამოც

სულსაც მივცემდი ეშმაკს შენი
შენი გულისთვის, მაგრამ
ამ ჩემს გზაწვრილზე
ეშმაკიც არ ჩანს.

როცა ყველაფერი თითქოს ჩავლილია, როცა თითქოს ყველაფერი დამცხრალია, როცა ყველაფერი უბიწოდ მოჩანს სიმარტოვის და ღმერთის ჩეროდან, როცა დავიწყების ლაფით ამოქოლილია მოგონების ყველა ჩერო, მაინც თავს გამოყოფს წარსული და სიზიფეს ლოდებივით დამძიმებულ სიტყვას ათქმევინებს:

ვიცი, ჩემს ყოფას ჰქვია ცხოვრება,
ვიცი, ამ კედლებს ოჯახი ჰქვია,
იქ კი, საოცარ შენს საუფლოში,
სულ სხვანაირი ქარები ქრიან.

ეს ქარებია, თავს რომ არ ანებებს და გულს უკაწრავს, იცის, რომ

ქება ქარია, ალერსიც ქარი...
ისე ჩაივლის, რომ ნაკვალევს
არც კი დატოვებს,
მაგრამ რა ვუყო
ამ ტკივილის წითელ ყვავილებს?

ამ ტკივილებით გაჯერებული ღამეები იცრიცებიან და რიჟრაჟისას ნატანჯი სული ცდილობს უმძრახ მდინარეს გაატანოს სიზმრად ნანახი თავდავიწყება, თუმცა

დავჭკვიანდი, აღარ ვებრძვი ქარებს,
რა ხანია, სიზმრის აღარ მჯერა!
ვერ გავიგე, მაინც რად მგვრის სევდას
წარსულისკენ გადახრილი მზერა.

ვერ გავიგეო, აცხადებს და ის კი ავიწყდება, რომ სფინქსის გამოცანად ქცეულა ეს კითხვა დღემდე პასუხგაუცემელი რჩება ყველასთვის...

ხომ გუშინ იყო, გუშინ იყო ის გაზაფხული
და მაინც როგორ, ოი, როგორ მომნატრებია.

მაყვალა გონაშვილის ლირიკული პოეზია, მზით, ქარიშხლებითა და ნიაღვრებით სავსე პოეზია მეტად საპატიო ადგილს იკავებს XX-XXI საუკუნეების ქართულ სატრფიალო ლირიკაში

თავისი ქალური კდემამოსილებით, არტახებში გამომწყვდეული ვნებებითა და წვიმის თქორებით, ადამიანური სიმართლით და გამოხატვის უბრალოებით...

მაყვალა გონაშვილმა კარგად იცის, რომ პოეტი თუ ხარ, სული მაჩიტებით უნდა გქონდეს სავსე, საზრდოდ კი იის სურნელი გყოფნიდეს, იმ ატმის ხეს უნდა ჰგავდე, აყვავებულ ატმის ხეს, რომელსაც მუდამ ამტვრევენ რტოებს, იმ ხეს, რომლის ჩრდილშიც ნეტარებით მოისვენებს დაღლილი მგზავრი და მერმე უკანმოუხედავად გაუყვება გზას, იცის, სად იწყება და სად მთავრდება მისი სავალი, ლექსებითა აქვს დაჭორფლილი სახე, სული კი მზითა და ლექსებით მოუჭედავს, ქართული სიტყვის ხოდაბუნებში უყვარს ხეტიალი.

ვარ სევდით სავსე, როგორც ღრუბელი
და თვით არ ვიცი, როდის ვიწვიმებ,
ვფურცლავ ლექსიკონს, ვკინძავ ძველ სიტყვებს,
გადავიწყებულს, როგორც სიწმინდეს.

ამ სიწმინდეებთან ზიარება, ქართულ სიტყვასთან გაუთავებელი ჭიდილი პოეტის არსებობის გამართლებას წარმოადგენს და როგორ შეიძლება არ დავუჯეროთ, როცა ასე საბრალობლად აცხადებს:

თუმც შვილივით ვზარდე სიტყვა,
დედასავით დამიბერდა.

პოეტია და უნდა ვენდოთ, როცა თავის თავს ბულბულს კი არა, ქვეყნის ბედზე ჯაჭვით მიბმულ ძაღლს ადარებს, უერთგულეს არსებას დედამიწის გულზე, პოეტია და უნდა ვენდოთ, როცა ხმამაღლა აცხადებს, რაც ამ მიწაზე ეკალი ამოსულა, ყველა მათგანი ჩემს გულს ატყვიაო. იმაზე არ წუწუნებს, ჩემი წილი მზის სხივი, ჩემი წილი დიბა-ატლასი სხვას რატომ ერგოო, მაშინაც უნდა ვენდოთ, როდესაც გულიდან აღმოხდება დიდზე დიდი ჭეშმარიტება, ასჯერ მაინც უნდა წაიქცე, რომ მერე ერთხელ მაინც ზეცად ამაღლდეო. ამისთვის იღვწის ეს მშვენიერი პოეტი და ხშირადაც აღწევს მიზანს.

მაყვალა გონაშვილის ლექსი უბატონო ქვეყნის – ქიზიყის მადლითა და მირონითაა გაპოხიერებული, იქაური ხორშაკიანი მზის მხურვალება ამჩნევია მის პოეზიას, შირაქის ველის უსასრულობა ასაზრდოებს მის ნააზრევს და ისიც სიყვარულით პასუხობს მშობლიური კუთხის სანახებს, რომლის ერთ მადლიან ბელტსაც თავად წარმოადგენს. მიწის შვილია და მიწის თემა ისე ძალუმად, ისე უშუალოდ და ძალდაუტანებლად შემოდის მის პოეზიაში, რომ ზოგჯერ ვერც კი გაიაზრებ მის სიდიადეს.

ჯერ ამიხილეს თვალები, მერე
მიწის ხორკლიან მკერდზე გამიშვეს,
და მიწა, როგორც დაღლილი კაცი,
ჩემგან ითხოვდა შველას და ალერსს.

დიახაც რომ შველა და ალერსი სჭირდება მიწას – ჩვენს მარჩენალს, რომელზეც მიჯაჭვულნი ვართ ჩვენი წარსულით, აწმყოთი და მომავლით და ვერაფრით ჩავუგდებთ ხელში საჯიჯგნად გადამთიელთ. ჩვენი ქვეყნის ოკრობოკრო გზები სულს გვივსებენ ნათელით, თუ მშობლიურ მიწამდე მივყავართ, აღთქმულ მიწამდე. ნახეთ, რა ნატიფი, რა უმშვენიერესი სტრიქონები უძღვნა პოეტმა მიწას, რომელიც თქვენი ნებართვით მთლიანად მომყავს:

ვით მშვენიერი პატარძლის კაბა,
მზემ მოისროლა ჭრელი მერდინი
და იწვა მიწა, სურვილით სავსე,
მკვრივი კერტებით მიმოთენთილი,
ბალახის თმებში იბნევდა იებს,
გადახსნილიყო ცის ლურჯი კარი,
სხვაგვარი ცეცხლით იწვოდა მიწა, –
მარადიული ვნება და ქალი.

ახლა ვერც ვიხსენებ, ასეთი ვნებითა და გატაცებით ვინმეს ოდა მიეძღვნას ჩვენი მარჩენალი მიწისათვის.

მაყვალა გონაშვილს სხვათა სიკეთისა და სათნოების დანახვა შეუძლია, მათი ნიჭიერების დანახვა. ეს კი მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, ვისაც შური და ბოღმა არ აწუხებს სხვათა სიკეთეთა

გამო. მართლაც, რა ბედნიერებაა, როცა შეგიძლია ასეთი ბრწყინვალე სტრიქონების დაწერა:

გარდაცვალება კაცთა ხვედრია,
უკვდავთან სიკვდილს არა აქვს ხელი.
შენ შეურთდი ზეციურ წიაღს
და ისევ უფლის სახელით მღერი.

ეს ციტატა იმ ლექსიდანაა, საქართველოს მაფშალიას – ჰამლეტ გონაშვილს რომ ეძღვნება.

ბედნიერებაა, როცა ხედავ, როგორ იღებს მკერდიდან გულს პოეტი და ცაზე მზედ ჰკიდებს.

ლომის ძეო, ლომის ძმაო,
ლომო, ლომად ბერდები,
მხრებში როდი იხრებიან
შევერცხლილი ქედები.

როგორ უხდება ეს სტრიქონები ახლა უკვე მარადიულ ნათელში მყოფ ჯანსუღ ჩარკვიანს – ჩვენს ჯანუკის.

მართლაც მშვენიერი ლექსი უძღვნა მეგობარ პოეტს ლალი თოთაძეს, რომელიც მზის ცრემლივით დაიარებოდა მშობლიურ მიწაზე, სიზმრის პერანგებს ქსოვდა, ქვეცნობიერად გრძნობდა, რომ ჯერ დაუკრეფავი მისი მტევნები როგორ ნატრობდნენ აგვისტოს ხვატსა და მზის ტორებს.

და შეიკვეცავ სევდისფერ დალალს,
რადგანაც ქარებს ამაოდ სდიე,
შემოვა შენში მაღალი ღმერთი
და სასთუმალთან დაგიწყობს იებს.

არანაკლები სიმძაფრის ლექსით აღბეჭდა თავისი სიყვარული ზერა რომანაძისადმი – სიყრმის მეგობრისადმი.

მანამდე უნდა იყო მორჩილი,
ლექსით და ლოცვით ღამის მთეველი,
მანამდე უნდა გაექცე პატივს,
როგორც დაღლილი ნაზარეველი.

მანამდე, სანამ შურის ჯვარზე არ გაგაკრავენ, სანამ ტალახის გუნდას არ გესვრიან მოშურნენი და მუცლით მეზღაპრენი...

ჩემი მოკრძალებული აზრით, მაყვალა გონაშვილი ერთნაირი ძალმოსილებით იმორჩილებს როგორც სამოქალაქო, ისე სატრფიალო ლირიკის სადავეებს, გვახედებს ადამიანის სულის ჩაბნელებულ ხევხუვებში, დაგვაფიქრებს ადამიანური ყოფის უმტკივნეულეს პრობლემებზე და კიდევ სხვა უამრავ რამეზე, რასაც ჩვენი ცხოვრება ჰქვია, ცხოვრება სულ ცოტა სამი ათასი წლის ისტორიის მქონე ერისა, რომელმაც საკუთარი სისხლით დაწერა საკუთარივე მატიანე და დღევანდლამდე მოიტანა. ვფიქრობ, დღევანდელ გამოწვევებსაც გაუძლებს, გაუძლებს ცრუმესიათა პარპაშს ღვთისმშობლის წილხვდომილ მიწაზე, რათა საუკუნეების მიღმაც ამაყად იფრიალონ ქართულმა ბაირაღებმა ფარნავაზისა და დავით აღმაშენებლის სულის საოხად. ყოველივე ამაზე მოგვითხრობს მაყვალა გონაშვილი თავისი ლექსით, თავისი პოეზიით, ბეწვის ხიდზე უხდება სიარული ამ დროს, რომ სათქმელის სიმძაფრე და გამოხატვის საშუალებები სინერგიის სადარ ჰარმონიაში იყოს ერთმანეთთან. მე რომ მკითხოთ, ამ ბეწვის ხიდს პოეტი მინიმალური დანაკარგებით გადის, უფრო მეტიც, ისე გადის ერთი ბეწვიც არ უვარდება თმიდან. რას ვგულისხმობ და იმას, რომ ქალბატონი მაყვალა პოეტია და სრულად აქვს გასიგრძეგანებული, რომ სათქმელი, რაოდენ მძაფრი და მნიშვნელოვანი არ უნდა იყოს, თუ პოეტურ საფანელში არ გაეხვა, თუ პოეტურ ქურაში გულის სისხლით არ გამოიწრთო, შედეგი სავალალო და გულისმომკვლელი იქნება. პოეტი თუ ხარ, იმის გააზრებაც უნდა შეგეძლოს, რომ „ბოლოს სიკვდილიც მოკვდება სიცოცხლის გარდაცვალებით“, რომ

და როგორც ზანგ ქალს საყურე ერთი
ფერად ყვითელი და სასწაული,
რტოზე ეკიდა ფოთოლი მჭკნარი,
ვით სიმარტოვის დღესასწაული.

სულისშემძვრელი შედარებაა, ბატონებო. მჭკნარი ფოთოლი სიმარტოვის დღესასწაულს აგონებს პოეტს, იმ სიმარტოვეს, რომელიც ყველა

ჭეშმარიტი შემოქმედის მარადიული თანამდევია და რომლის გარეშე ვერ შეიქმნებოდა ის შედევრები, რომლებიც ჩვენს არსებობას შვებას ჰგვრის და სიცოცხლის წყურვილს უხანგრძლივებს...

პოეტია და იმის დანახვაც შეუძლია, როგორ ჟონავს გუმბათებიდან მზის მადლი.

აი, კიდევ ერთი მინი-შედევრი:

ვით მშვენიერი პატარძლის კაბა,
მზემ მოისროლა ჭრელი მერდინი,
და იწვა მიწა სურვილით სავსე,
მკვრივი კერტებით მიმოთენთილი.

ამ ჟრუანტელისმომგვრელი სტრიქონების მერე უკვე აღარ გვიკვირს, როცა პოეტის ბაგე გადათიბული მინდვრის სურნელს აფრქვევს, როდესაც სარკეს ისე ჩაცქერის, როგორც გვალვისგან დამშრალ მდინარეს, როცა იმის დანახვა შეუძლია ცეცხლისფერ ვარდებს რა უსწრაფესად მოიყრის ტანზე შემგლისფერებული ზეცა, ყაყაჩოსავით როგორ ტყდება შუქი.

ცა კაბასავით დამივიწროვდა,
ვდგევარ მუხლამდე ღრუბლის გუბეში,
წვიმის კიბეთი ჩამოდის ციდან
სიგრილე – მიწის ჩუმი ნუგეში.

აი, ასეთი პოეტია მაყვალა გონაშვილი, რომელსაც შეუძლია თქვას, რომ ნატერფალზე ჩემი ცრემლები ამოდიოდნენ მზისფერ იებადო და დაგვაჯეროს ამაში.

რაც ჩემთვის ყველაზე მთავარია, ის გახლავთ, რომ პოეტი საოცარი სინარნარითა და სიჩაუქით იმორჩილებს ქართულ სიტყვას და მას არანაირ პოეტურ აქსესუარებზე არ ცვლის, არ აკნინებს. დიახაც, რომ თავანკარა ქართულის, უმშვენიერესი პოეზიის პატრონია მაყვალა გონაშვილი და როცა იგი დაეჭვებით გვეკითხება:

როგორ გგონიათ, ვიპოვნი ჩემს თავს?
მეწევა ბედი? როგორ გგონიათ?!
პატიოსნად უნდა ვუპასუხო:
ქალბატონო მაყვალა!

ბედის შეწევნისა რა მოგახსენო, როდის იყო ბედი ნამდვილ, ჩაკირულ შემოქმედებს ეწეოდა, აი, რაც შეეხება საკუთარი თავის პოვნას, დაუფიქრებლად გეტყვი – შენი თავი, დიდი ხანია, რაც ნაპოვნი გაქვს, შენი ადგილი, შენი ნიშა ქართულ მწერლობაში, დიდი ხანია, ნაპოვნი გაქვს, უფრო მეტიც, თანამედროვე ქართული პოეზია წარმოუდგენელია შენი მზისფერი, მზისდარი შემოქმედების გარეშე.

ალექსანდრე ჩხაიძე

გულო კაიკაციშვილი

(დაბადების 180 წლისთავთან დაკავშირებით)



გულო კაიკაციშვილი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 1840-1923 წლებში. აჭარის მოსახლეობისათვის ეს იყო მრავალმხრივი ცვლილებების, შინაარსობრივად დატვირთული და უაღრესად საპასუხისმგებლო პერიოდი. საკმარისია ითქვას, რომ იმ დროს ჩვენს ქვეყანაში ხელისუფლება რამდენჯერმე შეიცვალა და, ძირითადად, ძალადობრივად ენაცვლებოდნენ ერთმანეთის მტრული ძალები.

გ. კაიკაციშვილის ბავშვობა და ახალგაზრდობა თურქთა ბატონობის ბოლო ხანას დაემთხვა. იმ პერიოდში ოსმალეთის ხელისუფლებამ გაატარა რეფორმები, რომლებიც ქვეყნის ცენტრალიზაციას ემსახურებოდა. ამან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გამოიწვია „ქართველობის“ ნაშთების უკიდურესი შევიწროება, გააძლიერა მოსახლეობის ასიმილაცია. მიუხედავად ამისა, ზოგან, მათ შორის გულოს მშობლიურ კუთხეში – ქობულეთში ხალხი ხელისუფლებას მაინც ეურჩებოდა.

გულო კაიკაციშვილი დაიბადა სოფელ სამებაში, ღარიბი გლეხის ოჯახში, რომლის ძირეული გვარი იყო ქათამაძე (1:5). ახალდაბადებულს გულახმედი დაარქვეს. სამწუხაროდ, დედა, ელმას გუგუნავა ადრე გარდაეცვალა. ამიტომ პატარაობიდანვე მას დედინაცვალი ზრდიდა, რომელიც საკუთარ შვილებში არ არჩევდა. პატარა გულოს წერა-კითხვა დედამ და ბებიამ ასწავლა.

ოსმალთა ბატონობის დროს აჭარაში ქართული სასწავლებლები არ ფუნქციონირებდა და განათლების სისტემის ერთადერთ რგოლს დაბალი დონის მაჰმადიანური კონფესიონალური სკოლები წარმოადგენდნენ. პატარა გულომაც რამდენიმე წელი გაატარა მსგავს სკოლაში – მედრესეში. ასეთი სასწავლებლები ღირსეულ საერო განათლებას არ იძლეოდნენ, ამიტომ ჩვენი გმირიც დამოუკიდებლად „ბევრს კითხულობდა, იყო თვითნასწავლი პიროვნება. გამჭრიახი გონება, ორატორული ნიჭი და ინტელიგენტური შესახედაობა მას გამოარჩევდა თანამოძმეებისაგან. ამიტომ ყმაწვილკაცობიდანვე ხალხი რჩევა-დარიგებისათვის მასთან მოდიოდა“ (2:24).

მედრესეს დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა გულომ ვაჭრობას მოკიდა ხელი. თუმცა მალე არმიაში გადავიდა, თავისი ინტელექტის წყა-

ლობით ალი ფაშას ადიუტანტობასაც მიაღწია. აქ უფროსობას ვერ შეეწყო, ამიტომ სამსახური მიატოვა. იმ დროს განათლებული ადამიანები იშვიათობას წარმოადგენდნენ და ქობულეთის ადმინისტრაციაში კანცელარიის თანამშრომლად მიიღეს. სამსახურებრივი საქმიანობის გამო გურიაში ხშირად უხდებოდა ჩასვლა. „ამის გამო გ. კაიკაციშვილს „კონწოლსაც“ ე. ი. კონსულსაც ეძახდნენ“ (3:8). პატარაობიდანვე ეროვნულად აღზრდილ ჩვენს გმირს თავისი პატრიოტული პოზიცია არასოდეს შეუცვლია. სამსახურეობრივ მოვალეობას, საზღვარზე გადასვლა-გადმოსვლას თავისი საქმიანობისთვის იყენებდა. 1868 წელს სტამბოლს იმოგზაურა, დაბრუნების შემდეგ დაოჯახდა, ცოლად შეირთო დოდო თხილაიშვილი. მათ რვა შვილი ეყოლათ, ოთხი ვაჟი და ოთხი ასული.

იმ დროს, XIX ს. 60-იან წლებში, ჯერ კიდევ ოსმალეთის იმპერიაში მყოფ ქალაქ ბათუმში ცხოვრობდა საქართველოს პატრიოტი, განათლებული, სარწმუნოებით კათოლიკე ქრისტიანი ლუკა მჭედლიშვილი. ის ვაჭრობით იყო დაკავებული. გულოს მასთან ურთიერთობა ჰქონდა. ლუკა აცნობდა გაზეთ „დროებას“ ნომრებს. ამ გაზეთს მას აწვდიდა აგრეთვე ლუკას შვილები პავლე და ლევანი. 1869 წელს კი გამოიწერა კიდეც (4). ამის საშუალებით ქობულეთელი მაჰმადიანები ეცნობოდნენ ქართულ პრესას.

1870 წლიდან გ. კაიკაციშვილი „დროებასთან“ თანამშრომლობდა. მასში სტატიებს აქვეყნებდა. ოსმალთა ბატონობის პერიოდში მან იქ რამოდენიმე სტატია გამოაქვეყნა (3:9). შემდეგში კი ასევე თანამშრომლობდა „ივერიასა“ და „ცნობის ფურცელში“. ის სხვადასხვა ფსევდონიმებს იყენებდა: „გ. ქაქაც-ოღლი, გულო აღა კაიკაციშვილი, გულო კაიკაციშვილი, ახმედ-აღა კაიკაციშვილი“ (5:83). თავის პუბლიკაციებში აღწერდა რა არსებულ ვითარებას როგორც ოსმალთა ისე რუსეთის ხელისუფლების პირობებში, ფაქტიურად ქობულეთის ჟამთააღმწერლად გვევლინება.

იმ დროს როცა ოსმალეთის ხელისუფლება სულ უფრო ცდილობდა მოსახლეობის ასიმილაციას გულო კაიკაციშვილის ირგვლივ იქმნებოდა წრე, თავისებური რაზმი პატრიოტებისა, რომელიც ყველაფერზე მზად იყო ეროვნული ინტერესების დასაცავად. მათში გამოირჩეოდნენ ჭყონიები, თხილაიშვილები, ნიჟარაძეები, ცივაძეები, ტაკიძეები, მჟავანაძეები, შავიშვილები, ყურშუბაძეები, და სხვები (2:25). ეს იყო თავისებური არალეგალური ორგანიზაცია, რომლებიც მოქმედების თავის დროს ელოდნენ.

გულო კაიკაციშვილის მრავალრიცხოვანი შვილებიდან ბავშვობასა და ახალგაზრდობაში ნიჭით და პერსპექტივით გამოირჩეოდა ასლანი. ზაქარია ჭიჭინაძე გადმოგვცემს, რომ 1875 წელს „ფოთის სკოლაში პირველად მშობლიურ ენაზე დაიწყეს სწავლა გულოს შვილმა ასლანმა და რეჯებ ნიჟარაძემ. ესენი არიან პირველი მოწაფენი ქართველ მაჰმადიანთაგან“ (6:48).

1875 წელს ქობულეთში ადგილი ჰქონდა აჯანყებას ხელისუფლების წინააღმდეგ. იგი მიმართული იყო ძალადობის, სასამართლოში გამეფებული უკანონობის, მრავალი გადასახადის და საერთოდ მძიმე მატერიალური მდგომარეობის წინააღმდეგ. ამავე წელს გაზეთ დროებაში (№143) გამოქვეყნდა გულო კაიკაციშვილის წერილი. მასში ვკითხულობთ: „ქობულეთის საქმე გლახათ არის: ხალხი არეულია, დიდი და პატარა იარაღით დგანან, სამართალი არ გვაქვს, არც გვაძლევს ვინმე, არ ვიცით რა ვქნათ. წერა არ ვიცით, არც კითხვა, სკოლა არ არის, გზაი არ გვაქვს, ხელობა არ ვიცით. არც ვინმე გვასწავლის, მარტო სიმინდის და ღომის მუშაობა დაგვირჩა ხელში, ჩვენმა ახალგაზრდა ბიჭებმა ვერაფერი ქნეს. ასე შეწუხებული ვართ“. ოსმალეთის ხელისუფლებას შესწევდა ძალა უკმაყოფილება აღეკვეთა. ქობულეთელთა მოძრაობას ლოკალური ხასიათი ჰქონდა. იგი არ იყო მასობრივი შეირაღებული აჯანყება და ხელისუფლებას მეტწილად პასიურ წინააღმდეგობას უწევდა“ (8:99). შემდეგი, 1876 წლის „დროებაში“ (№92) გ. ქაქაც-ოღლის ფსევდონიმით გამოქვეყნდა მორიგი წერილი ქობულეთში არსებულ მდგომარეობაზე. იქ ვკითხულობთ: „ჩვენს ხვანთქარს

არ ვახსოვართ და არც იცის – ვინ ვართ... სამართალს ვინ გვაღირსებს ჩვენ ფუხარებს (ღარიბებს)! ვისაც ფარა არა აქვს, იმისთვის არც სამართალია. ფარა ჩვენში არ არის და არ იშოვება, ამისათვის ქე გვარჩობენ ყველას. სულ იყვირე თუ გინდა კაცი ჩვენი პატრონი აღარ არის“.

1875-1876 წლების ანტისამთავრობო მოძრაობა ქობულეთში დამარცხდა და გულომაც ტყეს შეაფარა თავი, ერთი პერიოდი გურიაშიც იმალებოდა (3:11). მალე რუსეთ-ოსმალეთის მორიგი ომი დაიწყო.

1877-1878 წლებში მიმდინარეობდა რუსეთ-ოსმალეთის ომი. საბრძოლო ოპერაციები ბალკანეთსა და ამიერკავკასიაში წარიმართა. რუსეთის არმიის მხარდამხარ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში აქტიურად იბრძოდნენ ქართველები. გულო კაიკაციშვილი იუნკრად შევიდა ქობულეთის სახალხო მილიციის რაზმში და მალე ურიადნიკი გახდა. ომი რუსეთის გამარჯვებით დასრულდა და ჩვენი ქვეყნის ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ ტერიტორიების ნაწილი, მათ შორის აჭარა დედასამშობლოს დაუბრუნდა.

ოსმალთა მრავალწლიან ინკორპორაციის პოლიტიკას ამაოდ არ ჩაუვლია. აჭარის განთავისუფლების შემდეგ, თავიდანვე უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა ქრისტიან და მაჰმადიან ძმებს შორის გარკვეულწილად გაბზარული სულიერი იდენტობის აღდგენა. პატრიოტების, მათ შორის, გულო კაიკაციშვილის უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენდა მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნების ამაღლება, რისთვისაც ჩვენი გმირი დაუღალავად იღწვოდა.

1878 წლის 17 აგვისტოს ოსმალეთის ხელისუფლებისაგან დატოვებულ ქობულეთში რუს-ქართველთა ჯარს ელოდნენ. ჩვენი გმირის ქალიშვილი ქალბატონი მერი გადმოგვცემს: „გულო კაიკაციშვილის ოჯახშიც იყო სამზადისი. აქ შეიკრიბნენ რაზმის წევრები. მოიტანეს ნაჭერი ქართული დროშის შესაკერად. ვინაიდან ოჯახს საკერავი მანქანა არ ჰქონდა, ბებიას (გულოს მეუღლეს) ხელით შეუკერია ორი დროშა. ბაბუას დისშვილს – ხასან თხილაიშვილს გამოუტანია გულოს ოჯახისეული თოხი, გადაუჭრია და დროშა ზედ დაუმაგრებია, ხოლო მეორე დროშა გულოს დაუკეცია და უბეში ჩაუდვია.

ქართულ ნაციონალურ ტანსაცმელსა და იარაღში გამოწყობილი გულო კაიკაციშვილი ქართულ მხედრიონთან შესახვედრად ამაყად გაუძღვა რაზმელებს, რომლებმაც ზეაღმართული ქართული დროშით გაიარეს ქობულეთის უგრძესი ქუჩა“ (2:26).

მოსახლეობა ერთსულოვანი როდი ყოფილა. ყველანი იმედით როდი ელოდნენ მომავლებს. ზოგს გაურკვევლობა აწუხებდა, ზოგიც კი რელიგია არ შეგვიბღალონო, ფიქრობდა. იმ დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქობულეთელი პატრიოტების საქციელს, მათ შორის ავტორიტეტული პირის გულო კაიკაციშვილის სიტყვას. აღნიშნულ დღეს, 17 აგვისტოს, ფიჭვნარის გზიდან გურიის რაზმი გამოჩნდა. როცა ის შეკრებილ ქობულეთლებთან მივიდა, ყველას წინაშე სიტყვით გამოვიდა გულო კაიკაციშვილი: „ჩვენო ქართველებო, ჩვენო ძმებო, ნათესავებო და ბიძაშვილებო, თქვენი ჭირიმე, თქვენი, რომ ჩემმა თვალებმა დღეს თქვენ ჩვენი ძმები... აქ ქობულეთში დაგინახათ. ვმადლობ ღმერთს და პატივს ვცემ მის განგებას, რომ ჩვენი და თქვენი ნატვრა შესრულდა. ღმერთმა შეგვაერთა.

ეხლა მღვთით მე იმედი მაქვს, რომ რაკი ჩვენს ქვეყანაში ჩვენი ნამდვილი ძმები, ბიძაშვილები და ნათესავთაგან შემდგარი ქართველი ჯარი შემოვიდა... გავძლიერდებით ჩვენ, ავმაღლდებით სულით, გულით. თქვენც, ჩვენის დაახლოებით გაიხარებთ და მერე ჩვენის ასეთი შეერთებით და ამ ერთიანის სიყვარულით აღსდგება და გაძლიერდება საქართველო... როგორც იყო იგი თამარ მეფის დროს. მაშ გაუმარჯოს ჩვენს შეერთებას და თამარ მეფის დროს საქართველოს აღდგენას და გაძლიერებას.

ძმებო, ძია კაცებო და ჩვენო საყვარელო ქართველებო, გისურვებთ მშვიდობით შესვლას ბათომის ქალაქში. ღმერთმა გააძლიეროს ქართული მხედრობა“ (3:3, 5).

ეს იყო დასაწყისი, მიუხედავად ყველა წინააღმდეგობისა, როცა ქობულეთი და მთელი აჭარა თავის ორგანულ გარემოში ბრუნდებოდა.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შემოერთებისთანავე რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა გულო კაიკაციშვილის დაახლოებას. მით უმეტეს, რომ ადმინისტრაციულ თანამდებობებზე ზოგჯერ იყვნენ გრიგოლ გურიელისთანა პატრიოტებიც. ჩვენს გმირს სწორი ორიენტაცია ჰქონდა აღებული. შესაბამისად იყენებდა შექმნილ მდგომარეობას. მთავრობისგან ჯილდოებსაც იღებდა, თავის დროზე ქვეყნისათვის სასარგებლო საქმეებსაც აკეთებდა, ზომიერად, საჭირო შემთხვევაში ხელისუფლებასაც აკრიტიკებდა და საერთო ჯამში უმთავრეს მიზანს, ერის სულიერ გამთლიანებას, გაძლიერებას ემსახურებოდა.

როგორც აღვნიშნეთ, ოსმალთა ბატონობას დროს ჩვენს რეგიონში უკვალოდ არ ჩაუვლია. მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა რელიგია შეიცვალა, გარდა ამისა საფრთხე შეექმნა ქართულ ენას, კულტურას, წეს-ჩვეულებებს. კიდევ მეტი, ომმა მოიტანა ეკონომიკური გაჭირვება, ახალმა რეჟიმმა კი ახალი ბიუროკრატია. თანამდებობის პირები ზოგჯერ ბოროტად იყენებდნენ უფლებებს. ყველაფერმა ამან ბიძგი მისცა ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილის ოსმალეთში გადასახლებას, რაც მუჰაჯირობის სახელითაა ცნობილი. გადასახლების უფლება მსურველებმა უკვე 1878 წელს მიიღეს, იგი ოფიციალურად 1882 წლის თებერვლამდე გააგრძელეს, შემდეგ კი ეს თარიღი 1884 წლის 1 იანვრამდე გადასწიეს. სამწუხაროდ ამ უფლებით ჩვენი რეგიონის რამოდენიმე ათასმა კაცმა ისარგებლა. ქართველი პატრიოტები, მათ შორის გ. კაიკაციშვილიც ებრძოდნენ მუჰაჯირობის სენს. გაზეთ „დროებაში“ (1878. №31) ის წერდა: „დევრიშ ფაშამ გამოგვიცხადა, რომ რუსეთს დარჩა ქობულეთი და ბათუმიო, თქვენ წამოდით ჩვენი ხარჯითო, ზოგიერთი მიდის, წამსვლელები სხვებს ურჩევენ წამოდითო, უფრო ჩინ-ორდენოსნები ჩივიან პენსია გვაქვს და ახლა რა ვქნათო. ადუღებული არიან. ოთხმა ხუცუბნელმა იქაური ამბების გასაგებად გაგზავნა კაცები და პასუხს ელოდებიან. ჩვენ უსამართლოდ დაცემული ვართ. ახლა მოველით სამართალს და კაი ცხოვრებასო“. მუჰაჯირობასთან ბრძოლა არ იყო ადვილი საქმე. ძირითადად რელიგიური მოტივით, მოსახლეობის ნაწილი შეუბრალებლად ტოვებდა წინაპართა საცხოვრისს. ეს კი, მიუხედავად იმისა, რომ სავარაუდოდ იქ ცხოვრების უკეთესი პირობები არ დახვდებოდათ. გულო იხსენებდა: „დღე და ღამე სულ ხალხში დავიარებოდით და ყველას იმას ვეუბნებოდით, რომ... თქვენი მამა პაპის მამულებს და სახლ-კარს ნუ სტოვებთ და ოსმალეთში ნუ მიხვალთ. თორემ ბოლოს ინანებთ... თუ ვინმე დარჩა ეს იყო ჩვენი შრომა და წვალების სამაგიერო“ (3:16).

გულოსნაირი პატრიოტები იგივეს აკეთებდნენ აჭარის სხვა რეგიონებში. სამწუხაროდ მაჭახელში მსგავსი გულმხურვალე აგიტატორების ნაკლებობის გამო მოსახლეობა უფრო მეტად გასახლდა. გულომ ხელისუფლებაც კი გააკრიტიკა, რომელიც საკმარის ღონისძიებებს არ მიმართავდა მოსახლეობის შესაჩერებლად. მან მოითხოვა ქობულეთის მმართველად გრიგოლ გურიელის დანიშვნა, რომელიც ავტორიტეტით სარგებლობდა და ხელს შეუშლიდა მუჰაჯირობას (იქვე, 16-17).

მდგომარეობა იმითაც უარესდებოდა, რომ წასულების ადგილებს, დაცარიელებულ სახლებს სხვა ეროვნების წარმომადგენლები იკავებდნენ. ამის შესახებ ის სერგი მესხს ჯერ კიდევ 1878 წელს წერდა. აქ სერგის მოიხსენიებდა როგორც „ჩვენი ხალხის მწყალობელი“. ს. მესხი მართლაც აჭარის დიდი მოამაგე იყო. იგი შესაძლებლობის მიხედვით ცდილობდა ახალშემოერთებული მხარისათვის დახმარება გაეწია, ტვირთი შეემსუბუქებინაა. წერილში ასევე ვკითხულობთ: „თბილისის სომხებს უფიქრიათ ჩვენს ქვეყანაში ადგილის, მიწის და მამულის შეძენა. ნეტა რა შეიტყვეს, ჩვენ თუ რუსებს დავრჩით, ჩვენი ქვეყნიდან ხომ არ გაგვდენის!... აქ თუ რამეა, ჩვენ გვინდა.

ჩვენ პაწაი უსამართლოდ დაცემული ვართ, ახლა კი მოველით სამართალს და კაი ცხოვრებას.

ჩვენი ხალხის ყოფაქცევა ასეთია, რომ ორს ამბავს ვერ ეიტანს, მყრალს ლანძღვას, გაუპატიურებას და ერთიც მიწა მამულის შევაჭრებას და წართმევას (5:89-90).

მიუხედავად ყველა სირთულისა და წინააღმდეგობისა 1878 წელი ძვირფას თარიღად რჩება საქართველოს ისტორიაში. ეს მაშინაც კარგად ესმოდათ ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებს, ქვეყნის მოწინავე საზოგადოებას. აღნიშნული წლის 20 ნოემბერს მოწვეულ იქნა დეპუტაცია ახლადგანთავისუფლებული მხარიდან. დეპუტაციას ხელმძღვანელობდა პატრიოტი და საზოგადო მოღვაწე ხუსეინ ბეჟანიძე, მის თოთხმეტ წევრს შორის ცხადია იმყოფებოდა გულო კაიკაციშვილიც. მასპინძლები იყვნენ გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები, მწერლები. შეხვედრამ გულთბილად ჩაიარა 11:37-42).

სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსულმა გულო კაიკაციშვილმა მალე მოიპოვა ავტორიტეტი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეებს, პატრიოტებს შორის. საჭირო შემთხვევაში ყოველთვის გვერდით ედგნენ ერთმანეთს. უკვე აღვნიშნეთ რომ დაბადებიდან მას გულახმედი ერქვა. ერთხელაც ილია ჭავჭავაძემ აჭარაში სერგი მესხი გამოგზავნა და თან დააბარა: „გაესაუბრე ქობულეთელ კაიკაციშვილს – „აჭარის გულსო“ (2:7). სერგიმ დავალება შეასრულა, თან ჩვენს გმირს გულო უწოდა. ამ უკანასკნელს გაეღიმა და უპასუხა: „მე გულო კი არა, ახმედი მქვია, მაგრამ დიდმა ილიამ პატივი დამდო და ასე მიწოდა დღეიდან სახელს ვიცვლი და ნამდვილ ქართულ სახელს – გულოს დავირქმევო“ (იქვე). რაც შეეხება გვარს – კაიკაციშვილი, ის გულოს ერთი ახლობელის გადმოცემით, აკაკი წერეთელს შეურქმევია, რომელსაც უთქვამს მისთვის: შენ ქაქაც-ოღლი კი არა ნამდვილი კაიკაციშვილი ხარო.

საჭიროების შემთხვევაში გ. კაიკაციშვილი ძალის გამოყენებაზეც არ ამბობდა უარს. „23 აგვისტოს (სავარაუდოდ 1878 წელს – ა. ჩ.), სოფელ ჭახათში მოვიდა ოსმალთა 24 ნიზამი, რომელთაც თან ახლდა სამასი ჩალავდარი. მათ ხალხს გამოუცხადეს ბრძანება, რომ ოსმალეთში უნდა წახვიდეთო, სამაგიეროდ აქაურმა მოსახლეობამ ამაზე უარი განაცხადა. მაშინ ჯარისკაცებმა ძალა დაატანეს, მაგრამ ჭახათელები გულო-აღა კაიკაციშვილის ჩარევით ოსმალებს დაერივნენ და სოფლიდან განდევნეს (11:63).

გ. კაიკაციშვილი ცხადია თავისი კუთხის წარსულითაც იყო დაინტერესებული. აგროვებდა ძველ იშვიათ ნივთებს. 1879 წელს კინტრიშის პირას სოფელ ხუცუბანში აღმოჩნდა ბრინჯაოს ორი ცული. ისინი ჩვენმა გმირმა გადასცა სერგი მესხს – იმ დროს გაზეთ „დროების“ რედაქტორს, რომელმაც მათ შესაფერისი ადგილი მიუჩინა.

ოსმალთაგან განთავისუფლების პირველ წლებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, მიუხედავად პატრიოტთა მცდელობისა მდგომარეობა არასახარბიელო რჩებოდა. საბრძოლო მოქმედებებისაგან დაზარალებულ მოსახლეობას მატერიალურად უჭირდა, მუჰაჯირობის პრობლემა რჩებოდა. 1880 წელს გაზეთ „დროებაში“ გ. კაიკაციშვილი წერდა: „ქობულეთლები რანაირად დაქცეულნი არიან ქი მოგეხსენებათ, რამდენიმე ათასი მანეთი ფული და რამდენიმე ათასი ფუთი სიმინდი დაურიგდათ ხელმწიფის წყალობით და რამდენიმე ათასი მანეთი ჩვენი ძმების ქართველების შეწირული ფულები დაგვირიგა სერგი-ბეგმა (სერგი მესხმა).

ამას გარდა, ძიავ, ძველი გადასახლებული (თურქეთში) ქობულეთლები რომ არიან, რომლებსაც თავისთავისთვის ვერ უშოვიათ ადგილი, გადმოდიან ჩვენში და გვეუბნებიან, რომ წამოდითო, ნუ დადგებით აქაო. რა თქმა უნდა, იმათ არ დაეჯერებათ, მაგრამ მოლებმაც შეგვაწუხეს, წამოდითო. აქ თუ მოკტით წესი არ გერგებათო.

ყოლიფერი უბედურება ჩვენ დაგვადგა ქობულეთლებს!“ (5:91-92).

როგორც აღვნიშნეთ გ. კაიკაციშვილი აგროვებდა წარსულის საგნებს. 1881 წლის შემოდგო-

მაზე მდინარე კინტრიშის მოქმედების შედეგად გაშიშვლდა სოფელ ხუცუბნის სამარხების ნაწილი, სადაც კვლავ იპოვა ძველი ისტორიული ნივთები. მათ შორის კვლავ ორი ბრინჯაოს ცული, ასევე ბრინჯაოს ლომის უხეში ფიგურა, მძივები, თიხის ჭურჭელი და სხვ. „ჩემი თხოვნით, – ამბობდა კომაროვი, – გულომ ჩაატარა მცირე გათხრა და აღმოაჩინა ადამიანის ძვლები, კბილები, ჩუქურთმიანი ხმალი, დანის ნატეხები, ბრინჯაოს ნატეხები, ქინძისთავები, მინის მძივები, რკინის ნამტვრევები და სხვ“ (6:49).

თურქთა ხანგრძლივმა ბატონობამ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში საფრთხე შეუქმნა ეროვნულობის ერთ-ერთ უმთავრეს ნიშანს – ენას. ზოგ ალაგს ის თითქმის დამპყრობლის ენამ შეცვალა. აჭარაში მდგომარეობა შედარებით უკეთესი იყო. ენის საკითხი აფიქრებდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეებს. გულოც ხედავდა შექმნილ მდგომარეობას, ის სრულიად მართებულად, ოპტიმისტურად უყურებდა მდგომარეობას. იცოდა, რომ შესაძლებელი იყო მოსახლეობის განათლების დონის ამაღლება და ცხოვრებამ დაამტკიცა მისი ვარაუდი.

1881 წელს ილია ჭავჭავაძე იმყოფებდა ბათუმში, სადაც გულო კაიკაციშვილსაც შეხვდა. ეტყობა სწორედ აქ შეთანხმდნენ, რის შედეგად გულოს შვილმა ასლანმა სწავლა გააგრძელა თბილისის გიმნაზიაში, თვით ილიას მეთვალყურეობის ქვეშ.

უკვე აღვნიშნეთ, რომ არსებობდა საფრთხე მუჰაჯირების ქონებას დაპატრონებოდა უცხოელები და ეს საკითხი გულოს აწუხებდა. 1882 წლის 17 აგვისტოს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნდა მისი წერილი, რომელშიც იყო პრაქტიკული წინადადება, რომ ქობულეთში მუჰაჯირთა მიწები დაეკავებინა ზემო აჭარის მოსახლეობას. შედეგად, შედარებით რთულ რელიეფზე მცხოვრებნი მიწასაც მიიღებდნენ, მდგომარეობასაც გაიუმჯობესებდნენ და ქართველების ადგილს კვლავ ქართველები დაიკავებდნენ (3:17).

ჩვენს გმირს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ ქართველ მწერალთან დავით კლდიაშვილთან. მწერლის შვილი ახსნებს: „მამაჩემი 1882 წელს, მოსკოვის სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გაამწესეს ბათუმში. მართალია მეფის არმიის ოფიცერი იყო, მაგრამ უკომპრომისოდ იღწვოდა ქართველი ერის საკეთილდღეოდ. იგი გრ. ვოლსკისთან და ივ. მესხთან ერთად აჭარის საზოგადოებრივ-კულტურული საქმიანობის სულისჩამდგმელი იყო. ამიტომ გულო კაიკაციშვილს, რომელიც აჭარელთა სწავლა-განათლების აღმშენებლობისათვის იღწვოდა, მათთან მუდამ საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა“ (2:6). ამ სიტყვებს, მწერლის შვილი უმატებს, რომ 1905-1907 წწ. რევოლუციის შემდეგ მამამისი, დ. კლდიაშვილი, აიძულეს გადამდგარყო სამსახურიდან. თუმცა ბათუმიდან წამოსვლის შემდეგაც არ გაუწყვეტია ურთიერთობა გ. კაიკაციშვილთან (იქვე, 7).

როგორც აღვნიშნეთ, ოსმალთა ბატონობის დროს აჭარაში ქართული საგანმანათლებლო დაწესებულებანი არ ფუნქციონირებდა. არსებული მაჰმადიანური კონფესიონალური სასწავლებლები კი ნორმალურ საერო განათლებას არ იძლეოდნენ, სამაგიეროდ მომავალ თაობას ზრდიდნენ ისლამის ერთგულებით. გაერთიანებისთანავე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მოსახლეობის განათლება გახდა უმნიშვნელოვანესი საკითხი. მართალია, ცარიზმი დიდად არ უწყობდა ხელს, მაგრამ ჩვენს რეგიონში ეროვნული გარემო გაუმჯობესდა. გულო კაიკაციშვილი დარწმუნებული იყო ადგილობრივი მოსახლეობის კეთილ, ნათელ მომავალში. ის ამბობდა: „ერთი ამათი ნაკლი არის მხოლოდ მათი უსწავლელობა და განათლების უკან ჩამორჩენა“ (3:19). ის დარწმუნებული იყო, რომ შემოვიდოდა ევროპული დონის განათლება, ამაღლდებოდა ეროვნული თვითშეგნება, შესაბამისად საქართველოც აღორძინდებოდა (იქვე). მისი მნიშვნელოვანი დამსახურებაა, რომ „თბილისსა და ქუთაისის გიმნაზიებში აჭარიდან ათეულობით ახალგაზრდა გაიგზავნა, რომლებიც თავისუფლდებოდნენ ყოველგვარი გადასახადისაგან“ (5:93).

გ. კაიკაციშვილი ყურადღებას აქცევდა ქალის მდგომარეობას და განათლებას. ხედავდა, რომ მდედრობითი სქესის წარმომადგენლები უსამართლოდ იყო დაჩაგრული. ის ამბობდა: „ქალი ბურჯია ერისა, ქალზეა დამოკიდებული ერის მომავალი. რამდენადაც განათლებულია ქალი-დედა, იმდენად განათლებულია ჩვენი სული და გული... იგი ნიადაგს ამზადებდა ჩადრში გახვეულ ქართველ მაჰმადიან ქალთა გასანთავისუფლებლად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩასაბმელად“ (2:18-19). თვით პირად მაგალითს იძლეოდა. თავისი ქალიშვილი ქუთაისის გიმნაზიაში მიაბარა სასწავლებლად. შვილიშვილი გულიკო კი ქუთაისში მეგობართან ოჯახში გაგზავნა აღსაზრდელად.

1887 წლის იანვარში შეიკრიბა ქობულეთის საზოგადოების მოწინავე ნაწილი. კრებამ მიიღო დადგენილება, რომელიც ეცნობა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, კერძოდ გამოთქმული იყო სურვილი ქობულეთში ქართული სკოლის გახსნის შესახებ. კრებაზე არჩეულ, სკოლის დაარსებისათვის მზრუნველ კომიტეტში შევიდნენ კინტრიშის უბნის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრე არობელაძე, დედე ნიჟარაძე, და გულო კაიკაციშვილი“ (12).

ჩვენი გმირი ობიექტურად აფასებდა რეალობას. ის ხედავდა, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში საზოგადოებრივი დანაშაულობები შემცირდა. მართლაც, ოსმალთა დროს ქობულეთის რაიონი, მათ შორის ხინოც უფრო მიშვებული და ავაზაკებისათვის შესაფერისი რეგიონი იყო (13:580-581). ამ მდგომარეობას 1877-1878 წწ. ომის წინ ხელს უწყობდა ხელისუფლების მხრიდან სუსტი კონტროლი, სოციალური დესტაბილიზაცია. 1887 წ. გაზეთ „დროებაში“ (№125) გ. კაიკაციშვილი წერდა წესრიგის განმტკიცების შესახებ. მაგალითისთვის ხინო მოჰყავდა, რომელიც ოსმალთა დროს „ავაზაკთა ბუდეს წარმოადგენდა“, ეხლა კი „ხინოელი უსუფა მადლიშვილი ჩამოვიდა და მითხრა, რომ ხინოში თხა და მგელი ერთად არიანო მინდორშიო მარა მგელი ვერ ბედავს თხას რომ აწყენინოს, ეშინია ნაჩალნიკი შეიტყობსო... და გამაფაქებსო“ (3:15-16).

იმ დროს ასლან კაიკაციშვილი თბილისში აგძელებდა სწავლას. გაზეთი „ივერია“ მიმოიხილავდა რა ქობულეთის რაიონს სხვათა შორის წერდა: „დედე-აღა ნიჟარაძე და გულო კაიკაციშვილი მთელს ბათუმის მაზრაში სამაგალითო არიან იმიტომ რომ ამათ თავიანთი შვილები ტფილისის თავად-აზნაურების სასწავლებელში მიაბარეს და დაგვიახლოვდნენ უფრო მჭიდროდ, ვიდრე სხვები“ (5:82).

ქართული ლიტერატურისა და ისტორიის მკვლევარი ზაქარია ჭიჭინაძე (1854-1931), ჩვენს რეგიონში აგროვებდა ძველ ხელნაწერებს, იკვლებდა ისტორიას, ავრცელებდა წიგნებს. მისი თქმით გულო კაიკაციშვილი გაიცნო 1890 წელს ქობულეთში, როცა თან ქართული წიგნები მოიტანა. იქვე იყო გრიგოლ გურიელიც. გულო კმაყოფილებას ვერ მალავდა ზაქარიას მიერ წიგნების გავრცელებით (4).

როგორც აღვნიშნეთ 1887 წელს საკითხი დაისვა ქობულეთში სკოლის გახსნის შესახებ. შენობისთვის საჭირო იყო ადგილის გამოყოფა. გულო კაიკაციშვილმა თავდგირიძეებისაგან სკოლისათვის პირადად შეიძინა მიწის ნაკვეთი. ამ ამბავმა მოსახლეობაში ენთუზიაზმი გამოიწვია. ხალხმა მოზიდა სამშენებლო მასალა. „ქობულეთის სკოლის საძირკველი 1890 წლის აგვისტოში ჩაიყარა. გათვალისწინებული იყო 14 ოთახის მოწყობა... სკოლამ ფუნქციონირება დაიწყო 1895 წლიდან“ (5:86).

1891 წელს მეცნიერი ექვთიმე თაყაიშვილი, რომელიც დაინტერესდა გ. კაიკაციშვილის მოპოვებული ისტორიული ნივთებით, ქობულეთში ჩავიდა. ის გულოსთან და გრიგოლ გურიელთან ერთად ეწვია ხუცუბანს, სადაც მოიპოვა რამდენიმე საინტერესო ისტორიული ნივთი (3:12-13).

1892 წელს გარდაიცვალა XIX სუკუნის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გამოჩენილი საგვარეულოს წარმომადგენელი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლი-

დერი შერიფ ხიმშიაშვილი. გ. კაიკაციშვილმა სიტყვა წარმოთქვა მისი ცხედრის წინაშე. მოვიყვანთ ნაწყვეტს ამ სიტყვიდან: „შენ აქაც კარგი კაცი იყავი და იქაც კაი კაცი იქნები. ღმერთმა გაცხონოს და შენი ნატვრა აღასრულოს გამჩენმა, რათა მისი დახმარებით ჩვენ ქვეყანას და ფუხარა ხალხსაც ეშველოს რამით... ღმერთმა აგისრულა წადილი და ჩვენი სამუსლიმანო საქართველო შეერთდა იქეთა საქრისტიანო საქართველოსთან... მშვიდობით ძმაო შერიფ, ღმერთმა გაცხონოს და მშვიდობით განისვენე“ (იქვე, 28).

ზაქარია ჭიჭინაძე იხსენებს: „1894 წ. ბათომში გახლდათ ილია ჭავჭავაძე და გულო აღამ პირველ ნახვის დღეს ისეთი სიტყვა უთხრა ილია ჭავჭავაძეს რომ ამით აღაფრთოვანა იგი“ (4).

მას შემდეგ რაც ქობულეთში ფუნქციონირება დაიწყო სკოლამ, იმთავითვე დადგა ბიბლიოთეკის დაარსების საკითხი. ესეც საკუთარ თავზე აიღო გულო კაიკაციშვილმა. იმ დროს მოსახლეობაში ნაკლებად იყო წიგნები. ჩვენმა გმირმა საკუთარ ოჯახში შექმნა ბიბლიოთეკა, სადაც ასეულობით წიგნს მოუყარა თავი. მისი ფონდის შევსებაში მონაწილეობას იღებდა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, ზაქარია ჭიჭინაძე, სხვა მეცენატები. აღსანიშნავია თბილისელი ეპისკოპოსის, ლეონიდეს, როლი, რომელიც პირადად ჩამოვიდა და წიგნები ჩამოიტანა. გახარებულმა გულომ ეპისკოპოსს მიმართა: „მობრძანდით თქვენ და მოგვიტანეთ ქართული წიგნები. ეს ქართული წიგნები ჩვენთვის არის დიდი ბედნიერება და მოწყალება, დიდი საუნჯე და სიხარული“ (2:38).

რეგიონული მასშტაბით საგანმანათლებლო-კულტურულ საქმეში მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს იმ დროს ბათუმში ქართული სტამბის დაარსება. ეს საქმე განახორციელეს კ. თავართქილაძემ და ძმებმა კალანდაძეებმა. გახარებული გულო ამბობდა: „მე გამახსენდა ის დრო, როცა ბათუმში ქართული სტამბა და ქართული წიგნი კი არა და ქართული ენის ხსენებაც კი სასტიკად იდევნებოდა და აკრძალული იყო“ (3:22).

ასლან კაიკაციშვილი, რომელმაც წარჩინებით დაამთავრა თბილისის გიმნაზია და იმედის მომცემ, პერსპექტიულ ახალგაზრდას წარმოადგენდა, სწავლის გასაგრძელებლად ოდესაში გაემგზავრა. გახარებული მამამისი 1895 წელს გაზეთ „ივერიაში“ (№236) წერდა: „ეს პირველი მაგალითი არის, რომ ქართველ მაჰმადიანს საქართველოში საშუალო სწავლა მიეღოს... და უმაღლეს სასწავლებელში შესულიყოს, იმედი მაქვს ჩემი შვილი – ეს ახალგაზრდა ქართველი, აღიჭურვება რა ცხოველმყოფელის სწავლა-მეცნიერებით, არ დაივიწყებს, რომ იგი ქართველია და სხვებთან ერთად მოვალეა ერთგულად ემსახუროს თავის ქვეყანას“.

1897 წლის დეკემბრის მიწურულს კაიკაციშვილების ოჯახს უბედურება ეწვია. ოდესაში ავადმყოფობით გარდაიცვალა გულოს ვაჟი – ასლანი. აქ მოვიყვანთ ერთ მაგალითს თუ რა რეზონანსი ჰპოვა ამ სამწუხარო ფაქტმა და როგორი ავტორიტეტი გააჩნდა იმ დროისთვის გულო კაიკაციშვილს. 1951 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პათოლოგიური ანატომიის ხელმძღვანელმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ ჟღენტმა გულოს შვილიშვილს გულიკო კაიკაციშვილს უამბო ასლანის (ე. ი. გულიკოს ბიძის) გარდაცვალების შესახებ: „იგი ულამაზესი, უჭკვიანესი, მეგობრებზე უზომოდ შეყვარებული მეოცნებე ჭაბუკი – მგზნებარე პატრიოტის გულო კაიკაციშვილის ვაჟი იყო... ჩვენ იქ ოდესაში, სასწავლებლად წარგზავნილმა ყოველმა ქართველმა სტუდენტმა ვიცოდით რომ იგი (გულო კაიკაციშვილი – ა. ჩ.) დიდ როლს ასრულებდა აჭარის ცხოვრებაში, რომ იგი ქართული წერა-კითხვის სიყვარულს, საქართველოს სიყვარულს უნერგავდა თავის ხალხს... (მისი ვაჟი – ა. ჩ.) ასლანი ნამდვილად იმსახურებდა დიდი ილიას მიერ დანიშნულ სტიპენდიას... მისმა უეცარმა სიკვდილმა თავზარი დაგვცა იქ მცხოვრებ სტუდენტებს. არც ერთი ქართველი სტუდენტი არ დარჩენილა ოდესაში, ყველანი წამოვყევით მის ცხედარს. როდესაც გემი ბათუმის ნავსადგურს მოადგა, ჩვენს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, მთელი აჭარა დახვდა მიცვალებულს. ბაბუათქვენმა შესანიშნავი სიტყვა წარმოთქვა.

გულში ჩაგვიკრა მისი შვილის მეგობრები. ჩვენ კი ასლანის კუბო ბათუმიდან ქობულეთამდე ხელით ჩავიტანეთ, მიწას მივაბარეთ და ქართული მიწა თითოეულმა ჩვენგანმა ხელით მივაყარეთ“ (2:13-15).

აღნიშნული სამწუხარო ამბავი გულთან მიიტანა ქართულმა საზოგადოებამ, ცხადია მას გამოეხმაურა ქართული პრესაც. გაზეთმა „ივერიამ“ (1898 წ. №8) მოიყვანა გულდათუთქული მამის სიტყვები: „მინდოდა დამემტკიცებინა აქაური მაჰმადიანებისათვის, თუ რა არის სწავლა-განათლება. მაგრამ დახე ჩემს ბედს, ბედნიერი ვიყავ, და სხვებიც მინდოდა გამებედნიერებინა, სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ მხიარულის გულით ჩურუქ-სუში (ქობულეთში – ა. ჩ.) დაარსებულ სასწავლებელს 1200 მანეთი შევსწირე, გამოვიწერე 80 ქართული წიგნი და დავარიგე ქართველ მაჰმადიანთა შორის, მაგრამ ეხლა ჩემმა მწუხარებამ ნეტა რაღაზედ უნდა მაფიქრებინოს“.

მიუხედავად ტრაგედიისა ჩვენი გმირი სულიერად არ გატეხილა. იმ დროს, როცა ჯერ კიდევ ძლიერი იყო რელიგიური ფანატიზიმი, მოიძებნენ ადამიანები რომლებიც ხმებს ავრცელებდნენ თითქოსდა ეს ამბავი იმიტომ მოხდა, რომ ასლანი ქრისტიანებთან ერთად სწავლობდაო. გულომ მონახა საკუთარ თავში ძალა და ჯამეში მორწმუნეების წინაშე განაცხადა: „მითქვამს და დღესაც ვიტყვი რომ სწავლა დიდი რამ არის, იგი ვისიც არ უნდა იყოს, გინდ გიაურის და გინდ მუსლიმანის, სწავლა ყველაი ერთნაირია და ამიტომ ვიმეორებ იმავე სიტყვას, რაც წინეთაც ბევრჯერ მითქვამს, რომ ჩვენი შვილების უსწავლელად დატოვება დღეის შემდეგ აღარ გამოდგება“ (6:50-51).

ოსმალთა ბატონობის დროს აჭარა ეკონომიკურად ჩამორჩენილ მხარეს წარმოადგენდა. იმდროინდელი სამყაროს ცივილიზაცია აქ ძუნწად აღწევდა. რთული ბუნებრივი პირობების მქონე რეგიონში მოსახლეობა მძიმე შრომით ირჩენდა თავს. არსებული წარმოებითი ურთიერთობები განვითარების საშუალებას არ აძლევდნენ საწარმოო ძალებს. მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, ხელოსნობა, რაშიც ძირითადად დასაქმებული იყო მწარმოებლური მოსახლეობა, შრომის არქაულ ფორმებს არ გასცდენია. ვაჭრობის ნორმალურ განვითარებას უგზოობა უშლიდა ხელს. ბათუმშიც კი, რომელსაც ხელსაყრელი ნავსადგური გააჩნდა, განვითარება არ შეიმჩნეოდა. 1877-1878 წწ. ომმა აჭარელთა მეურნეობას მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა. უკვე აღვნიშნეთ, რომ ჩვენს რეგიონს დახმარება საქართველოს მოწინავე საზოგადოებრიობამ გაუწია. მაგრამ ეს საკმარისი არ იყო, ცხოვრება განვითარებას ითხოვდა, რაც ესმოდა გულო კაიკაციშვილს. იგი დაინტერესებული იყო აჭარის ეკონომიკური აღორძინებით. მართალია რუსეთში კაპიტალიზმის განვითარებამ ჩვენი ქვეყანაც ჩაითრია, მაგრამ ეს ძირითადად ქალაქ ბათუმს ეხებოდა. საჭირო იყო სოფლის მეურნეობის პოტენციის გამოყენება. გულოს შვილის გადმოცემით მამამისი: „ხშირად ხვდებოდა მსხვილ ვაჭრებს, სოვდაგრებს, მევახშეებს და მოუწოდებდა აბრეშუმის გზით გაეტანათ ციტრუ-სები, ჩაი, ხილი, თამბაქო, თაფლი და სხვა, ხოლო შემოეტანათ ხალხისათვის საჭირო სამრეწველო საქონელი თუ პროდუქტი. აჭარის მსხვილი ვაჭრები ჩვენს ოჯახში ხშირი სტუმრები იყვნენ, ისინი ეხმარებოდნენ გულო კაიკაციშვილს საქველმოქმედო საქმიანობაში“ (2:35).

XX საუკუნეში რუსეთის იმპერია მნიშვნელოვანი სოციალური კონფლიქტებით შევიდა. ექსტრემალური პროცესები ჩვენს რეგიონშიც მიმდინარეობდა. 1905 წლისათვის როცა რუსეთში მიმდინარეობდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, გვაქვს მეცნიერ ექვთიმე თაყაიშვილის მოგონება: „1905 წელს აჭარლებს გასახლებას უპირებდნენ. გულო კაიკაციშვილი მეთავე იყო ხალხის ადგილიდან დაუძვრელობის. მე მეფისნაცვალთან აღვძერი საქმეო... და მაშინ აჭარელთა დევნა შეწყდაო“ (1:6).

1878 წლიდან, რაც აჭარა რუსეთის იმპერიაში გაერთიანდა და საქართველოსაც დაუბრუნდა, ეროვნული გარემო ჩვენს რეგიონში შედარებით

გაუმჯობესდა. თუმცა სასწავლო დაწესებულებებში, ისევე როგორც საერთოდ სახელმწიფო დაწესებულებებში, პრიორიტეტი რუსულ ენას ენიჭებოდა. ეს ჩვენს გმირს არ მიაჩნდა მართებულად და ცდილობდა თავისი წვლილი შეეტანა მდგომარეობის შეცვლაში. მაგალითად, 1907 წელს ის აყენებდა საკითხს სკოლებში ქართული ენის სწავლების გაძლიერების შესახებ (6:50).

გულო კაიკაციშვილის ნაცნობებსა და თანამებრძოლებში განსაკუთრებით გამოირჩეოდა საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, პედაგოგი ჰაიდარ აბაშიძე, რომელიც „გულოს ოჯახის ყველაზე უძვირფასესი სტუმარი იყო“ (2:17).

1915 წელს გარდაიცვალა პოეტი აკაკი წერეთელი. სამწუხარო ამბავი სწრაფად მოედო ქვეყანას. აჭარაში მწუხარებით შეხვდნენ მგოსნის გარდაცვალებას გულიკო კაიკაციშვილი გადმოგვცემს: „1914 წლის შემოდგომის მიწურულს ბაბუამ დიდი აკაკი მოინახულა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით შეწუხებული დაღვრემილი ჩამოსულა. რამდენიმე თვის შემდეგ დიდი მგოსანი გარდაიცვალა.

1915 წლის თებერვლის სუსხიან დღეს დედამ და ბიცოლამ ბაბუა ეროვნულ ტანსაცმელში გამოაწყვეს და თბილისში გაისტუმრეს აკაკის დასაფლავებაზე. სახეზე მას დიდი ნაღველი და ნერვიულობა ეტყობოდა... აკაკის იუბილეს არ დავსწრებივარ, იქ ახალგაზრდები გავაგზავნე, ისინი უფრო ომახიანად იტყოდნენ თავიანთ სათქმელს. აკაკის ცხედარი კი მე უნდა დავიტირო, ეს მე მეკუთვნის მოხუცსო, – ასე უთქვამს თურმე წასვლის წინ გულოს ოჯახის წევრებისთვის“ (2:28).

სამგლოვიარო მიტინგი გაიმართა 8 თებერვალს ერევნის მოედანზე. აქ გულო კაიკაციშვილი იყო აჭარის დელეგაციის ხელძღვანელი. მან წარმოთქვა შესანიშნავი სიტყვა. შეუძლებელია გულოს შესახებ წერდე და ეს სიტყვა არ მოიყვანო სრულიად:

„ნამდვილად ქართველო თავადო აკაკი!

ეს რაღაც სხვანაირი ამბავია! დღეს მოყრილია მთელი საქართველოს ერი, სხვა ერებიც ბევრია მათ შორის და გარს ეხვევიან შენს კუბოს, თითქოს რაღაცას გეხვეწებიან: დარჩიო ანუ გაბარებენ რამეს საქართველოს შესახებ წარსულ დიდ წინაპრებთან, მაგრამ არა მგონია. უენო ხარ, სულია ცოცხალი და უკვდავი, თორემ ენა და სხეული ვერ მიიღებს შევედრებას. არა, ვგონებ მისთვის არიან მოსულნი, რომ თაყვანი გცენ, ვითა ცხოველისმყოფელს, შენს დიდებულ გვამს. მეც ამათ რიცხვში ვურევივარ, მოხუცებული, უძლური ქართველი მუსლიმანი, გამოგზავნილი სამხრეთის მხრიდან, იმ მხრიდან, რომელიც სამას წელზე მეტია მოიტაცა მტერმა და მოაშორა საქართველოს. გამომგზავნეს და დამავალეს, რომ მათ მაგივრადაც თაყვანი ვსცე შენს დიდებულ ცხედარს და თუ მოვახერხე ორიოდე სიტყვა გითხრა: საქართველომ მუდამ მტრის ბრძოლაში ატარა თავისი სიცოცხლე, თუ სპარსნი, თუ ოსმალნი და სხვა ერებიც ღვრიდნენ მის სისხლს და აოხრებდნენ ქართველთა ერის სადიდებელ ნაშთებს და ამგვარად საქართველოს ისტორია, ქართველი ერის წამების ისტორია არის, მაგრამ წამებულთა შორის განსხვავება არის. სამ ძმაში მტრებთან ბრძოლის დროს, მოხდება, რომ ორი ტყვიით განგმირული უკან მობრუნებულა, წყლული მოურჩენია და დარჩენილა თავის ოჯახში. მესამე სულ მტრებს წაუყვანიათ ტყვედ და ჩაუგდიათ განუწყვეტელ ტანჯვაში. აი სწორედ ქართველმა ერმა, ოსმალეთთან მრავალი საუკუნის განმავლობაში ბრძოლის დროს, დაჰკარგა ერთი მისი ძმა-მხარე სამცხე-საათაბაგო, უპირველესი მხარე, ის მხარე, სადაც იშვა უკვდავი შოთა რუთაველი და მრავალი მებრძოლნი გმირნი. სამას წელზე მეტი იყო, რომ ეს დაკარგული ძმები ქართველებს თვალითაც აღარ უნახავს. ბოლოს კი წარსულ რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს მოხდა განგება და კვლავ შემოგიერთდით ჩვენ უფროს მოძმე ქართველებს და ვსუნთქავთ ქართველ ერთან ერთად. და ამ დროს, სამასი წლის შემდეგ, სადაც შევინახეთ ქართული დედა-ენა, ჩვენც ვეღირსეთ დაგვენახა დიდებული აკაკი, სინათლე, რომელიც, ვითარცა უკვდავი, შენ აღუნთე ქართველ ერს.

მაგრამ ჩვენი მხარე მეტად დაბნელებული იყო და ერთი სანთლით ვერ მოეფინება ყველგან სინათლე. და საჭიროა, რომ აქეთ უფრო მრავალი სანთელით შემოვიდნენ. გევედრები დაუბარე ამ შენებს, რომ ცალი თვალით და ერთი ხელით სანთელი ჩვენკენ დაიჭირონ, გვინათონ და გვიპატრონონ, აღვადგინოთ ჩვენი დედა-ენა, გვიხსნან ამ გაჭირვებიდან, რომელშიდაც ნამეტურ ახლა ვიმყოფებით. აღარ შეგაწუხებ, გაცხონოს ღმერთმან და გისურვებ, რომ შენფერი შვილი ბევრი გამოჩენოდეს საქართველოს, განათლებულს შენგან ანთებული ჟინჟღლით" (6:52-53).

მოწინავე ქართველი მაჰმადიანის წარმოთქმულმა, წარმოდგენილმა სიტყვამ დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა ქართულ საზოგადოებაზე.

1917 წლის თებერვალში რუსეთში მოხდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია. მონარქია დაემხო. გულო კაიკაციშვილის დამოკიდებულება ცარიზმის მიმართ, რომელიც ისტორიას ჩაბარდა, იყო წინააღმდეგობრივი, სიტუაციის მიხედვით, თუ როგორ გამოადგებოდა ის თავის სამშობლოს. ერთის მხრივ, ის ყოველნაირად მხარს უჭერდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლებას, რაც იმ დროს ნიშნავდა რუსეთის იმპერიაში გადასვლას და ამით ქვეყნის გაერთიანებას, რუსეთის იმპერიის ფარგლებში ეროვნული გარემოს გაუმჯობესებას. მეორეს მხრივ, ის აკრიტიკებდა ცარიზმის სიმახინჯეებს. მაგალითად, მუჰაჯირობასთან დაკავშირებით, ასევე ითხოვდა განათლების სისტემის სრულყოფას და ა. შ. ამ მხრივ საინტერესოა 1916 წლის გაზეთ „სახალხო ფურცელში" (№685) გამოქვეყნებული მისი წერილი: „დრო არის ყურადღება მივაქციოთ ქალების აღზრდას ქობულეთ-აჭარაში". აქ იგი წერდა: „თუ აგერ ორი საუკუნის განმავლობაში ჩვენი მამები გვილოცავდნენ თოფ-იარაღს, ახლა მათ მაგიერ გოგებაშვილის დედა-ენას გვასწავლიან. თუ ამდენ ხანს... სისხლის აღებაში გამოიხატებოდა ვაჟკაცობა, ეხლა ჩვენი ვაჟკაცობა ის არის ვინც შვილებს სასწავლებელში აბარებს".

საინტერესო და სიმბოლურია გაზეთ „ტრიბუნაში" 1923 წელს (№397) გამოქვეყნებული ზაქარია ჭიჭინაძის სტატია „ქართველ მაჰმადიანთა წარსული ცხოვრებიდან". აქ ავტორი გადმოგვცემს, რომ აჭარის განთავისუფლების შემდეგ რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა გულოს დაახლოებას: „გულო აღას, თავისი გონივრული დამსახურებების გამო რუსეთის მთავრობისგან ქონდა კარგი ნიშნები, ოქროს და ვერცხლის ყელის ნიშნები და ასევე სხვა ნიშნებიც". ამავე დროს, ოდნავ ქვემოთ ზ. ჭიჭინაძე წერს: „მოხუცებულობაში შესვლის დროს, ამან სამსახურს თავი დაანება, უმთავრესი კი ამის მიზეზი ის იყო, რომ რუსეთის მთავრობა, ქართველ მაჰმადიანებში ქართული ენის საქმეს სჩაგრავდა, გარდა ამისა მათ არც ქართველებად სცნობდა და თათრებს უწოდებდა". ჩვენი გმირის გონივრული პოზიცია, მაშინდელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერების პოზიციაა, ანუ არსებულ მდგომარეობაში პოზიტიურის დანახვა და გამოყენება, ხოლო ნეგატიურის კრიტიკა, მის წინააღდეგ ბრძოლა, ეროვნული გარემოს კიდევ უფრო მეტად გაუმჯობესების მცდელობა.

1917 წ. ოქტომბრის დასაწყისში ქობულეთში ჩამოვიდა საქართველოსა და რუსეთის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი ირაკლი წერეთელი. იგი იყო ქართველი მწერლის, პუბლიცისტის, საზოგადო მოღვაწის გიორგი წერეთლის ვაჟი. გულო კაიკაციშვილმა შეკრებილთა წინაშე ირაკლი წერეთლს ასე მიმართა: „ქართველი მაჰმადიანი მოგესალმები ქრისტიან ქართველ ახალგაზრდას, მთელ ქვეყანაზე განთქმულ, თავისუფლებისათვის მებრძოლს. მე მამაშენს გიორგი წერეთელს კარგად ვიცნობდი. ჩვენ რომ დიდი გასაჭირი გვადგა, მაშინ ის აქ, აი აგერ, ხუცუბანში ბრძანდებოდა. ნახევარი ნაბადი ეგო და ნახევარი ეხურა. ჩვენს გასაჭირს წერდა „დროებაში" და ქრისტიან ქართველებს ეხვეწებოდა – დაეხმარეთ ქობუ-

ლეთლებსო. მისმა ხვეწნამ გასჭრა, ქართველებმა ფული მობოჭეს, იგი ფული სერგეი მესხმა ჩამოგვიტანა და დაგვაპურა. ამას ჩვენ ვერ დავივიწყებთ. მერე კიდევ უარესი დღე დაგვადგა. იმ დროს თვითპყრობელობისაგან შენც დასჯილი იყავი, ხელებზე და ენაზე ბორკილი გედვა და ციმბირში იყავი დამწყვდეული, მარა შენმა ამხანაგებმა ჩხენკელმა და ჩხეიძემ მოგვხედეს, გვიპატრონეს და თუ ცოცხლები ვართ, ეს მათი დამსახურებაა, მათ გადაგვარჩინეს. ახლა ნამეტურ გვიხარია, რომ შენ კარგად გხედავთ. გევედრები, მამაშენის ანდერძი შეასრულო და მოგვხედო, აგი მამაშენის სულს ეამება. დაგვაახლოვე ჩვენს ძმებს – ქართველ ქრისტიანებს. გაუმარჯოს ჩვენს ერთობას და ყველას თავისუფლებას“ (2:32).

ამ შეხვედრიდან დაახლოებით ერთ თვეში რუსეთში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება და მის სათავეში მოვიდნენ ბოლშევიკები. საქართველომ, სადაც ბატონობდნენ ბოლშევიკთა მოწინააღმდეგე ძალები რუსეთისაგან თანდათან ჩამოშორება დაიწყო. იმ დროს გრძელდებოდა პირველი მსოფლიო ომი. კავკასიის ფრონტი რუსეთის არმიას ეკავა. განვითარებული მოვლენების შედეგად, 1917 წლის ბოლოს, რუსეთის არმიამ კავკასიის ფრონტზე დაშლა დაიწყო. ჯარისკაცები სახლში ბრუნდებოდნენ. ამით ისარგებლა თურქეთმა, მისი არმია შეტევაზე წამოვიდა და 1918 წლის დასაწყისში კვლავ დაიპყრო სამხრეთ-დასავლეთ საქართველო აჭარის ჩათვლით. ჩვენს რეგიონს მძიმე დრო დაუდგა. აქ გააქტიურდა პროთურქული პარტია „სედაი მილეთი“. მოხუცი გულო კაიკაციშვილი იძულებული გახდა კვლავ აქტიურად ჩართულიყო პოლიტიკაში. მის ირგვლივ დაირაზმნენ ახლობლები, ნათესავები, მეგობრები, პატრიოტები.

1918 წლის აპრილში ქობულეთში თურქები ატარებდნენ რეფერენდუმს, თუ ვის უნდა დარჩენოდა რეგიონი, ოსმალეთს თუ საქართველოს. ხალხი რეფერენდუმზე შეიკრიბა. იქვე მოვიდა გულო კაიკაციშვილიც იგი „მიუახლოვდა ტრიბუნას, შემობრუნდა ხალხისკენ და ზეაწეული მარჯვენა ხელით ხმამაღლა წარმოთქვა ოთხი სიტყვა:

– მე ხმას ვაძლევ საქართველოს!...

ხალხი აგუგუნდა. ისმოდა შეძახილები: „გაუმარჯოს ერთიან საქართველოს!“ იქვე მყოფმა ცხენზე ამხედრებულმა გულო კაიკაციშვილის დისშვილმა – ხასან თხილაიშვილმა მყისვე იგრძნო მოსალოდნელი საფრთხე, რომელიც შეიძლებოდა ასკერებისაგან თავს დასტეხოდა გულოს და იქვე მყოფ ხალხს, მიიჭრა ტრიბუნასთან და საქართველოსათვის განკუთვნილი ცისფერი ბიულეტინი პირველმა ჩააგდო ყუთში, თან ხმამაღლა გაჰყვიროდა: „გაუმარჯოს საქართველოს“.

გულოს რაზმელებმა, რომელთა მეთაურობა მოხუცებულობის გამო ხასან თხილაიშვილს მიანდო, იყოჩაღეს. წინასწარ დაგეგმილი სცენარი გაითამაშეს და რეფერენდუმი ჩაშალეს“ (2:34).

მომხდარი ფაქტი მოასწავებდა ოსმალეთის ხელისუფლების გამოწვევას. პატრიოტებს მძიმე დრო დაუდგათ. გულო და მისი თანამოაზრე აქტივისტები კვლავ იძულებულნი იყვნენ არალეგალურ მდგომარეობაზე გადასულიყვნენ. სხვები იდეოლოგიურ ბრძოლაში ჩაებნენ „სედაი მილეთის“ წევრებთან და მის მომხრეებთან. იმ დროს, 1918 წლის 26 მაისს, როდესაც გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, აჭარა ოსმალეთის ოკუპაციის ქვეშ რჩებოდა. საბედნიეროდ რამდენიმე თვეში მსოფლიო ომი დასრულდა და თურქი ოკუპანტებიც აჭარას გაეცალნენ.

დროთა განმავლობაში გულო კაიკაციშვილის საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწეობის უმთავრესი მიზნები, რომ აჭარა ყოფილიყო საქართველოს განუყოფელი ნაწილი, განვითარებულიყო სწავლა-განათლება, ამაღლებულიყო მაჰმადიანი ქართველის ეროვნული თვითშეგნება, რეალობად იქცა.

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, 1922 წლის ივნისში ჩვენი გმირი ზაქარია ჭიჭინაძემ მოინახულა. იგი წერდა: „ვიყავი ქობულეთში, ვნახე მოხუცებული გულო და მაშინაც... ისე-

თივე ცოცხალი თვისების იყო, როგორც მახსოვს 1890 წელს“ (3:29). გულომ იცოდა მრავალი ისტორიული გადმოცემები და ლექსები, რითაც სარგებლობდა ზ. ჭიჭინაძე და აქვეყნებდა თავის ნაშრომებში.

1923 წელს, 83 წლის ასაკში გარდაიცვალა გულო კაიკაციშვილი. „მის დასაფლავებას უამრავი ხალხი დაესწრო – ჩამოსულან საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. მოდიოდა უამრავი სამძიმრის დეპეშა და ბარათი. გულში ჩამწვდომი ყოფილა გულოს ცხედართან წარმოთქმული ყოველი სიტყვა“ (2:39). გარდაცვლილი ქობულეთში დაასაფლავეს. მის საფლავზე პატივისცემის ნიშნად მოდიოდნენ არა მხოლოდ ოჯახის წევრები და ახლობლები, არამედ სხვებიც, გამოჩენილი ადამიანები, პატრიოტები.

1960 წელს, რადგან დაგეგმილი იყო ქობულეთის არქიტექტორული იერსახის შეცვლა, ხელისუფლების თხოვნით, გულო კაიკაცშვილის ნეშთი სოფელ სამებაში გადაასვენეს.

1962 წელს გულო კაიკაციშვილის სახლს ქობულეთში ესტუმრა მწერალი გიორგი ლეონიძე და იქვე წარმოთქვა ლექსი:

„თუ აჭარა აღსდგა მკვდრეთით,
თუ აჭარა ფიქრობს საღად,
ამის მიზეზთაგანია,
რომ აქ გვყავდა გულო-აღა!
კაი კაცი! ვეფხვი კაცი,
თუმცა გული დაიდაღა
ჩვენ მის სახელს დღესაც ვხმარობთ,
ქართველობის იარაღად!“

გულო კაიკაციშვილის მრავალრიცხოვანი შთამომავლობა ღირსეულად აგრძელებენ თავიანთი დიდი წინაპრის არჩეულ გზას.

ამგვარია ჩვენი გმირის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვანი მომენტები, რომლითაც წარმოგვიდგება ჭეშმარიტი მამულიშვილი.

გულო კაიკაციშვილი ბავშვობიდანვე იყო სამშობლოსადმი ერთგულებით გაზრდილი პიროვნება, რომელსაც უცხო ქვეყნების წნეხმა, იდეოლოგიამ აზრი ვერ შეაცვლევინა. თავისი ინტელექტის და ენერგიის პატრონს შეეძლო უცხოელთა სამსახურში კარიერა გაეკეთებინა და მაღალი თანამდებობებისთვის მიეღწია. თუმცა ამას მან უბრალო ხალხისადმი და ეროვნული მრწამსისადმი სამსახური ამჯობინა. უცხოელთა ბატონობის პირობებში მისი საქციელი ხშირად საფრთხის შემცველს წარმოადგენდა და ორჯერ 1877 და 1918 წლებში ტყესაც კი აფარებდა თავს. ქართული პრესა იყო მისი ერთ-ერთი იარაღი. მოიხვეჭა რა გარკვეული ავტორიტეტი რეგიონში, საკუთარ ნიჭს, ორატორულ ხელოვნებას, პოლემიკის უნარს აქტიურად იყენებდა ეროვნული და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის აგიტაცია-პროპაგანდის საქმეში. კერძოდ, მოსახლეობის გაუთვითცნობიერებელ ნაწილს უხსნიდა, რომ ქრისტიან და მაჰმადიან ქართველებს ერთი სამშობლო აქვთ, დაუნდობლად ებრძოდა მუჰაჯირობას, ყველას არწმუნებდა სწავლა-განათლების და უპირველეს ყოვლისა, მშობლიურ, ქართულ ენაზე განათლების აუცილებლობის შესახებ, მისი მცდელობითაც ხდებოდა უღარიბესი მოსახლეობის მატერიალური დახმარება. მასში გამოიყოფოდა უნარი დაენახა ცხოვრებისეული აუცილებლობა, ემოქმედა დროის მიხედვით და ეს მოეხმარა ქვეყნის და ხალხის სასარგებლოდ. ობიექტურად აფასებდა რა რეგიონის ეკონომიკურ პოტენციალს, ცდილობდა პირობები შეექმნა მისი მაქსიმალური გამოყენებისათვის. გულოს დადებით თვისებებში აღსანიშნავია პიროვნული ხიბლი და კომუნიკაბელურობა, რაც ხელს უწყობდა საქართველოს პატრიოტებთან, გამოჩენილ ქართველებთან ურთიერთობაში, რომლებიც მას დიდ პატივს სცემდნენ. მათ შორის იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, სერგეი მესხი, ჰაიდარ აბაშიძე, გრიგოლ გურიელი, ზაქარია ჭიჭინაძე, შერიფ ხიმშიაშვილი, დავით კლდიაშვილი, სტეფანე ზუბალაშვილი, მიხეილ მეფისაშვილი და სხვები. მათი თანადგომით ბევრს მიაღწია. გულო დიდ პატივს სცემდა თავისი ქვეყნის ისტორიას, აგროვებდა ძველ ნივთებს,

რომელთაც შესაფერის ადგილს მიუჩენდა. იცოდა და მომავალ თაობას დაუტოვა ისტორიული თქმულებები და გადმოცემები. მისი ოჯახი და შთამომავლობა პირადი მაგალითი იყვნენ და არიან მამულიშვილური ცხოვრებისა და საქმიანობისა.

წყაროები და ლიტერატურა

1. ჟურნალი „ჭოროხი“, 1990. №5.
2. მ. კაიკაციშვილი, ჩემი ბაბუა გულო კაიკაციშვილი, თბილისი, 1998.
3. ა. სურგულაძე, გულო კაიკაციშვილი, გამომცემლობა „მეცნიერება“ თბილისი 1973.
4. გაზეთი „ტრიბუნა“, 1922. №283.
5. თ. კომახიძე, ქობულეთი და ქობულეთლები, ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი, 1997.
6. ხ. ახვლედიანი, სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლნი, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“ ბათუმი, 1972.
7. გაზეთი „დროება“, 1875. №143.
8. კრებული „აჭარის სოფელი“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ბათუმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1969.
9. გაზეთი „დროება“, 1876. №92.
10. გაზეთი „დროება“, 1878. №31.
11. თ. კომახიძე, ილია ჭავჭავაძე აჭარის დიდი მოამაგე, ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი, 2004.
12. საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 461, საქმე 129, ფურც. 3.
13. Акты, Кавказскою Археографическою Коммиссиею, т. XII, 1856-1862.
14. გაზეთი „ივერია“ 1895. №236.
15. გაზეთი „ივერია“ 1898. №8.
16. გაზეთი „სახალხო ფურცელი“ 1916. №685.
17. გაზეთი „ტრიბუნა“, 1923. №397.
18. გაზეთი „ერთობა“, 1917. №192.
19. გულო კაიკაციშვილი. ვიკიპედიაში (ინტერნეტი).



დაშა ხომერიკი

რა იქნება ხვალ მარიკა ლაშხიას ცხოვრებაში? აფხაზეთი – აუცილებლად

– მარიკა ლაშხია – მშვენიერი კოლხი ქალი... გააგრძელეთ (დაახასიათეთ საკუთარი პერსონა).

– ლაშხია... შესაბამისად, ვატარებ კოლხის ყველა თვისებას, ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ ჩემზე. რთულია საკუთარ თავზე საუბარი, მაგრამ ვიტყვი, რომ ჩემს თვისებებს ხშირად უხერხულობაშიც ჩაუგდივარ და უხერხულობიდანაც გამოუყვანივარ. პირდაპირი ვარ, თუმცა პოზიტიური; ვთვლი, რომ გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს. მთავარია, გიყვარდეს ადამიანი, ვისთანაც ურთიერთობ, თუნდაც ეს ურთიერთობა წუთებს ითვლიდეს მხოლოდ. არ მიყვარს ზურგს უკან აუგი, ამას არც მე ვაკადრებ სხვას და არც სხვას ვაპატიებ. დანარჩენს სხვები უფრო იტყვიან ჩემზე, ვიდრე მე – საკუთარ თავზე.

– აფხაზეთი ყველას გვტკივა, მაგრამ თქვენ განსაკუთრებით. რას მოიგონებდით წარსულიდან.

– რა უნდა მოვიგონო? დაბომბვის დროს მეზობელი ბავშვის შიშით გაფართოებული თვალები, უკან მოუხედავად მიტოვებული ნაკვდავ ნაჯაფარი სახლ-კარი, აფხაზეთში დარჩენილი დედ-მამა, სვანეთის გოლგოთა, გზადაგზა დაკარგული ძვირფასი ადამიანები, რომელთა დატირებასაც ვერ ვბედავდით და სიმწარე გულს გვიხეთქავდა, პირდაპირი გაგებით... თუ ალმოდებული სანაპირო, ერთ დიდ შიშად და აგონიად ქცეული სოხუმი... მე არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე, რისთვის იყო საჭირო ეს. ან ვისთვის. არ ვფიქრობ, რომ ამ ტრაგედიამ თუნდაც აფხაზეთში დარჩენილები არ შეძრა. მე ვიცნობ აფხაზებს და კარგად ვიცი, რომ ეს მათი პირადი უბედურებაც იყო. უბრალოდ, ჩაირთო სიკვდილის მანქანა და მისი გაჩერება არ მოხერხდა.

– როცა ბათუმში ჩამოხვედით...

– ბათუმამდე იყო ზუგდიდი, მერე – თბილისი. მერე იყვნენ უცნობი ადამიანები, რომლებმაც ჩვენი ტკივილი გაითავისეს და მხარში ამოგვიდგნენ. შეძლებისდაგვარად, რა თქმა უნდა. მერე

იყო ბათუმი, გავიცანი ჩემთვის უძვირფასესი ადამიანი დავით თედორაძე, რომელიც (სრულიად გადაუჭარბებლად ვამბობ!) ჩემი ცხოვრების მფარველ ანგელოზად გადაიქცა. ის უმამოდ და უსამშობლოდ დარჩენილი მარიკა ლაშხიასთვის გადაიქცა მამად, სამშობლოდ, ოჯახად, უფროს მეგობრად... ძალიან ვუმადლი ღმერთს ამის გამო და დღეს ბათუმი თუ ჩემი ქალაქია, სწორედ ბატონი დავითის დამსახურებით. ამისთვის მე მადლობას ვერ გადავიხდი, ამის მადლობას, იმედი მაქვს, ჩემი აფხაზეთი გადაიხდის ოდესმე. ბუნების კანონით ასე უნდა მოხდეს.

– დღე, რომელიც მარად თქვენთან არის...

– ჩემი შვილის გაჩენის დღე! მაშინ მეც ხელახლა დავიბადე. ეს უპირობოდ არის ყველაზე დიდი დღე დედის ცხოვრებაში.

– ზურაბ გორგილაძის პრემიის ლაურეატი ხართ... ეს ჯილდო რას ნიშნავს თქვენთვის, თქვენი თვალით დანახული ზურაბ გორგილაძე.

– მე ასე მესახება – ეს ჯილდო წილად მხვდა ზურაბ გორგილაძის დიდი სიყვარულის გამო, მისი ხალასი და განუმეორებელი ნიჭის თაყვანისცემისა და შემოქმედების პოპულარიზაციისთვის, რასაც ვახორციელებდი აჭარის მწერალთა სახლის პროექტის – „პოეზიის დრო“ – ფარგლებში.

– მწერალთა სახლის უმშვენიერესი დიასახლისი – ასე გახასიათებენ ბათუმელები. როგორია მწერლებთან ურთიერთობა, რა გამოარჩევს თქვენი დაკვირვებით ჭეშმარიტ შემოქმედს?

– მწერლები საოცრად უშუალო და ბუნებრივი ადამიანები არიან, ამიტომაც აბსოლუტურად ბუნებრივია მათთან ჩემი გულითადი დამოკიდებულება, ანალოგიურ სითბოს ვგრძნობ მათი მხრიდანაც. ვთვლი, რომ ჭეშმარიტ შემოქმედს გამოარჩევს ნიჭი და ტალანტი, მისი მოქალაქეობრივი პოზიცია. ვერ წარმომიდგენია შემოქმედი ისეთ რამეს ამბობდეს, რაც არ შეესატყვისება მის სულიერებას.

– ლამაზი და ჭკვიანი შვილი გეზრდება, ნამდვილად მოსალოცია... რაიმე განსაკუთრებულ აღზრდის მეთოდს ხომ არ ფლობთ?

– შვილი – ბედნიერებაა. ეს სიტყვაც ვერ გამოხატავს სრულად განცდას, რასაც მშობელი გრძნობს. რაც შეეხება მეთოდს, – განსაკუთრებული არაფერი. სიყვარულით ვზრდით დიდ ოჯახში, და ყველაფერს ვაკეთებთ, რომ კარგი მაგალითი ვაჩვენოთ და ღირსეული გაიზარდოს...

– თქვენი აზრით, რა არის მთავარი ცხოვრებაში, რისთვის უნდა იღვწოდეს ადამიანი?

– ერთი შეხედვით რთული შეკითხვაა, მაგრამ, ჩემი აზრით, მარტივი პასუხი არსებობს: უნდა იცხოვრო სხვებისთვის, სხვებთან ერთად. თუ ერთმანეთის სიკეთისთვის ვიზრუნებთ, ცხოვრება გაცილებით იოლი და სასიამოვნო იქნება. ხომ გახსოვთ ნოდარ დუმბაძის ცნობილი ციტატა – „ადამიანის სული გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე სხეული, იმდენად მძიმე, რომ ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია, ამიტომ, ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ და ვეცადოთ, როგორმე უკვდავყოთ ერთმანეთის სული; თქვენ ჩემი, მე სხვისი, სხვამ სხვისი და ასე დაუსაბამოდ, რამეთუ იმ სხვისი გარდაცვალების შემდეგ არ დავობლდეთ და მარტონი არ დავრჩეთ ამ ქვეყანაზე“. ეს ჩემს თავზეც არაერთხელ გამომიცდია და ვცდილობ, ჩემი სული სხვას მივანდო და სხვას თავად შევეშველო. როგორ გამომდის – არ ვიცი, მაგრამ ნამდვილად ვცდილობ. ☺

– ბევრი მადლიერების გრძნობას დიდ ეთიკურ ნიშნად მიიჩნევს... თქვენ ვის და რას ემადლიერებით?

– მადლიერება მართლაც დიდი გრძნობაა, სიყვარულთან და პასუხისმგებლობასთან ერთად. ვემადლიერები ღმერთს, რომ იმ ოჯახში გამაჩინა, რომლითაც მთელი ცხოვრება ვიამაყებ; რომ ცხოვრების გზაზე უამრავ კეთილ ადამიანს შემახვედრა, რომლებმაც ბევრი რამ შეცვალეს ჩემში და ჩემს ცხოვრებაში... ვემადლიერები შვილისთვის, მეგობრებისთვის... უსაზღვროდ ვემადლიერები ჩემს დიდ მეგობარს, დავით თედორაძეს – უკვე გითხარით და სულ გავიმეორებ, ის ჩემი ოჯახი გახდა აჭარაში და მისი წყალობით მე დღეს ნამდვილად ბათუმელი ვარ. ზოგადად, მგონია, რომ ჩემი ცხოვრება დიდი მადლიერებაა, ტკივილთან და სიყვარულთან ერთად.

– თქვენ რომ ნატვრისთვალი გქონდეთ...

– მე რომ ნატვრისთვალი მქონდეს... გავიღვიძებდი აფხაზეთში, ჩემს სოხუმში, და არასდროს, არასდროს დავკარგავდი იქაურ მეგობრებს – ქართველებს, აფხაზებს...

– როგორ ფიქრობთ, ციფრულმა ტექნოლოგიამ რამდენად შეცვალა ადამიანური ურთიერთობები და როგორ გესახებათ მომავალი?

– იცით, ეს ადამიანზეა დამოკიდებული. რა თქმა უნდა, ახალმა ტექნოლოგიებმა ცხოვრება გაიოლა, ცოტა გააგულგრილა კიდეც, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ერთმანეთის თვალებში ჩახედვა ისეთი ბედნიერებაა, რასაც ვერც ერთი ტექნოლოგია ვერ ჩაანაცვლებს...

– კითხვა, რომელიც სასურველი იყო რომ დამესვა... დასვით და უპასუხეთ.

– რა იქნება ხვალ მარიკა ლაშხიას ცხოვრებაში? ☺

აფხაზეთი, აუცილებლად! ამის ისევე მჯერა, როგორც ყოველი ღამის შემდეგ ახალი დღის გათენების.

ჭოროხი 5 2020

მალხაზ ფაღავას
პირადი ციფრული
ბიბლიოთეკა
2020 malkhaz.pagava@mail.ru